ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ოსმალური დოკუმენტური წყაროები აფხაზეთისა და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის შესახებ (XVII–XVIII საუკუნეები)

ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, გამოკლევით, ტერმინოლოგიური ლექსიკონითა და ფაქსიმილეებით გამოსაცემად მოამზადეს პროფ. **გიორგი ანჩაბაძემ** და პროფ. **ნოდარ შენგელიამ**

თბილისი 2012

İLİA DEVLET ÜNİVERSİTESİ

ABHAZYA VE DOĞU KARADENİZ KIYLARI HAKKINDAKİ OSMANLI BELGELERİ (XVII -XVIII yüzıyılar)

Osmanlıca Metun, Gürcüce Tercüme, Giriş, Terminolojik Lügatı, Faksimile Neşretmeğe Hazırlıyan Prof. **Giorgi Ançabadze** ve Prof. **Nodar Şengelia**

ه عثمانلی بلکەلری ابحازیا و دوغو قره دکز قیلری حقندەکی

/ اون یدینجی و اون سکزنجی یوز یللری /

Tbilisi 2012

ILIA STATE UNIVERSITY

THE OTTOMAN DOCUMENTARY SOURCES ON THE ABKHAZIA AND BLACK SEA EASTERN LITTORAL

(17th-18th cent.)

The Ottoman Text, with a Georgian translation, introduction and facsimiles, prepared for publication by prof. **George Anchabadze** and prof. **Nodar Shengelia**

Османские документальные источники об Абхазии и Восточном Причерноморье XVII – XVIII вв.

Османский текст с грузинским переводом, введением, исследованием, терминологическим словарем и факсимиле подготовили к изданию проф. **Георгий Анчабадзе** и проф. **Нодар Шенгелия**

Tbilisi - Тбилиси
2012

შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული სამეცნიერო ფონდი
Shota Rustaveli National Science Foundation



აღნიშნული პროექტი განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (გრანტი №B 10-10). წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი მოსაზრება ეკუთვნის ავტორს და შესაძლოა არ ასახავდეს ფონდის შეხედულებებს.

This project has been made possible by financial support from the Shota Rustaveli National Science Fondation (Grant №B 10-10). All ideas expressed herewith are those of the author, and may be not represent the opinion of the Foundation itself.

www.rustaveli.org.ge
უფასო გამოცემა

საგრანტო პროექტი შესრულებულია
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში



ISBN 978-9941-9238-2-1





შ.პ.ს. გამომცემლობა **ORIENT**
E-mail: orientge@yahoo.com

რედაქტორისაგან

ნაშრომი ეძღვნება საქართველოს ეროვნული აკადემის წევრ-კორესპონდენტის, პროფესორ ზურაბ ანჩაბაძის ნათელ ხსოვნას. წინამდებარე კრებულში წარმოდგენილი დოკუმენტური წყაროები აფხაზეთისა და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ოსმალური ციხესიმაგრეების ისტორიის შესახებ XVII-XVIII საუკუნეებში ერთერთი საუკეთესოა აღნიშნული მხარის სოციალურ ეკონომიკური და პოლიტიკური ისტორიის უკეთ წარმოსაჩენად. ეს წყაროები ინახება ქ. სოფიის კირილესა და მეთოდეს სახელობის სახალხო ბიბლიოთეკის აღმოსაელურ განყოფილებაში. აქ მილიონზე მეტი ოსმალური დოკუმენტური წყაროა. ისინი თავის დროზე ძალიან იაფად შეიძინა ორმა უცხოელმა ფაბრიკანტმა თურქეთში, ეს მასალები ბულგარეთ-თურქეთის საზღვარზე დააკავეს და დიდი დავის შედეგად ამ კოლექციის ნახევარი, სულ 100 დიდი ტომარა დარჩათ ბულგარელ ფაბრიკანტებს. მეორე ნახევარი კი თურქებმა ადგილზე გაანადგურეს პროტესტის ნიშნად. ეს 100 ტომარა,რომელიც ფაბრიკანტებს დარჩათ, წაიღეს და სოფიაში გადამალეს. ეს ამბავი მოხდა გასული საუკუნის 30-იან წლებში.

მერე დაიწყო მეორე მსოფლიო ომი. მასალებისათვის არავის ეცალა. მის შემდგომ პერიოდში დაიწყო ამ მასალების შესწავლა–დამუშავება. სოფიაში ამ პერიოდში მოღვაწეობდა ოსმალურის შესანიშნავი მცოდნე ნიკოლო პოპოვი, რომელმაც იტვირთა ამ მასალების დამუშავება. მან აღზარდა მთელი თაობა ოსმანისტებისა, როგორებიც იყვნენ ბისტრა ცვეტკოვა, ვერა მუტაფჩიევა და სხვები. მათ მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ამ წყაროების დამუშავების საქმეში. ამ ოსმანისტებს შემდეგში გამოუჩნდნენ მათი საქმის ისეთი გამგრძელებლები როგორებიც იყვნენ ასპარუხ ველკოვი, სტეფან ანდრეევი და პეტკო გრუევსკი, რომლებიც ითვლებიან ბულგარული ოსმანისტიკის ბრწყინვალე წარმომადგენლებად.

ამ კრებულის ერთ-ერთი ავტორი, პროფ. ნოდარ შენგელია, ბულგარეთში იმყოფებოდა ხანგრძლივი სამეცნიერო მივლინებით 1977 და 1979 წლებში. მან იქ მიაკვლია რამდენიმე ათას ოსმალურ წყაროს საქართველოსა და კავკასიის ისტორიის შესახებ. მან აღწერა და მთლიანად ჩამოიტანა საქართველოში ყველა დოკუმენტი, რომელიც საქართველოსა და სამხრეთ კავკასიას ეხება. ეს მასალები დღეს ქართველი მეცნიერების განკარგულებაშია.

სწორედ ამ ფონდიდანაა ამოკრეფილი ორასი ოსმალური დოკუმენტი, რომელიც მხოლოდ აფხაზეთისა და აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთის რეგიონს შეეხება. კრებულში წარმოდგენილია დოკუმენტები: სოხუმის,ანაკოფიის,ფოთის და სხვა ციხესიმაგრეების თაობაზე. სოხუმისა და მის გარშემო მდებარე ტერიტორიების შესახებ დოკუმენტები წარმოდგენილია სოხუმის ფონდში. ამ ფონდში /312-ა /200-ზე მეტი დოკუმენტია. აქ 100 საქაღალდეა. ამ ფონდში საუბარ-

ია სოხუმის ციხესა და მის გარშემო არსებულ ციხესიმაგრეებზე, ოსმალთა გარნიზონების შემადგენლობაზე, მათ მომარაგებაზე, აქვე მიმდინარე სამშენებლო სამუშაოებზე. ძალიან საინტერესო მასალებია წარმოდგენილი ოსმალთა გარნიზონების ურთიერთობაზე ადგილობრივ მოსახლეობასთან. დოკუმენტებში მოყვანილია საყურადღებო ცნობები აფხაზეთში ოსმალთა ბატონობის ისტორიის საკითხებზე.

აქვეა წარმოდგენილი მცირე მოცულობის აფხაზეთის დავთარი. მასში საუბარია აფხაზეთში შემოტანილ და გატანილ საქონელზე, აფხაზეთის ურთიერთობაზე შავი ზღვის სანაპირო ციხესიმაგრეების მკვიდრ მოსახლეობასთან. სოხუმის ურთიერთობაზე სოუჯუქთან, ფოთთან, ბათუმთან და სხვა სანავსადგურო პუნქტთან. საუბარია სოხუმში შემოტანილ მარილზე და მრავალ სხვა საქონელზე. საუბარია აღებ-მიცემობის ცალკეულ დარგებზე. დავთარში წარმოდგენილი ცნობები მეტად საყურადღებოა XVIII საუკუნის 60-იანი წლების ოსმალეთისა და აფხაზეთის ურთიერთობის ისტორიის ცალკეული საკითხების წარმოსაჩენად.

დოკუმენტებში წარმოდგენილია ფოთის ციხეში ჩაყენებული იანიჩრების, იამაკების, მუსტაფაზების, თოფჩიების, პირველი და მეორე ბეშლუიანების, სერბოლუქების და სხვათა შესახებ.

ასევე უხვადაა ნაჩვენები მეჩეთების მსახურთა: დერი საამის, მუფეტიშის, ვაიზის, დერ ხუვანის, ფეთჰ ხუვანის და მეჩეთის საქმიანობისა და მათი ჯამაგირის თაობაზე. ასევე საუბარია სოხუმისა და ფოთის ციხეებში ჩაყენებული მშენებლობის ემინისა და სხვათა საქმიანობაზე, მათდმი გაცემულ ჯამაგირზე. ქართულ ციხესიმაგრეებში ჩაყენებულ ოსმალო შენაერთთა მეთაურებს ევალებოდათ ადგილობრივ მკვიდრ მოსახლეობასთან უფრო მჭიდრო კავშირი ჰქონოდათ, მაგრამ იშვიათად თუ იყო მათ შორის კეთილი ურთიერთობა.

დოკუმენტებში საუბარია მეგრელ-აფხაზთა გაერთიანებული ძალებით ბრძოლების შესახებ ოსმალთა წინააღმდეგ. აქვეა საუბარი სოხუმის ციხესთან არსებული წყლის არხის მშენებლობის, მისი მოშლისა და ხელახლა გარემონტების თაობაზე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროფ. ნ. შენგელიას მიერ ჩამოტანილი არაერთი კატეგორია ოსმალური დოკუმენტისა სრულიად უცნობი იყო ქართულ ისტორიოგრაფიაში. მაგალითად, „ხაზინის თესქერეები", „ქუჩუკ ბერათები", „სებები თაჰრირი ჰუქმები", „იაზილეები" და სხვა ტიპის დოკუმენტები. ბევრი კატეგორია ოსმალური დოკუმენტებისა პირველად შემოდის ქართულ სამეცნიერო მიმოქცევაში.

წყაროს გამომცემლებს ოსმალურ დოკუმენტებთან ერთად მიმოხილული აქვთ ქართული დოკუმენტური და ნარატიული ძეგლები, ასევე მიმოხილული და გაანალიზებული აქვთ უცხოური წყაროები. კრებულში ყურადღება გამახვილებულია ოსმალეთის რუსეთთან დამოკიდებულების საკითხებზე. ავტორები საგანგებოდ ეხებიან ოსმალო ისტორიკოსთა თხზულებებს და განიხილავენ თურქეთის არ-

ქივებში დაცულ პირველწყაროებს. მიუხედავად იმისა, რომ დღემდე ჩვენთან არაერთი დოკუმენტური ძეგლია გამოქვეყნებული, მათთვის ბოლო ხანებამდე ყურადღება არავის მიუქცევია. თურქეთის არქივები საესეა ოსმალური დოკუმენტური წყაროებით, რომლებსაც ჯერ არ შეხებია მკვლევრისა და არქეოგრაფის ხელი. ოსმალური საბუთებით განსაკუთრებით მდიდარია თურქეთის მინისტრთა საბჭოს არქივი სტამბოლში და თაფუსა და კადასტრის არქივი ანკარაში.

აქვე უნდა აღინიშნოს, არანაკლებ საინტერესო წყაროები ინახება კაიროში, სადაც უამრავი დოკუმენტური წყაროა. ეგვიპტე, როგორც ცნობილია, დიდხანს იყო ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში. ანკარის, სტამბოლისა და კაიროს არქივებში დაგროვილია საუკუნეთა განმავლობაში ოსმალეთის იმპერიაში შექმნილი დოკუმენტები. ამ არქივებში საქართველოს ისტორიის მრავალი საინტერესო წყარო ინახება.

ამრიგად, აფხაზეთის შესახებ არსებული ოსმალური დოკუმენტური წყაროები ასეთი რაოდენობით პირველად ქვეყნდება ჩვენს ისტორიოგრაფიაში. იგი უთუოდ დიდ სამსახურს გაუწევს აღნიშნული პერიოდის აფხაზეთის ოსმალეთთან ურთიერთობის ისტორიით დაინტერესებულ მკვლევართ. სამეცნიერო მიმოქცევაში აღნიშნული ძეგლების შემოტანა ქართული ოსმანისტიკის უთუოდ დიდი მიღწევაა.

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი: **მ. მახარაძე**

ნაშრომი ეძღვნება გამოჩენილი ისტორიკოსის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის,აფხაზეთის უნივერსიტეტის პირველი რექტორის, პროფესორ ზურაბ ანჩაბაძის დაბადების 90 წლისთავს.



ზურაბ ანჩაბაძე

ზურაბ ანჩაბაძე

არიან ადამიანები, რომლებმაც მნიშვნელოვანი კვალი დაამჩნიეს ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებას, არსებითი წვლილი შეიტანეს მეცნიერების განვითარებაში. სწორედ ასეთთა რიცხვს ეკუთვნის გამოჩენილი ისტორიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, აფხაზეთის უნივერსიტეტის პირველი რექტორი, პროფესორი ზურაბ ანჩაბაძე.

იგი დაიბადა ქ. გაგრაში, 1920 წლის 22 აპრილს, თავისი ინტელიგენტურობითა და კულტურული ტრადიციებით ცნობილ ოჯახში. ძალიან ბევრი ანკეტა მინახავს და ავტობიოგრაფიაც ბევრი წამიკითხავს, მაგრამ გამორჩეულია ზურაბ ანჩაბაძის ანკეტა, სადაც სოციალური წარმოშობის გრაფაში, გარკვევითაა მიწერილი: სოციალური მდგომარეობა – თავადაზნაურობიდან. ზურაბის ბაბუა ტარას ანჩაბაძე, გადამდგარი ვიცე-პოლკოვნიკი, საკმაო ხნის მანძილზე იყო სოხუმის საქალაქო გამგეობის წევრი; ბებია – მაშო დადიანი-ანჩაბაძისა – ცნობილი საზოგადო მოღვაწე იყო. ზურაბის მამამ, ვიანორ ანჩაბაძემ დაამთავრა პეტერბურგის სამხედრო-სამედიცინო აკადემია. პირველი მსოფლიო ომის დროს იმყოფებოდა კავკასიისა და დასავლეთის ფრონტებზე. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მას დაევალა აფხაზეთში საკურორტო საქმის ორგანიზება. გარკვეული დროის მანძილზე ვიანორ ანჩაბაძე იყო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანდაცვის მინისტრი.

ანჩაბაძეები (აჩბები) ძველი აფხაზური თავადური გვარის წარმომადგენლები არიან. ეს საგვარეულო (სხვებთან, მაგალითად, შერვაშიძეებთან (ჩაჩბებთან) ერთად), აქტიურად მონაწილეობდა ფეოდალური საქართველოს პოლიტიკურ გაერთიანებაში.

სწორედ აფხაზი ინტელიგენტის ტრადიციულ ოჯახში დაიბადა ზურაბი. ბავშვობას სოხუმში ატარებდა. როგორც გადმოგვცემენ, იგი მკვირცხლი, ზედმიწევნით აქტიური ბავშვი ყოფილა. გატაცებული იყო სპორტით, განსაკუთრებით ფეხბურთით. ერთხანს იმდენად „გამოუჩენია“ თავი ცელქობით, რომ იგი „გამოსასწორებლად“ სოხუმიდან გაგრაში, დედის მშობლებთან გაუგზავნიათ. მალე კვლავ დაბრუნებულა სოხუმში, სადაც აფხაზურ საშუალო სკოლაში შეუყვანიათ, რომელიც 1938 წელს დაუმთავრებია.

ანჩაბაძეების ოჯახისთვის, ისე როგორც საქართველოს ბევრი ოჯახისთვის, მძიმე იყო 1937 წელი. ამ დროს ზურაბ ანჩაბაძე იყო ჩვიდმეტი წლის, როცა მის თვალწინ დააპატიმრეს მშობლები, ბინა ჩამოართვეს, ასევე კონფისკაცია უყვეს მთელ ქონებას. ზურაბი და მისი უმცროსი და ირა დეიდასთან გადავიდნენ საცხოვრებლად. აქ ერთ პატარა ოთახში დიდი გაჭირვებით ცხოვრობდნენ.

სკოლის დამთავრების შემდეგ, 1938 წელს ზურაბ ანჩაბაძე სოხუმის ა.მ.გორკის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტზე შევიდა. მან სტუდენტობის წლებშივე გამოიჩინა თავი, როგორც აქტიურმა, საქმის მოყვარულმა ახალგაზრდამ. იგი ჩაება სამეცნიერო წრეში, სადაც კითხულობდა მოხსენებებს და სხვებთან ერთად გამოსცემდა ხელნაწერ ჟურნალს. ზურაბის პირველი სამეცნიერო სტატიები გამოქვეყნდა გაზეთში „კომსომოლეც აბხაზიი“.

ისტორიაზე შეყვარებული ახალგაზრდის აქტიურობამ თავისი ნაყოფი გამოიღო. ზურაბს ყურადღება მიაქცია აკადემიკოსმა სიმონ ჯანაშიამ, რომელიც დიდ ყურადღებას უთმობდა საერთოდ აფხაზეთის ისტორიის პრობლემებს და, ცხადია, კადრებზეც ფიქრობდა.

1941 წელს ზურაბ ანჩაბაძემ დაამთავრა სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტი. სიმონ ჯანაშიას ხელდასხმით იგი ჩაირიცხა ნიკო მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტში.

აქ ზურაბი ს.ჯანაშიას ხელძღვანელობით ემზადებოდა ასპირანტურისათვის. 1942 წელს იგი ჩაირიცხა ივ.ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის ასპირანტურაში, რომელიც 1945 წელს დაამთავრა. იგი დასპეციალდა მედიევისტიკაში — შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიაში, აკად. ნ. ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით.

1946 წლის ივნისიდან ზურაბ ანჩაბაძე მუშაობს ისტორიის ინსტიტუტში ჯერ უმცროს, შემდეგ უფროს მეცნიერ თანამშრომლად. მან საფუძვლიანი სამეცნიერო ცოდნა შეიძინა და უკვე 1948 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „სამეგრელო და აფხაზეთი XVII საუკუნეში“.

1956 წლის ნოემბერში ზურაბ ანჩაბაძე გადადის ქ.სოხუმში აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ისტორიისა და ეთნოგრაფიის განყოფილების გამგედ. 1957-1958 წწ. ა.მ.გორკის სახელობის სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში კითხულობდა საქართ-

ველოს ისტორიის ზოგად კურსსა და სპეცკურსს აფხაზეთის ძველი და შუა საუკუნეების ისტორიაში. ორი წელი ნაყოფიერი მუშაობის შემდეგ, 1958 წელს ზურაბი დაბრუნდა თბილისში ივ.ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის კავკასიის ხალხთა ისტორიის განყოფილების გამგედ.

1960 წელს მოსკოვში, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში ზურაბ ანჩაბაძემ წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „შუა საუკუნეების აფხაზეთის ისტორიიდან (აფხაზთა ეთნიკური განვითარება და ქართულ-აფხაზური ურთიერთობები)". 1963 წელს ზურაბ ანჩაბაძეს პროფესორის წოდება მიენიჭა.

1952-1955 წწ. ზურაბ ანჩაბაძე პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც კითხულობდა ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორიის კურსს. ამავე წლებში იგი კითხულობდა სსრ კავშირის ხალხთა ისტორიის კურსს ვ.ი.ლენინის სახელობის სამხედრო-პოლიტიკური აკადემიის თბილისის დაუსწრებელ ფილიალში.

სხვადასხვა დროს ზურაბ ანჩაბაძე სპეცკურსებს კითხულობდა მ.ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ყაბარდო-ბალყარეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

ზურაბ ანჩაბაძის სამეცნიერო-კვლევითი ინტერესების სფერო ფართოა. ცენტრალური ადგილი მის მუშაობაში უკავია შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და ქართველი ხალხის მეზობელ ხალხებთან, განსაკუთრებით კავკასიის ხალხებთან ურთიერთობის საკითხებს. მისი მეცნიერული გამოკვლევების ძირითადი ქრონოლოგიური ჩარჩოებია XVI-XIX სს. პირველი ნახევარი და ეხება უპირატესად სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის საკითხებს. მან გამოიკვლია საქართველოს რუსეთთან შეერთების ეკონომიკური შედეგები («Экономическое и политическое положение Грузии накануне ее присоединения к России»). აღნიშნულ პრობლემას უკავშირდება აგრეთვე ზ.ანჩაბაძის ნაშრომი «Социально-экономическое развитие Грузии в дореформенный период XIX века». ამ შრომის ერთი ნაწილი გამოქვეყნდა 1953 წელს სათაურით – «К вопросу о роли торгово-ростовщического капитала в дореформенной Грузии», 1966 წელს კი დაიბეჭდა მონოგრაფია "Очерки экономической истории Грузии первой половины XIX века".

1953 წელს ისტორიის ინსტიტუტში გააკეთა მოხსენ-

ება: «Феодальная земельная собственность и внеэкономическое принуждение в позднефеодальной Грузии». ამ ნაშრომში ზურაბ ანჩაბაძემ დამაჯერებლად უჩვენა გვიანფეოდალური ხანის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობათა რიგი თავისებურებანი, გარეშე ეკონომიკური იძულების უშუალო კავშირი მიწის საკუთრებასთან, ზოგიერთი მომენტი საქართველოს რუსეთთან შეერთების შედეგებიდან ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სფეროში.

აღნიშნული ნაშრომებით ზურაბ ანჩაბაძემ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა XIX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური გან ვითარების ისტორიის შესწავლის საქმეში. ეს მით უფრო ხაზგასასმელია, რომ აღნიშნული საკითხები ნაკლებად იყო ჩვენში შესწავლილი. მეცნიერის საკვლევი პრობლემა იყო საქართველოს ისტორიული განვითარებისათვის დიდად მნიშვნელოვანი ფეოდალური ურთიერთობის რღვევისა და კაპიტალისტურ ურთიერთობათა ჩასახვის ხანა.

ზურაბ ანჩაბაძის მოღვაწეობასთან უშუალოდაა დაკავშირებული აფხაზთმცოდნეობის განვითარება. მეცნიერის შემოქმედებით მემკვიდრეობაში არსებითი ადგილი უკავია აფხაზეთის ისტორიის კვლევას. ფუნდამენტური მონოგრაფიები „შუა საუკუნეების აფხაზეთის ისტორიიდან VI-XVII სს.“ (“Из истории средневековой Абхазии VI-XVII вв.”) (1959 წ.), „ძველი აფხაზეთის ისტორია და კულტურა“ (“История и культура древней Абхазии”) (1964 წ.), „აფხაზი ხალხის ეთნიკური ისტორიის ნარკვევი“ (“Очерк этнической истории абхазского народа”) (1976 წ.) სწორედ უშუალოდ აფხაზეთსა და აფხაზებს შეეხება. მეცნიერი გამოწვლილვით აანალიზებდა მეცნიერ-ისტორიკოსთა (ი.ჯავახიშვილი, ს.ჯანაშია, გ.მელიქიშვილი, დ.გულია და სხვ.), ენათმეცნიერთა (ნ.მარი, ა.ჩიქობავა, ქ.ლომთათიძე და სხვ.), არქეოლოგთა (ე.კრუპნოვი, ო.ჯაფარიძე), ეთნოგრაფთა (გ.ჩიტაია, შ.ინალიფა და სხვ.) მოსაზრებებს მისთვის საინტერესო საკითხებზე და სათანადო დასკვნებს აკეთებდა, მიუთითებდა პალეოკავკასიური ხალხების ისტორიულ-კულტურულ და ეთნიკურ კავშირზე. ზ.ანჩაბაძემ განიხილა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა აფხაზეთის სამთავროს წარმოშობა და განვითარება, აფხაზთა სამეფოს შექმნა, მიაჩნდა რა ეს უკანასკნელი დასაელეთ ქართულ სახელმწიფოდ. მოგვიანებით იგი იყო ავტორი ქართულ ენციკლოპედიაში სტატიისა „აფხაზთა სამეფო“.

ზურაბ ანჩაბაძემ დიდი ამაგი დასდო აფხაზეთის ისტორიის ორტომეულის გამოცემას (1960, 1964 წწ.). ეს გამოცემა ფაქტობრივად პირველი სისტემური მეცნიერული გაშუქება იყო აფხაზეთის ისტორიისა. ზურაბ ანჩაბაძის თაოსნობით შეიქმნა უმაღლესი სკოლის პირველი საცდელი დამხმარე სახელმძღვანელო აფხაზეთის ისტორიაში (1986).

ფასდაუდებელია ზურაბ ანჩაბაძის ღვაწლი ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების ისტორიის შესწავლაში. მთელი რიგი პრობლემებისა კავკასიათმცოდნეობაში პირველმა მან შეისწავლა. განსვენებულ პროფესორ ალექსი რობაქიძესთან ერთად ზურაბ ანჩაბაძემ წამოაყენა კავკასიის მთის ფეოდალიზმის თეორია. მათ პირველებმა დაამუშავეს სტრუქტურა, ძირითადი ეტაპები და კავკასიური მთის ფეოდალიზმის მახასიათებლები.

რა იყო ეს: I. გაბატონებული ფეოდალური საკუთრების გვერდით არსებობდა ოჯახურ-გვაროვნული, ინდივიდუალური, საეკლესიო-სამეჩეთო, წერილგლეხური შრომითი და სათემო საკუთრება; II. არსებობდა ფეოდალებისა და ყმაგლეხთა კლასები, რომლებიც სოციალური განვითარების სხვადასხვა საფეხურზე იყვნენ, ასევე თავისუფალი მეთემეები, რომლებიც უშუალო მწარმოებლების უმრავლესობას წარმოადგენდნენ; III. საქალაქო ცხოვრების სუსტი განვითარება ფაქტობრივად არ არსებობდა; IV. ფეოდალად ჩამოყალიბების სტადიაში მყოფი ზედაფენისა და ყმაგლეხთა ბრძოლა; V. მთიელთა ყოფაში პატრიარქალური გადმონაშთების არსებობა. ამ დებულებებმა ფართო რეზონანსი ჰპოვა კავკასიათმცოდნეებში.

ზურაბ ანჩაბაძეს ეკუთვნის საინტერესო სამეცნიერო სტატიები, ასევე ნაწილები ერთობლივ შრომებში საქართველო-ჩრდილოკავკასიის ქვეყნების ურთიერთობის შესახებ. კერძოდ, ყაბარდოელებსა და ბალყარელებთან ურთიერთობაზე. ცალკე ეხება დაღესტნელი ხალხის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიას, შამილის პრობლემას. უმნიშვნელოვანესია ბატონი ზურაბის სტატიები: „კავკასიის მთის ხალხთა პრობლემები ივ.ჯავახიშვილის შრომებში“, „ქართული წყაროები ჩრდილო-კავკასიელი ყივჩაყების შესახებ“. იგი არის ავტორი „ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ისტორიის“ იმ თავებისა, სადაც დაღესტნისა და ჩეჩნეთის ხალხთა მოძრაობაა გადმოცემული. ზურაბ ანჩაბაძემ შეისწავლა და არაერთგზის გამოვიდა მოხსენებით ჩრდილო-აღმოსავლეთი კავკასიის მთიელების მოძრაობის ხასიათსა და პერიოდიზაციის შესახებ.

ზურაბ ანჩაბაძე იყო თაოსანი, ორგანიზატორი და რედაქტორი „კავკასიის მთის ხალხების ისტორიის ნარკვევების“ ორტომეულისა. ამასთან იგი თანაავტორიც იყო. ეს გამოცემა 1969 წელს განხორციელდა და გამეორდა გარკვეული ცვლილებებით 1978 წელს. მან მონაწილეობა მიიღო დაღესტნის ისტორიის „პროსპექტის“ განხილვაში და რიგი დაზუსტებები შეიტანა.

ზურაბ ანჩაბაძის კვლევის საგანი იყო კავკასიის ხალხების ურთიერთობები. სტატიაში «Назревшие задачи изучения исторических корней дружбы с братскими народами Северного Кавказа», რომელიც ნ.ბერძენიშვილის თანაავტორობით შესრულდა, ხაზგასმულია, რომ ძმური მეზობელი ხალხების ისტორიის გაცნობა საკუთარი ისტორიის შესწავლისთვისაც აუცილებელია. შრომებში, რომლებიც შეეხება საქართველოს ურთიერთობას ჩრდილოკავკასიელ ხალხებთან, ზურაბ ანჩაბაძე აღნიშნავს ამ ურთიერთკავშირის რთულსა და წინააღმდეგობრივი ხასიათის შესახებ და ამ პრობლემას იხილავს კავკასიაში არსებული შინაპოლიტიკური და საერთაშორისო ურთიერთობების ფონზე.

ზურაბ ანჩაბაძის დიდმა ღვაწლმა ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორიის კვლევაში, ამავე რეგიონის სამეცნიერო ცენტრებისათვის კადრების მომზადების საქმეში შეტანილმა დიდმა წვლილმა, მნიშვნელოვანმა სამეცნიერო ავტორიტეტმა და ადამიანურმა მომხიბვლელობამ ფართო აღიარება მოუტანა მეცნიერს მთელი კავკასიის სამეცნიერო წრეებში.

ზურაბ ანჩაბაძე 150-ზე მეტი სამეცნიერო შრომის ავტორია. მისი რედაქტორობით გამოვიდა 40-ზე მეტი მონოგრაფია, კრებული, პერიოდული გამოცემა. დიდი სამეცნიერო მუშაობისა და გამოცდილების მეცნიერი, ცხადია, შემართული იყო თავისი ცოდნა გადაეცა თავისი მოწაფეებისათვის, საერთოდ ახალგაზრდობისათვის. ზურაბ ანჩაბაძის ხელმძღვანელობით კავკასიის ხალხთა ისტორიაში მომზადდა და დაცულია 20-მდე საკანდიდატო და 6 სადოქტორო დისერტაცია.

ზურაბ ანჩაბაძე სამეცნიერო და სამეცნიერო ორგანიზაციულ საქმიანობას გონივრულად უთავსებდა პედაგოგიურ საქმიანობას. როგორც აღინიშნა, იგი ლექციებს კითხულობდა სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში.

1973 წელს ზურაბ ანჩაბაძე სათავეში ჩაუდგა ა.მ. გორკის სახელობის სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტს. ამ ასპარეზმა ახალი, მეტად საინტერესო კუთხით წარმოადგინა მეცნიერი. აქ გამოჩნდა მისი ორგანიზატორული ნიჭი, უნარი სამეცნიერო

სასწაელო კელეების მართვისა, მაღალი პედაგოგიური ღირსებები, სტუდენტი ახალგაზრდობის აღზრდის უნარი. ზურაბ ანჩაბაძეს მიაჩნდა, რომ პედაგოგიური ინსტიტუტის ჩარჩოები ვეღარ იტევდა იმ ამოცანებს, რომლის შესრულების აუცილებლობასაც ქვეყნის კულტურულ-ეკონომიკური ვითარება განაპირობებდა. მეცნიერმა ფართო მუშაობა გაშალა, რათა აფხაზეთის ინსტიტუტის ბაზაზე შეექმნათ აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ზურაბ ანჩაბაძის მცდელობამ მხარდაჭერა ჰპოვა, როგორც ხელისუფლებაში, ისე საზოგადოების ფართო ფენებში. 1979 წელს დაარსდა აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი. პირველ რექტორად დამტკიცებულ იქნა ზურაბ ანჩაბაძე. მეცნიერმა არ დაიშურა ძალა და ღონე სრულყოფილი, ეპოქის შესაფერისი უნივერსიტეტის ფორმირებისათვის. კავშირი დამყარდა ქვეყნის ბევრ უმაღლეს სასწავლებელთან. ზურაბ ანჩაბაძის მაღალმა კომპეტენციამ, მონდომებამ და თავდადებულმა შრომამ, განაპირობა ძლიერი საუნივერსიტეტო კოლექტივის შექმნა და იგი მნიშვნელოვან სასწაელო და სამეცნიერო ცენტრად იქცა.

უნივერსიტეტში ზურაბ ანჩაბაძემ შექმნა საქართველოსა და აფხაზეთის ისტორიის კათედრა, რომელსაც თავად ჩაუდგა სათავეში. აქედან აგრძელებდა იგი ეროვნული კადრების მომზადებას, როგორც უშუალოდ აფხაზეთისთვის, ისე ჩრდილო კავკასიის რესპუბლიკებისათვის.

განსაკუთრებულად ყურადღებიანი იყო იგი მოწაფეებისადმი, დისერტანტებისადმი, რომელთაც ოპონირებას უწევდა. თავის ფართო ცოდნასა და დიდ გამოცდილებას უშურველად უნაწილებდა იგი მოწაფეებსა და კოლეგებს.

ცალკე უნდა აღინიშნოს ზურაბ ანჩაბაძის ბრწყინვალე ორატორული ნიჭისა და მეცნიერული პოლემიკის გონივრულად წარმართვის უნარი. მისი ყოველი გამოსვლა მეცნიერული პაექრობის დროს ღრმადაზრიანი და მტკიცედ ლოგიკური იყო და აჩვენებდა მეცნიერის ფართო ერუდიციასა და მაღალ კულტურას.

ზურაბ ანჩაბაძე აქტიურად თანამშრომლობდა დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის რედაქციასთან. დაწერილი აქვს რამდენიმე სტატია. რაც შეეხება ქართულ ენციკლოპედიას, იგი სარედაქციო კოლეგიის წევრი იყო და არც ერთი სტატია (ძირითადად მხედველობაში მაქვს აფხაზურ თემატიკაზე დაწერილი სტატიები) ზ.ანჩაბაძის ვიზის გარეშე არ დაბეჭდილა. მისი მეთაურობით დაიბეჭდა მასალა სპეციალურ ტომში, იყო

ავტორი რიგი სტატიებისა, მათ შორის სტატიისა „აფხაზთა სამეფო“. მან, განსვენებულ პროფ. გიორგი ძიძარიასთან ერთად დიდი ამაგი დასდო ქართულ ენციკლოპედიას.

ზურაბ ანჩაბაძე ფართო მასშტაბის სალექციო-პროპაგანდისტულ მუშაობას ეწეოდა საზოგადოება „ცოდნის“ ხაზით. მისი საჯარო ლექციები მეტად საინტერესო იყო, აუდიტორია ყოველთვის კმაყოფილებით უსმენდა. მისი მეტყველება ლაკონური იყო, თანაც არაჩვეულებრივად ტევად ინფორმაციას გადმოსცემდა. ათვისება ადვილი და საინტერესო იყო.

ზურაბ ანჩაბაძეს მჭიდრო კონტაქტები ჰქონდა მრავალ სამეცნიერო დაწესებულებასთან და სასწავლო ცენტრთან, არა ერთი სამეცნიერო საბჭოს წევრი იყო, მონაწილეობდა სამეცნიერო მეთოდური კომისიების მუშაობაში.

ზურაბ ანჩაბაძის შეფასებისას დაეესესხები პროფესორ ა.კუპრავას სიტყვებს: «З.В.Анчабадзе дорог нам не только как ученый, педагог, организатор и первый ректор Абхазского университета. Он был уникален как гражданин, являлся олицетворением лучших человеческих качеств. Его украшали благородство, мужество, патриотизм в лучшем сочетании с интернационализмом, высокая культура, многообразие интересов, неуемная энергия, большое обаяние».

ზურაბ ანჩაბაძის მოღვაწეობას ყურადღებას აქცევდნენ გამოჩენილი ქართველი მეცნიერები. მისი კოლეგები: სიმონ ჯანაშია, ნიკო ბერძენიშვილი, არნოლდ ჩიქობავა, გიორგი ჩიტაია, შოთა მესხია მაღალ შეფასებას აძლევდნენ მეცნიერის საქმიანობას. მას კარგად იცნობდა და ზედმიწევნით პატივს სცემდა მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი ნიკო მუსხელიშვილი.

ზურაბ ანჩაბაძეს კეთილი ურთიერთობა ჰქონდა საბჭოთა კავშირის ცნობილ ისტორიკოსებთან: იოსებ ორბელთან, ბორის პიოტროვსკისთან, სომხეთისა და აზერბაიჯანის, ჩრდილო კავკასიის ისტორიკოსებთან.

ცნობილმა აფხაზმა ენათმეცნიერმა პროფესორმა ხუხუტი ბღაჟბამ საგანგებო სტატია მიუძღვნა ზურაბ ანჩაბაძის დაკვირვებებს ეთნონიმებზე («О некоторых этнонимах и этнопонимах Северо-Западного Кавказа в трудах З.В.Анчабадзе»). მეცნიერის ინტერესი ამ სფეროში მისწვდა აბეშლას, ჰენიოხებს, აფსილებს, აბაზგებს. ზურაბ ანჩაბაძე მხარს უჭერდა აკად.გიორგი მელიქიშვილის მოსაზრებას, რომ ეთნონიმი “აბეშლა”, რომელიც გვხვდება ასირიულ წერილობით ძეგლებში ჩვენს წელთაღ-

რიცხვამდე XII საუკუნიდან კავშირში უნდა იყოს აფსილებთან (აფშილებთან).

ზურაბ ანჩაბაძე აღნიშნავდა, რომ ჰენიოხებზე სხვადასხვა მოსაზრებები არსებობდა. იოსებ ორბელი მათ სვანებად მიიჩნევდა, დიმიტრი გულია აფხაზებად, სიმონ ჯანაშია მეგრელლაზებად, იოსებ ორბელი და მელიქიშვილი მათ აიგივებდნენ სანიგებთან. ზურაბ ანჩაბაძე მხარს უჭერდა იმ მოსაზრებას, რომ სანიგები საძების ანუ ჯიქების წინაპრები იყვნენ (დიაჩკოვ-ტარასოვი). ამას მეცნიერს აფიქრებინებდა ის გარემოება, რომ არიანესა და ფსევდო არიანეს მიერ მოხსენიებული სანიგების საცხოვრისის ლოკალიზაცია ხდება იქ, სადაც გვიანდელი ფეოდალიზმის (გვიანი შუასაუკუნეები) დროს ცხოვრობდნენ ჯიქები.

ყურადღებას იქცევს ზურაბ ანჩაბაძის აზრი მისიმიელების შესახებ. იგი მოკრძალებულად გამოთქვამდა ვარაუდს, რომ მისიმიელები ეთნიკურად წარმოადგენდნენ პალეოკავკასიური ეთნოლინგვისტური ოჯახის ინდივიდუალურ ტომს, რომლებიც ახლოს იყვნენ ქართველ და აფხაზ ტომებთან.

საინტერესო შეფასება მისცა დაღესტნელმა პროფესორმა ვ.გ.გაჯიევმა ზურაბ ანჩაბაძის როლს ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ისტორიის შესწავლის საქმეში (З.В.Анчабадзе и его место в развитии истории Народов Северного Кавказа). მეცნიერი დაასკვნის: «Без всякого преувеличения можно сказать, что Зураб Вианорович был не только крупным историком – кавказоведом, но и источниковедом, археографом, прекрасным знатоком специальных и вспомогательных исторических дисциплин, первоклассным знатоком Кавказских архивов. В связи с этим возникает вопрос: Кто он? Историк, археолог, этнограф, источниковед? Перечисленные специальности объединяются в одном его лице, гармонично дополняя друг-друга».

ზურაბ ანჩაბაძის დიდი ღვაწლი ჩაიდო ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორიის არა მხოლოდ კვლევაში, არამედ „ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორიის“ სამტომეულის გამოცემაში, რომელიც მისი ხელმძღვანელობით შეასრულეს ჩრდილოკავკასიელმა მეცნიერებმა. „ნარკვევები“ დაიწერა და გამოიცა ისტორიოგრაფიის ზოგადი დონის გათვალისწინებით, განზოგადებულ იქნა ფაქტები და მოვლენები. გათვალისწინებულ იქნა მკითხველი საზოგადოების მოთხოვნილებაც. ნიშანდობლივია, რომ აღნიშნული გამოცემა სრულად პასუხობს თავის დროზე ივანე ჯავახიშვილის მიერ ისტორიკოსების წინაშე დასმულ ამოცანას. მოგეხსენებათ, რომ ბატონი ივანე ჩრდილო კავკასი-

ის ხალხთა ისტორიის პრობლემებს დიდ ყურადღებას უთმობდა. მიაჩნდა, რომ ყოველ განათლებულ ქართველს უნდა სცოდნოდა ეს ისტორია, ისევე როგორც საკუთარი ქვეყნისა. პირველ ტომში „ნარკვევებისა“ მოცემულია ეთნოლინგვისტური კლასიფიკაცია ჩრდილო კავკასიელებისა, მეორე ტომში XIX საუკუნის მოვლენებია აღწერილი, მესამე ტომი საბჭოთა პერიოდს ეხება. დიდი თეორიულ-მეთოდოლოგიური მნიშვნელობა ჰქონდა ზურაბ ანჩაბაძისეულ მოსაზრებებს XIX საუკუნის 20-50-იან წლებში შამილის ხელმძღვანელობით დაღესტნელი და ჩეჩენი მთიელების მოძრაობის შესახებ. ბატონი ზურაბი არ ეთანხმებოდა ისტორიოგრაფიაში იმ დროს გაბატონებულ მოსაზრებას, რომლის მიხედვით მთიელთა მოძრაობა უცხოეთიდან იყო ინსპირირებული, და ამტკიცებდა, რომ იგი ადგილობრივი სოციალურ-ეკონომიკური ნიადაგიდან წარმოიშვა. მისი მთავარი მიზეზები იყო ცარიზმის მკაცრი პოლიტიკა და მზარდი ფეოდალური ჩაგვრა. ზურაბ ანჩაბაძე ასკვნის, რომ ამ გმირულმა და ერთდროულად ტრაგიკულმა გამათავისუფლებელმა ბრძოლამ მთიელებს დიდი სახელი მოუტანა.

1955 წელს რუსეთის პირველი რევოლუციის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით ზურაბ ანჩაბაძემ დაამუშავა და გამოაქვეყნა ნაშრომი „1905-1907 წლების რევოლუცია აფხაზეთში“, რომელშიც პირველწყაროებისა და საარქივო მასალების ფართოდ გამოყენების საფუძველზე, სავსებით სწორად აქვს გადმოცემული რევოლუციური მოძრაობის სურათი 1905-1907 წწ. აფხაზეთში.

მიუხედავად იმისა, რომ ზურაბ ანჩაბაძე ძირითადად შუა საუკუნეების მკვლევარი იყო, იგი XX საუკუნის ისტორიის, კერძოდ საბჭოთა პერიოდის ისტორიის საკითხებსაც შეეხო. მას გიორგი ძიძარიასთან ერთად გამოქვეყნებული აქვს ნარკვევი ქართველებისა და აფხაზების ისტორიული მეგობრობის შესახებ.

ზურაბ ანჩაბაძე ეწეოდა ისტორიოგრაფიული ხასიათის კვლევასაც. მას გამოქვეყნებული აქვს მრავალი რეცენზია სხვადასხვა ისტორიულ საკითხზე. მონაწილეობა მიიღო არაერთი სამეცნიერო კონფერენციის მუშაობაში კავკასიის ისტორიის სხვადასხვა საკითხებზე (მოსკოვი, ბაქო, ერევანი, მახაჩკალა, ნალჩიკი, ორჯონიკიძე, გროზნო, მაიკოპი, ჩერკესკი, თბილისი, სოხუმი); ზურაბ ანჩაბაძემ დიდი მუშაობა გასწია ქართული ისტორიოგრაფიის მიღწევათა პოპულარიზაციის მიზნით. ამ მხრივ ზემოთ აღინიშნა მისი კავშირი დიდი საბჭოთა ენციკ-

ლოპედიის რედაქციასთან, ასევე მნიშვნელობა ჰქონდა მის წერილებს პერიოდულ პრესაში. მან ღირსებით ითანამშრომლა ქართულ ენციკლოპედიაში. სადაც მისი არაერთი სტატია დაიბეჭდა სხვადასხვა ტომებში, ასევე საქართველოსადმი მიძღვნილ სპეციალურ ტომში.

ზურაბ ანჩაბაძე 1957 და 1968 წწ. დაჯილდოვდა ყაბარდობალყარეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელებით. 1961 წელს მიენიჭა აფხაზეთის ასსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება, 1970 წელს დაჯილდოვდა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელით. ამავე წელს – მედლით „მამაცური შრომისათვის“, შემდგომში „საპატიო ნიშნის“ ორდენითაც დაჯილდოვდა. იყო დაჯილდოებული ნიშნით „საბჭოთა კავშირის განათლების წარჩინებულის“.

1973 წელს მიენიჭა საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

ზურაბ ანჩაბაძე მთელი შემართებით მონაწილეობდა ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. იგი იყო საბჭოთა კავშირის IX მოწვევისა და საქართველოს სსრ X მოწვევის უმაღლესი საბჭოების დეპუტატი. ზურაბ ანჩაბაძე აქაც მაღალი ღირსებით ასრულებდა თავის მოვალეობას, როგორც ამომრჩევლების, ისე რესპუბლიკის წინაშე.

რამ განაპირობა ზურაბ ანჩაბაძის მაღალნიჭიერება, შრომის სიყვარული, ზედმიწევნითი კეთილსინდისიერება, უნარი შეეთვისებინა სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობა? უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ მას ბრწყინვალე აღზრდა ჰქონდა მიღებული ტრადიციულ, ამასთან მაღალკულტურულ და, შეიძლება ითქვას, ინტელექტუალურ ოჯახში. ის კარგად ფლობდა მშობლიურ აფხაზურ, ქართულ, რუსულ და არაერთ უცხო ენას. მისი ქცევა საზოგადოებაში მისაბაძი იყო – იგი უზადოდ ფლობდა ქცევის მაღალი კლასის ეტიკეტს. ბატონმა ზურაბმა შესანიშნავად იცოდა ქართული სუფრის წესები, არა მხოლოდ თეორიულად, თითონ იძლეოდა ჭეშმარიტი კავკასიელის მაგალითს; მღეროდა შესანიშნავად და ცეკვავდა უზადოდ. იგი შესანიშნავი თამადა იყო. ადამიანური ხიბლი, თავად სიცოცხლის მოყვარულს, საზოგადოების ყურადღების ცენტრში აქცევდა. ისიც საოცარი მოსაუბრე და ბევრისმცოდნე, დაუზარელი ადამიანებთან ურთიერთობისას, ამ საუბარში უზარმაზარ ენერგიას ხარჯავდა. განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს, რომ ზურაბ ანჩაბაძემ შესანიშნავად იცოდა ხელოვნება, მწერლობა – ლიტერატურა, როგორც ქართული და რუსული, ისე დასავ-

ლეთევროპული და აღმოსაელური; გატაცებით კითხულობდა (ზეპირად) ა.პუშკინის,მ.ლერმონტოვის,ნიკოლოზ ბარათაშვილის, ვაჟა-ფშაველას,გალაკტიონ ტაბიძის,სიმონ ჩიქოვანის ლექსებს. გამორჩეულად უყვარდა სერგეი ესენინი. ზოგჯერ ცალკეულ ციტატებსაც კითხულობდა ქართველ მწერალთა რომანებიდან. აი როგორ იგონებს ზურაბ ანჩაბაძეს დაღესტნელი პროფესორი ე.გაჯიევი: «Мне до сих пор кажется, что З.В.Анчабадзе был и прирожденным декламатором. Как-то в высокогорном лакском селении Дагестана мы были приглашены на итоговый вечер самодеятельных коллективов... Ведущий объявил, что в зале сидит дорогой гость-профессор из Тбилиси пожелали послушать гостя. Зураб Вианорович поднялся на подмостки, после приветствия прочитал на грузинском языке стихи. Большинство слушателей, естественно, не понимали грузинскую речь, но по выражению их лиц я понял, что выступление им подуше».

აი ერთი პასაჟი ზურაბ ანჩაბაძის მეგობრის პროფესორ ე.პ.კრიკუნოვის მოგონებიდან: «Его живая, расцвеченная кавказским колоритом образная речь, всегда увлекала нас. Он умел покорить любую аудиторию... Вот для кого не было проблемы завоевать внимание слушателей, а затем удержать их внимание до конца речи». ზურაბ ანჩაბაძის კოლეგები აღნიშნავენ,რომ სამეცნიერო კონფერენციებზე იგი დაწერილი ტექსტით არ გამოდიოდა. ზოგჯერ ამით აგებდა კიდეც,რადგან ღონისძიების პრესაში გაშუქებისას წერილობითი მასალის უქონლობის გამო მხოლოდ მეცნიერის გვარს მოიხსენიებდნენ და ის მნიშვნელოვანი, რაზეც ბატონი ზურაბი მსჯელობდა, იკარგებოდა.

ნიშანდობლივია, რომ კოლეგები, როცა ზურაბ ანჩაბაძის დადებით თვისებებზე ლაპარაკობენ, მიუთითებენ რა მის მჭერმეტყველობაზე, ამა თუ იმ მოვლენის მეტად საინტერესოდ გადმოცემის უნარზე, იქვე აღნიშნავენ, რომ მას შეეძლო ყურადღებით მოსმენა. უსმენდა უფროსს, უმცროსს, უსმენდა კოლეგას თუ მოწაფეს. უსმენდა და ბევრსაც იღებდა. ბატონ ზურაბთან ერთად სამეცნიერო კონფერენციებზე ნალჩიკში იყო ეს,თუ ორჯონიკიძეში,მახაჩკალაში თუ ჩერკესკში, ხშირად ნახავდით მის მოწაფეებსაც: ანტონ ლეჟავას, გიორგი თოგოშვილს,მედეა ქანთარიას,მარინა ცინცაძეს. მეცნიერი ცდილობდა, რომ გამოეჩინა ახალგაზრდები, წარედგინა ისინი სამეცნიერო საზოგადოებისათვის. ამასთან ახალგაზრდები ეცნობოდნენ მოსკოვის, ლენინგრადის, როსტოვისა და სხვა წამყვანი ცენტრების წარმომადგენლებს – კავკასიამცოდნეებს: ე.კუშევას,

ლ.ლავროვს, კ.სივკოვს, ნ.სმირნოვს, ს.ბუშუევს, ე.დრუჟინინას, მ.კიმს, ა.ფადეევსა და სხვებს.

კოლეგები აღფრთოვანებაში მოჰყავდა ზურაბ ანჩაბაძის სრულად განსხვავებული ხასიათის მქონე ადამიანებთა ურთიერთობის, მათთან საერთო ენის გამონახვის უნარს.

არ შეიძლება ხაზგასმით, გამოკვეთილად არ აღვნიშნოთ, რომ ზურაბ ანჩაბაძეს მთელი მისი საქმიანობისას მხარში ედგა მეუღლე ქალბატონი თინა ხახიშვილი, მაღალი რანგის ინტელიგენტი; იგი წლების მანძილზე ქართული ენციკლოპედიის რედაქციაში მოღვაწეობდა და თავისი წვლილი აქვს შეტანილი ამ გამოცემის განხორციელებაში.

დღესდღეობით ზურაბ ანჩაბაძის გზას აგრძელებს მისი ვაჟი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიორგი ანჩაბაძე, შუა საუკუნეების ისტორიის, უპირატესად სამხედრო ხელოვნების ისტორიის თავგამოდებული მკვლევარი. მინდა გამოვთქვა რწმენა, რომ ბატონი გიორგი კვლავაც წარმატებით გააგრძელებს კვლევით საქმიანობას და თავის წვლილს შეიტანს ქართულ-აფხაზური რთული ურთიერთობების გამოკეთების საქმეში.

ზურაბ ანჩაბაძე გარდაიცვალა 1984 წელს, იანვარში, 64 წლისა, შემოქმედებითი ძალების გაფურჩქვნის პერიოდში. ეს მძიმე დანაკლისი იყო მეცნიერებისათვის, ქართული საზოგადოებისათვის. ზურაბ ანჩაბაძემ ღირსეული მოქალაქისა და საზოგადო მოღვაწის და გამოჩენილი მეცნიერის სახელი დატოვა. მას გაჰყვა ჩვენი საზოგადოების, კოლეგებისა და მოწაფეების ალალი ცრემლი.

აკადემიკოსი
როინ მეტრეველი

წინასიტყვაობა

წინამდებარე კრებულში წარმოდგენილია XVII-XVIII სს-ის აფხაზეთის ისტორიის ოსმალური დოკუმენტური წყაროები. ეს დოკუმენტები შეადგენენ მცირე ნაწილს ოსმალური წყაროების იმ კოლექციისა, რომელიც დაცულია ბულგარეთში, ქ. სოფიის კირილესა და მეთოდეს სახელობის სახალხო ბიბლიოთეკის ორიენტალისტიკის სექტორში. იქ მილიონზე მეტი დოკუმენტია თავმოყრილი, რომელთაგან 5 ათასზე მეტი საქართველოსა და კავკასიის ქვეყნებს ეხება.

მთელი კოლექცია აღწერილია ცალკეული რეგიონების მიხედვით. საქართველოსა და კავკასიის შესახებ არსებული საბუთები დალაგებულია ცალკეული ქალაქების მიხედვით. აფხაზეთის ისტორიის მასალები ძირითადად მოთავსებულია სოხუმის ფონდში (ფონდი 312–ა), რომელშიც 100 საქაღალდეა. სულ დოკუმენტების რაოდენობა 200-ზე მეტია. გარდა ამისა, ცალკეული დოკუმენტები აფხაზეთისა და აფხაზების შესახებ გაბნეულია კოლექციის სხვა ფონდებშიც.

სოხუმის ფონდში მოქცეულ საბუთებში საუბარია ძირითადად აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული ოსმალური ციხე-სიმაგრეების შესახებ (მათი გარნიზონების შემადგენლობა, მომარაგება, აღჭურვილობა, ცნობები ოსმალო ციხისთავებისა და ციხიონის სხვა მეთაურების შესახებ, სოხუმისა და მის შემოგარენში წარმოებული სამშენებლო სამუშაოების აღწერა და სხვა.) გარდა ამისა, დაცულია საინტერესო მასალები, რომლებიც ასახავენ ოსმალების ურთიერთობას ადგილობრივ მოსახლეობასთან.

სოხუმის ფონდში აღმოჩნდა აგრეთვე ე.წ. სოხუმის სანჯაყის დაეთარი (ათიოდე გვერდი), სამწუხაროდ ძალზე დაზიანებული, დაობებული და დახეული. ამ დოკუმენტში საუბარია მთელ რიგ ეკონომიკურ გარიგებებზე, სოხუმში გემებით შემოზიდულ საქონელზე, სოხუმის, როგორც სანავსადგურო პუნქტის, ურთიერთობებზე შავი ზღვის სხვა ნავსადგურებთან და სხვა.

კრებულში ჩართულია, აგრეთვე, ოსმალური საბუთები ფოთის ციხის შესახებ, ამოკრეფილი დოკუმენტური წყაროების იმავე კოლექციიდან. ეს საბუთები მნიშვნელოვანწილად საინტერესოა აფხაზეთში ოსმალთა ბატონობის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით, ვინაიდან ფოთის ოსმალო ფაშებს აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის გამგებლობა ებარა; გარდა

ამისა, ფოთის დოკუმენტებში ასახულია ფაქტობრივი მასალა, როგორც ანალოგიური, საინტერესოა აფხაზეთის ტერიტორიაზე მდებარე ოსმალური ციხესიმაგრეების ისტორიისთვისაც. ძველი ქართული ქალაქი ფოთი, როგორც ცნობილია, ოსმალებმა პირველად ხელთ იგდეს 1579 წელს, მაგრამ 1640 წელს ქართველებმა იგი დაიბრუნეს. 1723 წელს ოსმალები კვლავ დაეპატრონენ ფოთს, საფუძვლიანად გაამაგრეს ქალაქი და დასავლეთ საქართველოს სანაპიროზე თავის ერთ-ერთ მთავარ საყრდენ პუნქტად აქციეს.

ფოთის გამგებელს, როგორც ავღნიშნეთ ემორჩილებოდა ამ რეგიონში მდებარე სხვა ოსმალური ციხესიმაგრეები, მათ შორის აფხაზეთის ტერიტორიაზე მდებარე სოხუმისა და ანაკოფიის გარნიზონები.

ქვემოთ მოტანილი სხვადასხვა ტიპის დოკუმენტები უხვ და საინტერესო ისტორიულ მასალას შეიცავენ. კრებულში წარმოდგენილია ძირითადად ისეთი საბუთები როგორიცაა „ხაზინის თესქერე", „ქუჩუქ ბერათები", „სებები თაჰრირი ჰუქმები", „ფირმანები", „ბერათები", „არზები", „წერილები", „დავთარი", „იაზილეები" და სხვა. მათი დიდი უმრავლესობა სრულიად უცნობია საქართველოსა და აფხაზეთის ისტორიის სპეციალისტებისათვის და პირველად შემოდის სამეცნიერო მიმოქცევაში.

შესავალი

1. XVII-XVIII საუკუნეების აფხაზეთის ისტორიის წერილობითი წყაროების მოკლე მიმოხილვა

შუა საუკუნეების აფხაზეთის ისტორიის მკვლევარი ყოველთვის აწყდებოდა და აწყდება ისტორიული წყაროების სიმცირის პრობლემას, რის გამოც აფხაზეთის ეკონომიკური, სოციალურ-პოლიტიკური, თუ ეთნიკური და კულტურის ისტორიის არაერთი საკითხი ჯერ კიდევ არ არის სათანადო სისრულით შესწავლილი. ამ მხრივ განსაკუთრებით ღარიბია კლასიკური შუა საუკუნეების პერიოდი (XI-XV სს.), როდესაც წერილობითი წყაროები (როგორც ქართული, ასევე უცხოური წარმომავლობისა) უშუალოდ აფხაზეთის და აფხაზების შესახებ, შეიძლება ითქვას მინიმალურია, ხოლო, რაც არის – გამოირჩევა მეტისმეტი ლაკონურობით და სიმშრალით. შედარებით უკეთესი მდგომარეობაა მოგვიანო ხანაში, კერძოდ XVII-XVIII სს-ში, რომლებიც ამჯერად ჩვენთვის განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენენ, ვინაიდან სწორედ ამ პერიოდს განეკუთვნება წინამდებარე კრებულში გამოქვეყნებული მასალა.

აფხაზეთის ისტორიის წერილობითი წყაროების მიმოხილვა ბუნებრივია ქართული ძეგლებით დავიწყოთ, რადგან მთელი ფეოდალური ხანის მანძილზე აფხაზეთი ქართული კულტურულ-პოლიტიკური სამყაროს ნაწილს წარმოადგენდა და მჭიდროდ იყო დაკავშირებული დასავლეთ საქართველოს მეზობელ ოლქებთან.

განსახილველი პერიოდის ქართული ისტორიული წყაროებიდან აფხაზეთისა და აფხაზების შესახებ განსაკუთრებით აღსანიშნავია ვახუშტი ბატონიშვილის თხზულება „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“[1]. ეს ფუნდამენტური ნაშრომი მრავალფეროვან და საინტერესო მასალას შეიცავს, როგორც უშუალოდ აფხაზეთის, ასევე დასავლეთ-აფხაზური ტომებით დასახლებული ჯიქეთის შესახებ (გეოგრაფიული აღწერა, ეთნოგრაფიული ხასიათის ცნობები, მასალები ეკონომიკური, სამხედრო-პოლიტიკური თუ კულტურის ისტორიისათვის და სხვა.).

XVIII ს-ის მეორე ნახევრის აფხაზეთის ისტორიის მეტად საინტერესო წყაროა ნიკო დადიანის „ქართველთ ცხოვრება“[2], რომელიც ძირითადად სამხედრო-პოლიტიკური ხასიათის ცნობებს შეიცავს. ნ. დადიანის პიროვნება იმითაც

არის აღსანიშნავი, იგი ერთადერთი ისტორიკოსია ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოდან, რომლის ნაშრომებმა ჩვენამდე მოაღწია. როგორც სამეგრელოს სამთავროს სახლის წარმომადგენელი და, გარკვეულ პერიოდში, ოდიშის ფაქტობრივი გამგებელი, ნ. დადიანი კარგად იცნობდა აფხაზეთს, მრავალი პირადული და ნათესაური ძაფით იყო დაკავშირებული მის მმართველ წრეებთან და ამიტომ მისი ცნობები აფხაზეთის შესახებ პირველხარისხოვან წყაროს წარმოადგენენ. ეს ცნობები, როგორც აღვნიშნეთ, ძირითადად სამხედრო-პოლიტიკური ხასიათისაა და მათში ასახულია, როგორც დასავლეთ საქართველოს ფეოდალური შინაომები, რომლებშიც აქტიურ მანაწილეობას იღებდნენ აფხაზი ფეოდალები, ასევე ქართველი და აფხაზი ხალხების ერთობლივი ბრძოლა უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ.

აფხაზების შესახებ ცალკეული ცნობებია აგრეთვე XVII-XVIII სს-ის ქართული ლიტერატურის ისეთ ძეგლებში, როგორიცაა სულხან-საბას „მოგზაურობა ევროპაში“[3], არჩილის „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“[4], ფეშანგის „შაჰნავაზიანი“[5]. განსაკუთრებით აღსანიშნავია ბესიკის პოემა „რუხის ომი“[6]. სადაც დაწვრილებით არის აღწერილი 1780 წლის ძმათამკვლელი ბრძოლა აფხაზებსა და იმერეთ-ოდიშის ლაშქარს შორის.

არაერთი საყურადღებო ცნობაა შემონახული აფხაზეთისა და აფხაზების შესახებ XVII-XVIII სს-ის ქართულ დოკუმენტურ წყაროებში. კერძოდ, ამ ცნობებში დაცულია აფხაზეთის სამხედრო-პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკის ისტორიის ამსახველი ფაქტობრივი მასალები. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი ქართულენოვანი დოკუმენტი უშუალოდ აფხაზეთშია შექმნილი. მაგალითად, აფხაზთა მფლობელების — სუსტარ, ყვაპუ და ქერექიმ შარვაშიძეების საბუთები (XVII ს.). ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან ფეოდალური პერიოდის დიდ მანძილზე აფხაზეთში ძირითად სამწერლობო ენას, ქართული ენა წარმოადგენდა.

განსახილველი პერიოდის აფხაზეთის ისტორიის უცხოურ წყაროებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ დასავლეთ ევროპელი ავტორების თხზულებებს. მათგან პირველ რიგში აღსანიშნავია კათოლიკე მისიონერის არქანჯელო ლამბერტის „სამეგრელოს აღწერა“[7]. ლამბერტიმ 16 წელიწადზე მეტი (1633-1649 წწ.) იცხოვრა საქართველოში (ოდიშის სამთავროში) და დაწვრილებით აღწერა ამ სამთავროს მაშინდელი ვითარება.

იგი დეტალურად აშუქებას აგრეთვე აფხაზეთ-სამეგრელოს ურთიერთობის ფაქტებს XVII ს-ის პირველ ნახევარში და მოჰყავს მოკლე, მაგრამ შინაარსიანი ცნობები აფხაზეთის საშინაო ვითარების შესახებ.

გარკვეული ცნობები აფხაზეთის სამთავროს პოლიტიკური საზღვრებისა და აქ სანაპირო ვაჭრობის განვითარების შესახებ დაცულია კაფის დომინიკელთა მისიის ხელმძღვანელის, დორტელი დ'ასკოლის ნაშრომში „შავი ზღვისა და თათრეთის აღწერა"[8], რომელიც შედგენილია 1634 წელს.

XVII ს-ის აფხაზეთის ისტორიისათვის საყურადღებო წყაროს წარმოადგენს კათოლიკე მისიონერის ჯოვანი ლუკას თხზულება „პერეკოპელი და ნოღაელი თათრების, ჩერქეზების, მეგრელებისა და ქართველების აღწერა"[9], რომელიც შეიცავს ეკონომიკური, ყოფითი, პოლიტიკური და ისტორიულ-გეოგრაფიული ხასიათის ცნობებს. აღსანიშნავია, რომ 1642 წელს ლუკა პირადად იყო ნამყოფი აფხაზეთში, რაც კიდევ უფრო ზრდის მისი ნაშრომის, როგორც პირველწყაროს, მნიშვნელობას.

XVII ს-ის მეორე ნახევრის აფხაზეთის შესახებ საინტერესო ცნობებია მოტანილი ფრანგი მოგზაურის ჟან შარდენის თხზულებაში[10]. კერძოდ, აქ გაშუქებულია ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობის ფაქტები, ოსმალეთის იმპერიის პოლიტიკა საქართველოში, ტყვის სყიდვის სამარცხვინო პრაქტიკა და სხვ.

უფრო გვიანდელი პერიოდის აფხაზეთის შესახებ მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდიან ნ. ვიტსენი (XVII ს-ის დასასრული), კ. გლავანი, ი. გიულდენშტედტი და კ. პეისონელი (XVIII ს.), ჰ. კლაპროტი, ჟ. გამბა, ფ. დიუბუა დე მონპერე (XIX ს-ის პირველი მესამედი) და სხვა ევროპელი ავტორები.

განსახილველ პერიოდში აფხაზეთით რუსეთის მმართველი წრეებიც დაინტერესდნენ, რომელთაც უკვე XVI ს-ის ბოლოდან ამიერკავკასიაში გარკვეული პოლიტიკური მიზნები ამოძრავებდათ. ამიტომ XVII ს-დან რუსეთის არქივებში აფხაზეთის შესახებაც იწყება ინფორმაციის დაგროვება[11].

XVIII ს-ის მეორე ნახევარში აფხაზეთის შესწავლა რუსეთის მიერ უფრო ინტენსიური ხდება. მაგალითად, გარკვეული ცნობები აფხაზეთზე დაცულია 1770 წელს საქართველოში სპეციალური მისიით მოვლინებული რუსი ოფიცრის, ნ. იაზიკოვის ჩანაწერებში. აღსანიშნავია, რომ ნ. იაზიკოვი ერთ-ერთი პირველია იმ ავტორთა შორის, ვინც სოხუმს იხსენებს მისი აფხაზური სახელწოდებით — „აყუა" (აყუ)[12].

XVIII ს-ის აფხაზეთის ისტორიას რუსეთის იმპერიის ოფიციალური ისტორიოგრაფიაც სწავლობდა. მაგალითად, ს. ბრონევსკის[13] და პ. ბუტკოვის[14] ნაშრომებში, რომელთაც უმთავრესად დოკუმენტური მასალების ხასიათი აქვთ, მოტანილია გარკვეული ცნობები აფხაზეთის სამთავროს ისტორიიდან. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ XIX საუკუნის მრავალი რუსული დოკუმენტი და ისტორიულ-გეოგრაფიული აღწერილობა შეიცავს საინტერესო მასალებს XVIII ს-ის აფხაზეთის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ისტორიიდან. ამ მასალების ნაწილი გამოქვეყნებულია ისეთ მრავალტომეულ გამოცემებში, როგორიცაა: „Акты Кавказской Археографической комиссии", `Сборник сведений о кавказских горцах" და სხვ.

XVII-XVIII სს-ის აფხაზეთის ისტორიის შესახებ მდიდარ მასალას შეიცავენ აღმოსავლური წყაროები. მაგალითად, არაერთი საყურადღებო ცნობაა დაცული აფხაზეთზე ანტიოქიის პატრიარქის მაკარიოსის თხზულებაში[15], რომელიც დაწერილია არაბულ ენაზე და ასახავს XVII ს-ის 60-იანი წლების ვითარებას დასავლეთ საქართველოში. მაგრამ, განსახილველი პერიოდის აფხაზეთის, ისევე როგორც მთელი დასავლეთ კავკასიის ისტორიის, აღმოსავლური წყაროების ძირითად ნაწილს, რა თქმა უნდა, ოსმალური ნარატიული და დოკუმენტური წყაროები წარმოადგენენ. მათგან პირველ რიგში აღსანიშნავია ცნობილი თურქი მოგზაურის ევლია ჩელების ერცელი თხზულება „სეიაჰათ-ნამე" (მოგზაურობის წიგნი)[16].

ევლიამ, რომლის დედა აფხაზეთიდან იყო წარმოშობით, 1641 წელს კაბოტაჟური ცურვით გაიარა მთელი აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი, ეწვია აფხაზეთსაც და მისი უნიკალური აღწერილობა დაგვიტოვა. „სეიაჰათ-ნამეში" დაცულია ცნობები აფხაზური ტომების განსახლების, მათი სამხედრო პოტენციალისა და რელიგიური რწმენის შესახებ, დაწვრილებით არის ჩამოთვლილი რა სახის საქონელი შემოდიოდა აფხაზეთში და რა გადიოდა; მოტანილია არაერთი ეთნოგრაფიული ხასიათის ცნობა. ევლია ჩელების თხზულებაში დაფიქსირებულია აგრეთვე უნიკალური ლინგვისტური მასალა – აფხაზური მეტყველების ჩანაწერები.

შედარებით უფრო ნაკლები ცნობები აქვს აფხაზეთზე XVII ს-ის მეორე თურქ ავტორს – ქათიბ ჩელების, თუმცა მისი ერთ-ერთი ნაშრომი „ჯიჰან-ნუმა" (სამყაროს სარკე)[17] შეიცავს აფხაზეთის მოკლე აღწერას, რომელიც ცალკეულ შემთხვევებში ავსებს ან ადასტურებს სხვა წყაროების მონაცემებს ჩვენთ-

ვის საინტერესო თემაზე.

გარკვეული ცნობები აფხაზეთის ისტორიის შესახებ მოიპოვება XVIII ს-ის ოსმალო ისტორიკოსების ჩელებ-ზადე ისმაილ ასიმ ეფენდის[18] და ფერაიზი-ზადე მეჰმედ საიდ ეფენდის[19] თხზულებებში. აქ უფრო სამხედრო პოლიტიკური ამბებია გადმოცემული, კერძოდ ოსმალთა ექსპანსია აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში და ადგილობრივი მოსახლეობის ბრძოლა მათ წინააღმდეგ.

ბოლოს, აუცილებელია მოვიხსენიოთ ოსმალური დოკუმენტური ძეგლები, რომლებიც ჩვენს ისტორიოგრაფიაში ყველაზე ნაკლებადაა შესწავლილი, მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე საქართველოს ისტორიის მრავალი ოსმალური დოკუმენტი გამოიცა. თურქეთისა და ყოფილი ოსმალეთის იმპერიაში შემავალი ზოგიერთი სხვა ქვეყნის არქივები სავსეა ოსმალური დოკუმენტური წყაროებით, რომლებსაც ჯერ არ შეხებია მკვლევრისა და არქეოგრაფის ხელი. ოსმალური საბუთებით განსაკუთრებით მდიდარია თურქეთის მინისტრთა საბჭოს არქივი სტამბოლში და ე.წ. თაფუსა და კადასტრის არქივი ანკარაში. თურქეთის ფარგლებს გარეთ ოსმალური დოკუმენტების უდიდესი საცავია ეგვიპტეში, ქ. კაიროში, რომელიც დიდხანს შედიოდა ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში. ამ არქივებში დაგროვილია საუკუნეების განმავლობაში ოსმალეთის იმპერიაში შექმნილი და შემოსული ყველანაირი სახის დოკუმენტი. სრული დამაჯერებლობით შეიძლება ითქვას, რომ ამ ზღვა მასალაში საქართველოს ისტორიის მრავალი უნიკალური წყარო ინახება (მათ შორის ქართულ ენაზე შედგენილიც).

ოსმალური დოკუმენტების ძირითადი ნაწილის წარმოშობა დაკავშირებულია საფინანსო უწყების (ბაბ-ი დეფთერი, დეფთერხანე) სტრუქტურებთან და ეხება უმთავრესად ფინანსურ და ეკონომიკურ საკითხებს. ეს საბუთები უაღრესად მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენენ ოსმალეთის იმპერიის სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო ისტორიისათვის. დასავლეთ საქართველოს ისტორიის შესწავლისათვის მათი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ამ ძეგლებში დაწვრილებით არის ასახული აქ არსებული ოსმალური ციხესიმაგრეების საშინაო ცხოვრება, მათი გარნიზონების რიცხობრივი შემადგენლობა, ორგანიზაციული სტრუქტურა და შეიარაღება, სურსათით მომარაგების გზები, ურთიერთობა ადგილობრივ მოსახლეობასთან. დოკუმენტებში საინტერესო

ცნობებია დაცული ციხესიმაგრეთა გარემდებარე რაიონების ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების შესახებ, აღწერილია სამხედრო-პოლიტიკური ფაქტები და სხვ.

უეჭველია, რომ თანდათანობით, დღემდე ჩვენთვის უცნობი ოსმალური საისტორიო ძეგლების გამოვლინებით, გამოქვეყნებითა და შესწავლით მნიშვნელოვნად გაიზრდება განსახილველი პერიოდის აფხაზეთის ისტორიის წყაროთა ბაზა.

2. აფხაზეთის სამთავრო XVII-XIX საუკუნის დასაწყისში

XV ს-ის მეორე ნახევარში ფეოდალური საქართველო ცალკეულ პოლიტიკურ ერთეულებად დაიშალა. თანამედროვე აფხაზეთი საბედიანოს (ოდიშის) სამთავროში მოექცა. მისი ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი, ანაკოფიის (ახლანდელი ახალი ათონი) ჩათვლით, უშუალოდ შედიოდა დადიანთა საგამგებლოში, უფრო ჩრდილო-დასავლეთით მდებარე მიწები კი აფხაზთა მთავრების – შარვაშიძეების – ხელთ იყო. შარვაშიძეები იმ პერიოდში ოდიშის მთავრების ვასალები იყვნენ, თუმცა ეს ვასალობა, როგორც ჩანს, მნიშვნელოვანწილად ფორმალურ ხასიათს ატარებდა; „შარვაშიძე მორჩილობდა არა ყოველსავე ბრძანებასა დადიანისასა“,– ნათქვამია „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთ გაგრძელებაში[20]. დადიანები, თავის მხრივ, ასეთივე არასაიმედო ქვეშევრდომები იყვნენ იმერეთის მეფეებისა.

XVI ს-ის განმავლობაში ღრმავდება დასავლეთ საქართველოს ფეოდალური დაქუცმაცების პროცესი. იმერეთის მეფეების ძალაუფლება ოდიშ-გურიის მთავრებზე სულ უფრო და უფრო ეფემერული ხდება. როგორ შედეგი პოლიტიკური დაშლისა, დასავლეთ საქართველო ძმათამკვლელი შინაომების ასპარეზად გადაიქცა. ამ ომებში აფხაზები, მეტწილად ოდიშის მთავართა მხარეზე გამოდიან, როგორც მათი ვასალები და მოკავშირენი, მაგრამ ადგილი აქვს აგრეთვე შეტაკებებს აფხაზ და მეგრელ ფეოდალებს შორის, რაც სრულიად ბუნებრივი იყო ფეოდალური წყობის პირობებში. როგორც ჩანს, ამ შეტაკებების შედეგად შარვაშიძეთა ხელში გადავიდა ქ. ცხუმი, ახლანდელი სოხუმი, მისი სანახებითურთ. ცხუმის ოლქში აფხაზთა მთავრების ძალაუფლების აღდგენას, შესაძლოა, ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ XIV-XV სს-მდე ეს მხარე შარვაშიძეთა სამფლობელოს წარმოადგენდა და აქ ალბათ ნაწილობრივ შემორჩენილი იყო აფხაზური მოსახლეობა.

XVII ს-ის დასაწყისისათვის აფხაზეთის სამთავრო საბო-

ლოოდ ჩამოყალიბდა ცალკე პოლიტიკურ ერთეულად. ოდიშის მთავართა ცდები, აღადგინონ აფხაზეთის ვასალური დამოკიდებულება, მზარდ წინააღმდეგობას აწყდება. თავის მხრივ, აფხაზი ფეოდალები ყაჩაღურ თავდასხმებს აწყობენ სამეგრელოზე, აქტიურად მონაწილეობენ დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში.

როგორც ცნობილია, ფეოდალური საქართველოს დაქუცმაცების პროცესი მიმდინარეობდა ქვეყნის საერთაშორისო მდგომარეობის მკვეთრი გაუარესების პირობებში. განსაკუთრებით დამძიმდა ვითარება მას შემდეგ, რაც საქართველოს მეზობლად ჩამოყალიბდა ორი ძლიერი სახელმწიფო — ოსმალეთის იმპერია და სეფიანთა ირანი.

ოსმალეთი და ირანი საქართველოსთან მიმართებაში თავიდანვე ექსპანსიონისტური პოლიტიკის გატარებას შეუდგნენ. ამასთან მათი მესვეურები ხშირად ხელმძღვანელობდნენ ცნობილი პრინციპით: „დაჰყავი და იბატონე", რაც გამოისახებოდა ქვეყნის პოლიტიკური დაშლის პროცესებისათვის ხელისშეწყობაში, შიდა კონფრონტაციის გაღრმავებაში. თვით ირანსა და ოსმალეთს შორის ბრძოლის პირველი ეტაპი, რომელიც მიმდინარეობდა ახლო აღმოსავლეთში პირველობისათვის, დასრულდა 1555 წლის ამასიის ზავით. ამ ზავის პირობებით ირანმა და ოსმალეთმა გაავლენის სფეროებად დაინაწილეს ფეოდალური საქართველო. მთელი ლიხთიმერეთი, აფხაზეთითურთ ოსმალეთის წილად გამოცხადდა. ასე აღწერს ამ ფაქტს XVII საუკუნის ქართველი ისტორიკოსი ფარსადან გორგიჯანიძე: „ხონთქარმან და ყაენმან საქართველო შვა გაიყვეს; სამცხე და ქართლი და კახეთი ყაენსა, იმერეთი, ოდიში და აფხაზეთი, გურია და ლაზის ქვეყანა ხონთქარსა"[21].

ამ გადაწყვეტილების განსახორციელებლად ოსმალეთის მთავრობა მალე კონკრეტული ღონისძიებების გატარებას შეუდგა.

განსახილველ ეპოქაში აფხაზეთის ეთნოპოლიტიკურმა საზღვრებმა მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადეს. XVII ს-ის პირველ ნახევარში აფხაზეთ-სამეგრელოს ეთნიკური და პოლიტიკური საზღვარი დაახლოებით კოდორის ხეობაზე გადიოდა. კერძოდ, არქანჯელო ლამბერტი აღნიშნავს: „ყველაზე უკანასკნელი მდინარე (სამეგრელოში) არის კოდორი, რომელიც უნდა იყოს (ძველი) კორაქსი, რადგან კოლხიდის საზღვრებია (ძველთა სიტყვით) ერთის მხრით ფაზისი და მეორეს მხრით — კორაქსი. როგორც ფაზისი ჰყოფს სამეგრელოს გურიისაგან,

ისე კორაქსი ჰყოფს მას აფხაზეთისაგან, და როგორც ფაზისის გაღმა მეგრული იცვლება ქართულად, ისე კორაქსის გაღმა იცვლება აფხაზურად. აქედან ცხადია, რომ მეგრელების კოდორი ძველებური კორაქსია, რადგან კოდორს გადაღმავე ცხოვრობენ აფხაზები თავისის განსაკუთრებული ენით"[22]. მდ. კოდორს აფხაზეთ-სამეგრელოს საზღვრად ასახელებენ აგრეთვე XVII ს-ის ავტორები: ჯოვანი ლუკა, დორტელი დ'ასკოლი, მაკარიოს ანტიოქიელი, ჟან შარდენი, ქათიბ ჩელები და სხვ.

რაც შეეხება აფხაზთა სამთავროს ჩრდილოეთ საზღვარს იგი კავკასიონის მთავარ ქედს მიუყვებოდა და გაგრა–ადლერის სექტორში ეშვებოდა ზღვასთან. ამ რაიონში აფხაზეთის სამთავროს პოლიტიკური საზღვარი არ ემთხვეოდა აფხაზეთის ეთნოგრაფიულ საზღვრებს. სამთავროს გარეთ რჩებოდნენ მრავალრიცხოვანი ჩრდილოაფხაზური თემები და ტომები. კერძოდ, ევლია ჩელების ცნობით, „აბაზას ქვეყანა" (ეთნოგრაფიული აფხაზეთი) უწევდა ანაპის ციხემდე, საიდანაც უკვე ჩერქეზეთის სანაპირო იწყებოდა[23]. ანაპის მახლობლად, იქ სადაც დღეს ქ. ნოვოროსიისკია, ასახელებენ აფხაზეთის მიჯნას XVIII ს-ის ავტორებიც: კსავერიო გლავანი და პეისონელი, მაგრამ მონაცემები ამ საკითხზე, ისევე როგორც ევლია ჩელებისა ცნობა, როგორც ჩანს ემყარება ტრადიციას და იმ პერიოდის გამოძახილის, როდესაც აფხაზეთი (ჯიქეთითურთ) თითქმის მდ. ყუბანის შესართავამდე ვრცელდებოდა[24]. გვიან შუასაუკუნეებში კი მდგომარეობა უკვე საგრძნობლად განსხვავდებოდა წინა პერიოდის რეალიებისაგან. აფხაზეთის ეთნიკური საზღვარი ამ მხარეში თანდათანობით უკან იწევდა, ვინაიდან დაწყებული იყო და ინტენსიურად მიმდინარეობდა განაპირა აფხაზური ტომების ასიმილაცია მონათესავე ჩერქეზების მიერ. იმავე ევლია ჩელების აღწერილობაში აფხაზური მოსახლეობა მოყვანილია მხოლოდ კუთასის (კოდოშის) ნავსადგურამდე, რომელიც თანამედროვე ქ. ტუაფსესთან მდებარეობდა[25]. კოდოშის რაიონზე, როგორც ეთნიკურ საზღვარზე აფხაზებსა და ჩერქეზებს შორის, XVII ს-ის ზოგი სხვა წყაროც მიუთითებს.

ისტორიული ჯიქეთის ტერიტორიაზე აფხაზთა ეთნიკური არეალის შემცირებას უთუოდ ხელი შეუწყო აგრეთვე იქ მოსახლე აფხაზური ტომების ჩრდილო კავკასიაში მიგრაციამ, რომელიც ჯერ კიდევ XIV ს-ში დაიწყო და ეტაპობრივად გრძელდებოდა XIX ს-მდე[26]. ამ გადასახლებამ საფუძველი ჩაუყარა კავკასიონის ჩრდილო კალთებზე აფხაზური ეთნოსის გავრცელებას, რომლისგანაც შემდგომში ჩამოყალიბდა

თავისთავადი აბაზა ხალხი[27].

განსახილველ ეპოქაში (XVII-XVIII სს.) გადასულმა ტალღამ, რომელიც, როგორც ჩანს, ძირითადად ჩრდილო აფხაზეთის მთიანი რაიონებიდან იყო წასული (მდინარეების ბზიფის, ფსოუს, მზიმთას და სხვათა ზემოწელი) შეადგინა თანამედროვე აბაზების ერთ-ერთი ქვედანაყოფი – აშხარელები. აშხარელთა ჩრდილო-აღმოსავლეთით ცხოვრობდნენ აფხაზეთის ზღვისპირეთიდან უფრო ადრე გადასახლებული ტაპანთელები. ჩრდილო კავკასიაში აფხაზური ტომები სახლდებოდნენ მდინარეების ყუბანის, დიდი და მცირე იენჯიგის, ურუფის, გუმას და სხვათა სათავეებში[28].

აფხაზეთის ტერიტორია შედგება ორი ძირითადი გეოგრაფიული ზონისაგან – ზღვისპირეთისა და მთისაგან. ფეოდალურ ხანაში აქაც, ისევე როგორც მთლიანად კავკასიაში, მთისა და დაბლობის (ბარის) მოსახლეობა ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა სოციალური განვითარების დონით და სამეურნეო საქმიანობის ფორმებით.

აფხაზეთის მთაში მეურნეობის წამყვანი დარგი იყო მესაქონლეობა, ზღვისპირეთში – მიწათმოქმედება, გარდამავალ მთისწინა ზოლში კი სოფლის მეურნეობის ეს ორი ძირითადი დარგი თითქმის თანაბრად იყო შეხამებული. გარდა ამისა, აფხაზეთში განვითარებული იყო მონადირეობა, მეფუტკრეობა, ხოლო ზღვისპირეთში ამასთან ერთად, მეენახეობა და საზღვაო რეწვა. გამოთქმულია აგრეთვე მოსაზრება, რომ XVIII ს-ის აფხაზეთში ბამბის კულტურაც იყო გავრცელებული[29]. აღნიშნავს რა აფხაზეთის სოფლის მეურნეობის მრავალდარგიანობას, ბატონიშვილი ვახუშტი წერს: „ხოლო ესე აფხაზეთი შემკულ არს ყოველითა ნაყოფიერებითა და ჰავითა, რამეთუ ნაყოფიერებენ ყოველნი მარცვალნი, ხილნი, ვენახნი, პირუტყვნი და ნადირნი, ფრინველნი და თევზნი მრავალნი“[30].

ფეოდალური აფხაზეთის ეკონომიკაში წარმოდგენილი იყო შინამრეწველობისა და ხელოსნობის სხვადასხვა დარგები: მზადდებოდა ნაბდები, ქსოვილი ეროვნული ტანსაცმლისათვის, ბაწარი, ძაფი, კერამიკული ნაწარმი... XVIII ს-ის წყაროებში დაცულია ცნობები იმის შესახებ, რომ აფხაზებმა იცოდნენ რკინის დამუშავება და ფოლადის მიღება, რომლისგანაც ამზადებდნენ ხმლებს, სატევრებს და სხვა საბრძოლო იარაღს. კლაპროტის ცნობით აფხაზური ჯაჭვის პერანგები ძვირად ფასობდა მეზობელ ქვეყნებში[31]. აფხაზები გაწაფული იყვნენ გემთმშენებლობაშიც[32]. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნატურალური

მეურნეობის პირობებში ხელოსნობას არ ჰქონდა ფართო განვითარების საშუალება, რადგან მჭიდროდ იყო დაკავშირებული სოფლის მეურნეობასთან და წარმოადგენდა მის ორგანულ ნაწილს.

აფხაზეთის საგარეო ვაჭრობა ფაქტობრივად წარმოადგენდა საქონლის უბრალო გაცვლა-გამოცვლას გარკვეულ სანაპირო პუნქტებში ზღვით მოსულ დასავლეთევროპელ, თურქ და ყირიმელ ვაჭრებთან. ევლია ჩელები დაწვრილებით აღწერს თუ რა სახის საქონელი შემოდიოდა და გადიოდა აფხაზეთიდან. მისი ცნობით, აქ წელიწადში ერთხელ ყველა ქვეყნის გემებს მოაქვთ "დენთი, ტყვია, თოფი, მშვილდისარი, მასრა, ხმალი, ფარი, შუბი და სხვა საომარი იარაღი, ძველი ფეხსაცმელი, მაუდის პირები, საპერანგე და სასარჩულე ქსოვილი, კერის რკინეულობა, დიდი ქვაბები, ცეცხლზე ქვაბის ჩამოსაკიდი რკინის ჯაჭვები, მარილი, საპონი და სხვა ასეთი საგნები. ამ მეხომალდეებს ნაზ ბიჭებს, ცხიმეულს, თაფლის სანთელს, მუშამბას, კვერნას, თაფლს აძლევენ და სამაგიეროდ ზემოჩამოთვლილი საგნებიდან რაც სჭირდებათ, იღებენ. ამ ქვეყანაში სრულებით არ არის ოქროსა და ვერცხლის ფული. ყიდვა-გაყიდვა გაცვლა-გამოცვლის წესით წარმოებს"[33]. ის ფაქტი, რომ აფხაზეთში ვაჭრობისას ფული არ გამოიყენებოდა, აღნიშნული აქვთ აგრეთვე ჯ. ლუკას, ა. ლამბერტის, ჟ. შარდენს და მიუთითებს ნატურალური მეურნეობის წამყვან როლზე ქვეყნის ეკონომიკაში. თანამედროვეთა ცნობით, ასეთ ვაჭრობას დიდი სარგებელი მოჰქონდა უცხოელი სოვდაგრებისათვის. კერძოდ, დორტელი დ'ასკოლი აღნიშნავს, რომ ყოველ დახარჯულ 100 რეალში ისინი 300 რეალ მოგებას ნახულობდნენ[34].

შინაგანი ვაჭრობაც ძირითადად ასევე პროდუქტების უბრალო გაცვლა-გამოცვლას წარმოადგენდა. ზოგჯერ ეს ხდებოდა ოდიშის ბაზრობებზე, სადაც აფხაზები ხშირი სტუმრები იყვნენ.

ზღვისპირა აფხაზეთის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი იყო ნაოსნობა, რასაც ადგილობრივი მოსახლეობა უძველესი დროიდან მისდევდა. აფხაზეთის აღწერისას ვახუშტი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ მისი მცხოვრებლები არიან "ზღუასა შინა მაგარნი და ძლიერნი", და "ზღუათა შინა მავალნი ოლეჭკანდარებითა, რომელსა შინა შთასხდებიან 100, 200 და 300"[35].

ზღვაოსნობის გავრცელება არასტაბილური პოლიტიკური ვითარებისა და ხშირი ომიანობის პირობებში, თავის მხრივ, მეკობრეობის განვითარებას უწყობდა ხელს. XVII-XVIII

სს-ში აფხაზი მეკობრეები განსაკუთრებით აქტიურობდნენ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის წყლებში (აფხაზეთის, ოდიშისა და გურიის ნაპირებთან), მაგრამ პერიოდულად უფრო დასავლეთისკენაც იჭრებოდნენ. მაგალითად, ჰოლანდიელი ავტორის, ვიტსენის ცნობით აფხაზები ზოგჯერ აფერხებდნენ გემების მიმოსვლას ყირიმსა და კონსტანტინოპოლს შორის[36].

XVII-XVIII სს-ის აფხაზეთი ფეოდალური ქვეყანა იყო. ფეოდალიზმი უფრო განვითარებული იყო ზღვისპირა ზოლში, მთიან რაიონებში კი შემორჩენილი იყო პატრიარქალურ-თემური წყობილების გადმონაშთები.

ფეოდალური აფხაზეთის სათავეში იდგა მთავარი (აფხაზურად – აჳ) შარავაშიძეთა საგვარეულოდან (ამ გვარის აფხაზური ფორმაა ჩაჩბა). სამთავრო დომენს წარმოადგენდა ტერიტორია ჯიქეთიდან მდინარე კოდორამდე, სადაც მდებარეობდა აფხაზეთის მთავრების რეზიდენცია ლიხნი, ანუ ქართული წყაროების ზუფუ, "მცირე ქალაქისაებრი" დაბა[37]. XVII ს-ის ბოლოდან აფხაზეთის ცალკეულ ოლქებს განაგებდნენ სამთავრო სახლის წარმომადგენელი უფლისწულები (აფხაზურად - აჰიფა). გაბატონებულ კლასს შეადგენდნენ აგრეთვე თავადები (ათაგად) და აზნაურები (აამსთა). ფეოდალურ აფხაზეთში თავადის უფლებით სარგებლობდნენ გვარები – აჩბა (ანჩაბაძე), ძაფშიფა (ძეფიშვილი), მარშანი (მარშანია), ჩააბალირხვა, ინალიფა (ინალიშვილი), ემხაა (ემხვარი), ჩქოტუა, ცანბა, გეჩბა და არედბა. აზნაურთაგან ყველაზე გავლენიანი გვარები იყო მაანი (მარღანია), ლაკრბა (ლაკერბაია) და ზვანბა (ზვანბაია). ფეოდალებსა და გლეხებს შორის გარდამავალ სოციალურ ფენას წარმოადგენდნენ შინაყმები (აშნაყმა). ისინი ძირითადად გლეხობიდან იყვნენ გამოსულები, ზოგჯერ კი წარმოშობით კავკასიის სხვა რეგიონებიდან იყვნენ. მთავრისა და დიდი ფეოდალების კარზე შინაყმები ასრულებდნენ სხვადასხვა ადმინისტრაციულ და სამეურნეო ფუნქციებს, მსახურობდნენ აგრეთვე ფეოდალთა შეიარაღებულ ამალაში (ქერაზ).

ძირითად მწარმოებელ ძალას ფეოდალურ აფხაზეთში გლეხობა წარმოადგენდა, რომელიც რამდენიმე კატეგორიად იყოფოდა. ყველაზე მრავალრიცხოვანი კატეგორია იყო ანხაიუ, იურიდიულად თავისუფალი, მაგრამ ეკონომიკურად ფეოდალებზე დამოკიდებული ფენა. გლეხების ეს კატეგორია წარჩინებულთა მიწებზე იჯდა, ემართა გარკვეული ბეგარა და ლაშქარში გადიოდა.

დაყმევებულ გლეხთა მცირერიცხოვან ზედაფენას,

რომელსაც შემორჩენილი ჰქონდა გარკვეული ქონებრივი და უფლებრივი პრივილეგიები წარმოადგენდა ამაწურასგუ. ტიპიურ ყმა გლეხებს ეწოდებოდათ ახოიუ. სოციალური კიბის უმდაბლეს საფეხურზე იდგნენ ახაშალები, ტყვედ მოყვანილი, ნამზითვი ან ნასყიდი ადამიანები, რომელთაც არ გააჩნდათ საკუთრება და ბატონის კარმიდამოში ცხოვრობდნენ. ახაშალა თუ ოჯახს მოეკიდებოდა და ბატონისაგან მიწის ნაკვეთს მიიღებდა, ხდებოდა ახოიუ[38].

აფხაზეთის სამთავრო არ წარმოადგენდა ცენტრალიზებულ სახელმწიფო წარმონაქმნს. ფეოდალური წყობილებისა და ნატურალური მეურნეობის პირობებში მისი ცალკეული ნაწილები, როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიკურად, ერთმანეთთან სუსტად იყვნენ დაკავშირებული. უფლისწულები და თავადები ხშირად ეურჩებოდნენ მთავრებს და საქმე შეიარაღებულ ბრძოლამდეც მიდიოდა. რაც შეეხება აფხაზეთის მთიან რაიონებსა და ჯიქეთს, ისინი მხოლოდ ნომინალურად აღიარებდნენ შარვაშიძეთა უზენაესობას და თითქმის სრული დამოუკიდებლობით სარგებლობდნენ.

ფეოდალური დაქუცმაცებულობა და მასთან დაკავშირებული შინაომები ხელს უწყობდნენ თემური წყობილების ზოგიერთი გადმონაშთის, მაგალითად, გვაროვნული დასახლებების (აფხაზურად – აცუფა) შენარჩუნებას. ლამბერტის აღწერით, აფხაზები არ ცხოვრობდნენ ციხეებსა და ქალაქებში, არამედ ერთი გვარის რამდენიმე ოჯახი შეიყრებოდა ერთად, დასახლდებოდნენ მაღლობ ადგილზე, სადაც ააშენებდნენ ისლით დახურულ ფაცხებს და თავდაცვის მიზნით ირგვლივ ღობეს ან თხრილებს შემოავლებდნენ[39]. ამას იმიტომ აკეთებდნენ, რომ ჩვეულება ჰქონდათ ერთმანეთზე თავდასხმა და ძარცვა [40]. შფოთიანი ვითარება დაღს ასვამდა ცხოვრების ყველა მხარეს, აიძულებდა ადამიანებს ყოფილიყვნენ მუდმივ საბრძოლო მზადყოფნაში. იმავე ავტორის ცნობით "აფხაზები საშიშ დროს ჯავშანს ჩაიცვამენ, ხელში შუბს დაიჭერენ, ფარს სასთუმალს ქვეშ ამოიდებენ, შეკაზმულ ცხენს ლოგინთან დააბამენ და ისე დაიძინებენ"[41]. ასეთი ცხოვრება ახალგაზრდების აღზრდას აფხაზეთში აშკარად გამოკვეთილ მხედრულ იერს აძლევდა. ლამბერტის თქმით: "ახალგაზრდობა არასოდეს უქმად არ ზის, არამედ ვარჯიშობს, ხან მძიმე რამეებს ჰაერში ისვრის და ხან თხრილებზე ხტება, რათა შეძინოს ძალა და გაიწვრთნას სიმარდეში"[42].

XVII-XVIII სს-ის მანძილზე აფხაზეთი ოსმალეთის იმპერიის პოლიტიკური გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. არსებობს

ცნობა, რომ პირველი თავდასხმა აფხაზეთის სანაპიროზე ოსმალებმა ჯერ კიდევ XV ს-ის შუა ხანებში განახორციელეს[43], მაგრამ ექსპანსიამ სისტემატური ხასიათი ზემოხსენებული ამასიის საზავო ხელშეკრულების (1555 წ.) შემდეგ მიიღო. 1579 წელს ოსმალებმა ცხუმი დაიკავეს, მაგრამ ადგილობრივი მოსახლეობის წინააღმდეგობის გამო იგი დიდი ხნით ვერ შეინარჩუნეს.

XVII ს-ის ათიან წლებში ოსმალეთის იმპერიამ ოდიშგურიას ყოველწლიური ხარკი დააკისრა, მაგრამ სხვა მხრივ ეს სამთავროები სტამბოლისაგან ფაქტობრივად კვლავ დამოუკიდებლები რჩებოდნენ. ოსმალური ხარკი აფხაზეთსაც ჰქონდა შეწერილი, მაგრამ აფხაზები მას არარეგულარულად იხდიდნენ. შარდენი, რომელმაც XVII ს-ის 70-იან წლებში იმოგზაურა კავკასიაში, აღნიშნავს: "ხარკი აფხაზებსაც ჰქონდათ დაკისრებული, მაგრამ ისინი მცირე ხნის განმავლობაში იხდიდნენ, ახლა კი სრულიად არ იხდიან"[44]. ოსმალეთის მთავრობა მარტო სამხედრო ძალების გამოყენებით ვერ ახერხებდა დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური ერთეულების მორჩილებაში ყოლას და, ამიტომ, როდესაც ისინი ხარკის გადახდაზე უარს ამბობდნენ, მიმართავდა ეკონომიკურ "სანქციებს": მათი ნავსადგურებისაკენ არ უშვებდა სავაჭრო გემებს, რომლებსაც ადგილობრივი მოსახლეობისათვის აუცილებელი საქონელი მიჰქონდათ (მარილი, რკინეულობა და სხვ.)[45].

XVII ს-ის მეორე ნახევრიდან ოსმალეთის პოლიტიკური გავლენა საგრძნობლად გაძლიერდა. მას ხელს უწყობდა დასავლეთ საქართველოში შინა-ფეოდალური ანარქიის ზრდა, და ამის შედეგად გამოწვეული პოლიტიკური დესტაბილიზაცია. ხშირად თურქებს თვითონ მოწინააღმდეგე მხარეები მიმართავდნენ დახმარებისათვის და ეპატიჟებოდნენ თავის ქვეყანაში. ცხადია, ეს ხელს უმართავდა ოსმალეთის მთავრობას დასავლეთ საქართველოში თავისი ძალაუფლების დამყარების საქმეში.

ერთ-ერთი მეთოდი, რომლის მეშვეობით ოსმალეთის მთავრობა დამპყრობლები თავისი გავლენის განმტკიცებას ცდილობდნენ, იყო ისლამის პროპაგანდა. განსახილველ პერიოდში, ამ პოლიტიკამ აფხაზეთში გარკვეულ შედეგს მიაღწია: გამაჰმადიანდა სამთავროს ფეოდალური ზედაფენის ნაწილი; მაგრამ მთლიანობაში XVII-XVIII სს-ში ისლამმა აფხაზეთში ფესვები ღრმად ვერ გაიდგა: ძირითადი მასა რჩებოდა აღმსარებელი ქრისტიანული სარწმუნოებისა, რომელიც მნიშვნელოვან-

წილად შეზავებული იყო წარმართული რწმენა-წარმოდგენებით. რაც შეეხება აფხაზთა ნაწილის გამაჰმადიანებას – იგი ზედაპირულ ხასიათს ატარებდა. პოლიტიკური სიტუაციის მიხედვით ბევრი რჯულგამოცვლილი ფეოდალი იოლად უბრუნდებოდა ქრისტიანობას (ასევე ზედაპირულს). ევლია ჩელები, რომელიც ცდილობს აფხაზები ისლამის მიმდევარ ხალხად წარმოაჩინოს, აღნიშნავს: "მათ რომ ქაფირი (ურჯულო. – რედ.) უწოდონ, კაცს მოკლაენ. მუსლიმი რომ უწოდონ, გაეხარდებათ. (მაგრამ) ესენი ყურანს არ იცნობენ და არც რაიმე სარწმუნოება აქვთ"[46]. უფრო კონკრეტულ ცნობებს გვაწვდის აფხაზეთში რელიგიური ეითარების შესახებ ბატონიშვილი ვახუშტი, რომელიც წერს: "სარწმუნოებით არიან ქრისტეანნი, არამედ არღარა რისა მეცნიერნი და ირიცხვან, ვითარცა კერპნი"[47].

განსაკუთრებით გაძლიერდა ოსმალთა ბატონობა XVIII ს-ის 20-იან წლებში, როდესაც თითქმის მთელი ამიერკავკასია მათ ხელში აღმოჩნდა. საქართველოს სამეფო-სამთავროების საქმეებს ამ პერიოდში მნიშვნელოვანწილად ოსმალო ფაშები განაგებდნენ. 1723 წლისათვის აფხაზეთის, გურიისა და სამეგრელოს მთელ რიგ სანაპირო პუნქტებში (ციხისძირი, ქობულეთი, ფოთი, ანაკლია, სოხუმი, ანაკოფია და სხვ.) თურქული ციხესიმაგრეები იყო აღმართული და იანიჩართა გარნიზონები იდგნენ. ოსმალებმა იმერეთის ცალკეულ პუნქტებშიაც მოიკიდეს ფეხი.

ოსმალთა ამ წარმატებებს აფხაზეთმა წინააღმდეგობის გააქტიურებით უპასუხა. 1725 და 1728 წლებში აფხაზთა შეიარაღებულმა რაზმებმა ორჯერ სცადეს სოხუმის ციხიდან თურქების გაძევება. 1730 წელს კი ანაკლიის ციხეს დაესხნენ თავს და ნაწილობრივ გადაწვეს იგი. ფოთის ახლადდანიშნულმა ფაშამ, რომელსაც შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს გამგებლობა ევალებოდა, 1733 წელს აფხაზეთის წინააღმდეგ დიდი ლაშქრობა წამოიწყო, მაგრამ დამარცხდა[48].

ამრიგად, ენერგიული ცდების მიუხედავად ოსმალეთის იმპერიამ ვერ მოახერხა აფხაზეთის რეალური დამორჩილება. სულთნის ადმინისტრაციის ძალაუფლება, ფაქტობრივად, ოსმალური ციხესიმაგრეების კედლებს არ სცილდებოდა.

საფრანგეთის კონსული მ. პეისონელი XVIII ს-ის შუა ხანებში აღნიშნავს: "პორტა ამ ქვეყანაში (აფხაზეთში. – რედ.) ამტკიცებს თავის ბეგს, რომელსაც აფხაზების ბეგი ეწოდება, მაგრამ მას ცარიელი ტიტული აქვს, ყოველგვარი ძალაუფლების გარეშე. ბეგის რეზიდენცია სოხუმშია, ამ მხარის უზენა-

ესი გამგებლობა კი შავიზღვისპირეთის ფაშას ეკუთვნის. მაგრამ აფხაზები არ ემორჩილებიან არც მას, და არც თურქების (დანიშნულ) ბეგს"[49].

ოსმალთა გარნიზონები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ფაქტობრივად ბლოკადაში იყვნენ მოქცეულები. თურქი მოხელეები იტყობინებიან, რომ მეგრელი და აფხაზი "ყაჩაღები" ოსმალო მეციხოვნეებს საკვების საშოვნელად ციხიდან გამოსვლის საშუალებას არ აძლევენ, იმპერიის ცენტრიდან გამოგზავნილ სურსათს იტაცებენ, პროვიანტის მიმწოდებლებს ხოცავენ და ა.შ. (იხ. წინამდებარე გამოცემა: 13, 14, 15, 17, 51, 52, 54 და სხვ.).

ქართულ-აფხაზური რაზმები ხშირად ტრაპიზონის ვილაიეთშიც იჭრებოდნენ და ოსმალეთა სამფლობელოებს არბევდნენ. 1722 წლის ერთ დოკუმენტში ნათქვამია: "აფხაზი და მეგრელი ქაფირები სხვა ქართველ ტომებთან ერთად გაერთიანდნენ. განზრახული აქვთ იმ რაიონში მდებარე გონიოს, ბათუმის და ანაკლიის ციხეებსა და მათ გარშემო მდებარე სოფლებსა და ნაჰიეების მოსახლეობას ზიანი და უბედურება მიაყენონ" (65).

XVIII ს-ის დასაწყისში საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტია 1757 წლის ხრესილის ბრძოლა, სადაც იმერეთის ახლგაზრდა მეფემ, სოლომონ I-მა ოსმალთა ჯარი დაამარცხა. სოლომონის ლაშქარში აფხაზთა რაზმიც იბრძოდა, რომლის წინამძღოლმა ხუტუნია შარვაშიძემ ბრძოლაში მოწინააღმდეგის 16 ჯარისკაცი მოკლა და თვითონაც დაიღუპა[50].

აფხაზეთის მთავარი იმ დროს იყო მანუჩარ შარვაშიძე, რომელმაც არა თუ არავითარი დახმარება არ აღმოუჩინა თურქებს სოლომონის წინააღმდეგ ბრძოლაში, არამედ ხელიც არ შეუშალა თავის ნათესავს – ხუტუნია შარვაშიძეს – წასულიყო მეფის დასახმარებლად. ოსმალეთის მთავრობამ ეს არ აპატია მანუჩარს და აუმხედრა მას ძლიერი ფეოდალური საგვარეულო – ძაფშიფები. ამბოხებულებმა მანუჩარი ტახტიდან ჩამოაგდეს და მის ორ ძმასთან ერთად ოსმალეთში გააგზავნეს, სადაც შარვაშიძეებს ისლამის მიღება მოუხდათ. ოსმალეთში მუსლიმად იყო აღზრდილი მანუჩარის ვაჟი ქელეშბეგი (ქეილაშ ახმედ ბეგი). 1770-იან წლებში სულთანმა იგი სოხუმის ფაშად დანიშნა და აფხაზეთში დააბრუნა.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, XVI ს-ის შინაომებში აფხაზი ფეოდალები მეტწილად ოდიშის მთავართა მხარეზე

გამოდიოდნენ. ასეთი ვითარება გრძელდება XVII ს-ის 20-იან წლებამდე. ცხადია, ამ დროისათვის ეს სამხედრო დახმარება უკვე ნებაყოფლობით მოკავშირეობაზე იყო დაფუძნებული. ვახუშტი, მაგალითად, საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ოდიშის მთავარი ლევან II დადიანი (1611-1657) "ემეგობრებოდა აფხაზთა, ჯიქთა და სუანთა, რათა მწე ეყონ" იმერეთის წინააღმდეგ ბრძოლაშიო[51]. ჩანს, ამ "მეგობრობის" განმტკიცების მიზნით ლევანმა დაახლოებით 1621 წელს აფხაზეთის მთავრის ქალიშვილი შეირთო ცოლად.

როგორც ცნობილია, ლევან II დასაელეთ საქართველოში ჰეგემონობისაკენ ისწრაფვოდა. ბუნებრივია, რომ ამ საქმეში იგი თავის უპირველეს მოწინააღმდეგეს ხედავდა იმერეთის მეფეში, რომელიც ტრადიციულად მთელი ლიხთიქითის მბრძანებლად ითვლებოდა. 1623 წელს ლევან II-მ აფხაზების და ჯიქების დახმარებით გოჯორას ბრძოლაში სძლია იმერეთის მეფეს გიორგი III-ს და გააქცია იგი. აქედან მოყოლებული ლევანი ისე გაძლიერდა, რომ ფაქტობრივად სიცოცხლის ბოლომდე დასავლეთ საქართველოს დიდი ნაწილის ბატონ-პატრონი იყო.

იმერეთის მეფის დამარცხების შემდეგ ოდიშის მთავარმა თავისი პოლიტიკის ლახვარი აფხაზეთის წინააღმდეგ წარმართა. კავშირის დარღვევის საბაბი გახდა ლევანის მიერ თავისი ცოლის, შარვაშიძის ასულის გაძევება. მას ქმარმა ღალატი შესწამა, ცხვირი და ყურები მოაჭრა და ასე დასახიჩრებული მშობლებს გაუგზავნა.

აფხაზეთის მთავარი ცხადია გულგრილი ვერ დარჩებოდა ასეთი შეურაცხყოფისათვის და მოსალოდნელი იყო მის მხრივ შურისძიების დაწყება, მაგრამ ლევანმა დაასწრო და დიდი ლაშქრით აფხაზეთში შეიჭრა. ეს თავდასხმა ისეთი მოულოდნელი აღმოჩნდა შარვაშიძისათვის, რომ წინააღმდეგობის ორგანიზება ვერ მოასწრო და თავისი ხალხით მთაში გაიხიზნა. ლევანმა სასტიკად დაარბია ქვეყანა და ოდიშში გამობრუნდა[52]. ეს მოხდა დაახლოებით 1628 წელს.

ამ დროიდან იწყება ხანგრძლივი მტრობა შარვაშიძეებსა და დადიანებს შორის, რამაც მრავალი მსხვერპლი და უბედურება მოუტანა ორივე სამთავროს მოსახლეობას.

აფხაზ ფეოდალთა რაზმები თავს ესხმოდნენ ოდიშის ჩრდილო რაიონებს, აწიოკებდნენ სოფლებს, ტყვედ მიჰყავდათ მოსახლეობა. სამაგიეროდ, ლევან II დამსჯელ ლაშქრობებს აწყობს აფხაზეთში, სპობს და ანადგურებს ყველაფერს, რაზეც

კი ხელი მიუწვდება. აი, როგორ აღწერს თვით ლევანი ერთ-ერთ თავის ლაშქრობას აფხაზთა წინააღმდეგ: "მიუხდით შარვაშიძესა ზუფუს, მუწუს წყალსა (მდ. მჭიში. – რედ.) აქათ მოვაოხრეთ. კიდევ მეორედ მოუხდით ზუფუს, კაპოეტის წყალს (მდ. ბზიფი. – რედ.) აქათ სრულობით დავსწვით და ავაოხრეთ და სადაცა სიმაგრე იყო ავიღეთ და და გავაცუდეთ. კაპოეტის წყალზე შემოგუებნეს ზუფუარი და სიხუარი (მ)არშანიები და გაგვემარჯუა, დავხოცეთ, ზოგი ხელთ დაგვრჩა"[53].

ლამბერტის ცნობით, ერთი ასეთი წარმატებული ლაშქრობის შემდეგ ლევანმა აფხაზებს ხარკიც კი დაადო იქაური მწე-ვარი ძაღლებისა და სანადირო ფრინველების სახით[54], თუმცა ხარკის ასეთი უმნიშვნელო რაოდენობა აშკარად მიუთითებს მის ნომინალურ ხასიათზე[55].

ყოველ შემთხვევაში, აფხაზეთი ამის შემდეგაც დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულად რჩება და კვლავაც აქტიურად იბრძვის ლევან II-ის წინააღმდეგ. შარდენის ცნობით აფხაზთა მთავარმა"... იმ შეურაცხყოფისა და შერცხვენისათვის, რომელიც მას მიაყენეს მისი ასულის ასეთი დღეში ჩაგდებით... არ ისურვა არც სამშვიდობო ხელშეკრულების დადება, არც დროებით ზავი და ომი მხოლოდ მაშინ შეწყვიტა, როცა გაიგო ამ ბარბაროსი სიძის სიკვდილი"[56].

ლევან II-ს აფხაზებთან ბრძოლა იმიტომაც უძნელდებოდა, რომ თავისი აგრესიული პოლიტიკითა და ავკაცობით ყველა მეზობელი წაიკიდა და ყველა საზღვარზე აანთო ომის ხანძარი. ლევანი ებრძოდა აფხაზებს, ლაშქრავდა გურიასა და იმერეთს, მტრობა ჰქონდა სვანებთან. აქედან ოდიშის მთავარმა ფაქტობრივად მხოლოდ გურიის დამორჩილება შეძლო, მას შემდეგ რაც ტახტიდან ჩამოაგდო და დააბრმავა მისი მთავარი სიმონი. იმერეთის დაპყრობა ლევანმა ვერ მოახერხა, თუმც არაერთგზის წარმატებით ილაშქრა მის წინააღმდეგ, სასტიკად აოხრა ქვეყანა და წაასხა მრავალი ტყვე.

მიუხედავად ტაქტიკური წარმატებისა, ორ ფრონტზე ბრძოლა (იმერეთისა და აფხაზეთის წინააღმდეგ) ოდიშის სამთავროს სულ უფრო და უფრო უჭირდა. 40-იან წლებიდან აფხაზეთის საზღვარზე ლევანი უკვე მხოლოდ თავდაცვითი ღონისძიებებით იზღუდება. ამ მიზნით დადიანმა ოდიშ-აფხაზეთის მიჯნაზე კოშკებით გამაგრებული გრძელი კედელი ააგო, რომელსაც, მისი აზრით, აფხაზთა თავდასხმები უნდა შეეკავებინა. ეს კედელი, რომლის მნიშვნელოვანმა ნაწილმა დღემდე მოაღწია, იწყება ზღვასთან, მდ. კელასურის მარცხე-

ნა ნაპირზე, შემდეგ მიემართება აღმოსავლეთისაკენ, გადაჰკვეთს მდინარე კოდორს და მიუყვება ფანავის ქედის სამხრეთ კალთებს დაახლოებით ღალიძგის ხეობამდე. ამ თავდაცვითი ნაგებობის შექმნისას ოდიშელმა მშენებლებმა, როგორც ჩანს, ნაწილობრივ სიმაგრეთა ძველი სისტემა გამოიყენეს, რომელიც ამ რაიონში ადრეული შუასაუკუნეებიდან არსებობდა. აი, ამ კედელს უნდა დაეცვა ოდიშის სამთავრო აფხაზთა შემოსევებისაგან, როგორც ზღვისპირა მიმართულებიდან, ასევე მთიდან. სასაზღვრო კედელს მორიგეობით იცავდნენ ოდიშელი თავადებისა და ეპისკოპოსების რაზმები[57].

ლევანის მიერ აგებული კედელი ჩვენთვის საინტერესოა იმითაც, რომ იგი საკმაოდ ზუსტად უჩვენებს აფხაზეთ-სამეგრელოს პოლიტიკურ საზღვარს XVII ს-ის შუა ხანებში.

ლევან II-ის სიკვდილის შემდეგ (1657 წ.) ოდიშის მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა. სამთავროში დაიწყო არეულობა, იმერეთის მეფემ ალექსანდრემაც ლევანის მარბიელი ლაშქრობისათვის სამაგიეროს გადახდის საბაბით ენერგიულად შეუტია დადიანთა სამფლობელოს. დასავლეთ საქართველოში ძმათამკვლელი შინაომების ახალი ეტაპი დაიწყო. ცხადია, მოვლენათა მსვლელობას არც აფხაზი ფეოდალები ჩამორჩებოდნენ. აფხაზეთის მთავარმა სუსტარ შარვაშიძემ გააგრძელა სამეგრელოზე თავდასხმები. იერუსალიმის პატრიარქი დოსითეოსი, რომელიც იმ ხანად საქართველოში იმყოფებოდა, აღნიშნავს, რომ მოთარეშე აფხაზები ცხენისწყალამდე იჭრებოდნენ და დადიანს ძალა არ შესწევდა გამკლაეებოდა მათ[58].

ანალოგიურ ცნობებს გვაწვდის იტალიელი მისიონერი ძამპი: "სამეგრელო, სამეგრელო აღარ არის, – წერს იგი, – რადგან ომების გამო უკანასკნელ სიგლახაკეშია ჩავარდნილი, დაქცეული და აოხრებულია. აღარაის ჰყავს საქონელი და ყველას სარჩო აკლია... ახლა კაცს აღარ შეუძლია უშიშრად იყოს, მუდამ აფხაზების დაცემის შიშია"[59].

გარდა შინაომებისა, სამეგრელოს დიდ ზიანს აყენებდა ოსმალების თარეში. მაგალითად, 1672 წელს მათ დალაშქრეს ოდიში და ორი ათასზე მეტი ადამიანი წაიყვანეს ტყვედ[60]. აღსანიშნავია, რომ ოსმალებს ამ ლაშქრობაში გურიის მთავარი მოუძღოდა წინ[61].

განსაკუთრებით დამძიმდა სამეგრელოს მდგომარეობა XVII ს-ის ბოლოს და XVIII ს-ის დასაწყისში, როდესაც სამთავროს ფაქტობრივი ბატონ-პატრონები გახდნენ დაწინაურებული აზნაური კაცია ჩიქვანი და მისი შვილი გიორგი ლი-

პარიტიანი. პირველობისათვის ბრძოლაში ისინი ანადგურებდნენ თავის მოწინააღმდეგე ოდიშელ ფეოდალებს, მათ ყმებს კი ოსმალეთში ყიდდნენ.

შექმნილი ვითარებით კვლავ ისარგებლეს აფხაზმა ფეოდალებმა. სუსტარ შარვაშიძის ვაჟმა, სარეხმა, დალაშქრა ოდიში და დაიკავა მისი ჩრდილოეთ ნაწილი მდ. ღალიძგამდე, მაგრამ წინა პერიოდისაგან განსხვავებით, როდესაც ნადავლით დატვირთული აფხაზები ისევ თავის ქვეყანაში ბრუნდებოდნენ, ამჯერად სარეხმა დაკავებული ტერიტორია თავის სამფლობელოდ გამოაცხადა და შეუდგა მის კოლონიზაციას აფხაზეთიდან გადმოყვანილი მოსახლეობით. ვახუშტი ასე აღწერს ამ ამბებს: "გარნა იყო ჭირი დიდი ოდიშს... და უმეტეს აფხაზთაგან, რამეთუ მოვიდიან ნავებითა და ჴმელითა და სტყუევნიდიან, დაიპყრეს ვიდრე ეგრისის მდინარემდე, და დაეშენებოდნენ თით აფხაზნი"[62].

მალე სარეხმა დაპყრობილი ტერიტორია მდ. ენგურამდე გააფართოვა და, ოდიშის ლეგიტიმური დინასტიის გადაშენების მიზეზით თავი სამეგრელოს მთავრად გამოაცხადა. სარეხი და მისი ბიძაშვილი ყუაპუ ცდილობდნენ ოდიშის დარჩენილი ნაწილის დაპყრობასაც და ამ მიზნით არაერთხელ ილაშქრეს ენგურის მარცხენა ნაპირზე. მაგრამ შარვაშიძეთა ასეთი გაძლიერება ხელს არ აძლევდა დასავლეთ საქართველოს დანარჩენ მფლობელებს. 1702 წელს ოდიშის დასახმარებლად დაიძრა იმდროინდელი იმერეთის ფაქტობრივი მმართველი გიორგი აბაშიძე, რომელსაც სამეგრელოს გამგებელმა გიორგი ლიპარიტიანმა აფხაზთა წინააღმდეგ დახმარება სთხოვა. ვახუშტის ცნობით, "უსმინა აბაშიძემ, შემოიკრიბა სპანი იმერთა, წარვიდა და შთავიდა აფხაზეთს. ვერ წინააღუდგა შარვაშიძე, მოსტყუევნეს აფხაზეთის, აღიღო ალაფი დიდი, დააზავა ლიპარიტიანი და შარვაშიძე, გამოუხუნა ქუეყანა მიღებული და მძეალნი, მერმე წარმოვიდა და მოვიდა იმერეთსავე"[63].

ამრიგად, აფხაზი ფეოდალების ცდამ, დაეკავებინათ მთელი სამეგრელო შედეგი ვერ გამოიღო, ენგურის აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორია გიორგი ლიპარტიანის შთამომავალთა ხელში დარჩა, რომლებმაც ოდიშისათვის ტრადიციული დინასტიური გვარი, დადიანი მიიღეს, მაგრამ მდ. ენგური, ამის შემდეგ, ორ სამთავროს შორის საკმაოდ სტაბილურ საზღვრად გადაიქცა.



აფხაზეთი XVII საუკუნეში

1 - აფხაზთა სუბეთნიკური ჯგუფების გაერცელების დაახლოებითი არეალი XVII საუკუნის I ნახევარში; 2 - აფხაზეთის სამთავროს საზღვარი XVII ს-ის I ნახევარში; 3 - სხვა სამთაეროების საზღერები; 4 - ტერიტორია, რომელიც შეუდა აფხაზეთის სამთაეროს შემადგენლობაში XVII ს-ის 70-80-იან წლებში.

როგორც აღვნიშნეთ, შარვაშიძეთა მფლობელობაში გადასულ ტერიტორიებზე (კოდორ-ენგურის შუამდინარეთი) XVII ს-ის ბოლოდან იწყება აფხაზების ჩამოსახლება და ადგილობრივი მეგრული მოსახლეობის ასიმილაცია, რის შედეგადაც კოდორსა და ღალიძგას შორის მდებარე რაიონი თანდათანობით ეთნიკურად აფხაზური გახდა. რაც შეეხება ღალიძგასა და ენგურს შორის მდებარე ტერიტორიას, რომელსაც XVIII ს-ის დასაწყისიდან სამურზაყანო ეწოდა, მისი მოსახლეობა ეთნიკურად შერეული დარჩა, მიუხედავად იმისა, რომ ასიმილაციური პროცესები აქაც აქტიურად მიმდინარეობდა. ამის მიზეზი იყო ის, რომ ჯერ ერთი, სამურზაყანოში დასახლებული აფხაზების რაოდენობა შედარებით მცირე იყო და მეორე – აქ არ წყდებოდა მეგრული მოსახლეობის (ხიზანი გლეხების) ჩასახლება ენგურს გამოღმა მდებარე რაიონებიდან. სამურზაყანოს ფეოდალური ზედაფენა ძირითადად აფხაზური წარმოშობისა იყო, ხოლო გლეხები აფხაზებიც იყვნენ და მეგრელებიც.

XVII-XVIII სს-ის მიჯნაზე აფხაზეთის მთავრის ზეგნაყ შარვაშიძის შვილებმა მამის გარდაცვალების შემდეგ მისი სამფლობელოები დაინაწილეს: უფროს ვაჟს, როსტომს, ერგო

აფხაზეთის ტერიტორია მდინარე ბზიფსა და კოდორს შორის და მთავრის ტიტული; შუათანას, ჯიქეშიას,— მიწები კოდორიდან ღალიძგამდე (ამ რაიონს აფხაზურად ეწოდა აბჟუა, რაც ნიშნავს "შუალედურს", ხოლო ქართულად — შუა სოფელი); უმცროს ძმას — ყვაპუს კი შეხვდა ტერიტორია ღალიძგიდან ენგურამდე. შემდგომში, როგორც აღვნიშნეთ, ამ ოლქს ეწოდა სამურზაყანო, ყვაპუ შარვაშიძის ვაჟის, მურზაყანის, სახელის მიხედვით.

XVIII ს-ის 70-იან წლებში აფხაზეთში კიდევ ერთი საუფლისწულო ჩამოყალიბდა, რომელიც მოიცავდა გუმისთასა და კოდორს შორის მდებარე ტერიტორიას, ცენტრით სოხუმში. მისი მფლობელი იყო სოხუმის ორთუღიანი ფაშა ქელეშბეგ შარვაშიძე. იმ ხანად აფხაზეთის უზენაესი გამგებელი იყო ქელეშბეგის ბიძა ზურაბი, რომლის უშუალო მფლობელობაში იყო ბზიფის მხარე, ცენტრით ზუფუში (ლიხნი). აბჟუას ფლობდა ბექირბეგ შარვაშიძე, სამურზაყანოს (ანაკლიის ციხითურთ) — ლევან შარვაშიძე.

1780 წელს აფხაზმა ფეოდალებმა კიდევ ერთხელ სცადეს სამეგრელოს დაპყრობა. ოსმალთა წაქეზებით, შარვაშიძეთა გაერთიანებულმა მხედრობამ, რომელშიც შედიოდნენ აგრეთვე ჯიქების, ჩერქეზების და ყარაჩაელების რაზმები (სულ 11 ათასი ცხენოსანი და ქვეითი მეომარი, არტილერიით), ენგური გადალახა და ოდიშის სამთავროში შეიჭრა. ოდიშის მთავრის კაცია II დადიანის ლაშქარი (მეგრელები, ლეჩხუმლები, სვანები) საკმარისი არ იყო ამ ძალების შესაკავებლად და, ამიტომ, დადიანმა დახმარებისათვის მიმართა სოლომონ I-ს, მიუხედავად იმისა, რომ ურთიერთობა მათ შორის საკმაოდ დაძაბული იყო.

იმერეთის მეფე, რომელსაც არ აწყობდა შარვაშიძეთა მეტისმეტი გაძლიერება (მითუმეტეს, რომ იმ პერიოდში ოსმალეთის პოლიტიკური გაელენა აფხაზეთზე წინა წლებთან შედარებით გაზრდილი ჩანს) დადიანის დასახმარებლად დაიძრა. მოწინააღმდეგეთა შეხვედრა მოხდა რუხსა და ზუგდიდს შორის და ისტორიაში შევიდა რუხის ბრძოლის სახელით. შეტაკება მეტად მძიმე და სისხლისმღვრელი იყო და დამთავრდა აფხაზთა დამარცხებით. ბრძოლის ბედი გადაწყვიტა სოლომონ I-ის მიერ მარჯვენა ფლანგიდან განხორციელებულმა შეტევამ. დამარცხებულმა აფხაზებმა დატოვეს ოდიშის სამთავრო და ენგურს გაღმა გავიდნენ[54]. შემორჩენილი ცნობებით, აფხაზთაგან ბრძოლაში განსაკუთრებით თავი გამოიჩინა აბჟუის მფლობელმა ბექირბეგმა[55].

რუხის ბრძოლის შემდეგ დიდი დრო არ გასულა და აფხაზეთში კვლავ დაიწყო ფეოდალური შინაომი. ზურაბ შარვაშიძეს აუჯანყდა მისი ძმისწული ქელეშბეგი. ამ ბრძოლაში ზურაბს დახმარება აღმოუჩინა ოდიშის მთავარმა კაციამ[66]. მიუხედავად ამისა, საბოლოო ანგარიშით, აფხაზეთში პირველობისათვის ბრძოლა მაინც ქელეშბეგის გამარჯვებით დასრულდა. ამ საქმეში გარკვეული როლი შეასრულეს ოსმალებმაც, რომლებიც არ ენდობოდნენ ზურაბ შარვაშიძეს და მხარს უჭერდნენ ქელეშბეგს, როგორც ოსმალეთში აღზრდილს და გამაჰმადიანებულს.

ამრიგად, XVIII ს-ის 80-იანი წლების დასაწყისში აფხაზეთის მთავარი გახდა ქელეშბეგ შარვაშიძე, რომლის უშუალო გამგებლობაში მოექცა ბზიფის მხარე და სოხუმის ოლქი (გუმა). ახალმა მთავარმა მიზნად დაისახა აფხაზეთში ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერება და ნახევრად დამოუკიდებელი მსხვილი ფეოდალების დამორჩილება. ამ პოლიტიკის გატარებისას ქელეშბეგი ეყრდნობოდა წვრილ ფეოდალებს და თავისუფალ გლეხობას, რომლებიც სამთავროს მოსახლეობის დიდ ნაწილს წარმოადგენენ.

შესაძლოა გლეხთა ფარო მასების მიმხრობის მიზნით, ქელეშბეგი გაშორდა თავის პირველ ცოლს, რომელიც თავადი ძაფშიფას ასული იყო (ეს ფეოდალური საგვარეულო XVIII ს-ის მეორე ნახევარში ძალიან გაძლიერდა და ხშირად ეურჩებოდა მთავრებს) და იქორწინა ლეიბას გვარის ქალზე (ეს გვარი ანხაიუს კატეგორიას ეკუთვნოდა). რაც შეეხება ძაფშიფებს, მთავარმა დაახოცინა მათი თავკაცები და ჩამოართვა სამფლობელოების ნაწილი.

მალე ქელეშბეგი აბჟუის (შუა სოფლის) დამორჩილებას შეუდგა. მისი გულადი მფლობელი ბექირბეგი, რომელსაც ანჩაბაძის ქალი ჰყავდა ცოლად და ამ მრავალრიცხოვანი საგვარეულოს მხარდაჭერით სარგებლობდა, შეებრძოლა მთავარს, მაგრამ დამარცხდა. ქელეშმა დაიკავა აბჟუელთა სიმაგრეები და ეს მხარეც თავის დომენს შეუერთა. ამრიგად ქელეშბეგის უშუალო მფლობელობაში აღმოჩნდა აფხაზეთის ტერიტორია ჯიქეთიდან მდ. ღალიძგამდე. რაც შეეხება სამურზაყანოს, მისი მფლობელები აღიარებდნენ აფხაზეთის მთავრების უზენაესობას, მაგრამ შინაგან საქმეებში და, ზოგჯერ საგარეო ურთიერთობებშიც, სრული თავისუფლებით სარგებლობდნენ. ასევე ნომინალურად ემორჩილებოდნენ ქელეშბეგს მთის აფხაზური თემები (დალი, წებელდა, ფსხუ), სადაც პირველობდნენ თავადი

მარშანიები, და ჯიქეთი სოფელ მამაიმდე (სოჩის დასავლეთით). ქელეშბეგმა აფხაზეთის პოლიტიკურ ცენტრად აქცია ქალაქი სოხუმი, რომელსაც იგი ფლობდა როგორც სოხუმის ფაშა. ამისთვის იგი ყოველწლიურ გასამრჯელოსაც იღებდა სულთ-



აფხაზეთის სამთავრო XVIII საუკუნის ბოლოს

როგორც აღვნიშნეთ, ქელეშბეგი ოსმალეთის იმპერიის მხარდაჭერით სარგებლობდა და თავისი მიზნების მისაღწევად კარგად იყენებდა ამ მხარდაჭერას. ამ პერიოდში იგი ფორმალურად აღიარებდა სულთნის უზენაესობას, მაგრამ ქელეშბეგის საბოლოომიზანი იყო არა მარტო საკუთარი ტახტის განმტკიცება და ურჩი ფეოდალების დათრგუნვა, არამედ, როგორც ჩანს, დამოუკიდებლობის მიღწევა[67]. ამიტომ, ურთიერთობა სულთნის კარსა და აფხაზეთის მთავარს შორის თანდათანობით დაიძაბა. ღია კონფლიქტის საბაბი გახდა ქელეშბეგის მიერ გაქცეული ოსმალო დიდებულის, თაიარ ფაშას შეკედლება, რომელსაც სახელმწიფო ღალატში ედებოდა ბრალი. აფხაზეთის მთავარმა არა თუ არ შეასრულა სულთნის ბრძანება – მოეკლა ურჩი თაიარ ფაშა, არამედ საშუალება

მისცა ამ უკანასკნელს გაქცეულიყო რუსეთში. ამან განარისხა სულთანი, რომელმაც აფხაზეთზე ლაშქრობის ბრძანება გასცა. დამსჯელ ოპერაციაში მონაწილეობა უნდა მიეღოთ ჩრდილო-აღმოსავლეთი ანატოლიის ვილაიეთების მმართველებს და 11 ხომალდისაგან შემდგარ საზღვაო რაზმს. მაგრამ ანატოლიის ლაშქარმა აფხაზეთამდე ვერ ჩააღწია, ვინაიდან დასავლეთ საქართველოზე გამავალი სახმელეთო გზა რუსეთის ჯარების მიერ გადაკეტილი აღმოჩნდა, ფლოტილიის მეთაურმა კი დამოუკიდებლად საბრძოლო მოქმედებები აღარ დაიწყო, ვინაიდან მიიღო ცნობა, რომ სოხუმში ქელეშბეგს 25 ათასამდე აფხაზი და ჩერქეზი მეომარი ჰყავდა მოგროვებული (1806 წ.)[68].

რუსები დასავლეთ საქართველოში 1804 წლიდან იმყოფებოდნენ. ისინი აქ მოიწვია ოდიშის მთავარმა გრიგოლ დადიანმა, რომელსაც ავიწროებდა იმერეთის მეფე სოლომონ II. 1804 წლის ივლისში რუსეთის მეფემ ალექსანდრე I-მა ხელი მოაწერა აქტს, რომლის ძალითაც ოდიშის სამთავრო რუსეთის მფარველობაში შედიოდა. ასე დაიწყო რუსების გაბატონება აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, რომელსაც სტამბოლში ოსმალთა სახელმწიფოს შემადგენელ ნაწილად თვლიდნენ.

ამრიგად, 1806 წელს ქელეშბეგი აშკარად გამოვიდა ოსმალეთის მორჩილებიდან, მაგრამ იგი არც რუსეთთან შეერთებას ჩქარობდა და ამ ორი იმპერიის დაპირისპირების პროცესში, ფაქტობრივი დამოუკიდებლობის შენარჩუნება სურდა. 1807 წელს, რუსეთ-თურქეთის ომის დროს, რუსებმა ქელეშბეგს შესთავაზეს დახმარებოდა მათ ფოთის ციხის აღებაში. აფხაზთა ლაშქარი ფოთისკენ დაიძრა, მაგრამ ბრძოლაში აქტიური მონაწილეობა არ მიუღია და მალე დაიშალა სურსათის ნაკლებობის საბაბით. ამ ფაქტის გამო სამეგრელოში რუსთა ჯარის სარდალი გენერალ რიკგოფი პეტერბურგს ატყობინებდა: "ქელეშბეგი მხოლოდ გარეგნულად მეგობრობს რუსეთთან"[69]. ასეთ რთულ სიტუაციაში 1808 წლის 2 მაისს, ღამით, 61 წლის ქელეშბეგი მოკლული იქნა სოხუმის ციხეში, საკუთარი სახლის კარებთან.

ისტორიკოსებში არ არის ერთიანი აზრი იმის შესახებ, თუ ვინ მოკლა ქელეშბეგი. რუსული ოფიციალური წყაროებიდან გამომდინარე, ავტორთა უმეტესობა თვლის, რომ ქელეშბეგის მკვლელობა მოწყობილი იყო ოსმალთა მიერ და მათი განზრახვის შემსრულებლად გამოდიოდა მთავრის უფროსი ვაჟი ასლანბეგი, რომელიც ქელეშბეგს პირველი ცოლისგან, ძაფშიფას ქალისაგან ჰყავდა[70]. მაგრამ არსებობს აგრეთვე მოსაზრე-

ბა, რომ აფხაზეთის მთავრის მკვლელობა რუსეთის სამხედრო ადმინისტრაციის მიერ იყო ორგანიზებული[71].

ქვლეშბეგის მკვლელობამ აფხაზეთში პოლიტიკური სტაბილურობა დაარღვია. ძალაუფლება ხელთ იგდო ასლანბეგმა, რომელმაც აღადგინა ოსმალებთან ძველი ურთიერთობა და მათგან პოლიტიკური და სამხედრო მხარდაჭერა მიიღო. ასლანბეგის მეტოქე, მთავრის უმცროსი ვაჟი საფარბეგი, გლეხის ქალისგან შობილი, ოდიშში გაიქცა (მას გრიგოლ დადიანის და ჰყავდა ცოლად). საფარბეგი საიდუმლოდ მონათლული იყო და მისი ქრისტიანული სახელი იყო – გიორგი. მან იმპერატორ ალექსანდრე I-ს დახმარება სთხოვა და სამაგიეროდ სამეგრელოს მსგავსად აფხაზეთის რუსეთის პროტექტორატად გადაქცევას დაპირდა. პასუხი პეტერბურგიდან დადებითი იყო, მაგრამ რადგანაც რუსეთსა და ოსმალეთს შორის დროებითი ზავი იყო დადებული, რუსეთის მთავრობა ჯერ საიდუმლოდ ინახავდა ამ გადაწყვეტილებას.

1809 წლის გაზაფხულზე დასავლეთ საქართველოში განახლდა სამხედრო მოქმედებები რუსებსა და ოსმალებსა შორის. იმავე წლის ნოემბერში რუსებმა ფოთი აიღეს. ამის შემდეგ იმერეთის სამეფოს ჯერი დადგა, ვინაიდან სოლომონ II-ს არ სურდა რუსეთის მორჩილებაში ყოფნა.

1810 წელს რუსეთის ჯარები, ოდიშისა და გურიის მთავართა მხარდაჭერით, იმერეთში შეიჭრნენ. ასლანბეგ შერვაშიძე, რომელიც სოლომონის მოკავშირე იყო, 4000 მეომრით ოდიშისაკენ დაიძრა, რათა აეძულებინა დადიანი, ხელი აეღო იმერეთის მეფის წინააღმდეგ ბრძოლაზე[72].

როდესაც ასლანბეგი ოდიშისკენ მიდიოდა, 1810 წლის 8 ივლისს, სოხუმს უეცრად ყირიმიდან წამოსული რუსული ესკადრა მიადგა (6 საბრძოლო ხომალდი). ორდღიანი საარტილერიო დუელის შედეგად სოხუმის ციხე მძიმედ დაზიანდა. მესამე დღეს რუსებმა დესანტი გადმოსხეს და ქალაქი ხელთ იგდეს. ოფიციალური რუსული მონაცემებით სოხუმის დამცველთაგან მოკლული იყო 300, ხოლო ტყვედ ჩავარდა 78 კაცი. რუსებმა 109 ჯარისკაცი და ოფიცერი დაკარგეს[73].

რამდენიმე დღის შემდეგ ნახევრადდანგრეულ ქალაქში რუსული ჯარის ახალი კოლონა შევიდა, რომელსაც თან მიჰყვა საფარბეგ (გიორგი) შარვაშიძე. იგი გამოცხადებულ იქნა აფხაზეთის მთავრად რუსეთის მფარველობის ქვეშ. ასლანბეგი ამ დროისათვის უკვე ჯიქეთში იყო გადასული, შემდეგ კი სტამბოლში წავიდა დახმარების მისაღებად. ამის შემდეგ ასლანბეგ

შარვაშიძე კიდევ მრავალი წელი იბრძოდა რუსეთის იმპერიისა და აფხაზეთში მის მიერ დასმული მთავრების წინააღმდეგ.

შენიშვნები

1. ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ., 1973.
2. ნიკო დადიანი. ქართველთ ცხოერება. ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა, გამოკვლევა, კომენტარები, საძიებლები და ლექსიკონი დაურთო შ. ბურჯანაძემ. თბ., 1962.
3. სულხან-საბა ორბელიანი. მოგზაურობა ევროპაში. ს. იორდანიშვილის რედაქციით, წინასიტყვაობით, შენიშვნებით და ლექსიკონით. თბ., 1940.
4. არჩილიანი (თხზულებათა სრული კრებული). ალ. ბარამიძის და ნ. ბერძენიშვილის რედ. ტ. II. თბ., 1937.
5. ფეშანგი. შაჰნავაზიანი. გ. ლეონიძისა და ს. იორდანიშვილის რედ. თბ., 1935.
6. ბესიკი. თხზულებანი. თბ., 1962.
7. არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა. თარგმანი იტალიურიდან ალ. ჭყონიასი. მეორე გამოცემა. ლ. ასათიანის წინასიტყვაობით, რედაქციით და შენიშვნებით. თბ., 1938.
8. Дортели Д'Асколи. Описание Черного моря и Татарии. Записи Императорского одесского общества истории и древностей. Т. XXIV. Одесса, 1902
9. Жан де Люк. Описание перекопских и ногайских татар,черкесов, мингрелов и грузин Записки Императорского одесского общества истории и древностей. Т. XI. Одесса, 1879.
10. ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში. ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა. თბ., 1979.
11. Материалы для русской истории С.Белокурова ("Посольство в Дадианскую землю"). М., 1888.
12. Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся до Грузии, под. ред. А.А.Цагарели. Т. I. СПб., 1891, с.261
13. С.Броневский. Новейшие географические и исторические известия о Кавказе. Ч. I. М., 1823.

14. П.Бутков. Материалы новой истории Кавказа с 1722 по 1803 год. Ч. I, II, III. СПб., 1871-1888.
15. П.К.Жузе. Грузия в XVII столетии по изображению патриарха Макария. Казань, 1905 (оттиск из журнала "Провославный собеседник").
16. ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი". თურქულიდან თარგმნა კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გიორგი ფუთურიძემ. ნაკვ. I. თბ., 1971.
17. ქათიბ ჩელების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. თურქულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გიული ალასანიამ, თბ., 1978.
18. ნ. შენგელია. XV-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის ოსმალური წყაროები. თბ., 1974. გვ. 108-111
19. იქვე. გვ. 125.
20. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II, თბ., 1959. გვ. 349.
21. ფარსადან გორგიჯანიძე. ისტორია. ს. კაკაბაძის გამოცემა, „საისტორიო მოამბე". წ. II. თბ., 1925. გვ. 215.
22. არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა. გვ. 176.
23. ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი". გვ. 108. – ეთნონიმი აბაზა წარმოდგება ძველი აფხაზური ტომი აბაზგების სახელისაგან. როგორც სახელწოდება იგი ნაწილობრივ შემორჩა ჩრდილოაფხაზურ ტომებში და ამჟამად ასე უწოდებს თავს თანამედროვე აბაზა ხალხი. XV-XX ს-ის დასაწყისის თურქულ და ზოგ სხვა უცხოურ წერილობით წყაროებში ტერმინი აბაზა იხმარება, როგორც ყველა აფხაზური ეთნიკური ჯგუფის აღმნიშვნელი სახელი, კავკასიონის როგორც სამხრეთ, ასევე ჩრდილოეთ კალთებზე.
24. იხ. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I, თბ., 1955. გვ. 177, 242.
25. ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი". გვ. 105.
26. გვიანდელ შუა საუკუნეებში ისტორიული აფხაზეთიდან ჩრდილო კავკასიაში მოსახლეობის მასობრივი მიგრაციის შესახებ წერენ XVII-XVIII სს-ის ავტორები – ევლია ჩელები, გლავანი, პეისონელი, გიულდენშტედტი, რაინეგსი, პალასი, პოტოცკი და სხვა. რაიმე მონაცემი საპირისპირო მიმართულებით მოძრაობაზე (ჩრდილო კავკასიიდან აფხაზეთისკენ), რომელიც თავის გარკვეულობითა და სანდოობით ზემოხსენებულ ავ-

ტორთა ცნობებს შეიძლება შეედაროს, წერილობით წყაროებში არ მოიპოვება.

27. აბაზა ხალხის წინაპართა გადასახლება ჩრდილო კავკასიაში ისტორიული აფხაზეთის ტერიტორიიდან მტკიცდება არა მხოლოდ წერილობითი წყაროების პირდაპირი ცნობებით, არამედ ტოპონიმიური და ენობრივი მასალებითაც, და აგრეთვე აბაზების ისტორიული გადმოცემებით, სადაც დღევანდელი აფხაზეთისა და სოჩის რეგიონის გარკვეული ადგილები მოხსენიებულია, როგორც აბაზების ცალკეული სუბეთნიკური ჯგუფების პირვანდელი საცხოვრისი.

28. Очерк истории Абхазской АССР. Ч. I. Сухуми, 1960. С. 97.

29. И.Г.Антелава. Очерки по истории Абхазии XVII-XVIII веков. Сухуми, 1949. С. 121.

30. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. გვ. 785.

31. Адыги, балкарцы и карачаевцы в известиях европейских авторов XIII-XIX вв. Составление, редакция переводов, введение и вступительные статьи к текстам В.К.Гарданова. Нальчик, 1974. С. 266.

32. ჟაკ ფრანსუა გამბა. მოგზაურობა ამიერკავკასიაში. ქართულიდან თარგმნა, კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა. თბ., 1987. გვ. 89.

33. ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი". გვ. 103. აფხაზეთიდან გამავალი საქონლის ევლიასეულ სიაში გამოტოვებულია ხე-ტყე (განსაკუთრებით ბზა), რომელიც დიდი რაოდენობით გაჰქონდათ დასავლეთის ქვეყნებში. შემთხვევითი არ არის, რომ ერთ-ერთ მთავარ სავაჭრო პუნქტს აფხაზეთის სანაპიროზე გვიან შუა საუკუნეების ევროპულ წყაროებში უწოდეს „კავო დი-ბუსო" („ბზის ნავსადგური"). მაგრამ მთავარი „საქონელი", რაც ყველაზე მეტად აინტერესებდათ უცხოელებს, იყო ტყვეები. ევლია ჩელები შემთხვევით არ მოიხსენიებს „ნაზ ბიჭებს" თავისი სიის დასაწყისში. XV-XVIII სს-ში აფხაზეთი ტყვეებით ვაჭრობის ერთ-ერთ მთავარ კერას წარმოადგენდა და აფხაზები, ქართველებთან და ჩერქეზებთან ერთად, კავკასიიდან გაყვანილი მონების უმრავლესობას შეადგენდნენ. ვაჭრებს ტყვეებით მნიშვნელოვანწილად ამარაგებდნენ ადგილობრივი ფეოდალები, რომლებიც ყიდიდნენ, როგორც მეზობელ ოლქებზე თავდასხმის დროს შეპყრობილ ადამიანებს, ასევე საკუთარ ქვეშევრდომებს. ცხადია ბევრი ტყვე იკარგებოდა გარეშე მტრის შემოსევების დროსაც.

34. Дортели Д'Асколи. Описание Черного моря и Татарии. С. 100.

35. ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. გვ. 785-786.
36. Адыги, балкарцы и карачаевцы в известиях европейских авторов XIII-XIX вв. С. 90.
37. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა გვ.784. XVIII ს-ის ბოლოსა და XIX ს-ის დასაწყისში აფხაზეთის სამთავროს პოლიტიკური ცენტრი სოხუმი იყო.
38. აქ მოტანილი სოციალური ტერმინები ძირითადად XIX ს-ის საბუთებში გვხვდება, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ისინი არ არსებობდნენ უფრო ადრეულ ხანაში.
39. აქ ლამბერტი, ცხადია, აფხაზების ძირითად მასას გულისხმობს. რაც შეეხება აფხაზ ფეოდალებს, კერძოდ არისტოკრატიულ ზედაფენას, მათ კარგად გამაგრებული ციხე-დარბაზები ჰქონდათ.
40. არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა. გვ. 168.
41. იქვე. გვ. 168.
42. იქვე.
43. ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. გვ. 284.
44. ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში. გვ. 204.
45. З.В.Анчабадзе. Из истории средневековой Абхазии (VI-XVII вв). Сухуми, 1959. С. 272. ეკონომიკური ზემოქმედების სხვა ფორმა იყო, როდესაც ოსმალები თვითონვე ასაჩუქრებდნენ ხსენებული საქონლით ადგილობრივ მფლობელებს. მაგალითად, 1722 წ. სტამბოლიდან აფხაზ ფეოდალებს, ტრადიციულ საპატიო ხალათებთან ერთად, გაეგზავნათ 3000 ოყა მარილი (Osmanlı tarihi, IV Cılt, 2 kısım, XVIII yüzil, Ord. Prof. İsmail Hakki Uzunçarşılı, Ankara, 1959, s.129). ოყა – წონის ერთეული, რომელიც ოსმალეთის სხვადასხვა პროვინციაში 100-დან 400 დირჰემამდე მერყეობდა. სტამბოლის ოყა 400 დირჰემს 1282 გრამს უდრიდა.
46. ევლია ჩელების " მოგზაურობის წიგნი". გვ. 106.
47. ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. გვ. 786. წარმართული რწმენების აღორძინებისა და ისლამის ნაწილობრივი გავრცელების მიუხედავად აფხაზეთში თითქმის საყოველთაოდ იქნა შენარჩუნებული რიდი და პატივისცემა ქრისტიანული რელიგიისადმი. "აქეთ სასოება მღუდელთა ფრიად" – აღნიშნავს იქვე აფხაზების შესახებ ვახუშტი. გამაჰმადიანებული აფხაზები XIX ს-შიც კი ღრმა პატივს სცემდნენ ქრისტიანულ ძეგლებს. მაგალითად, ბიჭვინტის ტაძართან დადებული ფიცი გაუტეხლად ითვლებოდა. საინტერესოა შვეიცარიელი მოგზაური ფრ. დიუბუა დე მონპერეს ცნობა, რომ არც ერთი ხალხი ასეთი

სასოებით არ ეკიდება ეკლესიაში დაცულ ნივთებს, როგორც აფხაზები და ქართველებიო. (Фр. Дюбуа. Путешествие вокруг Кавказа, Сухуми, 1937. С. 110).
48. ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. გვ. 887.
49. М. Пейсонель. Исследование торговли на черкесско-абхазском берегу Черного моря в 1750-1762 годах. Краснодар. С. 29.
50. ნიკო დადიანი. ქართველთ ცხოვრება. გვ. 178.
51. ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. გვ. 826.
52. არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა. გვ. 16.
53. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ, წიგნი II. თბ., 1897. გვ. 447.
54. არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა. გვ. 22.
55. З.В.Анчабадзе. Из истории средневековой Абхазии (VI-XVII вв). С.264-265.
56. ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში. გვ. 234.
57. არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა. გვ. 166.
58. З.В.Анчабадзе. Из истории средневековой Абхазии (VI-XVII вв). С.269.
59. მ. თამარაშვილი. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის. ტფილისი, 1902. გვ. 204.
60. ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში. გვ. 250.
61. იქვე. გვ,206; მ. რეხვიაშვილი. დასავლეთ საქართველო XVII საუკუნეში. თბ., 1978. გვ. 86.
62. ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. გვ. 845.
63. იქვე. გვ. 863.
64. ნიკო დადიანი. ქართველთ ცხოვრება. გვ. 179.
65. ძველი საქართველო, II. ე. თაყაიშვილის რედაქტორობით. თბ., 1913. გვ. 44-45; ბესიკი. თხზულებანი. თბ., 1962. გვ. 126.
66. ნიკო დადიანი. ქართველთ ცხოვრება. გვ. 180-181.
67. И.Г.Антелава. Очерки по истории Абхазии XVII-XVIII вв. С.74.
68. Акты Кавказской Археографической комиссии. т. III. С. 192-193.
69. იქვე. გვ. 190.
70. იქვე. გვ. 198.
71. С.З.Лакоба. Асланбей. Сухум, 1999. С. 13.
72. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. IV. 1973. გვ. 873.
73.Акты Кавказской Археографической комиссии. Т. IV. С. 422-424.

ÖNSÖZ

İlk bölümde XVII-XVIII yy Osmanlı İmparatorluğu belgeleriyle Abhazya tarihi hazırlanmıştır. Bu belgeler Osmanlı İmparatorluğu tarihinin çok küçük bir bölümünü oluşturmaktadır. Bu belgeler Bulgaristan'daki "Sofya Kirile ve Metodes Halk Kütüphanesi"nin Orientalıstik bölümünde bulunmaktadır. Orada milyonlarca belge bulunmaktadır ve bu belgelerin 5000, den fazlası Gürcistan ve Kafkasya'ya aittir.

Tüm bu kolleksyon ayrı ayrı bölgelere göre yazılmıştır. Gürcistan ve Kafkasya ile ilgili belgeler , şehirlerin isimlerine göre ayrılmıştır. Abhazya tarihinin belgeleri genel olarak Sohum bölümünde birikmiştir. /Fon 312 - A/, burda 100 dosya vardır, toplam belgelerin sayısı 200'den fazladır. Bunun dışında, Abhazya ve Abhazlar hakkındaki belgeler bu kütüphanenin değişik bölümlerinde de yine mevcuttur.

Sohum bölümünde bulunan genel olarak ele alınan konu Abhazya topraklarında bulunan Osmanlı İmparatorluğu kaleleri hakkındadır.(Askeri yapıları, yerleşimi, konumu, tutumu, kale komutanları ve diğer komutanların hakkındaki bilgiler, Sohum çevresindeki yapıların yapılaşmanın tutanakları ve buna benzer.) Bunun dışında çok enteresan belgeler de korunmuş durumdadır. Osmanlı İmparatorluğu'nun yerli halka olan ilişkileriyle ilgili; bir diğer enteresan olay da Osmanlı fetihleri esnasında Gürcü ve Abhaz halklarının ortak tavırlarını görmekteyiz.

Sohum bölümünde Sohum sancak defteri (Yaklaşık 10 sayfa) bulunmaktadır. Maalesef çok yıpranmış, küflenmiş ve yırtık durumdadır. Bu belgede söz konusu olan bilgiler, bir liman şehri olan Sohum'e getirilen yükler ve Sohumu'nın Karadeniz kıyısındaki diğer limanlarla olan ilişkisi ve benzer durumları hakkındadır.

Aynı belgelerden derlenmiş belgelerde Poti (Faş) Kalesiyle ilgili koleksiyon mevcuttur. Bu belgelerde Abhazya'da Osmanlı İmparatorluğu padişahların ve beylerinin tarihi öğrenmeleri yeterince enteresandır. Çünkü Poti'deki Osmanlı İmparatorluğu paşasına Karadeniz kıyıları teslim edilmişti. Bunun dışında, Poti belgelerinde belirtilmektedır ki, birbirlerine benzerlikleriyle. Abhazya topraklarında bulunan Osmanlı İmparatorluğu kaleleri de tarih açısından çok enteresandır.
Eski Gürcü şehri Poti'yi bilindiği üzere ilk defa Osmanlı İmparatorluğu 1579 yılında ele geçirdi, fakat Gürcüler 1640 yılında şehri geri aldılar. 1723 yılında Osmanlı İmparatorluğu Poti'yi yeniden ele geçirdi, burasını merkez yapıp oradan Batı Gürcüstan kıyılarını etkisi altına aldı. Poti'nin yönetecisi, önceden de bahsettiğimiz üzere, bu bölgelerde bulunan diğer Osmanlı İmparatorluğu kalelerine hükmediyordu. Bunların dışında Abhazya topraklarında Sohum ve Anakopi'deki garnızonlara hükmediyordu.
Aşağıdaki değişik tip belgeler gerçek ve enteresan tarihi belgeleri oluşturmaktadır. Bu belgelerde öncelikle "Hazine teskeresi," "Küçük beratlar," "Sebebi tahrir-i hükümler," "Fermanlar," "Belgeler," "Arzlar," "Mektuplar," "Defterler," "Yazılar" ve benzeri. Bunların büyük bölümü Gürcistan ve Abhazya tarihçileri için bilinmemektedir. İlk defa tarihçilerin önüne seriliyor.

Giriş

XVII-XVIII. Yüzyılın Abhazya Tarihinin Yazılı Kaynaklarının Kısa İncelemesi

Geçmişten günümüze kadar Orta Çağ Abhazya tarihi araştırmacısı tarihi kaynaklarının eksiklik sorununa rastlamaktadır. Abhazya'nın gerek ekonomi, gerek sosiyal-politik, etnik ve kültür tarihi konuları yeterince incelenmemiştir. Bu yönden, özellikle klasik Orta Çağ dönemi (XI-XV yy.)önde gelmektedir. Bu döneme bağlı direct Abhazya ve Abhazlar hakkındaki yazılı kaynaklar (Gürcü ile yabancı kaynaklar) az mıktarda bulunmakla beraber en veciz ve kuru şekilde ifade edilmişti. Daha sonraki XVII-XVIII. yüzyıllar döneminde durum biraz düzelme ktedir. İşte elinizdeki kitaba yayınlanan malzemeler bu döneme aittir.

Abhazya tarihi yazılı kaynaklarının incelemesine Gürcü eserleri ile başlamamız doğaldır, çünkü Abhazya bütün feodal dönemi boyunca Gürcü politik-kültürel dünyasının bir parçası olup Batı Gürcistan'ın komşu bölgeleriyle yakın ilişki içinde bulunmaktaydı.

Ele aldığımız dönemin Gürcü tarihi kaynaklarında, Abhazya ve Abhazlar hakkında bilgi verme açısından Vahuşti Batonişvili'nin "Gürcistan Kralığı'nın Tarifi" isimli eseri belirtilmeli. Çeşitli ve ilginç malzemeleri kapsayan bu temel çalışması Abhazya dahil olmak üzere doğu Abhazya kabilelerinin yerleştiği Ciketi hakkında da bilgi vermektedir. (Goğrafyanın tarifi, etnografik nitelik taşıyan bilgiler, ekonomik, askeri-politik ve kültür tarihine gerek malzemeleri v.s.)

XVIII. yüzyılın ikinci yarısına ilişkin Abhazya tarihinin çok önemli bir kaynağı, daha çok askeri-politik nitelik taşıyan bilgileri içeren Niko Dadiani'nin "Gürcülerin Yaşantısı" isimli eseridir. Feodal dönemin Batı Gürcistan'ın tarihçisi N. Dadiani devrindeki bize ulaşan eserlerin tek yazarı olduğu belirtilmeli. Megrelya sarayı temsilcisi ve belirli bir dönemin Odişi fiili yöneticisi N. Dadiani Abhazya'yı iyice tanımakla beraber yöneticilerle kişisel ve akrabalık ilişki içinde bulunduğundan onun Abhazya ile ilgili bilgileri gerçek kaynak oluşturuyor. Yükarıda belirtiğimiz eserde Abhazya feodallerinin aktif olarak katıldığı Gürcistan'ın feodal iç savaşları ve Gürcü ile Abhaz halkın yabancı fatihlere karşı ortak yapıldığı savaşlar gösterilmiştir.

2 1143 წლის 29 მუჰარემი – 14 აგვისტო 1730 წლისა.

№ 9

ანაკლიის ციხის თოფჩიების თოფჩიბაშილიქი.

იბრაჰიმმა არზა წარადგინა, ზემოხსენებულ ციხეში ადგილობრივი თოფჩი ბაშის თანამდებობაზე მყოფი პირი, დღიური ულუფა 40 ახჩას ოდენობით, აღნიშნულ ციხეში შესაფერის სამსახურს ასრულებდა. გურჯისტანში, აფხაზეთსა და არზრუმის მხარეებში ტყვეთა სყიდვა იყო გავრცელებული, ამიტომ მან აუცილებელი სამსახური დატოვა ბოძებული არზის თანახმად, რადგანაც აღნიშნული თოფჩი ბაშილიქი, ხსენებულ ოსმანს მიეტოვებინა, თავად მას – იბრაჰიმს ებოძა, მისთვის ხელზე პატიოსანი, დიდებული ბერათის ბოძების საკითხზე არზა წარადგინეს, აღნიშნულის საფუძველზე, ხსენებული ციხის ბეშლუიანების აღამ-ოსმანმაც არზა წარადგინა, მისი შუამდგომლობის გამოც ეს თანამდებობა მას ებოძა.
რები ულ-ახირის 2, წელი 1143[1] ბრძანება,
თესქერე გაიცა, რები ულ-ახირის 4-ს წელი 1143[2].
რეგისტრირებულია

1 რები ულ-ახირის 2, წელი 1143 – 15.10.1730 წელი
2 რები ულ-ახირის 4, წელი 1143 – 17.10.1730 წელი.

№ 10

სოხუმის ციხეში ბეშლუიანთა ჯამაათის აღას თანამდეობა.

აღნიშნულ ციხეში დღიური 50 ახჩა ულუფით ბეშლუიან-ი ეველი აღა მეჰმედ ბენ ალი, რადგანაც ლაზების ტომიდან იყო და 13 წლის განმავლობაში ამ თანამდებობას ასრულებდა. არსებული წესის მიხედვით, სავალდებულო საჭირო სამსახურის შესრულების გაგრძელება არ შეიძლებოდა. ამიტომ მეჰმედ ბენ ალის შუამდგომლობით ბეშლუიანი ეველი აღას თანამდებობისათვის მზადყოფ, დამსახურებულ და სამსახურის პასუხისმგებლობის მქონეს, ძლიერს, გულადსა და სახელოვან ჰუსეინ აბდულლაჰს, იმატოს მისმა სიძლიერემ, ებოძა და ხელზე დიდებული, პატიოსანი ბერათის წყალობისა და ბოძების წერილობითი დოკუმენტი გაიცა. ამ საკითხზე წყალობის თხოვნა ციხის მცველის ალი არსლან ბეგის არზის თანახმად დაკმაყოფილდა.
1143 წლის 17 მუჰარემი[1], ბრძანება.
ბერათის თესქერე გაიცა. 1143 წლის 26 მუჰარემი.[2]

რეგისტრირებულია.

1 1143წლის 17 მუჰარემი – 2.8.1730 წელი.
2 1143 წლის 26 მუჰარემი – 11.8.1730 წელი.

№ 11

დერი საამლიქის თანამდებობა ფოთის ციხის პატიოსან ჯამეში

ხსენებულ ციხეში მყოფმა მუსტაფა ეფენდიმ არზუჰალი წარადგინა, ფოთის ციხიდან უწინდელი მუფთიები სახელად ალი და ჰასანი შეიხები გახდნენ, რადგანაც სუყველანი მუნეჯიმები იყვნენ /ასტროლოგები/, გონიოს კაზადან არზა და ვილაიეთის ვითარების შესახებ, პეტიცია შემოვიდა, აღებული ტრაპიზონის ვალისაგან და დასახელებული ციხიდან საყვედური და არზა იქნა გამზადებული და წარდგენილი. ხსენებულ ციხეში მდებარე ჯამი შერიფის ფოთის საბაჟოს მუქათაას ფინანსებიდან 60 ახჩას სარჩოს აღება დერი საამლიქის მოვალეობაა, აღნიშნული თანხა ალი ბენ ალ-ჰაჯ აბუბექრის დაეწერა, რადგანაც ცარიელი დარჩა, აღნიშნული დერი საამლიქი ხსენებული ალი ბენ ილ-ჰაჯი აბუბექრის შუამდგომლობით თავად მას ებოძა, და მის ადგილზე დიდებული პატიოსანი ბერათის ბოძებისა და წარდგინების საკითხზე, მოწყალება იქნა წარმოდგენილი და მისი ბოძების ბრძანების საკითხზე კეთილშობილი ისლამის მუშეიხი მულან ალ-სეიდი აბდალ-სეიდის უდიდებულესობას ნიშანი მიეცა, მის საფუძველზე მას ებოძა, გაიცა ბრძანება,

დაიწერა 1143 წლის 19 ზილ-კადეს[1]
ბერათი გაიცა 1144 წლის 12 მუჰარემს[2]

1 1143 წლის 19 ზილ-კადეს - - - 26.5.1731 წელი.
2 1144 წლის 12 მუჰარემი - - - 1.7.1731 წელი.

სოხუმის ციხეში დღიური 60 ახჩას მქონე ხელფასით დერისაამის /ჭეშმარიტი მლოცველის/ თანამდებობის მქონე კასიმ ეფენდი სხვა მხარეში წავიდა და სავალდებულო სამსახური მიატოვა. რადგანაც აღნიშნული დერისაამის თანამდებობა თავისუფალი იყო, ხსენებულის რეკომენდაციით იგი შეიხ ალი ეფენდის ებოძა და დიდებული, პატიოსანი ბერათის ბოძების საკითხზე წყალობის თხოვნა სოხუმის ციხის მცველს არსლან ალი ბეგს არზა გაეგზავნა კასიმ ეფენდის გარდაცვალებასთან დაკავშირებით. სამსახურის შესრულებისათვის დერისაამლიქის დღიური 60 ახჩა შეიხ აჰმედს ებოძა. ამჟამად, რადგანაც მთავარი მოანგარიშის ველზე მინაწერი არსებობს აღნიშნული დერისაამლიქი კასიმისა და შეიხ აჰმედის არზის საფუძველზე, მოცემული შუამდგომლობით იგი შეიხ ალი ეფენდის ებოძა და ბერათი მიეცა. მთავარმა დავთარდარმა პატივცემულმა ალი ეფენდიმ თელხისი შეადგინა.

თელხისის თანახმად ებოძოს, ბრძანება.

1144 წლის 3 მუჰარემი[1].

ბერათი გაიცა 1144 წლის 28 მუჰარემს[2].

1 1144 წლის 3 მუჰარემი – 8.7.1731 წელი.

2 1144 წლის 28 მუჰარემი – 2.8.1731 წელი

№ 13

სოხუმის ციხეში პატიოსანი ჯამეს საიმამო

კასიმ ეფენდი, რომელიც ხსენებულ ჯამეში იმამის მოვალეობას ასრულებდა და ტრაპიზონის საბაჟოს ფინანსებიდან დღიურად 30 ახჩას იღებდა, სხვა მხარეში წავიდა და საჟალდებულო სამსახური მიატოვა, რადგანაც ხსენებულმა კასიმ ეფენდიმ აღნიშნული საიმამოს სამსახური მიატოვა და მისი ადგილი განთავისუფლდა, ჰაფიზ იბრაჰიმ ეფენდისათვის ამ თანამდებობის კანონიერად ბოძების წერილობითი განკარგულების გასაცემად მოწყალების სათხოვნელად, სოხუმის ციხის მცველის არსლან ალი ბეგის არზა გაიგზავნა. ამ არზის საფუძველზე იგი ჰაფიზ იბრაჰიმ ეფენდის ებოძა და ბერათის გასაცემად მთავარმა დავთარდარმა პატივცემულმა ალი ეფენდიმ თელხისი წარადგინა. თელხისის თანახმად ებოძოს, 1144 წლის 3 მუჰარემს[1] ბრძანება, ბერათი გაიცა 1144 წლის 26 მუჰარემს[2].

1 1144 წლის 3 მუჰარემი - - - 8.7.1731 წელი.
2 1144 წლის 26 მუჰარემი - - -31.7.1731 წელი.

სოხუმის ციხის დღიური 30 ახჩა ულუფის მქონე მუსტაფაზების აღა-მეჰმედი, დღიური 40 ახჩა ულუფას მქონე ხსენებული ციხის მარცხენა გონულიანთა აღა-აჰმედი და დღიური 50 ახჩა ულუფას მქონე ამავე აღნიშნული ციხის პირველი ბეშლუიანთა აღა მეჰმედ ალი ლაზთა ტომისანი იყვნენ. როდესაც ხსენებული ციხის კედლავ განახლება დაიწყეს, ლაზთა ტომის წარმომადგენლის მეთაურად დანიშვნის პატიოსანი ბრძანება იქნა გაცემული. ზემოხსენებულებმა ხსენებული აღების თანამდებობები სათითაოდ დაისაკუთრეს. რადგანაც ზემოხსენებულები წარმოშობით ლაზთა ტომიდან იყვნენ, ერთმანეთთან მტრობის მიუხედავად შეკავშირდნენ. ჯარისკაცები მუდამ მიწისმოქმედნი იყვნენ. თავიანთი არც თუ ისე სახარბიელო მდგომარეობის გამო, აღნიშნული აღები მტრობის შედეგად თანამდებობებიდან გაანთავისუფლეს. როდესაც მათი თანამდებობები განთავისუფლდა, საჭირო იყო ამ თანამდებობების სხვებისათვის გადაცემა. თავისუფალი მუსტაფაზების აღას თანამდებობა ჰუსეინ აღას, მარცხენა გონულიანების აღას თანამდებობა მეორე აჰმედს და პირველი ბეშლუიანების აღას თანამდებობა ჰალილ აღას ებოძათ. მათ ცალ-ცალკე დიდებული, პატიოსანი ბერათის ბოძების ბრძანების საკითხზე წყალობის სათხოვნელად სოხუმის მცველი – ალი ბეგის არზა იქნა წარდგენილი, ზემოხსენებული არზის წარდგინების გარდა, სხვა ამჟამად ყირიმის ბრწყინვალე ხანის უდიდებულესობითაც დაიწერა და მისი შუამდგომლობით ებოძათ. მათ ბერათები ცალ-ცალკე მიეცათ. ამჟამად მთავარი დავთარდარის პატივცემული ალი ეფენდის თელხისი დაიწერა და თელხისის თანახმად ებოძათ.

ბრძანება 1144 წლის 29 მუჰარემი[1]
ბერათი გაიცა 1144 წლის 19 რები ულ-ახირს[2].
ხარჯი 6000 ახჩა.

1 1144 წლის 29 მუჰარემი – 3.8.1731 წელი.
2 1144 წლის 19 რები ულ-ახირი – 21.10.1731 წელი.

№ 15

მუკაბელეჯილიქის თანამდებობა სოხუმის ციხეში

რადგანაც ჯარისკაცთა განთავისუფლება დაუშვებელი იყო, ხსენებული ციხის დღიური ულუფა 30 ახჩა იყო. მუკაბელეჯი ჰუსეინ იაზიჯის ხელთ არსებული დიდებული ბერათი მთელი ქვეყნის ოჯახთაგან თითო-თითო ჯარისკაცის სახელს უთითებდა და ბერათში შეჰქონდა. ამრიგად, როდესაც მისი არსებობა ცხადი გახდა, მას ბერათი ჩამოერთვა და სხვის გასაოცებლად სხვა მხარეში გაიგზავნა. ამის შემდეგ იგი ხსენებულ ციხეში, რომ არ მისულიყო, სასამართლო ჰუჯეთი გამოიცა და ამრიგად, მისი ადგილი თავისუფალი დარჩა. ვინაიდან მუკაბელეჯიქის თანამდებობა ვაკანტური გახდა, ხსენებულის ადგილზე საიმედო, ერთგული, ჯარისკაცთა მბრძანებელი და მუდამ სახეზე მყოფი, ღვთისმოსავი, დისციპლინირებული, ძლიერი მუკაბელეჯი დაინიშნა. რადგანაც იგი საჭირო იყო, ყველა აღა, ოფიცრები და ჯარისკაცები ულოცავდნენ. თხოვნით არჩეული ციხის მკვიდრნი და მათ შორის ალი იაზიჯი, ყველგან კანონიერად ითვლებოდა. ხსენებული მუკაბელეჯის თანამდებობა, აღნიშნულთა შუამდგომლობით, მითითებულ ალი იაზიჯის ებოძა და ხელზე დიდებული პატიოსანი ბერათის ბოძების მთხოვნელი ფოთის ციხის მცველი იყო. იმ რაიონში წესრიგის დასამყარებლად დანიშნული ილ ჰაჯ ჰალილ ფაშას არზა გაიცა და ამ არზის თანახმად ბერათი გაიცა. მთავარმა დავთარდარმა, პატივცემულმა მეჰმედ ეფენდიმ თელხისი შეადგინა /და/ თელხისის თანახმად ბერათი გაიცა. ბრძანება.

1145 წელი 4 საფარი[1].

თესქერე გაიცა. 1145 წლის 28 საფარი[2].

რეგისტრირებულია.

1 1144 წლის 4 საფარი – 27.7.1732 წელი.

2 1145 წლის 28 საფარი – 20.8.1732 წელი.

დერი საამლიქის თანამდებობა ფოთის ციხის პატიოსან ჯამეში.

ამჟამად ხსენებულ ციხეში მყოფმა ულემათა ნიმუშმა, გამგებელმა ალი ბენ ალ ჰაჯ აბუბექრმა, იმატოს მისმა ულემობამ, არზუჰალი წარადგინა, ხსენებულ ციხეში არსებული მარილსახდელიდან და საბაჟოს პროდუქტებიდან აიღებოდა სარჩო 60 ახჩა. დერი საამლიქის რაობა მაღალი ბერათის მიხედვით იყო დადგენილი. 8 წლით მის სამსახურში იყო, ამას გარდა მასზე ნაკლები სარგო არ იქნებოდა, გარედან მოსული ვინმე მუსტაფა ამ მდგომარეობაში იმყოფებოდა, აღნიშნული დერი საამლიქიდან, მასზე და მისგან ბერათი იქნა ბოძებული, რადგანაც ვერაგობა იქნა ჩადენილი, მისი უპირველესი მეპატრონე გათავხედდა. დერი საამლიქის აღნიშნული თანამდებობა ხსენებული მუსტაფას შუამდგომლობით, როგორც უწინ იყო ისე თავად მას ებოძა და ხელზე დიდებული პატიოსანი ბერათის ბოძებაზე მოწყალება ითხოვა, ფოთში სარწმუნოებისათვის მებრძოლი ეს ხსენებული ალი ეფენდი ბენ ილ ჰაჯი აბუბექრი, როდესაც ხსენებულთან იქნა გამოჩინებული. თავად მისი მფლობელი გახდა. კეთილისმყოფელი შეიხი მეელანა აჰმედ ეფენდის უდიდებულესობა ნიშანდობლივი იყო, ამიტომაც მის საფუძველზე ებოძა, ბრძანება გაიცა,

დაიწერა: 1146 წლის 5 მუჰარემს[1].

ბერათი გაიცა 1146 წლის 17 მუჰარემს[2]

რეგისტრირებულია.

1 1146 წლის 5 მუჰარემი – 18.6.1733 წელი.

2 1146 წლის 17 მუჰარემი – 30.6.1733 წელი

№ 17

ის /ალაჰი/ შეეწიოს

დაწერონ !

კაფუდან ვეზირ მუსტაფა ფაშას ეუწყოს, რომ აფხაზი და მეგრელი ქაფირები სხვა ქართველ ტომებთან ერთად გაერთიანდნენ და შეკავშირდნენ, განზრახული აქვთ იმ რაიონში მდებარე გონიოს, ბათუმისა და ანაკლიის ციხეებსა და მათ გარშემო მდებარე სოფლებისა და ნაჰიეების მოსახლეობას ზიანი და უბედურება მიაყენონ, ხსენებული ციხეების ყაჩაღებისაგან დასაცავად წინათ ტრაპიზონის ვალიმ ვეზირ მუსტაფა ფაშამ, ხანგრძლივყოს ყოველისმძლე ალაჰმა მისი დიდებულება, გონიოს სანჯაყის მუთასარიფი, მეჰმედი, ხანგრძლივი იყოს მისი ბედნიერება, ბაშ ბუღად დანიშნა და ხსენებულ ლივაში შემავალი კაზების მეთაურებიც თავისი დროშის ქვეშ დარაზმა, ჯარისკაცებიც ზემოხსენებული ფაშას სამსახურში გამწესდნენ, მაგრამ რადგანაც აღნიშნული ყაჩაღების უმეტესობა ჩეთეს ნავებით ზღვის ნაპირ-ნაპირ დაცურავდნენ, ამიტომ ჩვენები მხოლოდ ხმელეთზე დანიშნული ლაშქრით ახერხებდნენ ზიანისაგან თავის დაღწევას, ცხადი იყო, რომ ამ გზით შედეგებს ვერ მიაღწევდნენ, ზღვის მხრითაც შესაფერისი დაცვა იყო საჭირო, ჩემს სამეუფეო ფლოტში ეშკამფუიასთან ერთად გაამწესეთ ათი დიდი ფირკათის შენაერთი, მის გასაგზავნად ხსენებულ ვეზირს კაიმეთი ეცნობოს, ტრაპიზონის ყადის არზისა და მოსახლეობის კოლექტიური თხოვნის თანახმად, სინამდვილეში ხსენებული ყაჩაღების უმეტესობა ჩეთეს ნავებით ზღვის ნაპირ-ნაპირ დაცურავენ, იმ ნაპირზე მყოფ მლოცველებს ზღვის მხრიდან ზიანს აყენებენ, ზიანის მიყენებას სისტემატური ხასიათი აქვს, ამიტომ ხალხი ზღვის სანაპიროზე ვეღარ დასეირნობს, რადგანაც ზარალს აყენებენ, მის დასაცავად აუცილებელია ეშკამფუიას უდიდესი შენაერთის დანიშვნა, ამიტომ შენ რომ ზემოხსენებული ვეზირი ხარ 12-12 ადგილიანი ნავები სახელმწიფო ვერფში განაახლე და ხუთი ცალი ეშკამფუია ააშენე, სასწრაფოდ დაამთავრე მისი მშენებლობა, ყოვლის შემძლე ალაჰის წყალობით ყოველივეს დამთავრების შემდეგ შენ ჩემი სახელმწიფო ფლოტის კაფუდანების მეთაური იქნები, შენ გამოცდილი, საქმისმცოდნე, უშიშარი გმირი ხარ, იმ რაიონის მდგომარეობის ზედმიწევნით მცოდნე, საქმიანი, მამაცი

კაფუდანებიდან ხუთი კაცი – კაფუდანი აირჩიე, ამათგან ერთი კაცი სუყველას ბაშ ბულად დაუნიშნე, თითოეულ ეშკამფუიას კაფუდანთან ერთად 29-29 ჯარისკაცი განუმწესე, თვალადი და ძლიერი ლევენდები ჩაუწერე, ჩვენი ეშკამფუიების შემადგენლობა მკაცრად გააფრთხილე, რომ უწინდებურად ეშკამფუიას კაფუდანობისთვის მათთვის წლიურად 2-2 იუქი ახჩა სალიანეს საბოძებლად ჩემს ბედნიერების კარს არზით ეუწყებ, ასეთი რაოდენობის ეშკამფუიების ზარბაზნებით, პროდუქტებითა და დიდძალი შეიარაღებით უზრუნველყოფის შემდეგ, ერთ მშვენიერ დღეს წინასწარ განზრახული მიმართულებით გაემართეთ და როდესაც გაემგზავრებით ზედმეტი გულმოდგინება გამოიჩინეთ, აღნიშნულმა ეშკამფუიებმა დანიშნულ დროს უნდა შეასრულონ თავიანთი ამოცანა, რადგანაც იმ რაიონზე სასწრაფოდ იერიშის მიტანა უფრო მნიშვნელოვანი ღონისძიებაა ჩემი მაღალი სახელმწიფოსათვის, ამიტომ ეს მნიშვნელოვანი ჩანაფიქრი, როგორც საჭიროა ისე დაამთავრეთ, აუცილებელია ეშკამფუიების მეთაურებმა ერთი დღით ადრე დაამთავრონ სამზადისი, აუცილებლად საჭიროა იმ რაიონის მდგომარეობის მცოდნე გულადი და სახელოვანი კაფუდანებიდან რამდენიმე კაფუდანის არჩევა და დანიშვნა, ამათი დანიშვნით ჩემ მიმართ სასიამოვნო გულმოდგინებას გამოიჩენ, მაღალი ღმერთის წყალობით სამზადისი ერთი საათით ადრე დაამთავრებინე და დასახული მიზნისკენ გამგზავრებისას სრული ყურადღება გამოიჩინე, ამაზე ჩემი დიდებული ფირმანი გამოვიდა, ებრძანე.

1135 წლის 10 ზილ-კაადე[1], პირველი მოანგარიშე.

ბრძანების თესქერე გაიცა, 1135 წლის 10 ზილ-კაადე.

რეგისტრირებულია.

1 1135 წლის 10 ზილ-კადე - - - 12.8.1723 წელი.

დაწერონ !

ფოთის ციხის მშენებლობის ემინის, მეჰმედის, იდიდოს მისმა ყოვლისშემძლეობამ,ჰუქმი ისაა,რომ ამ კურთხეულ წელს, შენი მარიფათით აშენებული ნაგებობა, ჩემი ფირმანითაა. ჰუსეინისათვის ფოთის ციხისთვის შეწერილი და დედაქალაქში გასაყიდად გაგზავნილი პროვიანტი და ფქვილი აჰმედ რეისის გემზე დაიტვირთა. ვექილმა, როდესაც დაიანგარიშა, შეადგინა 114000 საღი ახჩა, იგი ჩემი სახელმწიფო ხაზინიდან ხსენებულ რეისს მთლიანად ებოძა და სრულად გაიგზავნა, იგი დანიშნულების ადგილზე ღვთის წყალობით ჩავიდა, როდესაც ყველაფერი მიღწეულ იქნა, შენ რომ ზემოხსენებული ხარ, უნდა იცოდე, რომ შენ გემზე დატვირთული მთელი პროდუქციის მითვისების და აღების შემდეგ ხსენებული ჰაჯი აჰმედ რეისი, რადგანაც იმ რაიონში იმყოფებოდა,ადგილებზე ქვის,კრამიტის გაგზავნა, სხვა საჭირო სარემონტო საშუალებებთან ერთად იქნა დადგენილი, სარემონტო საქმიანობის საჭიროებისათვის ჩემი ბედნიერი ფირმანი გამოვიდა,

1136 წლის 12 რეჯები,[1] პირველი მოანგარიშე,
თესქერეს ბრძანება გაიცა 1136 წლის 12 რეჯები,
რეგისტრირებულია.

1 1136 წლის 12 რეჯები – 6.3.1724 წელი.

№ 19

ის /ალაჰი/ შეეწიოს

დაწერონ!

ფოთის ყადის და ფოთის ციხის ემინს აბდ ალ-მეჯიდ მეჰმედს, იმატოს მისმა სიძლიერემ, ებრძანოს, რომ მშენებარე და აშენებული ფოთის ციხის ჯაბახანა ხისგანაა აგებული, იგი კრამიტითაა გადახურული, შიგ არსებული ჯაბახანის, პროვიანტის უმეტესობა მოგროვილია, იგი ლპება და იღუპება, მათზე იყო საუბარი, აღმართული ჯაბახანას დასამთავრებლად ფოთის ციხის ჯებეჯი-ბაშის კატერი იყო, რადგანაც მოსახლეობის ხსენებული მიწა წყლიანია, ხისგან აგებული ნაგებობა არასასურველი იყო, გარეგნულად შესახედავი კი იყო, ჯაბახანა ზემოხსენებულის საფუძველზე იყო რეგისტრირებული, მასზე ბოძები იქნა დარჭობილი, აქვე მყარი კედელი აღიმართა, რადგანაც აღნიშნული მირის ქვეყნის ნევშეჰირში დაყოვნება აუცილებელი იყო, ახალი მშენებლობის ემინმა მუატია აბდალლაჰმა თავისი სახე და გულმოდგინება გამოამჟღავნა, ეს ვითარება კი ციხის საზღვარზე არსებულ ჯაბახანასა და პროდუქტების ავკარგიანობაზე გაელენას არ ახდენდა, ამ ვითარებაში შექმნილი პირობების გამო აუცილებელი იყო მტკიცე და მაგარი ჯაბახანას აგება, ღვთის შეწევნით არზა გამოვიდა, ციხის საერთო ხედი ქვის მასალისგანაა ნაგები, მასზე ბაირაღები დაარჭვეს. მშენებლობაც ევროპული ქვის მასალისგან სწორად იყო დაგეგმილი, ზედმეტი ფულითა და მზრუნველობით მტკიცე ჯაბახანა იქნა აგებული, მისი მშენებლობა დიდი შრომის სანაცვლოდ დასრულებულ იქნა, ამის შემდეგ სამეუფეო არზა და გადაწყვეტილება გაიცა, ამაზე ფირმანი ჩემი დიდებული მბრძანებლისაა,

დაიწერა 1140 წლის 11 შაბანს[1], პირველი მოანგარიშე,
ბრძანება გაიცა 1140 წლის 11 შაბანს,
ხსენებული რეგისტრირებულია.

1 1140 წლის 11 შაბანი - - - 23.3.1728 წელი

დაწერონ !

სოხუმის ციხეში მყოფი მარიულ ზადე მუსტაფას სახელზე, იმატოს მისმა სიდიადემ უმაღლესი გადაწყვეტილება გამოვიდა, შენ რომ ზემოხსენებული მირმირანი ხარ, ამას წინათ სოხუმის ციხის დასაცავად დაინიშნე და იმ მხარეში გაიგზავნე, შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე ანაკლიის ციხეში ამ კურთხეულ წელს დიდი მშენებლობაა, ამჟამად ფოთის მცველის, ალ ჰალილის, იმატოს მისმა სიდიადემ, მარიფათით, მშენებლობის გასაძლიერებლად, ჩემი ქვეყნის განდიდებისათვის, იმატოს მისმა სიმძლავრემ, ურიცხვი მუშების შრომაა საჭირო, შენ რომ ზემოხსენებული მირ-მირანი ხარ, თემრუქის მდგომარეობა ისეთია, რომ იგი მზადაა, სოხუმის ციხეში დახმარების აღმოსაჩენად, რადგანაც ანდეჯუჯურის /?/ პირობები საჭირო არ იყო, იგი ფოთის ციხეში ველარ გამოიზამთრებს, აღნიშნული მცველის მარიფათით სხვა გემზე არსებული მშენებლობის საქმიანობას მიყვეს ხელი, რადგანაც ჩემი ფირმანი არსებობდა და შენ რომ ზემოხსენებული მირ-მირანი ხარ, ამ პატიოსანი დიდებული ბრძანების სახით განკარგულება დაუყონებლივ ველარ შეასრულეს, სოხუმის ციხიდან გაემგზავრნენ და ფოთში ჩავიდნენ, ფოთში გამოიზამთრეს, ამ კურთხეულ წელს ხსენებული მცველი, აღნიშნული პირი გემს რამდენჯერმე შეეჭიდა, იგი ანაკლიის ციხის მშენებლობის საქმიანობით იყო გართული, ამასთანავე ჩემი ჭეშმარიტი ფირმანის მიხედვით მოქმედებდნენ, ამით დასრულდა ეს საქმე, როდესაც ეს ყველაფერი სისრულეში იქნა მოყვანილი, ჩემი შესაძლებლობების მიწურულს კი ამაზე დიდებული ფირმანი გამოვიდა,

ადგილი ჰასქი,

ჰუსეინ ბაბა, დაწერონ,

ემირთა გადაწყვეტილებაა, სოხუმის ციხეში მყოფი დიბაბის ზაკ ომერი, იმატოს მისმა სიდიადემ, შეეპასუხა არსებულის საფუძველზე სხვის ბრძანებას, ორი ბრძანება გაიცა, 5 მუჰარემს 1144 წლისა[1] 5 მუჰარემი, წელი 1144, პირველი მოანგარიშე ჰუსეინ ბაბა.

1 1144 წლის 5 მუჰარემი – 10.7.1731 წელი

დაწერონ!

რუმელიის ბეგლარ-ბეგის ფეხთამტვერის, ფოთის ციხის დასაცავად მყოფი ალ-ჰაჯი ჰალილ ფაშასა და წარჩინებული ამირას ჰუქმი ისაა, რომ ანაკლიის ციხისკენ ლაშქრობის დასასრულისთვის ფოთში პროდუქტები მნიშვნელოვანია, რვა საათის გზაა დედაქალაქამდე, ამ გზაზეც ალაჰის წყალობით ცეცხლი მიზანში მოხვდება, მათი სახლები, ჰარემი და გარეთა ნაგებობანი და ზოგიერთი მათი ქვეშევრდომის სახლებიც მიზანში იქნება აყვანილი, ქვეშევრდომთა სხვა მხარეები და ციხეებისაკენ მიმავალი გზა და ციხეში მდებარე ადგილები ღვთისმსახურებამდე მიაღწევს, მათ სახლებამდე ზარალი მიზანს აღწევს, მოსახლეობის თხოვნა ესაა, ბედნიერების დედაქალაქში გაგზავნილი, ბეჭდიანი კაიმეს აღწერისას, ხუთი წლის გასელის შემდეგ, მშენებლობა ხელისუფლებამ, გარკვეული ვითარების შემდეგ, ახჩისა და მშენებლობის ამბავი ცნობილი გახდა, ყველაფერი მათ ხელთ აიღეს, შენ რომ ზემოხსენებული მირ-მირანი ხარ, ეს პატიოსანი ბრძანება ცნობილი გახდა, ხსენებულ რაიონში აღმართულია ადგილები, ლაღუმის ასაშენებელ ადგილებზე შეიძლება მნიშვნელოვანი ხარჯი იქნას გაწეული, ღმერთის შეწევნით, და მცხოვრებთა სხვა მარიფათით დიდი სიღატაკისადმი მზრუნველობა იქნა გამოჩენილი, საჭირო იყო ამ გულითადობის გამოჩენა და მოსახლეობისადმი მზრუნველობა, ჩემი ბედნიერების კარზე გაიგზავნა და ეცნობა ყოველივე, ჩვენს ახლოს გაღებული უამრავი ხარჯი ნათელი გახდა, ამიტომ მუსლიმიეს ქონების ოდენობაზე შეთანხმდნენ, ამჟამად რა მიზეზით არ უნდა იყოს გამოყოფა და ამ საგნების ცალკე მხარეებში არსებობა, ამაზე ჩემი დიდებული ფირმანი გამოვიდა, პირველი მოანგარიშე, წელი 1142[1].

1 1142 წელი - 27.7.1729 - 16.7.1730 წელი.

დაწერონ !

რუმელიის საბეგლარბეგოს ფეხთა მტვერს, ფოთის დაცვაში მყოფ ილ-ჰაჯ ჰალილ ფაშას, ხანგრძლივი იყოს დიდებულება მისი, სოხუმის ციხის მცველს და მის კაზას, ხსენებული ციხის აღაებს და მეთაურებს ებრძანათ, რომ სოხუმის ციხის მთელ მოსახლეობას გაზვიადების გარეშე, შემჭიდროებულ დროში ციხის მოთხოვნების საფუძველზე, ნახევარ საათში, სოხუმის ჯამეს მნიშვნელობა მდინარის ზემოხსენებულ ციხისაკენ მიქცევა იმთავითვე ცხადი და საყოველთაო ცნობილი გახდა, იგი რეგისტრირებულია. წყალი საიდანაც მოედინება, ადგილი იქიდან იქნა გათვალისწინებული, ხსენებული ციხისკენ გადაიტანეს და ციხის ახლოს სადაც ზღეაა იქ მიყოლებით თხრა დაიწყეს, გამიზნული ადგილები გასათხრელად მოამზადეს, იქვე ჰქონდათ კირი, თიხა და სხვა საშუალებანი, საამისოდ 1500 ყურუში საკმარისი აღმოჩნდა. იბად ულ-კადირ ფაშამ ამას წინათ მსახური დანიშნა, სახარჯაოდ აღნიშნული თანხა სახელმწიფოდან გაცემულია, იგი სახელმწიფოს ხაზინის დავთრებში რეგისტრირებულია, რომ ხსენებული მდინარისათვის კვლავაც სიმტკიცე და სიძლიერე მიეცათ, ხსენებული ფაშას საქმიანობის შემდეგ, ზოგიერთი რაიონი გაფუჭდა. ჯარისკაცების მეშვეობით მდინარის ხსენებულ ციხისკენ გადაგდება გადაწყდა, ციხის მოსახლეობას წყალთან დაკავშირებით სიძნელეები შეექმნა, მდგომარეობის გამოსასწორებლად წყლის გზების შესაკეთებლად გარკვეული სამუშაოები ჩაატარეს, სოხუმის ყადის არზა მზად იყო, არსებული წესის მიხედვით, შენ რომ' ზემოხსენებული მირ-მირანი ხარ, უნდა იცოდე, რომ აღნიშნული მდინარის ჯებირის შეკეთება საჭიროა, რათა ციხის მოსახლეობას კეთილი მდგომარეობა შეექმნას. ასეთი ვითარების შემდეგ, ხსენებულ ციხეში არსებული უწინდელი მდგომარეობის წესრიგში მოსაყვანად 2500 ყურუში დაიხარჯა, მშენებლობისათვის ამ შემთხვევაში შეკეთების ხარჯების შესანახად, ხარჯები სახეზეა, თითოეული მუსლიმი საჭიროებს ბრძანებას, ამაზე ჩემი სამეუფეო დამოკიდებულებაა, შენ რომ ზემოხსენებული მირ-მირანი ხარ, შენი დახმარებით ვიმოქმედებთ, რადგანაც ხარჯების შესახებ ფირმანი არსებობს, ეს საკითხები პატიოსანი ბრძანებითაა გაცხადებული, და დადგენილია, თუ შესაძლებელია ემირები დაინიშნონ, აღნიშნული წყლის ხარჯების ჯიზია

სახელმწიფოს მიერ იქნა გადახდილი, თუ მდინარის კალაპოტის შეკეთება აუცილებელია, მოსახლეობის გადაწყვეტილების მიხედვით, ჯებირების გამაგრება და განმტკიცება მოხდეს, ძალაუფლების სადაეები მაღალი ღვთის შეწევნით, ჭეშმარიტების სამსახურშია, ამას წინათ შეკეთებულ იქნა, სამუშაოები დასრულდა, ხარჯი გარკვეული ოდენობის გაღებულ იქნა, , დიადი შარიათის ძალით მაღალი ჰუჯეთი გამოვიდა, იგი ბედნიერების კარზე გაიგზავნა, არზა და ცნობა იქნა მიწოდებული, ამის მიზეზიც არსებობდა, საჭირო შეიქმნა ნებართვის გაგზავნა, ფოთის ციხის მცველი ჯარისკაცები, აღნიშნული ციხის შესაკეთებლად მზად არიან, რაც კი საჭიროა, ყველაფერი ადამიანის შრომით წესრიგდება, ამას წინათ თადარიგი დაიჭირეს და ადგილზე გააგზავნეს და მგზავრობის ჟამს თქვენც მთლიანად ხართ დაფიქსირებული, საკითხის დანაწილების თაობაზე, სარგოს საკითხზე დიდებული ფირმანი გამოვიდა.

პირველი მოანგარიშე
თქვენი მონა-მორჩილი ჰუსეინი
1145 წლის 2 რები ულ-ახირი[1]
ბრძანება გაიცა, 1145 წლის 3 რები ულ-ახირი.[2]

1 1145 წლის 2 რები ულ-ახირი - - - 22.9.1732 წელი.
2 1145 წლის 3 რები ულ-ახირი - - - 23.9.1732 წელი.

დაწერონ !

ბათუმის სანჯაყის მფლობელს, სოხუმის ციხის დაცვაში მყოფ მეჰმედს, მუდამ იყოს მასზე ნათელი, ბათუმის სანჯაყში მყოფ ყადიებს ჰუქმი ებოძათ, მარტის დასასრულიდან ბათუმის სანჯაყის წლიური შემოსავალია 4500 ყურუში, 1145 წლის[1] ფინანსებიდან 2467,5 ყურუში სოხუმის ციხის დაცვაში მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის ჯებეჯიების 1146 წლის[2] სარგოსთვის გაიგზავნა, თუმცა 1145 და 1146 წლების ზემოხსენებული ლივის ქონების თანხის განაწილებისას რადგანაც ვიღაცეების ვალი იყო, ხსენებულებს ებოძათ, ეს თანხა ამჟამად სოხუმის ბეგ მეჰმედს, მუდამ იყოს მასთან ბედნიერება, წყალობით შეჯამდა და გაუნაწილდათ, ამაზე ფირმანი გაიცა, ჩემს სამეუფეო ხაზინაში და დავთრებში ხსენებული ვალისთვის იგი, რადგანაც რეგისტრირებულია, თქვენ გებრძანათ, რომ სანჯაყის მფლობელი და ხსენებული მევლანა, რომ ხართ, ამ პატიოსანი ბრძანების გამოსვლისთვის დადგენილი სავაჭრო ურთიერთობა ვეღარ მოგვარდება, იგი დაანგარიშებულ იქნა, ხსენებული ლივის მალი ბედელიემ შეადგინა 900 ყურუში, ხსენებულის შემწეობით ერთ ადგილას მთლიანად და საესებით დაჯამდა, მისი განაწილება საესებით დროული იყო, მის განაწილების შემდეგ, რადგანაც იგი დავთარში არ იყო რეგისტრირებული. მისდამი ძალმომრეობა იქნა გამოჩენილი. შენ რომ ზემოხსენებული ხარ, 1145 და 1146 წლებისთვის დაანგარიშებული, ხსენებული ლივას მალი ბედელიესი სახელმწიფოსათვის შეჯამდა და განაწილდა. აღნიშნული თანხიდან გონიოს ციხის ჯარისკაცებს ოჯაქლიქი დაენიშნათ, იგი აქჩე ჯედიდია, ბერათის თანახმად, ჯარისკაცთა მხრით, სამსახურში დაინიშნენ, ბერათის ასლის მეორე მხარეზე დიდებული ჰუჯეთი დაიწერა. მისი სინაკლების გამოც სებები თაჰრირით გაგზავნილი მოსახლეობას გადახდა და ებოძათ. მოსახლეობის შესახებ თამასუქები გაიგზავნა. ციხე დაიკავეს. ერთმანეთის დრო იცოდნენ, ერთმანეთის მიმართ პატივისცემით იყვნენ. ქონების გაცემის შემდეგ, მისი იქიდან გამოტანის თაობაზე დიდებული ფირმანი გამოვიდა,

დაიწერა 1146 წლის 18 ჯემაზი ულ-ახირს[3].

პირველმა მოანგარიშემ ჩაწერა.

---

1 1145 წელი - - - 24.6.1732 - - - 13.6.1733 წელი.

2 1146 წელი - - - 14.6.1733 - - - 2.6.1734 წელი

3 1146 წლის 18 ჯემაზი ულ-ახირი 26.11.1733 წელი.

№ 24

ის /ალაჰი/ შეეწიოს

ჩემო ბედნიერო, მოწყალეო, კეთილისმყოფელო, კეთილგულიანო, მოწესრიგებულო, ჩემო სულთანო, თქვენი უდიდებულესობის სიცოცხლე მრავალი და ხანგრძლიეი იყოს დიდხანს ამ ქვეყნად, ფინანსებისადმი მორჩილება და კარის ზღურბლისადმი და სხვათა მორჩილება, იმთავითვე მისი შედარება წინამძღოლთან და ფინანსების უდიდებულესობის მოწყალებასთან, კეთილისმყოფელ ჩემი ბატონისა და სახეზე მყოფ ძლიერ პიროვნებათა მიმართ, აქვე გამომჟღავნდა უმაღლესი სამეუფეო ხაზინის გულკეთილობა, სხვა სახელმწიფოთა ეს მსახურნი, თუმცა ათასობით იყვნენ. ჯარისკაცებმა მათ ანგარიში ჩააბარეს, ამას წინათ, აჰმედ ჩაუშის ჯარისკაცების მიერ, დაბეჭდილი დავთრის თანახმად, ბრძანება გამოვიდა, და მაღალი ფირმანით მარდუკინჯი გაიგზავნა, აღნიშნული პროდუქტები, ტრაპიზონის ჯაბახანა გაყიდული ტეირთი აღმოჩნდა, როდესაც ფოთის დასაცავად შეეიდნენ, ამჟამად ფოთის მცველი დიდებული, მოწყალე ხალილ ფაშას უდიდებულესობით, ამ ჯარისკაცებს ებრძანათ, გაგზავნილი პროდუქტები ფოთის ჯაბახანაში აღმოჩნდა, სხვაგან არსებული ცნობილი დავთარი აღწერილ იქნა, რადგანაც იგი ოსმალეთის ფეხთა მტეერისკენ გაიგზავნა, არზუჰალი აღწერილ იქნა, სიმამაცე იქნა გამოჩენილი, ბრძანება იქნა გამოცემული, როდესაც ეს ყველაფერი სახელმწიფოსათეის ცნობილი გახდა, ამ ჯარისკაცებს მაღალი ზედამხედველები დაენიშნათ, განკარგულების გაცემის საკითხზე ბრძანება, ფირმანი ებოძა მოწყალე, კეთილისმყოფელ, ჩემს ბატონს, ჩემი სულთნის, უდიდებულესებას.

ამჟამად თქვენი მონა-მორჩილი მეჰმედი მწირი ბაჯი და თავად სერ ჰასე ფოთისა.

თუღრა: აჰმედ შაჰი მეჰმედ ხანის ძე[1], მუდამ გამარჯვებული.
განდიდებულთა და წარჩინებულთა შორის უპირველესი, ფოთის ციხის მშენებლობის ემინი, იმატოს მისმა სიდიადემ, როდესაც მოაღწევს უმაღლესი სამეუფეო დეკრეტი, მაშინ ცხადი გახდება, რომ აფხაზების, ჩერქეზების და ქართველთა მხარეებში განახლებული მშენებლობის შესახებ ჩემი ფირმანია გამოსულ̇ი, ფოთის ციხისათვის განდიდებული და გამშვენიერებული მეელანა მოლა ალი, იმატოს მისმა სიდიადემ, ვაიზი, დერი საამი და სოფლის შერიფის სამსახურში მყოფი და დანიშნული, ხსენებული ციხის შიგნით მყოფი კოშკებისაგან საკმარისი რაოდენობის მოთხოვნა გაიგზავნა, შესაბ̇წავლი სარწმუნოების მოთხოვნა ჩემი ფადიშაჰისგან იქნა გაცემული, აღნიშნული სიდიადისთვის არსებული პატიოსანი ჯამეს ჯარიმაც მოითხოვეს, აღნიშნულის გამო ზემოხსენებულთა მხრიდან დაინიშნენ, და იმ მხარეს გაიგზავნენ, საჭირო შემთხვევაში საკვები ეგზავნებოდათ, ხსენებული ციხის საბაჟოსაკენ დალუქული ნივთები, მარილის ამანათები და პროვიანტი ყოველ თვეს გაიცემოდა, ასევე იყო ბერათებიც, ადგილებზე მათ ეუფლებოდნენ, ხსენებული ალი, იმატოს მისმა სიძლიერემ, ჯამი შერიფის ხადიმების სექტაში, საჭიროების შემთხვევაში, გარკვეული რაოდენობის მოსახლეობასაც ასახლებდნენ, რადგანაც ჩემი ფირმანი არსებობს, შენ რომ მშენებლობის ემინი ხარ, ამ პატიოსანი ბრძანების გამოსვლისას, ზემოხსენებული ალი, იმატოს მისმა განსწავლულობამ, აღნიშნული პატიოსანი ჯამეს ჯარიმებს იმ მხარეში როდესაც მიიტანს, იქვე დაიმკვიდრებს ადგილს. ჭეშმარიტი მუსლიმებისათვის სარწმუნოების მუბაშირად არსებულ ტერიტორიებზე, საჭირო რაოდენობის მცხოვრებნი ერთი საათით მაინც თუ დააყოვნებენ იმ მშენებლობაზე, იგი მათ ებოძათ, ხსენებულთა სამსახურში აყვანის საკითხზე დიდებული ფირმანი გამოვიდა, და იგი როდესაც მიაღწევს დანიშნულ ადგილს, ამასთანავე არსებულის საფუძველზე მათ პატივსაცემად გამოსული ჩემი დიდებული ბრძანების საკითხი სამეუფეოს მიერ მორჩილებით იქნა დაკმაყოფილებული, ამის სანაცვლოდ დაბრკოლება და წინააღმდეგობა შეხვდათ, ასე იცოდეთ, პატიოსან ნიშანს ენდეთ.

---

1 აჰმედ შაჰი მეჰმედ ხანის ძე, ოსმალო სულთანი აჰმედ III (1703-1730).

დაიწერა დიდებული შაბანის თვის 18-ს, წელი 1137[1]
ღვთისდაცულ კონსტანტინიეში.

ფოთის ციხის ემინის, ფოთის ციხის ვაისისა და მოადგილედ მყოფი ალი ეფენდის აღნიშნული ციხიდან განახლებულ მშენებლობისათვის, პატიოსანი ბრძანება გაიცა, პირველი მოანგარიშე.

1. 1137 წლის 18 შაბანი 2.5.1725 წელი.

№ 26

ის /ალაჰი/ შეეწიოს

თუღრა აჰმედ შაჰი მეჰმედ ხანის ძე,[1] მუდამ გამარჯვებული, განდიდებულთა და წარჩინებულთა შორის უპირველესი, ფოთის ციხის მშენებლობის ემინი, იმატოს მისმა სიდიადემ, როდესაც მოაღწევს უმაღლესი სამეუფეო დეკრეტი, მაშინ ცხადი გახდება, რომ ფოთის ციხის დასაცავად მყოფი პირი გადააყენეს. ჩემი ფირმანით, არდებილის ციხის დასაცავად დანიშნული და გაგზავნილი 141 ჯარისკაცი, უმაღლესი სამეუფეო კარის ჯებეჯიების ჯარისკაცები, ფოთიდან სობის საპოლიციო სამსახურში როდესაც მივიდნენ. გემები დააკავეს, დატვირთეს და გააგზავნეს. მნიშვნელოვანი და აუცილებელი რადგანაც იყო, საჭიროებისათვის მოსული გემების ნულის ტიპის გემების მხრიდან გაცემული ჯარისკაცები ხსენებულ გემებზე აიყვანეს და ტრაპიზონისაკენ ძალით გააგზავნეს. რადგანაც ამაზე ჩემი ფირმანი არსებობდა. ამჯერად შენ, რომ აღნიშნული ციხის მშენებლობის ხსენებული ემინი ხარ, იმატოს შენმა სიდიადემ, აღნიშნულმა 141 ჯარისკაცმა გემის დასატვირთად მიზანშეწონილია თადარიგი დაიჭიროს. მისი დაკავებისა და თადარიგის დაჭერისას აუცილებელია ნულის გემებიდან შარიათის მიხედვით მოქმედება. ზემოხსენებული ხელმეორედ იქნა დატვირთული, იგი ტრაპიზონში გაიგზავნა. სახელმწიფო ორგანოების თანამშრომლები რა რაოდენობისაც არ უნდა ყოფილიყო ნულის გემები მათ აკავებდნენ და თამასუქის საფუძველზე შარიათის ჰუჯეთებს თავაზობდნენ. ჰასქების დასაანგარიშებლად ამ ჩემი დიდებული ბრძანების თანახმად მაშინათვე თესქერეს გასცემდნენ. ჩემი დიდებული ფირმანის გამოსვლასთან დაკავშირებით ებრძანებ, რომ ჩემს ბატონთან ერთად, როდესაც მოაღწევს ეს დოკუმენტი, იგი ამასობაში არსებულის საფუძველზე, პატივსაცემად გამოსულია ამ პატიოსანი ბრძანების, სახელგანთქმულის მოღწევისა და საჭირო შინაარსის ერთიანად გადაწყვეტილების მიღების შესახებ. გაუგებრობა არ იყოს და ამ მოგზაურობაზე თავი შეიკავეთ. ასე იცოდეთ პატიოსან ნიშანს ენდეთ.

---

1 აჰმედ შაჰი მეჰმედ ხანის ძე – ოსმალო სულთანი აჰმედ III /1703-1730/.

დაიწერა მუჰარემის 10-ს. წელი 1140[1].

ადგილი ღვთივდაცულ კონსტანტინიეში.

ისე როგორც აქაა დაწერილი, გადაწერა ალაჰის მსახურმა ალი ყადიმ, ფოთის ყადიმ.

მიზეზი ამ დოკუმენტის დაწერისა ისაა, რომ ამ დიდებული ბრძანების შინაგანი წყობისა და ახსნა-განმარტების მიხედვით, ფოთის ციხის დასაცავად მყოფი, უმაღლესი სამეუფეო კარის ჯებეჯის ორთა არდებილის დაცვაში იყვნენ. აჯანყდნენ, რაც ფოთის ციხიდან ჩააქრეს.

როდესაც ტრაპიზონს მოაღწიეს, ტვირთისთვის ნულის ტიპის ნაეები გააგზავნეს, რაც ამჯერად აღნიშნული ციხის მშენებლობის ემინის მეშვეობით განხორციელდა. კერძოდ ბედნიერი აბდალლაჰ აღას ხელით მოხდა. რადგანაც ამასობაში ფირმანი გამოვიდა, ფოთის ციხეში არსებული რაღაცეები ხელზე ებოძათ. მუბელი კარა ოსმან რეისი და კვლავ ხოფელი ჰუსეინ რეისი და ფორუნთიელი ჰუსეინ რეისი, ამ სამი კაცის კაპიტნობა სამ ნაწილად გაიყო. ესენი ქუქართლის მენექსეს ნავებით შეიკრიბნენ. ხსენებული რაზმები გარეთ გამოეფინნენ და გემი დატვირთეს. სობის პოლიციის მსახურებთან გაიგზავნენ. ზემოხსენებულთა მცდელობით, მხოლოდ 100 ყურუში ნულის ტიპის გემები გამოეყოთ, რადგანაც მთლიანად ზემოხსენებული ემინის ხელით იქნა აღებული. მისი დაანგარიშების დროს, თითოეულს დასაანგარიშებლად ბეჭედი დაესვა და ასე ებოძათ ხელზე. დაიწერა 10 რები ულ-ეეველს, წელი 1140[2].

თქვენი მონა-მორჩილი იბრაჰიმ ვექილი, სერ ჯებე, ხსენებული ფოთის ციხისა.

---

1 მუჰარემის 10, წელი - - - 1140 28.8.1727 წელი.

2 10 რები ულ-ეეველი წელი - - - 1140 26.10.1727 წელი.

№ 27

ის /ალაჰი/ შეეწიოს

თუღრა: აჰმედ შაჰი მეჰმედ ხანის ძე[1] მუდამ გამარჯვებული

კეთილშობილ დესთურს,დიდებულ მრჩეველს,ქვეყნის მომწესრიგებელს, ხალხის საქმეთა მმართველს, აღვსილს ბრძნული ცოდნით, ხალხის უმნიშვნელოვანეს საქმეთა კეთილად სრულმყოფს, სიმდიდრისა და ნეტარების ფუძემდებელს, სამხედრო ლაშქრობათა და დიდების სვეტთა აღმმართველს, უზენაესი მეფის ნაირგვარი წყალობით გაბედნიერებულს, ამჟამად ფოთის ციხის დაცვის პირობით მათ შეუერთდნენ ტრაპიზონის ვალი, გონიოს სანჯაყის მუთასარიფი, ჭანეთის მუჰასალი, ანაპისა და სუღუჯუკის ციხეთა და გელენჯიკის ყურის მცველი, ჩემი ვეზირი ჩიჩეკ-ზადე, ელჰაჯ ფაშა, მაღალმა ვეზირმა ხანგრძლივყოს დიდებულება მათი. მოსამართლეთა შორის უპირველესი შარიათის მიხედვით იქნეს ცნობილი, გირესუნისა და ქუშაბის კაზების ნაიბები, იმატოს მათმა ცნობიერებამ, როდესაც მოაღწევს უმაღლესი სამეუფეო დეკრეტი, მაშინ ცხადი გახდება, რომ ტრაპიზონის ეიალეთში მდებარე გირესუნისა და ქუშაბის კაზებში რამდენიმე წელიწადია ლაჯან ოღლი არიფისა თავის ჭკუაზე არ იყო. მოსახლეობას ხოცავდნენ და მათ მთელი ქონება მამაცურად ეკავათ და მათი წესრიგში მოყვანა რამდენიმეჯერ ღარიბ-ღატაკთა ხელით განაწილებულ იქნა. იგი მოსახლეობას არ გაუნაწილდა. მათ გაიგეს, რომ მოსახლეობას წინააღმდეგობრივი სურვილი გაუჩნდათ, ამოქმედდნენ. მათ მიიღეს ინფორმაცია, რომ მშენებლებს შორისაც მსგავსი ინფორმაციები იყო. ამასთანავე უამრავმა მფარველმა იჩინა თავი. მფარველთა განაწილების დროს, ოდნავი უსიამოვნების შემდეგ, დროთა ვითარებაში გადაწყვიტეს ღარიბთათვის ანგარიში გაეწიათ. ამაზე პირობა დასდეს. იყო შესაძლებლობა მათი განთავისუფლების. ცოლ-შვილებისა და მათდამი დახმარების თაობაზე. გაქცეულებს უნდა მიეცათ ახსნა-განმარტება. თუ ისინი ბედნიერების დედაქალაქში მივიდოდნენ, იქ იპოვნიდნენ და დაიჭერდნენ. საკითხი გაარკვიეს.

1 აჰმედ შაჰი მეჰმედ ხანის ძე – ოსმალო სულთანი აჰმედ III /1703-1730/.

შენ რომ ზემოხსენებული ვეზირი ხარ, ამ მხარეში აღწერილი და შარიათის მხრიდან ბოძებული დოკუმენტით წარდგენილ იქნა. და შესრულებულ და ნაპოვნი იქნა. მუბაშირად დანიშნული პირი ჯარისკაცთაგან, განდიდებულთა და წარჩინებულთა შორის უპირველესი ელ ჰაჯ ჰასანი, იმატოს მისმა სიძლიერემ, იყოს მისი თანამგზავრი მიზეზი წინააღმდეგობისა იმ მხარეში, სადაც გაგზავნილი იყო, რადგანაც დიდი წინააღმდეგობა შეხვდა, მისი დანიშვნის საკითხი მოსახლეობაში დილაადრიან გადაწყდა.

წარჩინებულთაგან მაცდურობა, რომ არის ანგარიშიანობაც გარკვეულად გათვალისწინებულია. შარიათით შესაძლებელი გახდა მისი განხორციელება. ამასობაში სამართლიანობა აღდგენილ იქნა. თუ სამართლიანობა აღდგენილ იქნა ამ მხარეში მის დასატოვებლად კვლავ ხსენებული მუბაშირი გაიგზავნოს. იგი ჩემი ბედნიერების დედაქალაქში გაიგზავნა. მისი მდგომარეობაც არსებულის მიხედვით იქნა ცნობილი. და ბოლოს ამ საკითხზე იგი განდიდებულ იქნა. და მასზე ყურადღება იქნა გამახვილებული. რადგანაც ჩემი ფირმანი გამოვიდა. ამასთანავე მდგომარეობა საკმაოდ გახდა ცნობილი.. იგი მაშინვე იქნა დაფიქსირებული და ამოქმედებული. გადმოცემით, დაანგარიშებული საკითხების მოლოცვის შემდეგ, ამ მხარეში დადგენილი გამოყოფილი შესასრულებელი საქმე შესრულებულ იქნა. ზემოხსენებული მუბაშირი განმეორებით გაგზავნილია კვლავ ჩემი ბედნიერების დედაქალაქში. მისი გაგზავნის საკითხზე დაიწყეს მოქმედება, მაღალი განწყობილების ვითარება შექმნეს. ბრძანების საუწყებლად სასწრაფოდ მაცნე გაიგზავნა და ამასთან დაკავშირებით პატიოსანი შარიათის საწინააღმდეგოდ იმოქმედეს. და ითქვა, რომ შექმნილი ვითარება გაცემული ჰუქმის მიხედვითაა.

ჩემი პატიოსანი ბრძანების აზრი ისაა, რომ თქვენ' ზემოხსენებულებმა ისიამოვნოთ და ისე იყოთ. ხსენებული ლოცვა სამართლიანია. იგი გარემოებითაა გამოწვეული, ამ მხრივ აუცილებელია შარიათის მიმდევართა საქმიანობა ჭეშმარიტების საკითხზე. იგი დიდებულად იყო გარემოსილი ყურადღებით. ღვთის შეწევნით შესაძლებელი გახდა, სამართლიანობის დაცვა და მოწინააღმდეგეთა მოთხოვნების წამოყენება. ნებართვის გაცემა პატივი იყო: ამაზე ჩემი დიდებული ფირმანი გამოვიდა. ვბრძანებ, როდესაც ეს ბრძანება თქვენამდე მოაღწევს, ამასთან დაკავშირებით, აღნიშნულის საფუძველზე საპატიცემულოდ გამოსული ფირმანი, რომელშიც ნაჩვენებია მორჩილება გან-

კუთვნილი სარგოსი და საჭირო თავისუფლებისა და შინაარსისა, რომელსაც უნდა დაექვემდებაროთ, ამის თაობაზე არაერთი თავშეკავება და წინააღმდეგობა შეგხვდათ. ასე იცოდეთ, პატიოსან ნიშანს ენდეთ:

დაიწერა პატიოსანი ზილ-ჰიჯეს მიწურულს, წელი 1040-ს

ღეთივდაცულ კონსტანტინიეში.

ტრაპიზონის ვალის და სხვა წარჩინებულებს.

1. 1140 წლის ზილ ჰიჯეს მიწურული 1728 წლის 6. 8.

უწმინდესი, მაღალღირსეული ბრძანება. უმაღლესი სასულთნო ნიშანი და ბრწყინვალება, მსოფლიოს მპყრობელის სამეუფეო თუღრა ისაა, რომ სოხუმის ციხეში მდებარე პატიოსანი ჯამეს ხადიმი და მუფეტიში 345 საღი ახჩა დღიურებს იღებდნენ ყოველდღე ტრაპიზონის საბაჟოდან გასაგზავნი ფინანსებიდან. 1140 წლის დასასრულს[1], რადგანაც ოჯაქლიქი დაენიშნათ. ზემოხსენებულ ხადიმს დღიური 10 ახჩათი დურ ხუვანი და დღიური 5 ახჩათი ფეთჰ ხუვანი ებოძა, რომლის ჯამია დღიური 15 საღი ახჩა. ამ სამსახურების მუთასარიფი, დაევალების შემსრულებელი, ამ უმაღლესი სამეუფეო დოკუმენტის მატარებელი, მეჰმედ ბენ ოსმანი, ამ თანამდებობის მფლობელობის გამო, თავისი მოვალეობის საზღაურს 1141 წლის დასასრულიდან[2] ყოველ თვე ტრაპიზონის საბაჟოს გასაგზავნი ფინანსებიდან აიღებდა. როდესაც ამაზე განახლებული პატიოსანი ბერათის ბოძების საკითხზე თელხისი გამოვიდა და მის საფუძველზე ფირმანი გაიცა, ჩემი ურიცხვი საიმპერატორო მოწყალება იქნა მოღებული. თელხისისა და გაცემული დიდებული ფირმანის საფუძველზე 1141 წლის პატიოსანი რამაზანის თვის მე-18 დღიდან[3] ეს სამეუფეო ბერათი გიბოძე და ვბრძანე, რომ ხსენებული მეჰმედ ბენ ოსმანი წავიდეს და ხსენებულ ჯამეში დურ ხუვანი და ფეთჰ ხუვანი გახდეს და საჭირო სამსახურის შესრულების შემდეგ, არსებული წესის თანახმად, დანიშნული დღიური 15 საღი ახჩა გასამრჯელო დაენიშნოს. ხსენებული წლის მიწურულიდან ყოველ თვე ტრაპიზონის საბაჟოს გასაგზავნი ფინანსებიდან დაინიშნოს. ხელზე ებოძათ სამსახურის მფლობელებს. ასე იცოდეთ, პატიოსან ნიშანს ენდეთ.

დაიწერა შევალის თვის ოთხს, წელი 1141[4].

კონსტანტინიე.

43 და 44 წლები[5], 13 /დოკუმენტის/ მეორე გვერდზე. ველზე იქნეს მიწერილი.

---

1 1140 წელი - - - 19.8.1727 - - - 6.8.1728 წელი.

2 1141 წლის დასასრული - - - 26.7.1729 წელი

3 1141 წლის რამაზანის 18-ე დან 17.4.1729 წელი

4 1141 წლის შევალის ოთხი - - - 3.5.1729 წელი

5 1143 და 1144 წლები: 1.7.7.1730 — 5.7.1731 წელი, 2.6.7.1731 - 23.6.1732 წელი.

ანგარიში: ტრაპიზონის საბაჟოდან გასაგზაენი ფინანსებიდან გაიცეს. სოხუმის ჯამეში პატიოსანი ჯამეს მსახურთა ჯამაათიდან.

დღეები: მეჰმედ ბენ ოსმანი — სოხუმის ციხის პატიოსანი ჯამეს დურ ხუვანი.

დღე - - -10

05

15 ფეთჰ ხუვანი.

თხოვნაა 1143 წლისა დაიანგარიშეთ! ბრძანება და ფირმანი ჩემი ბედნიერი სულთნისაა. 1145 წლის 25 რები ულ ახირი[1]. შარიათის წიგნის დაწერისა და გასწორების მიზეზი ისაა, რომ ამ დიდებული ბერათის ასლში ჩაწერილის მიხედვით, სოხუმის ციხეში არსებული პატიოსანი ჯამეს მსახურებს, რადგანაც ოჯაქლიქი დაენიშნათ, 10 ახჩით დურ ხუვანი და 5 ახჩათი ფეთჰ ხუვანის მფლობელმა მეჰმედ ბენ ოსმანის სახელწოდების პირმა პატიოსანი სასამართლოს საჭირო პატივი, როდესაც მიაგო /ეახლა/, ასე მოახსენა და აუწყა: აღინიშნა, რომ ქალაქ ტრაპიზონის საბაჟო მუქათაას ემინმა იბრაჰიმ აღამ, როდესაც /ეახლა/ სასამართლოს, ყოველიეე დაუყონებლივ სრულად აუწყა: 1143 წლის მუჰარემის დასაწყისიდან ხსენებული წლის ზილ ჰიჯეს ბოლომდე[2] დღიური 15 ახჩა ჩემი სამსახურის გამო ამ წელიწადში შეგროვილია 5400 საღი ახჩა მთლიანად. ჩემი ხელფასი /ჩემთვის გადაკვეთილი/ ხსენებული მუქათაას მოსაელიდან ხსენებული ემინის იბრაჰიმ ალის ხელით მთლიანად და უკლებლივ მივიღე, მეორე დღეს ხსენებული თანხიდან აღნიშნული ემინის ხელით არც ერთი ნამცეცი ახჩა არ დარჩა. ასე რომ, მის ხელთ არსებული დიდებული ბერათის ასლის მეორე გვერდზე ეს ჰუჯეთი დაიწეროსო. ეს რომ განაცხადა, შემდეგ სასამართლო გადაწყვეტილება ისაა, რომ მომხდარი, ამბავი მოთხოვნილებისამებრ ამოწერილ იქნეს. დაიწერა ზილ-ჰიჯეს 10-ს, წელი 1143[3].

საქმის მოწმენი: მეჰმედ აღა ბენ აბდულლაჰი, აბდულლაჰ აღა იბნ აბდულლაჰი, მეჰმედ ბენ აჰმედი, სელიმ ბენ სულეიმანი, ალი ბენ სულეიმანი, მუსტაფა ბენ შაბანი, აჰმედ ბენ მეჰმედი და სხვა დამსწრები.

---

1 1145 წლის 25 რები ულ-ახირი 15.10.1732 წელი.

2 1153 წლის მუჰარემის დასაწყისიდან ხსენებული წლის ზილ-ჰიჯეს ბოლომდე 17.7.1730-დან 7.6.1731 წელი

3 1143 წლის 10 ზილ-ჰიჯე 16.6.1731 წელი.

№ 29

ის /ალაჰი/ შეეწიოს

დიდებული ბერათის ასლი

უწმინდესი მაღალღირსეული ბრძანება .....
სოხუმის ციხეში მდებარე ჯამი შერიფის ხადიმი მუფტიშს 345 საღი ახჩა სარჩოდ მიეცა. ყოველთვე ტრაპიზონის საბაჟოს გასაგზავნი თანხიდან საბოძებლად 1141 წელს[1] ოჯაქლიქი დაენიშნათ. ხსენებული ხადიმებისთვის სარჩო 15 ახჩა, მუეზდისთვის 10 ახჩა, დურ ხუვანისთვის ჯამი 25 საღი ახჩა. უდიდებულესთა და უწარჩინებულესთა ხაკანი იბრაჰიმ ბენ აიუბი თანხის მფლობელი გახდა. ამ მიზნით 1141 წლის მიწურულიდან ყოველ თვე ტრაპიზონის საბაჟოს გასაგზავნი თანხიდან აიღებდნენ. განახლებული პატიოსანი ბერათის საბოძებლად თელხისი გამოვიდა. ჩემი ფირმანის თანახმად, ჩემი სამეუფეო მოწყალება გამოვიდა. თელხისი და გამოცემული დიდებული ბრძანების თანახმად, 1141 წლის დიდებული რამაზანის თვის მე-18[2] დღიდან ეს სამეუფეო ბარათი გიბოძეთ და ვბრძანებ, რომ ხსენებული იბრაჰიმი ბენ აიუბი მოვიდეს. ხსენებულ ჯამეში მუეზინი და დურ ხუვანი გახდეს. ამ სამსახურის შესრულების შემდეგ, აღნიშნულის საფუძველზე, დანიშნული სარჩო 25 საღი ახჩა აღნიშნული წლის მიწურულიდან ყოველ თვე ტრაპიზონის საბაჟოს გასაგზავნი თანხიდან ემინების ხელით აიღონ. როდესაც იგი მისი მფლობელი გახდება, ასე იცოდეთ, პატიოსან ნიშანს ენდეთ.

დაიწერა 1141 წლის შევალის თვეში[3].
ღვთივდაცულ კონსტანტინიეში.
სახელმწიფო ხაზინის დავთრის თანახმად.
ტრაპიზონის საბაჟოს გასაგზავნი ფინანსებიდან.

დღეები იბრაჰიმ ბენ აიუბისა. სოხუმის ციხის ჯამი შერიფის დურ ხუვანი და მუეზდი.

დღე მუეზდი	15
დურ ხუვანი	10
	- - -
	25

1 1141 წელი – 7.8.1728 - 27.7.1729 წელი.
2 18 რამაზანი 1141 წლისა 18.4.1729 წელი
3 1141 წლის შევალი 30.4.-29.5.1729 წელი

გაიგზავნა სოხუმში. 1143 წლის 5 რები ულ-ყეელს.[1]
1143 წლის მუჰარემის დასაწყისიდან გარდაცვლილი იაზიჯიესთვის საბოძებლად ითხოვეს დაანგარიშება. ფირმანი ჩემი ბედნიერი სულთნისაა. 1145 წლის 25 შევალი[2]. დიდებული ბერათი დედანთან სწორია, გადაწერა ალაჰის გლახაკმა აჰმედმა, სოხუმის ციხის ყადიმ. შეუნდოს უფალმა.

საქმე ისაა, როგორც აქ არის გადმოცემული, გადაწერა ალაჰის მწირმა აჰმედმა, სოხუმის ციხის ყადიმ. შეუნდოს უფალმა.
/ამ დოკუმენტის/ დაწერის მიზეზი ისაა, რომ ამ დიდებული ბერათის ასლში რეგისტრირებულის მიხედვით, სოხუმის ციხეში ჯამი შერიფის მსახურთაგან რადგანაც მათ ოჯაქლიქი დაენიშნათ დღიური 15 ახჩით, მუეზინს 10 ახჩა, ხოლო დურ ხუვანს იბრაჰიმ იბნ აიუბის სახელწოდების პირს პატიოსანი მეჯლისის გადაწყვეტილებით თვითონ ტრაპიზონის საბაჟოს მუქათაას ემინმა იბრაჰიმ აღამ სასამართლოზე სრულიად და დაუყონებლივ განაცხადა. 1143 წლის მუჰარემის დასაწყისიდან ხსენებული წლის ზილ-ჰიჯეს მიწურულამდე[3] სარჩო 25 ახჩა მივიღე. ახჩები ამ წელს დაჯამდა 18050 ახჩა მივიღე. იგი ხსენებული მუქაათას პროდუქტებიდან, ხსენებული ემინის ხელით არც ერთი ნამცეცი ახჩა არ დარჩა. აი ამის ხელით არსებული დიდებული ბერათის მეორე გვერდზე მაღალი ჰუჯათი იყოსო. როდესაც განაცხადეს, დაუყონებლივ უნდა იაღონ.

დაიწერა 1143 წლის კურთხეული საფარის 20[4].

საქმის მოწმენი: სულეიმან ბენ ჰასანი. აჰმედ ბენ ჰუსეინი. მეჰმედ ბენ მეჰმედი. რამაზან ბენ სელიმი. ალი ბენ მუსტაფა. სელიმ ბენ სულეიმანი და სხვა დამსწრენი.

---

1 1143 წლის 5 რები ულ-ყეელი – 18.9.1730 წელი
2 1145 წლის 25 შევალი 10.4.1733 წელი
3 1143 წლის მუჰარემის დასაწყისიდან – ზილ-ჰიჯეს მიწურულამდე 17.7.1730 – 5.7.1731 წელი
4 1143 წლის 20 საფარი 4.9.1730 წელი.

№ 30
ის /ალაჰი/ შეეწიოს

ტრაპიზონის საბაჟოდან გასაგზავნი თანხიდან აღებული სოხუმის ციხეში მდებარე პატიოსანი ჯამედან 15 ახჩა მუეზინის ხელფასია, 10 ახჩა დურ ხუვანისაა, ხოლო 15 ახჩა მსახური მაჰმუდ ბენ რიფათისაა. ამ თავისუფალი ადგილების მფლობელმა უმაღლესი სამეუფეო ხაკანიმ აბდურრაჰმან ხალიფამ ყოველი შემთხვევისთვის განაცხადა ადგილი თავისუფალიაო, ზემოხსენებულის გარდაცვალების შემდეგ, მისი ადგილი, რადგანაც ცარიელი დარჩა, ხელზე დიდებული პატიოსანი ბერათის ბოძების საკითხზე თხოვნაა – სოხუმის ციხის დიზდარის მეჰმედის, დაცული იყოს ყოველგვარი ბოროტებისაგან, არზის თანახმად, მას ებოძოს. რადგან ჩემი ფირმანი არსებობს, ამავე ჩემი სამეუფეო წყალობა გამოვიდა, 1144 წლის საფარის 25-ე დღეს[1], თარიღი დასმულია. ჩემი სამეუფეო მოხსენების თანახმად ეს მაღალი ფირმანი გიბოძე და ებრძანებ, რომ ზემოხსენებული აბდურრაჰმან ხალიფა მოვიდეს, ხსენებულ ჯამეში მუეზინი, დურ ხუვანი და მსახური გახდეს. აუცილებელი სამსახურის შესრულების შემდეგ, აღნიშნული ჯამაათისთვის დანიშნული თანხა 40 ახჩა დაევალება ტრაპიზონის საბაჟოს გასაგზავნი თანხიდან აიღონ. ასე იცოდეთ, პატიოსან ნიშანს ენდეთ.

დაიწერა 1144 წლის რები ულ-ეველეს 3-ს[2].

კონსტანტინიეში.

იაზიჯისთან ერთად დაიანგარიშეთ!

სახელმწიფო ხაზინიდან დავთრის თანახმად.

ტრაპიზონის საბაჟოს გასაგზავნი თანხიდან

აბდურრაჰმან ხალიფა მუეზინის დღეები. დურ ხუვანისა და მსახურთა დღეები სოხუმის ციხეში, პატიოსან ჯამეში

დღე 15 მუეზინი

10 დურ ხუვანი

15 მსახური

1144 წლის ზილ-კადეს დასაწყისში[3].

თხოვნაა დაიანგარიშონ ბერათზე გაკეთებული თარიღის შემდეგ წლის მიწურულამდე. ბრძანება და ფირმანი ჩემი ბედნიერი სულთნისაა.

---

1 1144 წლის საფარის 25 29.8.1731 წელი.

2 1144 წლის რები ულ-ეველის 3 – 5.9.1731 წელი.

3 1144 წლის ზილ-კაადეს დასაწყისი – 26.4.1732

1145 წლის 25 რები ულ-ეეელი[1].

დიდებული ბერათი დედანთან სწორია, გადაწერა ალაჰის მწირმა აჰმედმა, სოხუმის ციხის ყადიმ, შეუნდოს უფალმა.

საქმე ისეა, როგორც აქაა დაწერილი. გადაწერა იგი ალაჰის, იყოს წმინდა სახელი მისი, გლახაკმა ლუთფულლაჰმა, ქალაქ ტრაპიზონის ყადიმ.

ამ დიდებული ბერათის ასლის აზრი ისაა როგორც აქაა აღნიშნული, აბდურრაჰმანის სახელწოდების პირმა პატიოსანი მეჯლისის სასამართლოზე განაცხადა. ტრაპიზონის საბაჟოს მუქათაას ემინმა ამ იბრაჰიმ აღამ სასამართლოზე სრულად განაცხადა რომ: ამ 1144 წლის მუჰარემის დასაწყისიდან ხსენებული წლის ზილ-ჰიჯეს მიწურულამდე.[2] სარჩო 40 ახჩამ ჩემი დავალებით, ამ წელს შეკრებილმა შეადგინა 14400 ახჩა, ხსენებული მუქათაას შემოსავლიდან ზემოხსენებულმა ემინმა იბრაჰიმის ხელით, სავსებით და მთლიანად ავიღე. ამის შემდეგ აღნიშნული თანხიდან ხსენებული ემინის ხელით არც ერთი ნამცეცი ახჩა აღარ დარჩა. ამ ხელთ არსებული დიდებული ბერათის ასლის მეორე გვერდზე ჰუჯეთი იყოსო. ეს როდესაც განაცხადა, ამის შემდეგ მთლიანად იქნეს ამოწერილი.

დაიწერა 1144 წლის ზილ-ჰიჯეს 4-ს[3].

საქმის მოწმენი: მუნლა მუსტაფა, ალ ჰაჯ მეჰმედ ალი ეფენდი, აჰმედ ეფენდი, იბრაჰიმ ეფენდი, ჰასან ბენ ჯაფერ ბენ და სხვა დამსწრენი.

---

1 1145 წლის 25 რები ულ-ეეელი – 15.9.1732 წელი

2 1144 წლის მუჰარემის დასაწყისიდან ამავე წლის ზილ-ჰიჯეს მიწურულამდე 6.7.1731 წლიდან – 23.6.1732 წელი

3 1141 წლის ზილ-ჰიჯეს 4 29.5.1732 წელი.

სოხუმის ციხეში ჯამი შერიფის ხადიმს და მუფეტიშს 345 საღი ახჩა სარჩოდ მიეცათ, რაც ყოველ თვე ტრაპიზონის საბაჟოს გასაცემი თანხიდან ებოძათ... 1141 წლის მიწურულიდან[1] ოჯაქლიქი დაენიშნათ, ხსენებული ხადიმებიდან სარჩო 20 საღი ახჩა მიეცათ. ხელოვნების მსახურთ, უმაღლესი სამეუფეო წარჩინებულთა განმგებელნი, ვალდებულნი არიან 1141 წლის მიწურულიდან ყოველ თვე გასამრჯელო ტრაპიზონის საბაჟოს გასაგზავნი ქონებიდან აიღონ. აღმართული პატიოსანი ბერათის საკითხზე, თელხისი როდესაც იქნება, მის საფუძველზე ჩემი ფირმანი გაიცა, რადგანაც, ამის შესახებ ჩემი სახელმწიფო მოწყალება იქნა გაღებული, თელხისის, გამოცემული დიდებული ფირმანის თანახმად, 1141 წლის დიდებული რამაზანის მე-18 დღიდან[2] ეს სამეუფეო ბერათი გიბოძე და ვბრძანებ, რომ ხსენებული მოვიდეს, ხსენებული ციხიდან ხელოსანი გამოგზავნოს. საჭირო სამსახურის გაწევის შემდეგ, არსებულის საფუძველზე, დანიშნული სარჩო 20 საღი ახჩა გასამრჯელოთი, ხსენებული წლის მიწურულიდან, ყოველ თვე ტრაპიზონის საბაჟოს გასაგზავნი თანხიდან ემინებისგან აიღოს, როდესაც მისი მფლობელები გახდებიან, ასე იცოდნენ, პატიოსან ნიშანს ენდონ.

დაიწერა 1141 წლის შაბანის ოთხს[3].

კონსტანტინიე.

ხაზინის დავთარი

ტრაპიზონის საბაჟოს მუქათაას თანხიდან. დაიანგარიშეთ!

სახელმწიფო ხაზინის დავთრის თანახმად.

ტრაპიზონის საბაჟოს გასაგზავნი თანხიდან. დღეები ხელოსნისა, დღეში 20.

1141 წელს[4] ითხოვეს დაანგარიშება. ფირმანი ჩემი ბედნიერი სულთნის უდიდებულესობაზეა.

1145 წლის 25 რები ულ-ეველი[5]. ასლი დიდებულ ბერათთან შეჯერებულია. გადაწერა ღვთის გლახაკმა აჰმედმა. სოხუმის ციხის ყადიმ. შეუნდოს უფალმა.

---

1 1141 წლის მიწურული – 26.7.1729 წელი.
2 1141 წლის 18 რამაზანი – 17.4.1729 წელი
3 1141 წლის შაბანის 4 – 5.3.1729 წელი
4 1141 წელი – 7.8.1728 –26.7.1729 წელი
5 1145 წლის 25 რები ულ-ეველი – 15.9.1732 წელი

№ 32
ის /ალაჰი/ შეეწიოს

სოხუმის ციხეში მდებარე პატიოსანი ჯამეს ხადიმები და მუფტიშები 245 საღ ახჩა სარჩოს იღებენ. ყოველ თვე ტრაპიზონის საბაჟოს გასაგზავნი ფინანსებიდან გაიცა. 1141 წლის მიწურულიდან[1] ოჯაქლიქი დაენიშნათ, ხსენებული სამსახურიდან მათ სარჩო ებოძათ 10 ახჩა დურ ხუვანი და ხუთხუთი ახჩა ფეთჰ ხუვანი. საერთო ჯამში სარჩოდ 15 ახჩა. ამ უმაღლესი სამეუფეო სასულთნოს მეჰმედ ბენ ოსმანის მფლობელობაში არსებული დავალებები 1141 წლის მიწურულიდან ყოველ თვე ტრაპიზონის საბაჟოს გასაგზავნი თანხიდან ებოძებოდათ. როდესაც დადგა საკითხი განახლებული პატიოსანი ბერათის ბოძებაზე, თელხისი გაიცა. მის საფუძველზე ფირმანი რადგანაც არსებობს. ჩემი სამეუფეო მოწყალება იქნა ,გამოჩენილი. თელხისის, გაცემული დიდებული ფირმანის თანახმად 1141 წლის დიდებული რამაზანის მე-18 დღიდან[2] სამეუფეო ბერათი გავეცი და ებრძანე, რომ ნურ მეჰმედ ბენ ოსმანი მოვიდა, ხსენებულ ჯამეში დურ ხუვანი და ფეთჰ ხუვანი გახდნენ. საჭირო სამსახურის გაწევის შემდეგ, არსებული წესის მიხედვით დაინიშნენ. დღიური 15 საღი ახჩა დაენიშნათ. იგი ხსენებული წლის დამლევიდან, ყოველ თვე ტრაპიზონის საბაჟოს გასაცემი ფინანსებიდან ემინებს ეძლეოდათ. მათი ხელიდან იქნა აღებული, თუ მისი მფლობელები გახდებიან, ასე იცოდეთ პატიოსან ნიშანს ენდეთ. დაიწერა 1141 წლის შევალის თვის ოთხში[3].

კონსტანტინე.

შესაბამისი ადგილი: დაიანგარიშეთ!

სახელმწიფო ხაზინის დავთრის თანახმად. ტრაპიზონის საბაჟოს გასაგზავნი ქონებიდან. დღეები. სამსახური, დურ ხუვანი და ფეთჰ ხუვანი სოხუმის ციხის ჯამი შერიფისა.

დღე 10 დურ ხუვანი
5 ფეთჰ ხუვანი
15

აღნიშნული 1144 წლის[4] თხოვნა დაანგარიშებულ იქნეს! ბრძანება და ფირმანი ჩემი ბედნიერი სულთნისაა. დაი-

---

1 1141 წლის მიწურული 26.7.1729 წელი
2 1141 წლის რამაზანის 18 17.4.1729 წელი.
3 1141 წლის შევალის 4 3.5.1729 წელი
4 1144 წელი 6.7.1731 23.6.1732 წელი

წერა 1145 წლის 25 რები ულ-ეველს[1]. დაეთარი, ხაზინის მიხედვით. ტრაპიზონის საბაჟოს გასაგზავნი ფინანსებიდან. მეჰმედ ბენ ოსმანი დურ ხუვანი და ფეთჰ ხუვანია სოხუმის ციხის პატიოსანი ჯამესი. დღე 25. დიდებული ბერათი დედანთან სწორია. გადაწერა მწირმა ალაჰისა, აჰმედმა სოხუმის ციხის ყადიმ. შეუნდოს ალაჰმა.

1 1145 წლის 25 რები ულ-ეველი 15.9.1732 წელი.

№ 33
ის /ალაჰი/ შეეწიოს

უწმინდესი, მაღალღირსეული ბრძანება. უმაღლესი სასულთნო ნიშანი და ბრწყინვალება.

სოხუმის ციხეში მდებარე ჯამეს ხადიმი და მუფეტიში 345 საღი ახჩას იღებდნენ სარჩოდ. ტრაპიზონის საბაჟოს გასაგზავნი თანხიდან საბოძებლად 1141 წლის მიწურულიდან[1] ოჯაღლიქი დაენიშნათ. ხსენებული ხადიმისგან სარჩო 60 ახჩაა. მისი მფლობელი ვაიზი დღიური 30 ახჩათი. დღიური მათ 30 ახჩა განესაზღვრათ. დერი საამს დღიურად 60 ახჩა და იმამს დღიური 30 ახჩა დაენიშნათ, რომლის ჯამია 210 საღი ახჩა. უმაღლესი სამეუფეო, დიდებული სახელმწიფო დავალების მქონე კასიმ ბენ მეჰმედი, იმატოს მისმა სიდიადემ, რადგანაც მფლობელი გახდა, მას დაევალა 1141 წლის მიწურულიდან ყოველ თვე ტრაპიზონის საბაჟოს თანხის გაგზავნა. რეგიონში მოქმედი პატიოსანი ბერათის ბოძების საკითხზე რადგანაც თელხისი არსებობდა, მის საფუძველზე ჩემი ფირმანიც ფუნქციონირებდეს. ამასთან ჩემი საფადიშაჰო მოწყალებაც წარმოჩნდეს. თელხისის, გამოცემული ჩემი დიდებული ფირმანის საფუძველზე, 1141 წლის დიდებული რამაზანის თვის მე-18[2] დღიდან ეს ბერათი სამეუფეო უბოძე და ვბრძანე, რომ ზემოხსენებული კასიმ ბენ მაჰმუდისთან, იმატოს მისმა სიდიადემ, როდესაც მოაღწევს საჭირო განკარგულება სამსახურის შესრულების შემდეგ, არსებული წესის მიხედვით, დანიშნული დღიური 210 საღი ახჩა დაეკისრათ. 1141 წლის მიწურულიდან აღნიშნულ პირთათვის ყოველ თვე ტრაპიზონის საბაჟოს გასაგზავნი ფინანსებიდან დაენიშნათ, იქაურმა ემინებმა თავიანთი ხელით აიღეს ეს საქმე. მისი მფლობელები გახდნენ. ასე იცოდეთ პატიოსან ნიშანს ენდეთ.

დაიწერა 1141 წლის შევალის თვის 4-ს[3].

ღვთიედაცულ კონსტანტინიეში.

იაზიჯიებთან ერთად იქნა დაანგარიშებული.

სახელმწიფო ხაზინის დავთრის მიხედვით ტრაპიზონის საბაჟოს გასაგზავნი ფინანსებიდან.

სოხუმის ციხის ჯამი შერიფის კასიმ მეჰმედის ძის სერ ამის დღეები.

1 1141 წლის მიწურული – 26.7.1729 წელი.
2 1141 წლის 18 რამაზანი – 17.4.1729 წელი.
3 1141 წლის 4 შეეალი – 3.5.1729 წელი.

დღე 60 დღეები
30 კასიმი
900 იმამი დღე 30.

1143 წლის 20 ჯემაზი ულ-ახირი,[1] სოხუმი.

დღეები, კასიმ ბენ მეჰმედ ხატიბისა-დღე 30.

საზრდო კასიმ ბენ მეჰმედისა–დღეები 60.

1143 წლის ჯემაზი ულ-ახირი 23[2].

1143 წელს[3] იაზიჯიებთან ერთად ითხოვეს დაეანგარიშებინათ. ბრძანება და ფირმანი ჩემი ბედნიერი სულთნის უდიდებულესობაზეა.

1145 წლის 25 რები ულ-ახირი[4]. დიდებული პატიოსანი ბერათის ასლთან შეჯერებულია. გადაწერა ალაჰის მწირმა აჰმედმა სოხუმის ციხის ყადიმ.

შეუნდოს უფალმა. რეგისტრირებულია.

საქმე ისეა, როგორც აქ არის გადმოცემული. გადაწერა ალაჰის მწირმა – იყოს მასზე დიდება და პატივი, აჰმედმა, სოხუმის ციხის ყადიმ. შეუნდოს უფალმა.

/ამ დოკუმენტის/ დაწერის მიზეზი ისაა, რომ ამ დიდებული ბერათის ასლში რეგისტრირებულის მიხედვით, სოხუმის ციხეში ჯამი შერიფის ხადიმებს ოჯაქლიქი დაენიშნათ დღიური 210 ახჩას ოდენობით. ჩემი დავალება იყო ქალაქ ტრაპიზონის საბაჟოს მუქათაას ემინის ბედნიერი იბრაჰიმ აღას ხელით 1143 წლის მუჰარემის დასაწყისიდან ზილ-ჰიჯეს მიწურულამდე[5] შეჯამებული ჩემი დავალება, რაც დაწესებული იყო, აღნიშნული პროდუქტებიდან მთლიანად და საესებით აიღე. ამის შემდეგ აღნიშნული თანხიდან ხსენებული ემინის ხელით არც ერთი ნამცეცი აღარ დარჩა. ამის გამო ამ ჩემი დიდებული ბერათის ასლის გამოსაჩენად, დიდებული ჰუჯეთი გამოვიდა. მოთხოვნისთანავე დაუყონებლივ იქნა ამოწერილი. დაიწერა 1144 წლის ხეირიანი საფარის ორს[6].

არსებული წესის მიხედვით, ამჟამად სახელმწიფო ეერფში მშენებარე გემის შესახებ ბრძანება გაცემულია, 20 ცალია, გემის მომსახურე პერსონალმა 220 ჯარისკაცი გამოიყვანა, მის სამსახურში მყოფნი საკმაო ოდენობის იყვნენ, ყოველ თვე თავიანთ მეთაურებს 10-10 და გემის მსახურებს 5 ყურუშს აძლევდნენ, მათთვის განკუთვნილ აღნიშნულ 20 კულუჩის 1020-ს და 100 ყურუშს აძლევდნენ, ამ ანგარიშის მიხედვით, აღნიშნულის საფუძველზე გაიცემოდა, სამ-სამი თვის მიხედვით, 10600 ყურუშამდე აღწევდა, მათთვის განკუთვნილმა სამსამთვიანმა ხელფასებმა, ამჟამად სახელმწიფო ვერფში ქეთხუდა, ბედნიერი ალჰაჯ მუსა-ფაშას მეშვეობით, მსახურთა არეულობა გამოიწვია, საჭირო ხელფასები მომსახურეთა ხელებით უნდა ჩაბარდეს, ამის თაობაზე ფირმანი ჩემი ბედნიერი სულთნის უდიდებულესობაზეა,

136 წლის 23 ჯემაზი ულ-ახირი[1]

თქვენი მონა-მორჩილის არზა ისაა, რომ ამჟამად სახელმწიფო ვერფში მშენებლობა მიმდინარეობს, ჩვენს ხელთ არსებული 20 გემი, მაღალი ალაჰის წყალობით, სულუჯუკსა და სოხუმის ციხეებში მშენებლობისათვის გაემგზავრნენ, ფქვილი და ხორბალი კულუსის და იბრაილის ციხე სიმაგრეებიდან ტრაპიზონში გაიგზავნა, პროვიანტის გასაგზავნად დაინიშნა და გამწესებულ იქნა, თითოეული ნაწილი ყოველ წელს თითო ჯარისკაცს ამწესებს, 10-10 ჯარისკაცები გემიჯიები არიან, მათ მეთაურებს ყოველ თვე 10-10 ყურუში და გემის მსახურებს კიდევ ხუთი ყურუში ეძლევათ, საჭირო შეიქნა სამთვიანი ხელფასების გაცემა, აღნიშნულის საფუძველზე, სამთვიანი ხელფასები 3600 ყურუშია, დიპლომატიური მისია დიდებული ვეზირის, კაფუდან ფაშას მეშვეობით იმჟამად სახელმწიფო ვერფის ქეთხ-

1 1136 წლის 23 ჯემაზი ულ-ახირი – 20. 3. 1724 წელი.

უდას მეთაურები დააკავეს, და ამით საქმე გააფუჭეს, თავიანთი ხელფასები თავთავიანთ ადგილებზე ჩააბარეს, ერთ დღეს იმ რაიონში გასამგზავრებლად მთავარმა მოანგარიშემ რეგისტრაციაში გაატარა, თესქერე გაიცა და მის საფუძველზე, ასლის გაცემა გადაწყდა, ამაზე ბრძანება და ფირმანი ჩემი ბედნიერი და მოწყალე სულთნის უდიდებულესობაზეა,

სწორია !

თელხისის საფუძველზე მთავარ მოანგარიშესთან იქნა რეგისტრირებული, თესქერე გაიცა, ასლის გაცემის განკარგულება გამოვიდა, სწორია !

136 წლის 24 ჯემაზი ულ-ახირი[1].

1 1136 წლის 24 ჯემაზი ულ-ახირი – 21. 3. 1724 წელი.

№ 88
ის /ალაჰი/ შეეწიოს

რადგანაც სალიანე აღარ დარჩა რეგისტრირებულ იქნეს, სხვადასხვა თესქერეები გაიცეს.

ლევენდების ხელფასი, კაფუდანების სალიანე სხვადასხვა კაზებში, ბეშლუიანები საჰუს მხრიდან სიფაჰი და მირის მსახურნი ფოთის, სოხუმის და სუღუჯუკის ციხეებში დაინიშნენ, ბედნიერების დედაქალაქიდან, ხელფასები და სალიანები საგანგებოდ ებოძათ 1137 წლის ზილ-ჰიჯეს,[1] დავთრის, თელხისისა და მაღალი ფირმანის თანახმად 1137 წლის 19 შაბანს[2], პატიოსანი ფირმანის საფუძველზე გაიცა თესქერეები, სალიანეს კალემის საფუძველზე კაიმე გაიცა,

ფირკათის /გემის/ მხედარი კასიმ ფაშალი აბდულლაჰ კაფუდანი,
ნაწილში 18 ყუთი, ჯარისკაცი 80
ყურუში ესედი: თითოეულ ჯარისკაცს 35 ყურუში,
2800 ლევენდების ხელფასიდან,
0250 კაფუდანთა ხელფასიდან

3050

კასიმ ბაშის ჯარისკაცი სადი ბადლი მეჰმედ კაფუდანი
ავირათი 12 ცალი, ჯარისკაცი 28 თითოეულ ჯარისკაცს 35 ყურუში,
ყურუში ესედი 980 ლევენდების ხელფასის შესახებ
250 კაფუდანის სალიანეს შესახებ

1230

ფირკათის /გემის/ ჯარისკაცი ბიიკლი მეჰმედ კაფუდანი ნაწილი ობრათისა 18 რაზმი, ჯარისკაცი 80,
ყურუში ესედი თითოეულ ჯარისკაცს 35 ყურუში
2800 ლევენდების ხელფასების შესახებ
0250 კაფუდანების სალიანეს შესახებ,

3050

კასიმ ბაში მხედარი ბაღდადლი ალი კაფუდანისა,
რაზმი I დანაყოფი 12, ჯგუფი, ჯარისკაცი 28
ყოველ ჯარისკაცზე 35 ყურუში,

1 1137 წლის – 11. 8. 1725 – 8. 9. 1725 წელი
2 1137 წლის 19 შაბანი – 3. 5. 1725 წელი.

ყურუში ესედი : 980 ლევენდების ხელფასიდან
250 კაფუდანის სალიანედან

1230

სხვადასხვა ნაწილების ჯამი და კასიმ ფაშას რაზმი, ჯგუფი ჯარისკაცებისა 212.

ყურუში ესედი : 8560 ლევენდების ხელფასი
1000 კაფუდანთა სალიანე

8560

უმაღლეს ბრძანებათა შესახებ, ბრძანება გაიცა.
ყურუში ესედი I 2853.
მეორე დანაყოფის შესახებ ბექთაშებზე გაიცა ბრძანება, ყურუში ესედი I.
ბენიზი და 2853.
დანაყოფი მესამედისა მაჰალიშისა, გაიცა ბრძანება.
ყურუში ესედი I ბენიზი და 2853.
ამ წელს ფოთის, სოხუმისა და სუღუჯუკის ციხეებში დადგენილი სამსახურები, მათთვის გამოყოფილი იყო შაიი ზღვის მხარისკენ წამსვლელი ორი ფირკათის გემი და ორი რიგი კასიმ ბაშის ზაბრარისა, ძველთაგანვე არსებულის მიხედვით, 216 კაცი ლევენდის გემის მსახური და ოთხი კაცის კაფუდანის ჯგუფი უნდა იყოს, თითოეულ ჯარისკაცს 35 ყურუშიდან 7560 ყურუში ხელფასი ებოძოს და ოთხი კაცი კაფუდანებთან გაიგზავნოს, 250-250 ყურუშიდან 1000 ყურუში სალიანეებთან ერთად შეჯამდეს, თუ 8560 ყურუში შეადგინა, აქედან ხელფასის მესამედი და სალიანეების მესამედი შეჯამდება, დარჩენილი და მესამედი თუ გაიცემა, სალიანეს კალემიდან /სახელოდან/ სხვადასხვა თესქერეების გაცემაზე მთავარ მოანგარიშესთან ჩაიწერება, სალიანეს კალემიეს /სახელო/ კაიმე გაიცემა, თელხისი და მაღალი ფირმანი რადგანაც გაიცა, არსებულის მიხედვით, სხვადასხვა თესქერეების გასაცემად, სალიანეს კალემიეს ეს კაიმე გაიცა.

1137 წლის 19 შაბანი.

მთავარი მოანგარიშის მიერ თამასუქებით შემოწმებულ და დაანგარიშებულ იქნეს.
ბეჭდიანი ხალხის აღწერის დავთრის თანახმად შეჰმედ აღა ინჟინერთა აღა ხასე ახჩა 30280.
თამასუქების თანახმად 9 ნაწილი ახჩა 22360.
გასაელის დავთრის თანახმად და თამასუქების სახეზე არსებობის გამო 9720 ახჩა.

არსებული ფირმანის მიხედვით, ამ დავთრის თანახმად თამასუქებით როდესაც იქნა შეჯერებული,9 ნაწილი თამასუქებისა სახეზე იყო. შეადგინა 22363 ახჩა. და ამ დავთრის თანახმად, სახეზე არსებული სამი წყება თამასუქებისა 7920 ახჩაა, მთლიანად 3280 ახჩაა, ფირმანი ჩემი ბედნიერი და მოწყალე სულთნის უდიდებულესობაზეა. 1138 წლის 15 რეჯები.[1] თელსიისი.

სინაკლებე სამუშაოებისა მშრომელი ადამიანებისა სოხუმის ციხეში, ფირმანით იუსუფ ბეგისა, სოხუმის ციხის მშენებლობის ემინისა, სოხუმის ციხის მშენებლობის ქათიბისა, მაჰმუდ ისმაილ ეფენდის თესქერეს თანახმად, 1137 წლის ზილ-კაადეს დასაწყისიდან 1138 წლის 23 მუჰარემამდე[2].

სინაკლებე საიჯარო სამუშაოებისა თაშ ბუნჯის შესასრულებლად ხსენებულ ციხეში 1137 წლის ზილ-ჰიჯეს დასაწყისიდან[3] 1138 წლის 23 მუჰარემამდე. დღეები 51. თითოეულს 40-40, ახჩა 2000.

ნაკლებობა საიჯარო სამუშაოებისა ხაზინის საქმიანობის უდიდებულესობისა ხსენებულ ციხეში 1137 წლის[4] ზილ-ჰიჯეს დასაწყისიდან 1138[5] წლის 23 მუჰარემამდე. აბდურრაჰმანი. დღეები 66. თითოეულს 40-40, ახჩა 2640.

სინაკლებე ზედმეტი სამუშაოებისა მშრომელი ადამიანების ხარჯზე სოხუმის ციხეში 1137 წლის ზილ-კაადეს დასაწყისიდან 1138 წლის 23 მუჰარემამდე. დღეები 68. თითოეულს 40-40, ახჩა 2820.

სინაკლებე ზედმეტი სამუშაოებისა ხაზინისთვის ზემოხსენებულ ციხეში 1137 წლის ზილ-კაადეს დასაწყისიდან 1138

---

1 1138 წლის 15 რეჯები – 1726 წლის 19 მარტი.
2 1137 წლის ზილ-კაადეს დასაწყისიდან 1138 წლის 23 მუჰარემამდე – 12. 7. 1725 – 1. 10. 1725 წელი
3 1137 წლის ზილ-ჰიჯეს დასაწყისიდან 1138 წლის 23 მუჰარემამდე – 2. 8. 1725-დან 22. 9. 1725 წლამდე
4 1137 წელი – 1724. 20. 9. – 8. 9. 1725 წელი
5 1138 წელი – 9. 9. 1725 – 28. 8. 1726 წელი.

წლის 23 მუჰარემამდე. ღუმლე კაჰ დღეები 68. თითოეულს 40-40, ახჩა 2820.

სინაკლებე ზედმეტი საიჯარო სამუშაოებისა ხაზინა ჯაბანთან ხსენებულ ციხეში 1137 წლის ზილ-კაადეს დასაწყისიდან 1138 წლის 23 მუჰარემამდე. გირკორი დღეები 66. თითოეულს 40-40, ახჩა 2640

სინაკლებე ზედმეტი საიჯარო საქმიანობისა ხაზინა ჯაბანით, ხსენებულ ციხეში 1137 წლის ზილ-კაადეს დასაწყისიდან 1138 წლის 23 მუჰარემამდე. ოდაბეგ ზუმრე, დღეები 53. თითოეულს 40-40, ახჩა 2120.

სინაკლებე ზედმეტი საიჯარო საქმიანობისა წელი 38, პროდუქტები თოფანჯიანებისა, დღეები 65, თითოეულს 60, ახჩა 2600.

სინაკლებე ზედმეტი საიჯარო საქმიანობისა ხაზინა ჯაბანით, ხსენებულ ციხეში 1137 წლიდან იბრაჰიმი 1138 წლამდე. დღეები 63. თითოეულს ახჩა 2520.

სინაკლებე ზედმეტი საიჯარო ქვის ბუნუნჯიანისა ხსენებულ ციხეში, 1137 წლიდან 1138 წლის ზილ-კაადემდე[1]. 28 მუჰარემი 1138 წლისა[2]. ჰაზირ დამი. დღეები 60, თითოეულს 40-40, ახჩა 2400.

სინაკლებე ზედმეტი საიჯარო ქვის ბუნუნჯიანისა ხსენებულ ციხეში, 1137 წლის ზილ-კაადეს დასაწყისიდან 1138 წლის 23 მუჰარემამდე. ასდარ დამი, დღეები 66, თითოეულს 40-40, ახჩა 2640.

სინაკლებე ზედმეტი საიჯარო ქვის ბუნუნჯიანისა, ხსენებულ ციხეში, 1137 წლის ზილ-კაადეს დასაწყისიდან 1138 წლის 23 მუჰარემამდე. ზიად სულუჯუკი, დღეები 66, თითოეულს 40-40, ახჩა 2640.

სინაკლებე ზედმეტი საიჯარო სამუშაოებისა ქვის ბუნუნჯიანებთან ხსენებულ ციხეში, 1137 წლის ზილ-კაადეს დასაწყისიდან 1138 წლის 23 მუჰარემამდე. ოლბათინ დამი, დღეები 66, თითოეულს 40-40, ახჩა 2640

უსასრულობამდეა ზემოხსენებულთა საქმიანობა, ციხის მშენებლობის ქათიბის ბეჭდიანი თესქერეს მიხედვით, ჯამი ჯარისკაცი 12. დღეები 757. თითოეული 40-40, ახჩა 30280 ყურუში. ახჩა 252, ახჩა 40.

პატიოსანი ფირმანის მიხედვით, 1137 წელს ბედნიერების დედაქალაქიდან გაიგზავნა ხსენებული თანამშრომელი, სოხ-

1 1138 წლის ზილ-კაადე – 1. 7. 1726 – 31. 7. 1726 წელი.

2 1138 წლის 28 მუჰარემი – 1725 წლის 25. 10.

უმის ციხის არქიტექტორი მეჰმედ ხალიფამ შეცვალი გამოაცხადა. ხსენებულმა მშრომელებმა გადასახადის გადახდა საჭიროდ ჩასთვალეს, და ავანსი აიღეს. საიჯარო თანხის მთლიანად აღების შემდეგ, ხსენებულმა მშრომელებმა ზედმეტი სამუშაოები ჩაატარეს საკვების საბოძებლად. ამასობაში ხსენებული ციხის მშენებლობის ემინი იუსუფ ბეგი გარდაიცვალა. ხსენებული მშრომელთა დიდებული ვეზირის მირზა მეჰმედ ფაშას უდიდებულესობისათვის არზუჰალი იქნა წარდგენილი. ხსენებული ფაშას უდიდებულესობამ სოხუმის ციხის მშენებლობის ქათიბს ისმაილ ეფენდის საკითხი დაუსვეს, ხსენებულ პირს კვლავ ზედმეტი საკვები ებოძა. და ჩვენს დავთარში იქნა რეგისტრირებული. ახჩები მთლიანად არ იქნა გაცემული. დანაკლისიაო ითქვა. პასუხი გაიცა. ხსენებულ მშრომელთა საქმიანობაში იუსუფ ბეგის დღეებში სამსახური იქნა გაწეული. ისინი კანონიერად იქნენ რეგისტრირებულნი. ზედმეტი გადასახადები ბედნიერების ქალაქში გაიგზავნა. ხსენებული ფაშას უდიდებულესობის ფირმანის მიხედვით, სოხუმის ციხის გამგებელი ქათიბი, ხსენებული ისმაილ ეფენდი დავთრიდან ამოწერილ იქნა. თამასუქის თანახმად, ფოთის ციხის არქიტექტორი ჰუსეინ ხალიფა ბეჭდიანი ქაღალდით, 12 ჯარისკაცით, ზედმეტი საკვებით, მხოლოდ 757 სარჩოთი იყო სულ მას 1280 ახჩა გააჩნდა. ყურუშით დაანგარიშებული მხოლოდ 252 ყურუში და 40 ახჩაა, ამ რაიონს წყალობა ებოძა. აწი ბრძანება და ფირმანი ჩემი ბედნიერი და მოწყალე სულთნის უდიდებულესობაზეა.

თქვენი მონა-მორჩილი მეჰმედ მიმარი, ამჟამად სოხუმის ციხისა.

სოხუმის ციხის კეთილნაშენ სანაპიროზე, რომელიც სერ ბაზირგანის შემწეობით, ბედნიერების დედაქალაქთანაა დაკავშირებული და მზადაა საქმიანობისათვის, კეთილნაშენი სოფლის გემებისთვის და სოხუმის ციხეში გასაგზავნად სოფელში მუსტაფა აღა დაინიშნა და ხსენებული ციხე ებოძა ბრძანებით, 1138 წელს,[1] დავთრის თანახმად, თელხისისა და მაღალი ფირმანის საფუძველზე რეგისტრირებულია 1138 წლის 11 რები ულ-ეველს,[2] ასლი გაიცა, ბრძანება გამოვიდა, რიბა თოფი 5 ცალი,

5 ცალი

10 ცალი 5 ცალი

100

5 60

აღნიშნულის მიხედვით, აფხაზეთის სანაპიროზე აგებული სოხუმის ციხე გარშემო აფხაზი ბეგებითაა დასახლებული, სანაპიროზე ხუთი ზარბაზანია დაყენებული, აქვეა სხვა სახის იარაღიც, მათ გარს ახვევია წითელი ჩოხა, და რაღაცნაირი ქსოვილი, აქვეა 60 სახის წითელი ჩანთა, აქვეა სადად გამზადებული მეთაურის შემწეობით ბედნიერების დედაქალაქში არსებული ნივთები, აქვეა თადარიგში არსებული და გემებზე დატვირთული და ხსენებული ციხისკენ გაგზავნილი სხვადასხვანაირი ნივთები, მშენებლობის ემინისათვის მუსტაფა აღასთვის ამ ტვირთის ბოძების საკითხზე მთავარ მოანგარიშესთან იქნეს რეგისტრირებული, აღნიშნულისათვის ხასის ბაზირგან ბაშიმ ასლის გასაცემად თელხისი გამოსცა, მის საფუძველზე, მაღალი ფირმანი დაიწერა, სიზუსტისათვის ეს ასლი გაიცა, დაიწერა 1138 წლის 12 ჯემაზი ულ-ახირს[3]

1 1138 წელი — 9. 9. 1725 — 28. 8. 1726 წელი

2 1138 წლის 11 რები ულ-ეველი — 17.8. 1725 წელი

3 1138 წლის 12 ჯემაზი ულ-ახირი — 15. 3. 1726 წელი.

№ 91
ის /ალაჰი/ შეეწიოს

ბედნიერების დედაქალაქიდან მუშა ხელითა და პროდუქტებით დასატვირთი გემების შესახებ.

სულუჯუკის გემი.
კაპიტანი თოფხანელი ჰაჯი ისმაილი ჰასანი
იუქ ახჩა 5500

სოხუმის გემი
კაპიტანი გირესუნელი
იუქ ახჩა 60000
05000
55000

ფოთის გემი
კაპიტანი გირესუნელი სეიდ ჰაჯი მაჰმუდი.
იუქი ახჩა – 70000
10000
60000

ჯამი: გემები 3
ახჩა 185000
015000
შეღავათით: 170000

თქვენი მონა მორჩილის არზა ისაა, რომ ბედნიერების დედაქალაქიდან სულუჯუკის, სოხუმისა და ფოთის ციხეებისაკენ გასაგზავნი მუშახელისა და საჭურჭლის დასატვირთავად თადარიგის დასაჭერად გაცემულია წერილობითი ფირმანი. გემიჯის ეკიპაჟის ქეთხუდას, სურვილითა და შემწეობით ზემოთ აღნიშნული სამი გემი დატვირთულია. შეკვეთილი საერთო რაოდენობა ნავებზე, არსებული წესის თანახმად, ბაზრის მიხედვით, სახელმწიფოსათვის როდესაც ცნობილი გახდება, ბრძანება და ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა ჩემო ბედნიერო, კეთილისმყოფელო სულთანო.

თქვენი მონა-მორჩილი, ამჟამინდელი დედაქალაქის საბაჟოს ემინი – თექინ მეჰმედი.

თქვენი მონა-მორჩილის არზა ისაა, რომ ამჯერად სოხუმის, სულუჯუკისა და ფოთის ციხეებისაკენ გასაგზავნი მუშახელის, პროდუქტის შეკრებისა და ადგილებზე გასაგზავნად საბაჟოს ემინის აღას ყულების შემწეობით დაკავებული სამი გემის ტე-

ვადობისთვის განისაზღვრა მხოლოდ 170000 ახჩა. როდესაც ეს სახელმწიფო კარისათვის ცნობილი გახდება, აღნიშნული თანხა ისტანბულის საბაჟოს ფინანსებიდან გემების კაპიტნებს ჩაბარდეს. გასაგზავნი პროვიანტისა და მუშახელის საერთო ჯამი, მდგომარეობა, დატვირთვა სასწრაფოდ ხსენებული ციხეებისაკენ გაგზავნა მთავარმა მოანგარიშემ ჩაასწოროს. მსახურთათვის განკუთვნილი აღნიშნული თანხა საბაჟოს ფინანსებიდან გაიგზავნოს. თესქერეს ბოძების საკითხზე ბრძანება და ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა ჩემო ბედნიერო, მოწყალეო სულთანო.

სწორია! თელხისის თანახმად მთავარ მოანგარიშეს ჩაეწეროს და თესქერე გაიცეს. ბრძანება. 139 წლის 3 რები ულ-ეველი.[1] ხაზინის თესქერე გაიცა 39 წლის 6 რები ულ-ეველს[2]. რეგისტრირებულია დედაქალაქის საბაჟოს ემინი-თექინ მეჰმედი.

1 1139 წლის 3 რები ულ ეველი. 29.10.1726 წელი

2 39 წლის 6 რები ულ-ეველი – 1. 11. 1726 წელი.

№ 92

ის /ალაჰი/ შეეწიოს

რკინის ზარბაზნის საჭირო ნამდვილი სპეციალური მასალისთვის, რომლის შესახებ ბედნიერების დედაქალაქიდან სოხუმის ციხისთვის ბრძანება გამოვიდა და რკინა ჩაიწერა უმაღლესი სამეუფეო კარის სერ თოფჩიების ხელახალი განახლებისათვის, ბრძანება გამოვიდა 1142 წლის ზილ-კაადეს[1]. უმაღლესი სამეუფეო კარის სერ თოფჩიების აჰმედ აღას ბეჭდიანი, წესრიგში მოყვანილი დავთრის, თელხისისა და მაღალი ფირმანის საფუძველზე 1142 წლის 14 ჯემაზი ულ-ეველისა[2] და პატიოსანი ფირმანის მიხედვით.

რკინის ზარბაზანი – 3, ოყა – 3 სპეც. მასალა – 3, ოყა – 4

4 1,5 4 1,5

2

7

9 სანაცვლო

ანგარიში: სოხუმის ციხისკენ სახელმწიფო თოფხანეს მიერ გაცემული სპილენძის კალამი, ანგარიში 12 ოყა.

სოხუმის ციხისკენ გაგზავნილი ფირმანით, 7 ზარბაზნისთვის ჯარისკაცებს ერთად 9 სპილენძის ზარბაზანი გააკეთებინეს. თოფჩიბაშის – ალის ბეჭდიანი, წესრიგში მოყვანილი დავთრის თანახმად, რადგანაც სახელმწიფო თოფხანეში ინახებოდა, არსებული მხოლოდ 12 ოყა სპილენძის კალმის საბოძებლად ასლი გაიცა. თელხისი და მაღალი ფირმანი გამოცემულ იქნა. მის საფუძველზე იქნა რეგისტრირებული. 12 ოყა სპილენძის კალმის საბოძებლად ასლი გაიცა. 1142 წლის 15 საფარი[3].

არსებული წესის თანახმად, დიდებული ფირმანი ჩაწერილის მიხედვით, სოხუმის ციხის სპეც მასალა მხოლოდ 12 ოყა სპილენძის კალამია. სახელმწიფო თოფხანეს ზედამხედველმა პატივცემულმა ილ-ჰაჯ აჰმედ ეფენდიმ მის მისაღებად ეს ხარჯი წარმოგვიდგინა.

142 წლის 27 რეჯები[4].

თქვენი მონა-მორჩილი – აჰმედ სერ-თოფი.

---

1 1142 წლის ზილ-კაადე – 18. 5. 1730 – 16. 6. 1730 წელი

2 1142 წლის 14 ჯემაზი ულ-ეველი – 4. 12. 1729 წელი

3 1142 წლის 15 საფარი – 9. 7. 1729 წელი.

4 142 წლის 27 რეჯები – 15. 2. 1730 წელი

№ 93

თქვენი მონების მარუზა ისაა,რომ სოხუმის ციხის ახლო სანახებში ბოროტებას ადგილი არ ჰქონია. ციხის მცხოვრებნი გარკვეული მოთხოვნით, როდესაც მოწყალებას ითხოვდნენ, მოწყალება და უცხო მხარეში ხეტიალი იქნა ნაბრძანები. 2500 ყურუშის ხარჯი სახელმწიფოს მხრიდან იქნა ნაბოძები. საზღვაო საემინოდან კასიმ ბეგ-ზადე მუსტაფა ბეგი და აბდულ კადირ ბეგი დაინიშნენ. მდინარე სოხუმი დაანაწილეს და დიდი მდინარიდან ცალკეულ ნაწილებად აქციეს. ხანდაკი გამოუსადეგარ ერთეულად აქციეს. ხსენებულ ციხეში ძვირფასი თვე ყოველი ბაჟის დანაწილების დროს სამ წყებად დაყვეს და ყუთი გააკეთეს . სუნდუკები გააკეთებინეს. თხრილებისთვის კირი, ქვები და სხვა ტვირთი არ ჰქონდათ. რადგანაც ადგილები უზრუნველყოფილი იყო მიწით, გამაგრებული მშენებლობის ოსტატთათვის მშენებლობა არ მიმდინარეობდა. ტყვეები მშენებლობას აწარმოებდნენ. აფხაზების ძალმომრეობას ბოლო არ უჩანდა, წვიმების გამო წყალდიდობა შეიქმნა. ეკლესიის მსახურებმა კი გულითადი მეგობრობა გამოაელინეს. მხოლოდ 45 დღე მოქმედებდა გამდინარე წყალი, თუმცა, იგი შეწყვეტილ იქნა. ამ წელს აფხაზი ყაჩაღების გასანადგურებლად დიდი საქმიანობა ჩატარდა. კურთხეული რამაზანის პატიოსნების ჟამს, საინტერესო იყო გეცოდნოდა კაფუსუსთან მომხდარი გაროზგვის ამბავი, შემდეგ კი ვითარება დალაგდა. თხრილები მოსპეს, აუწყეს ხანდაკი ვნახოთო. სასამართლოზე წარსდგომისას ვითარება აღწერეს, მოსახლეობას უბრძანეს. როდესაც თავს დაესხნენ მოსახლეობა მოწყალებით იყო. ამ რაღონისთვის წყალობა და პატივი და გულითადობა გამოიჩინეს. ფირმანი ჩემი ბატონისაა.

თქვენი მონა-მორჩილი ელ ჰაჯ ჰალილი, ფოთის მცველი ამჟამად.

ამას წინათ სარიარის სახელწოდების ადგილზე ლენქერ ენდაზად წოდებულ პუნქტში სოხუმის მხარისკენ დანიშნულმა სახელმწიფო ფლოტის ბაშ ბუღმა სეიდ მუსტაფა კაფუდანმა თავისი ჯარისკაცები დაავალდებულა.

ოსმალთა სახელმწიფოსაგან დანიშნულმა და ამჟამად კუბანის სერ ასქერი სულთნის უდიდებულესობის მფარველობაში მყოფი, სამეუფეო უდიდებულესობის, სულეიმან აღას ჯარისკაცებით, ხსენებულმა კაფუდანმა თავისი ჯარისკაცები ოფიციალურად სუღუჯუკის სახელწოდების ადგილზე ერთმანეთის მიყოლებით დააყენა. იმ რაიონში ვითარების გაგების შემდეგ, ჩერქეზი, აბაზა და ნოღაელები სუყველანი ერთმანეთის მიყოლებით გაიერთგულა. ლოცვა-კურთხევა გააგრძელეს. მბრძანებლებს ვითარება გააგებინა. ქაფირთა მხრიდან ყველაფერი იღონეს. მათი შეკრების დროს, ოსმალთა სახელმწიფოსაგან მათ წყალობა და პატივი ებოძათ. ისინი ყველანი მორჩილებით იყვნენ. ღვთის წყალობით ის მხარეები მთლიანად დამშვიდებული იყო. ხსენებული ჯარისკაცების კაფუდანი მათ დაექვემდებარა და გაუერთგულდა.

თქვენი მონა-მორჩილის, მლოცველის არზა ბედნიერების დედაქალაქისა ისაა, რომ ისლამის საზღვრიდან შავი ზღვის სანაპიროს უკიდურეს მიწურულში მდებარე სოხუმის ციხის მშენებლობისა და შეკეთებისათვის ამას წინათ დანიშნული, უმაღლესი სამეუფეო კარის გედუქების მეჰმედ ემინ აღას კოლგუზის ნაბრძანები ფასი გადმოცემულია. მის ხელთ არსებული თანხა სოხუმის მცველის ბედნიერი ქელეშ აჰმედ ბეგი თქვენს მონა-მორჩილს რომ ჩაბარდა. იმისათვის, რომ მოსახლეობისათვის შეექმნათ პირობები, ციხის მშენებლობისა და შეკეთების საჭიროებისათვის თქვენმა მონა-მორჩილმა მათთვის მუბაშირი დანიშნა. ჩოკდარ იბრაჰიმი აღას კოლგუზთან ერთად, მაღალი ბრძანება გაიცა და ებოძა. ზემოხსენებულმა თქვენმა მონა-მორჩილმა საამისოდ მზრუნველობა გამოიჩინა. თუმცა ძველი მშენებლობის ემინი აღა, თქვენი მონა-მორჩილი, გუმუშჰანეს ემინი და სოხუმის მცველი ზემოხსენებული თქვენი მონა-მორჩილის მხრიდან დაპყრობილ იქნა. რადგანაც აღნიშნული თანხა სათანადო ორგანოებში დაიხარჯა, იგი გამონაკლისის სახით შეიძლება გამოყენებულ იქნეს მუშებისათვის, ესნაფებისათვის, მათი სარწმუნეობისათვის. ციხის მშენებლობის შეკეთებისა და მამების ზედამხედველობისა და მუბაშირების მიერ გაკეთებული სამუშაოების დასამთავრებლად. ჩოკდარ აღას ხარჯისთვის დადგენილი თანხის შემოსელის შემდეგ ხსენებული მეთაურის დაბრუნებისა და ციხის შეკეთებისა და განახლების შესახებ, მშენებლობა და შეკეთება მოსახლეობის მიერ გადაწყდება. მათ სათანადო ხარჯი სახელმწიფოსაგან ეწყალობათ. სოხუმის დასაცავად მყოფი ყველა ულემა და ოჯაქლიქი ოფიცრები და მოსახლეობა ღარიბი იყო : ჯარისკაცებისა და ციხის მცველი თქვენი მონების არზუჰალი გაიცა. ჭეშმარიტების მაღალ სამეუფეო კარზე ჩოკდარის, თქვენი მონის ხელით წარდგენის შემდეგ, იგი არ გამოჩნდა, ციხის შეკეთებასა და განახლებას აზრი არ ჰქონდა. საჭირო იყო წყალობა და თქვენი ბედნიერება. ამჯერად მთლიანად ოფიცრები, ციხის ჯარისკაცები და მოსახლეობა გაღატაკებულნი იყვნენ. დასასრულიც შესაბამისი ჰქონდა. ღატაკთა ეს ლოცვა თქვენს მონა-მორჩილს ილ-ჰაჯის გაეწია. იგი ალის ბედნიერების ტახტზე ასვლით გადაწყდა. აწი ბრძანება და ფირმანი გამოძებნილია ალაჰის ბრძანებიდან. მლოცველი მაღალი სახელმწიფოსათვის ჰასანი — სოხუმის ციხის მეთაურის მოადგილე.

შეუნდოს ალაჰმა.

№ 96

ჩემო ბედნიერო და მოწყალეო სულთანო, ჯანმრთელად იყოს თქვენი უდიდებულესობა. ეს რაზმი სოხუმის ციხეში მცველებად, მეექვსე ჯამაათის რაზმის პენსიონერი ვექილი ხარჯის რაზმია. მათი გაზრდა დროულია. საჭირო სამსახურის გაწევა და დაცვა ხსენებული ვექილისაა. რეგისტრირებულის გარდა ზოგიერთი მოწყალე დამოუკიდებელია. სათანადო სამსახურის გაწევა ამ სახით რაზმს ძალას არ მატებს. ყოველი მზადმყოფი მოწყალებას იღებს. მათ ბედნიერი ეფენდის დროული სიკეთით ჩირაღი და საქმე და ლოცვა გასწიეს. იგი სწავლულთათვის მოწყალების სათხოვნელად უკეთური კაცი გახდა. ბედნიერების დედაქალაქის ფეხთა მტვერს ემთხვია. მან არზუჰალი წარადგინა და ეაუკაცობა გამოამჟღავნა. ბედნიერების დედაქალაქში ყოფნისას გადაწყვეტილი ჰქონდა კეთილ აღრიბოზში დამკვიდრება. მცველად ყოფნა პენსიონერად ყოფნის დარი იყო. სპეციალური ჩვენი ეფენდის ლოცვის ამბების საკითხზე ფირმანი ჩემი სულთნისაა.

თქვენი მონა-მორჩილი ჰალილ მუსტაფა.

ზემოხსენებულნი არ გამოცხადდნენ. 6 ვექილი ხარჯი საბოლოოა. სოხუმის მისკალის სახლი.

ხსენებული სოხუმის ფირმანი ბედნიერი სულთნისაა.

ხსენებული ვექილი ხარჯმა 15 ახჩა წარადგიგა. /იგი/ იმ რეგიონში იქნა რეგისტრირებული. აღრიბოზის დასაცავად ხელრთვა გაიცა. სწორია!

№ 97

მუდამ თქვენი ბედნიერი სიცოცხლისათვის მლოცველის მარუზა ისაა, რომ ისლამის საზღვრიდან ფოთის ციხის სანახებში მდებარე გრიგოლეთის /გირკულეთის/ სახელწოდების ადგილზე მყოფი კულლა აღა აიუბ ალის სახელწოდების პირი თავისი ქვეშევრდომებით, რადგანაც საწყალი და ძლიერ მჭამელები იყვნენ და საკვები არ გააჩნდათ,ამიტომაც არ,ზა წარადგინეს. ბათუმის მკვიდრთაგან ჰასანის სახელწოდების ვინმე გარდაიცვალა და ამასთანავე მისდამი დაქვემდებარებულთაგან, სალიბის შვილი ალის სახელწოდების პირმა რადგანაც მისი ადგილი დაიკავა ამით ვერაგობა ჩაიდინა,ამის შემდეგ საჭირო იყო სამსახურისადმი ინტერესის გამოჩენა მიენდო უფალს, და თავის ულუფას დაუმსახურებლად იღებდა, ხსენებულის გარდაცვალებით სალბ ოღლი ალი თავის ჯარისკაცებს ისლამის მხრიდან ენათესავებოდა, ყველამ ნაღდი ანგარიშის თხოვნით ჰასან სულეიმანის ძის მდგომარეობა მიიღო და ზალფ ოღლი ალის მსახურებს უბოძა და სამეუფეო უწყალობა. ხელზე დიდებული პატიოსანი ბერათი უძღვნა და დიდი თაყვანისცემით ეამბორა, და არზა ებოძა. არსებული სიამტკბილობა და ადამიანური სიკეთე ჩემი სულთნის უდიდებულესობაზეა.

ელ-ჰაჯ სადიკი, მუთასარიფი გონიოსი, მცველი ფოთისა.

№ 98

თქვენი უმორჩილესი მლოცველის არზა უმაღლესი სამეუფეო კარის ბედნიერებისადმი ისაა, რომ 78 წელს რეგისტრირებული იოკლამა დავთრის თანახმად, ფოთის ციხეში სახეზე მყოფი პროვიანტის, ჯაბახანას და თოფხანის რეგისტრაციის შემდეგ, გადასახადი იქნა გაღებული, დავთრის ასლ და 1184 წლის სივასის გადასახადის, ჰუსეინ ალი ეფენდის სამსახურში დანიშვნას დაემთხვა, პროვიანტიდან გაგზავნილი ციხისთვის განკუთვნილი ფქვილი და ქერი ხსენებულ წელს ჯანიკლის, კარა ჰისარ შარკის სანჯაყებიდან იქნა გაყიდული, აღნიშნულ ციხეში გაგზავნილ იქნა ჯანიკლის სანჯაყის შესყიდული ფქვილი, იგი უნიელი ბაღდადლი ოღლი სეიფინესთან ერთად იქნა შესყიდული, ქერის ფქვილი მხოლოდ 23913 ქილა იყო, 6300 ქილა ქერი იყო, 800 ქილა ხორბალი ქერჯე პროვიანტი, არც პროდუქტები იყო სახეზე, თუმცა მოსკოველი ქაფირები ძალ-ღონეს არ იშურებდნენ ჯაბახანის ხელთ ჩასაგდებად, მათ ყუმბარები მოიმარჯვეს, პროდუქტების შესანახი საწყობები ციხეში არ იყო, ამასობაში ხარჯი იქნა გაწეული, ანბარებიც ყუმბარებით დაიკავეს, თითქოს ცეცხლი გააჩინესო ითქვა, ყველაფერი ცხადი გახდა, ამრიგად, აღწერილი და ჩვენს მიერ რეგისტრირებული ყველაფერი ცნობილი გახდა. ამ აღებს თავად ბრძანების გაცემა მოუნდათ. ეს უმწეონიც ამ გარემოცვაში იმყოფებოდნენ. აღნიშნული მოვლენებიც ასეთია. რეგისტრირებულნი საქეყნოდ არიან აღიარებულნი, აწი ფირმანი მაღალი ღვთისაა.

მონა ღვთისა მუსტაფა ალ-საბითი ხალიფა ფოთისა, შეუნდოს უფალმა.

გუმუშჰანედან და ხსენებული მცველისგან რაზმები ჩვენი ქვითარითაა შეიარაღებული, ჩვენს დასაბრუნებლად მთელი განკარგულებაა გაცემული ჩვენი ბატონების ჩოკდართაგან იგი იბრაჰიმ აღა კულგუზებს შეუერთდა, მაღალი ბრძანებით, ხსენებულთან ერთად განკარგულება გაიცა, ხსენებულ აღას ჩემი ქვითარი ერგო, აღნიშნული თანხა ქალაქის მოსახლეობის დასაცავად, მათი მოხმარებისათვის იქნა გაცემული, თაედებად გაცემული ნივთივით 800 წყრთა ადგილი იქნა გამოყოფილი, გარდა ამისა აღას ნავსაყუდელი იქნა შეკეთებული, მშრომელებისთვის, ზოგიერთებისთვისაც საზრდო დარჩა, ხელოსნებივით ერთ მხარეს გასავლელად არ დარჩა არავითარი საშუალება, ხსენებულ თქვენს მონა-მორჩილსაც ერთი მხრიდან ერთი ახჩა ებოძა, რადგანაც თანხა დაიხარჯა, ხსენებული მუბაშირიც აღარ გაჩერდა, ხსენებულ მსახურთა უმეტესობა მაღალი განწყობილებით იყვნენ რადგანაც საჭირო თანხა და წყალობა და მფარველობა ებოძათ. არსებულის საფუძველზე მზად იყვნენ, არზუჰალები ებოძათ, ხსენებულის ფეხთა მტვერს მოწყალებითა და მუდარით დაექვემდებარნენ, ამ დროისთვის გასაჭირი თქვენს მფარველს როდესაც მოევლინება, შემდგომ ამისა ციხის მსახურნი და შემკეთებელნი ცარიელნი რჩებოდნენ, რადგანაც წყალობა თქვენი ბედნიერების მოთხოვნაა, ამჯერად სუყველა მეთაურმა თხოვნის შესახებ სოხუმის ყადისგან ნებართვა მიიღო, აღნიშნული მცველის არზუჰალი თქვენს მხარეს გაიგზავნა, იგი ღვთის მსახურთა მიერაა რეგისტრირებული, როდესაც ეს აჯაველდრება სახელმწიფოსათვის ცნობილი გახდება, მოწყალება, ბედნიერება ჩემი ბატონის უდიდებულესობისათვის არზა და განკარგულება იქნება გაცემული, აღნიშნული ციხე შეკეთებულ იქნება, მემკვიდრეთათვის აღნიშნულ წელს, აღნიშნული თანხა სახელმწიფოს მიერ შეწყალებულ იქნება, და ჯარისკაცების მიერ იქნება გაგზავნილი, იგი ხსენებულთა უდიდებულესობით გაიგზავნება, თქვენს მონა-მორჩილს უწინდებურად სამსახური ებოძება. მშენებლობის ემინი დანიშნულ იქნა. მას თანამდებობა ებოძა, მშრომელებს წინასწარმეტყველი მოევლინათ, განკუთვნილი სარჩო და ესნაფის თანამდებობები მიეცათ, ღვთის შეწევნით, მოწყალება და საბოძვარი მათი მონებისთვის იქნა მიკუთვნებული. ეს ჩვენი ნებაა, ამასთანავე ბრძანება და დიდებული სურვილი, ბედნიერი, მოწყალე, დიდებული, მშვენიერი, ჩემი ბატონის, ჩემი დიდებული სულთნის უდიდებულესობაზეა,

თქვენი მონა-მორჩილი, მეჰმედ ემინი მშენებლობისა, სოხუმის ციხისა ამუამად.

№ 100

ის /ალაჰი/ შეეწიოს

ჩემო ბედნიერო და მოწყალეო სულთანო, ჯანმრთელად იყოს თქვენი უდიდებულესობა, ამჟამად საქართველოში სალაშქროდ დანიშნული უმაღლესი სამეუფეო კარის თოფჩიები კანონიერად ითვლებიან, 1114 წლის როშენისა და ლეზეზის[1] სარგოების ბოძების განკარგულების საკითხზე ფირმანი კანონიერია, ფირმანი ჩემი ბედნიერი სულთნის უდიდებულესობაზეა, თქვენი მონა-მორჩილი,

შესაბამისი ადგილი,

ჯარისკაცი 9

დღიური : 999

მათთვის დადგენილი : 88611

ზემოხსენებულნი ქართველთა ლაშქრობის მონაწილენი არიან, წელი 1114.[2] სარგოები ებოძათ, ბრძანება და განკარგულება ჩემი სულთნისაა, 6 რები ულ-ეველი, წელი 1115,[3] დავთარი მუკაბელეს /უწყების/ საფუძველზე, იჯმალი ებოძა 6 რები ულ-ეველს, წელი 1115,

იჯმალები გაიცა.

---

1 1114 წლის როშენი და ლეზეზი- როშენი VII, VIII, IX-1რეჯეჯი, შევალი, რამაზანი702. ლეზეზი: X, XI, XII-1708- შევალი, ზილ-კაადე, ზილ-ჰიჯე-1725 წელი

2 1114 წელი – 28. 5. 1702. – 16. 5. 1703 წელი.

3 1115 წლის 6 რები ულ-ეველი – 20. 7. 1703 წელი.

უმწეო მლოცველის არზა ბედნიერების უდიდებულესი კარისადმი ისაა, რომ ქუთაისის კაზასადმი დაქვემდებარებული ოდიშისა და სამეგრელოს ვილაიეთში დანიშნული დადიანის სახელწოდების ქაფირები და აფხაზი ქაფირები ფორმალურად მორჩილნი რომ იყვნენ, მორჩილებიდან გამოვიდნენ, ხმელეთზე აჯანყებულ დადიანს ზღვაზე ქაფირი აფხაზი შეუერთდა, ჩვენს მხარეში ისლამის ტახტის მფლობელობაში არსებული რუხისა და ანაკლიის ციხეები დაიკავეს, ზღვითა და ხმელეთით გამოგზავნილ პროვიანტს გზები ჩაუკეტეს, შიგნით მყოფი მცველი მლოცველი წამებით მოკლეს, ყოველგვარი მიზეზის გარეშე საკვებად გამოსადეგი პროვიანტი დაიკარგა, ამას წინათ აჯანყებულმა დადიანმა ანაკლიის ციხე დაიკავა, და შიგ მყოფ მცველ მლოცველთან ერთად დაწვა, სახელმწიფოს მიერ მასზე დაკისრებული აუცილებელი ვალდებულება – ჯიზია და ფეშქაში არ გადაიხადა, ქვეყნის ოთხივე მხარესა და გზებზე მყოფი ეაჭრები დახოცა, მათ ქონება და პროდუქტები წაართვა და გაანადგურა, ამ საძაგელი საქციელის გამოსასწორებლად ამჟამად ტრაპიზონის ვილაიეთის მუთასარიფმა – ვეზირმა როშენ აბდულლაჰ ფაშამ, მაღალმა ალაჰმა ხანგრძლივჰყოს მისი სიცოცხლე, ომერის უდიდებულესობას აუწყა ყოველივე, ამის საფუძველზე დადიანსა და აფხაზი ყაჩაღი ქაფირების საქმიანობის გამო პატიოსან ბრძანებასთან ერთად კაცი დაინიშნა და გაიგზავნა, პასუხი მოეთხოვათ იმის გამო, რომ უმიზეზოდ აჯანყდნენ, ფორმალურად მორჩილებაში მყოფ აჯანყებულ ქაფირებს ამ წელს ასეთსავე მდგომარეობაში ყოფნა თუ აქვთ გადაწყვეტილი, მაშინ ძლევამოსილ საზღვარზე მდებარე ციხეების, მაღალმა ღმერთმა ნუ ქნას, აღება გადაწყვეტულია, აჯანყებული დადიანისა და ამბოხებული და აბობოქრებული აფხაზების მიერ ჩადენილ საქმიანობაზე საჩივარი იყო, ამის თაობაზე დედაქალაქის სააჯო კარზე არზა გაიგზავნა, აწი ფირმანი თქვენს სამართლიანობაზეა, დაიწერა ჯემაზი ულ-ევველის თვის დასაწყისში, წელი 1116.[1]

ვარდციხესა და ბაღდადჯიკთან ახლოს მდებარე ქუთაისის კაზას ყადი, ელჰაჯ ომერი – მლოცველი მონა,

შეუნდოს ალაჰმა.

---

1 ჯემაზი ულ-ევველის თვის დასაწყისი, წელი 1116 – 1. 9. 1604.

ბედნიერების ცენტრისადმი თქვენი ფეხთა მტვერი მონის არზა ისაა, რომ საქართველოსა და აფხაზეთის საზღვარზე მდებარე ანაკლიისა და რუხის ციხის ციხეებს ზარბაზანი, ჯაბახანა, სხვა აუცილებელი ნივთები და პროვიანტი სჭირდება, ამგვარი აუცილებელი და საჭირო საგნების უქონლობის გამო მათ დაცვის სამსახურის შესრულების შესაძლებლობა არა აქვთ, მეზობლად მყოფი აფხაზი და მეგრელი ქაფირების თავდასხმების გამო პროდუქტებისა და სხვა საჭიროებისათვის ხალხი ციხეებიდან გარეთ ვეღარ გამოდის, ასეთი საგანგაშო მდგომარეობის შესახებ, ზემოხსენებულ ციხეთა მეთაურების, გონიოსა და ბათუმის ყადიებისა და ციხის მეთაურთა მიერ გამოგზავნილი ცნობებისა და მაცნეების მიერ მოტანილი ამბების მიხედვით მდგომარეობა ბედნიერების ცენტრს ტრაპიზონის ყადის ლოცვა-კურთხევით ეუწყა, უპირველეს ყოვლისა, არსებული ვითარება უმაღლეს ტახტს ეცნობა, ამის შესახებ პატიოსანი ბრძანება სულთანზეა,

თქვენი მონა-მორჩილი აბდულლაჰი — ამჟამად ტრაპიზონის ვალი.

თქვენი ფეხთა მტვერი მონის მოხსენება სამეუფეო კარს, სამყაროსა და პალატების ცენტრს, ზეციურ ხელისუფლებას ისაა, რომ ანაკლიის ციხის სანახებში არსებული ოდიშის ვილაიეთის მოამაგე ურწმუნო დადიანისა და ურჯულო აფხაზების შესამოწმებლად მუბაშირ კოლგუზის დანიშვნის ბრძანება გაიცა, /მაგრამ/ შერიფი არ დაემორჩილა, ზემოხსენებულნი განადგურების მიზნით ციხეს მუდამ თავს ესხმოდნენ, მის ოთხივე მხარეს აჯანყებასა და ბოროტ საქმიანობას ეწეოდნენ, ხელებს იგრძელებდნენ, დღე და ღამ დაცვის სამსახურში მყოფი ძლევამოსილი ლაშქრის პროვიანტის ნავებს თავს ესხმოდნენ, ბრძოლითა და ხოცვით არბევდნენ, ბევრი მაჰმადის ჯამაათი სარწმუნოებისათვის დახოცეს, მათი ქონება იავარჰყეს, ნავები დასწვეს, ახლა ჯემაზი ულ-ეველის მე-19 დღეს[1] ჩვენი ნავები გამოგზავნილი პროვიანტით ხელთ იგდეს, შიგ მყოფი ცხრა კაცი სარწმუნოებისათვის აწამეს, ჩვენი პროვიანტი და მარცვლეული ნავებთან ერთად გაანადგურეს, ხმელეთით, მოჯანყე დადიანის ურწმუნოებმა და ზღვიდან, ურჯულო აფხაზებმა თავდასხმა მოაწყვეს, ჩვენს მხარეში ისლამის /ცენტრის/ სახით არსებული რუხის ციხეც გარემოიცვეს, ზღვიდან და ხმელეთიდან სურსათ-სანოვაგის მისაწოდებელი გზები გადაკეტეს, რადგანაც ციხეში არავითარი პროდუქტი არ იყო მცველად მყოფი მორწმუნე მუსლიმანი შიმშილისაგან გარდაიცვალა, ჩვენი მდგომარეობა მეორე დღეს გაუარესდა, ყოველგვარი საარსებო საშუალებანი განადგურდა, უბედურებას ვერც მცირე მოცულობის ნაეი გადაურჩა, ერთი ლაზი ხან ხმელეთით, ხან ნაეით ზღვაზე არა ერთგზის გაიყვანეს, მაგრამ სამშვიდობოს მისი გადასელა ვერ მოხერხდა ვერც წყლით ვერც ხმელეთით.

რადგანაც ამ გარკვეული რაოდენობის განწირული ადამიანების დასახმარებლად ჩვენ უმწეონი ვიყავით, მოჯანყე ურჯულოებმა ამის გამო გადაწყვიტეს სასაზღვრო პირას მდებარე ისლამის ციხეების აღება, ალაჰის მოციქულის წყალობით ჩვენს მდგომარეობას მშვიდად, მოწყალების თვალით შეხედეს, მტრის ხელით რომ არ დავხოცილიყავით, დახმარება აღმოგვიჩინეს და ამგვარად თავისუფლების ბოძების ბრძანების საკითხი უკვე

1 ჯემაზი ულ-ეველის მე-19 დღე, რადგანაც ამ დოკუმენტში წელი არაა მითითებული, აღნიშნული თვის მე-19 დღის დადგენა შეუძლებელია, ვინაიდან ჯემაზი ულ-ეველის თვე წლების მიხედვით სხვადასხვა თვეს თანხვდება.

გადწყდა და რაც მოხდა, იმის შესახებ არზა შედგა, საბოლოო ბრძანება თქვენზეა, ჩემო მოწყალეო სულთანო,

ანაკლიის ციხის ახლანდელი აზაბები, მონა მაჰმუდი / ბეჭედი/.

ანაკლიის ციხის ახლანდელი ბეშლუიანები, მონა მუსტაფა /ბეჭდი/.

ანაკლიის მცველი სერ თოფჩი მონა ისლამი.

ანაკლიის ციხის ახლანდელი მცველი მეციხოვნე მონა ომერი /ბეჭედი//

ანაკლიის ციხის ახლანდელი მცველი მონა მუჰამედ აღა / ბეჭედი/.

/მეორე გვერდზე/: ანაკლიიდან მოსული.

№ 104

ის /ალაჰი/ შეეწიოს!

ჩემო ბედნიერო, კეთილისმყოფელო სულთანო, ჯანმრთელად იყოს თქვენი უდიდებულესობა. სოხუმის ციხეში მყოფი საუკეთესო 100 ჯარისკაცის უმაღლესი სამეუფეო კარის ჯებეჯიებიდან,მაღალი ფირმანის საფუძველზე,50 ჯარისკაცი ფოთის ციხის მცველად დაინიშნა. ხსენებული ჯარისკაცების სოხუმიდან აღნიშნულ ციხეში გადასაყვანად ნავების თადარიგი დაიჭირეს. ყულის ჯარისკაცებისათვის ნავების საბოძებლად სოხუმის მშენებლობის ემინისათვის ჯარისკაცების გასაგზავნად პატიოსანი ბრძანების გამოცემის საკითხზე ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა ჩემო ბედნიერო, კეთილისმყოფელო სულთანო.

ხსენებული თქვენი მონა-მორჩილი.

არსებულის საფუძველზე პატიოსანი ბრძანება დაიწეროს.

ბრძანება გაიცა 1120 წლის 12 მუჰარემს[1].

რეგისტრირებულია.

1 1120 წლის 12 მუჰარემი — 3. 3. 1707 წელი.

ქვეყნად უსამართლობისა და ძალმომრეობის დამთრგუნველის, ბედნიერების უმაღლესი კარის /დედაქალაქის/ ზღურბლის მტვრისადმი, მაღალმა ღმერთმა ინებოს ალაჰის დიდებული განკითხვის ჟამს წარდგენილ თვით ბათუმისა და გარშემო მდებარე ადგილებში არსებული ვითარების ამსახველ მოხსენებაში სახელმწიფოს ხანგრძლივი სიცოცხლისა და ბედნიერებისათვის საჭირო მლოცველების: ულემას, სულჰას, იმამის, ხატიბის, გლახაკისა და უმწეოს უმორჩილესი ახსნა-განმარტება ისაა, რომ რუხის ციხის დასაცავად მხოლოდ უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩართა რაზმის ჯარისკაცებს შორის აღების, იამაკისა და მუსტაფაზების გარდა არავინ არ არის, ზარბაზნის, ჯაბახანის, პროდუქტებისა და პროვიანტის უკმარისობის გამო დაცვა შესაფერის წინააღმდეგობას ვერ უწევს, დიდი სიძნელეები შეიქმნა, მეზობლად მყოფმა აფხაზმა და მეგრელმა ქაფირმა ყაჩაღებმა პროვიანტის გადმოსაზიდად გაგზავნილი ისლამის ხალხი დახოცეს, სოფლებიდან სავაჭროთ ჩამოსული ქაფირთა მოსახლეობას ვაჭრობა აუკრძალეს, დიდი ხანია ასეთ მძიმე მდგომარეობაში იმყოფებიან, დაფანტულები არიან, ფადიშაჰის ციხის იავარჰყოფა რომ განზრახული აქვთ, ამის მოწმეა ანაკლიის მოსახლეობა, მოწმეთა დასტურით, მომხდარი ამბის შესახებ ცნობა და დახმარების თხოვნა, მაღალი ღმერთის წყალობით, წმინდათა ფეხთა მტვერს ეუწყა, არზა და მოწმეები წარედგინა, აწი ბრძანება და ფირმანი ჩემი ბედნიერი და მოწყალე სულთნის უდიდებულესობაზეა, დაიწერა კეთილშობილი საფარის თვის დასაწყისში, წელი 1126[1]

თქვენი მონა-მორჩილი ჰუსეინი, ამჟამად ბათუმის დაცვის ჯებეჯიების ქეთხუდა.

თქვენი მონა-მორჩილი, ამჟამად ბათუმის დაცვის თოფჩიების ქეთხუდა.

თქვენი მონა-მორჩილი ომერი, ამჟამად ბათუმის დაცვის აზაბთა ქეთხუდა.

თქვენი მონა-მორჩილი მუსტაფა, ამჟამად ბათუმის დაცვის მუსტაფაზების ქეთხუდა.

თქვენი მონა-მორჩილი ბექირი, ამჟამად ბათუმის დაცვის ბეშლუიანთა ქეთხუდა.

თქვენი მონა-მორჩილი ომერი, ამჟამად ბათუმის დაცვის სერჯებეჯი.

---

1 1126 წლის საფარის თვის დასაწყისი – 1714 წლის 16 თებერვალი

თქვენი მონა-მორჩილი მეჰმედი, ამჟამად ბათუმის დაცვის ბეშლუიანების აღა.
თქვენი მონა-მორჩილი იუსუფი, ამჟამად ბათუმის დაცვის აზაბთა აღა.
თქვენი მონა-მორჩილი ალი, ამჟამად ბათუმის დაცვის თოფჩი ბაში.
თქვენი მონა-მორჩილი მეჰმედი, ამჟამად ბათუმის დაცვის მეციხოვნე.
თქვენი მონა-მორჩილი, ანაკლიიდან, ბათუმიდან და გონიოდან მოსული არზა ეგაა.

№ 106

ჩემო ბედნიერო, წმინდა მოწყალე სულთანო, ჯანმრთელად იყოს თქვენი უდიდებულესობა, თქვენი მორჩილი მონის მოხსენების მიზეზი ისაა, რომ რუხის ციხის დასაცავად უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩრების რაზმის ჯარისკაცების გარდა აღები, იამაკი და სხვა მცველები სახეზე არ იყვნენ ზარბაზნების, ჯაბახანის, პროდუქტებისა და პროვიანტის უქონლობის გამო, ასეთ პირობებში დაცვისა და წინააღმდეგობის გაწევა ვერ მოხერხდა, რადგანაც დიდი სიძნელეები შეიქმნა, მის სანახებში მყოფმა აფხაზმა და მეგრელმა ურწმუნო ყაჩაღებმაც პროდუქტების გადმოსაზიდად ჩამოსული ისლამის ხალხი დახოცეს, მათ განზრახული ჰქონდათ სოფლებიდან სავაჭროდ ჩამოსული ურწმუნო მოსახლეობის გაწყვეტასთან ერთად ფაშას ციხე გაენადგურებინად, როდესაც ანაკლიისა და ბათუმის მოსახლეობა სასამართლოს წინაშე წარსდგა, ამის შემდეგ ხსენებული ციხის მუსლიმანი მოსახლეობის თხოვნის თანახმად, მომხდარი ამბის შესახებ არზა ალაჰის წყალობით თქვენს ფეხთა მტვერს /სულთანს/ წარედგინა, ამ საკითხის შესახებ საბოლოო ბრძანება ეკუთვნის ჩემს ბედნიერ მოწყალე სულთანს,

დაიწერა კეთილი საფარის თვის ოთხში, 1126 წელი[1].

ბათუმთან ახლოს მდებარე გონიოს კაზას განმგებელი, მუჰამედის დიდებისათვის მლოცველი ომერი.

1 საფარის ოთხი, 1126 წელი – 1714 წლის 19 თებერვალი.

№ 107

ქვეყნად უსამართლობისა და ძალმომრეობის დამთრგუნველის, ბედნიერების უმაღლესი კარის, დედაქალაქის ზღურბლის მტევრისადმი /სულთნისადმი/ წარდგენილ რუხის ციხის მოსახლეობაში არსებული ვითარების ამსახველ მოხსენებაში სახელმწიფოს სიმტკიცისა და ბედნიერებისათვის მლოცველების: ულემას, სულჰას, იმამის, ხატიბის, გლახაკისა და უმწეოს, თქვენი მონა-მორჩილის უმორჩილესი განმარტება ისაა, რომ ამჟამად რუხის ციხის დაცვის გარდა უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩრების პოლკის ჯარისკაცებს სხვა რაიმე დავალება არ ჰქონიათ, /მაგრამ/ ზემოხსენებული ციხისადმი განკუთვნილი ზარბაზნის, ჯაბახანის, პროდუქტების, პროვიანტის უკმარისობის გამო წინააღმდეგობის გაწევა ვეღარ შეძლეს, დიდი სიძნელეები შეექმნათ, ამჟამად მის სანახებში მყოფმა აფხაზმა და მეგრელმა ქაფირმა ყაჩაღებმაც პროდუქტების გადმოსაზიდად ჩამოსული ისლამის ხალხი დახოცეს, სოფლებში საეჭვროდ მოსულ ქაფირ მოსახლეობას როდესაც თავს უბედურება დაატეხეს და დაფანტეს, განიზრახეს ფადიშაჰის ციხის განადგურება, მომხდარი ამბავი, ალაჰის წყალობით, ზემორე თხოვნის სახით, თქვენს წმინდა ფეხთა მტევრს გაეგზავნა და წარედგინა, ამ საკითხის შესახებ საბოლოო ბრძანება ეკუთვნის ჩემი ბედნიერი და სამართლიანი სულთნის უდიდებულესობას, დაიწერა დიდებული საფარის თვის 5-ს, წელი 1126[1]

/თქვენი/ მონა-მორჩილი ჰუსეინ მესამე – ამჟამად რუხის უპირველესი მცველი.

/თქვენი/ მონა-მორჩილი აჰმედ მეორე – ამჟამად რუხის დამცველი.

/თქვენი/ მონა-მორჩილი ჰასან ალამდარი – ამჟამად რუხის დამცველი.

/თქვენი/ მონა-მორჩილი მეჰმედ სერ ოდა – ამჟამად რუხის დამცველი.

/თქვენი/ მონა-მორჩილი ალი ჯებეჯი – ამჟამად რუხის დამცველი.

1 საფარის თვის 5, წელი 1126 – 20. 2. 1714 წელი.

№108

ის /ალაჰი/ შეეწიოს

ჩემო ბედნიერო და მოწყალეო სულთანო, ჯანმრთელად იყოს თქვენი უდიდებულესობა, თქვენზე მლოცველთა მოხსენება ისაა, რომ საქართველოს საზღვრის ბოლოს მდებარე ანაკლიის ციხეში მუსტაფაზები ზარბაზნების, ჯაბახანისა და პროვიანტის ნაკლებობას განიცდიან, ამიტომ წინააღმდეგობის გაწევას ვეღარ ახერხებენ, დიდი სიძნელეები შეექმნათ, მეზობელ სანახებში მყოფმა აფხაზთა ქაფირმა ყაჩაღებმაც პროვიანტის ჩამოსატანად წარგზავნილი ისლამის ხალხი დახოცეს, სოფლებში სავაჭროდ მოსულ ქაფირთა მოსახლეობას ვაჭრობა აუკრძალეს, ამასთანავე განზრახული აქვთ ფადიშაჰის ციხის განადგურება, ანაკლიის მხარეში მოსულმა ვაჭრებმა შარიათის ზღურბლს შეაფარეს თავი, ეს ამბავი ხსენებული ციხის მოსახლეობიდანაც მათი წარდგინების საფუძველზე მათზე მაღალი მოწყალების თხოვნითა და მაღალი ღმერთის შემწეობით თქვენს ფეხთა მტვერს ეუწყა, აწი ფირმანი ჩემს სულთანზეა, 1126 წლის რები ულ-ეველის თვე[1].

ბათუმის ახლოს მდებარე გონიოს კაზას მწირი, მლოცველი ომერ ალ-სეიდი.

/მეორე გვერდზე/:

აფხაზეთის შესახებ ანაკლიიდან და გონიოდან მოსული არზა ესაა.

1 1126 წლის რები ულ-ეველის თვე – 1714 წლის 17. 3 – 15. 4.

№ 109

ის /ალაჰი/ შეეწიოს

ჩემო ბედნიერო, წმინდა და მოწყალეო სულთანო, ჯანმრთელად იყოს თქვენი უდიდებულესობა,თქვენი მორჩილი მონის მოხსენების მიზეზი ისაა,რომ რუხის ციხის დასაცავად მხოლოდ უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩრების რაზმის ჯარისკაცების გარდა აღაები, იამაკი და სხვა მცველები სახეზე არ იყვნენ. ზარბაზნების, ჯაბახანის, პროდუქტებისა და პროვიანტის უქონლობის გამო, ასეთ პირობებში დაცვისა და წინააღმდეგობის გაწევა ვერ მოხერხდა,რადგანაც დიდი სიძნელეები შეიქმნა,მის სანახებში მყოფმა აფხაზმა და მეგრელმა ურწმუნო ყაჩაღებმაც პროდუქტების გადმოსაზიდად ჩამოსული ისლამის ხალხი დახოცეს, მათ განზრახული ჰქონდათ სოფლებიდან სავაჭროდ ჩამოსულ ურწმუნო მოსახლეობის გაწყვეტასთან ერთად ფაშას ციხე გაენადგურებინათ, როდესაც ანაკლიისა და ბათუმის მოსახლეობა სასამართლოს წინასე მოწმეებად წარსდგა, ამის შემდეგ ხსენებული ციხის მუსლიმი მოსახლეობის თხოვნის თანახმად, მომხდარი ამბის შესახებ, არზა ალაჰის წყალობით, თქვენს ფეხთა მტვერს /სულთანს/ წარედგინა, ამ საკითხის შესახებ საბოლოო ბრძანება ეკუთვნის ჩემს ბედნიერ,მოწყალე სულთანს.

დაიწერა კეთილი საფარის თვის ოთხში, 1126 წელი[1].

ანაკლიის მცველი იანიჩართა ოფიცერი მონა მეჰმედი /ბეჭედი/.

ანაკლიის ციხის ახლანდელი მეციხოვნე მონა ომერი /ბეჭედი/.

ანაკლიის ციხის ახლანდელი თოფჩი ბაში მონა ისლამი /ბეჭედი/.

ანაკლიის ციხის ახლანდელი იამაკთა ოფიცერი მონა მაჰმუდი /ბეჭედი/.

ანაკლიის ციხის ახლანდელი მცველი ქეთხუდა მონა აჰმედი / ბეჭედი/.

ანაკლიის ციხის ახლანდელი მცველი აზაბთა ქეთხუდა მონა ჰუსეინი /ბეჭედი/.

ანაკლიის ახლანდელი მცველი ბეშლუიანების ქეთხუდა მონა მაჰმუდი /ბეჭედი/.

1 საფარის ოთხი, 1126 წელი – 1714 წლის 19 თებერვალი.

№ 110

ჩემო ბედნიერო, მოწყალეო და კეთილისმსურველო სულთანო, ჯანმრთელად იყოს თქვენი უდიდებულესობა, თქვენი სახელმწიფოსათვის მლოცველის მოხსენება ისაა, რომ ანაკლიის ციხის გარშემო მყოფი დადიანის ხალხი და აფხაზი ქაფირები გაერთიანდნენ, ერთმანეთს გაუერთგულდნენ, და ანაკლიის და რუხის ციხეებისკენ ხმელეთითა და ზღვით, მიმავალ ვაჭრებს, ჯარისკაცებს, პროვიანტის მიმწოდებლებს /ზაპირიჯებს/ მგზავრობის დროს თავს ესხმიან, ძარცვავენ ხალხს ხოცავენ და პროვიანტს იტაცებენ, ციხის მოსახლეობა გარეკეს, მგზავრობისაგან დიდძალი ხალხი გაწყდა, ბაღდადჯიკის საყადოსთან ახლოს მდებარე ქუთაისისა და ანაკლიის ციხის მცველებმა არზა და მოთხოვნები წარადგინეს, და ქაფირთაგან განთავისუფლებას ითხოვდნენ, მუსლიმთა მიწებზე მოსულმა საწყლებმა /ჯარისკაცებმა/ შარიათის ზღურბლს წესრიგის შესახებ მოახსენეს და ზეპირად გასცეს პასუხი სასამართლოს, ქაფირებმა ამ საქმიანობით დიდძალი სიმდიდრე იგდეს ხელთ, ცხადი გახდა, რომ აჯანყება, არეულობა და ბოროტი საქმიანობა გრძელდებოდა, მათი მოხსენება მომხდარ ამბებზე თქვენს ფეხთა მტვერს წარედგინა და ეუწყა, აწი ბრძანება და ფირმანი თქვენზეა,

დაიწერა ჯემაზი ულ-ევველის თვეს,

23 ჯემაზი ულ-ევველი, წელი 1126[1],

ბათუმის ახლოს მდებარე გონიოს კაზას ყადი – ჯაფარ ოსმანი, შეუნდოს ალაჰმა.

1 23 ჯემაზი ულ-ევველი, წელი 1126 – 6. 6. 1714 წელი.

ჩემო ბედნიერო, კეთილისმყოფელო და მოწყალეო სულთანო, ჯანმრთელად იყოს თქვენი უდიდებულესობა, ამ ჯარისკაცების დასანიშნად ბოძებული ბრძანება გამოვიდა, როდესაც შერიფის მეშვეობით ისლამის შარიათი რუხისა და ანაკლიის ციხეებში გავრცელდა, ურწმუნო დადიანი ურჯულო აფხაზებთან ერთად გაერთიანდა, გაუერთგულდნენ ერთმანეთს და ბრძანება გასცეს შერიფს არ დამორჩილებოდნენ, როდესაც ხმელეთითა და ზღვით ჩვენი გზები დაიკავეს, ანაკლიის ციხე გარემოცული აღმოჩნდა, და დავრჩით იმ ადგილზე, სადაც თავის მოვალეობას ასრულებდა ოსმალეთის სახელმწიფოს მიერ დანიშნული ფირკათის ნაცვები, სამმა ქაფირმა ვერაფერი გააწყო, ისინი გონიოსა და ბათუმში თავიანთ რაიონებში იყვნენ განწესებულნი. უზენაესს ეცნობა, რომ ამრიგად ამ გარემოცვიდან გამოსვლა შეუძლებელია, აწი ფირმანი ჩემს სულთანზეა,

თქვენი მონა-მორჩილი და მლოცველი მაჰმუდი.

ქვეყნად უსამართლობისა და ძალმომრეობის დამთრგუნველის, ბედნიერების უმაღლესი კარის /დედაქალაქის/ ზღურბლის მტვრისადმი წარდგენილ თვით გონიოსა და გარშემო მდებარე ადგილებში არსებული ვითარების ამსახველ მოხსენებაში სახელმწიფოს ხანგრძლივი სიცოცხლისა და ბედნიერებისათვის საჭირო მლოცველების: ულემას, სულჰას, იმამის, ხატიბის, გლახაკისა და უმწეოს უმორჩილესი თხოვნა ისაა, რომ რუხის ციხის დასაცავად მხოლოდ უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩართა რაზმის ჯარისკაცებს შორის ადგილობრივი კორპუსის აღების, იამაკთა და სხვა მუსტაფაზების ჯარისკაცების გარდა არავინ არ არის სახეზე, ზარბაზნის, ჯაბახანის, პროდუქტებისა და პროვიანტის უკმარისობის გამო დაცვა შესაფერის წინააღმდეგობას ვერ უწევს, დიდი სიძნელეები შეიქმნა, მეზობლად მყოფმა აფხაზმა და მეგრელმა ქაფირმა ყაჩაღებმაც პროვიანტის გადმოსაზიდად გაგზავნილი ისლამის ხალხი დახოცეს, სოფლებიდან სავაჭროდ ჩამოსულ ქაფირთა მოსახლეობას ვაჭრობა აუკრძალეს, ისინი მუდმივ უბედურებაში იმყოფებიან, დაფანტულები არიან, ფადიშაჰის ციხის იავარყოფა რომ განზრახული აქვთ, ამის მოწმეა ანაკლიისა და ბათუმის მოსახლეობა, მაღალი ღმერთის წყალობით, მოწმეთა მონაცემების მიხედვით, მომხდარ ამბავზე დახმარების თხოვნა მოწმეებთან ერთად წმინდანთა ფეხთა მტვერს წარედგინა, ახლა ფირმანი ჩემს სულთანზეა, დაიწერა კეთილშობილი საფარის თვეში, წელი 1128[1].

თქვენი მონა-მორჩილი ჰასანი, ამჟამად გონიოს დაცვის ბეშლუიანების ქეთხუდა.

თქვენი მონა-მორჩილი ალი, ამჟამად გონიოს დაცვის მუსტაფაზების ქეთხუდა.

თქვენი მონა-მორჩილი იუსუფ ეფენდი, ამჟამად გონიოს მუდდი.

თქვენი მონა-მორჩილი ალი ეფენდი, ამჟამად გონიოს იმამი.

თქვენი მონა-მორჩილი ალი ეფენდი, ამჟამად გონიოს ვაიზი.

თქვენი მონა-მორჩილი ბეშლუიანების აღა მუსტაფა, ამჟამად გონიოს მცველი.

თქვენი მონა-მორჩილი ამჟამად გონიოს მცველი აზაბთა აღა ომერი.

თქვენი მონა-მორჩილი ამჟამად გონიოს მცველი თოფჩი ბაში

1 საფარის თვე 1128 წელი – 26. 1. – 23. 2. 1716 წელი.

იბრაჰიმი.
თქვენი მონა-მორჩილი მეციხოვნე ჰუსეინი ამჟამად ,გონიოს მცველი.
თქვენი მონა-მორჩილი, ამჟამად ანაკლიის მცველი თოფჩიების სერ ბოლუქი ჰალილი
თქვენი მონა-მორჩილი სერ-ბოლუქი სულეიმანი, ამჟამად ანაკლიის მცველი აზაბი.
თქვენი მონა-მორჩილი სერ-ბოლუქი მეჰმედი, გონიოს მცველი ბეშლუიანი
თქვენი მონა-მორჩილი ალამდარი მეჰმედი, ამჟამად გონიოს მცველი ბეშლუიანი.
თქვენი მონა-მორჩილი ალამდარი მუსტაფა, ამჟამად გონიოს მცველი აზაბანი.
თქვენი მონა-მორჩილი ალამდარი ალი, მუსტაფაზი გონიოს მცველი.
თქვენი მონა-მორჩილი მეჰმედ ქეთხუდა,ამჟამად გონიოს მცველი აზაბანი.
თქვენი მონა-მორჩილი მეჰმედ ქეთხუდა,ამჟამად გონიოს მცველი თოფჩი.
თქვენი მონა-მორჩილი ოდა ბაში ოსმანი, ამჟამად გონიოს მცველი იამაკი.

№ 113

ის /ალაჰი/ შეეწიოს.

თქვენი უმორჩილესი მლოცველის არზა უმაღლესი სამეუფეო კარის ბედნიერებისადმი ისაა, რომ ბათუმისა და გონიოს სანჯაყის სახასო ფინანსებიდან გონიოს ციხის ჯარისკაცები ოჯაქლიქებით და ოთხი გემის ჯარისკაცებით, თავიანთი სარჩოთი დაინიშნენ, არსებული მალიქანეთი ხსენებული ლივას მფლობელი, დიდების სიამაყე, მუსტაფა თქვენი მონა-მორჩილი და ამრიგად არსებული ფირმანი, დიდებულ მის ქვეშევრდომებს დაექვემდებარა, და მოწყალებითი ლოცვა როდესაც აღაელინეს, ხსენებული ლივა არჰოვას კაზაში რადგანაც მდებარეობდა, ილჰაჯ მეჰმედის შვილი იბრაჰიმი, რადგანაც მორჩილად არ იყო, და რაბათ ბირასა და თაჰრას ციხეებში იმყოფებოდნენ, და გადალახეს, ადგილის გადალახვისას და საწამლავის ხილვის შემდეგ, არც უმოქმედიათ აქტიურად, ერთად გაერთიანებულნი გემებზე დატვირთეს და ასე დატვირთულნი 550 ყურუშის გადახდა აუცილებელი შეიქნა, არც მუთასარიფის მიერ მისი გადახდა არ იყო აუცილებელი, უპირველეს ყოვლისა, გაცემული მაღალი ბრძანების მიხედვით იქნა ფიქსირებული, სამართლიანობა მოითხოვს არზა და განკარგულება გაიცეს, აწი ბრძანება მაღალი ალაჰისაა,
დაიწერა მლოცველის მაღალი განგებით, გონიოსა და ბათუმის კაზას ყადის მაღალი ნებით, ამჟამად,
ველზე გაკეთებული მინაწერი,

ისტანბულის კაფუდანთა სალიანეს ჩიფთლიქის შესახებ გონიოსა და ანაკლიის ციხეებისა და მიმდებარე ადგილების მცველების მუსტაფა ბეგის ბაშბუღის ადათის მიხედვით, არც გონიოს პირობით მიეცა ჯარისკაცებს გონიოს ციხე. დაიწერა 1131 წელს[1], 991,5 ყურუში ესედი 1000,

არსებული წესის მიხედვით, გონიოსა და ანაკლიის ციხეები და სხვა მიმდებარე ტერიტორიების დასაცავად დანიშნული ოთხი ცალი ეშკამფუიების კაპიტნები სალიანესთვის ოჯაქლიქის მფლობელი მუქათათები გონიოს საბაჟოს ყოველ წელს გონიოს ციხიდან 990,5 ყურუშ სარგოს იძლეოდა, მასზე 1000 ყურუში საღი რადგანაცაა, გადიდებული იგი შემცველია ოქროსი. ბაშბუღი დაინიშნა, ბათუმისა და გონიოს ბეგი მუსტაფა ბეგის დაპატიმრების თვალსაზრისით, დავთარში რეგისტრირებულია, ფირმანი ჩემი ბედნიერი, სულთნის უდიდებულე-

1 1131 წელი – 24. 11. 1718 – 13. 11. 1719.

სობაზეა.

დაიწერა 1132 წლის 23 მუჰარემს[1].

ასლი დედანთან სწორია.

სწორია, თელხისის თანახმად პატიოსანი ბრძანება დაიწერა, დიდად პატივცემულო დავთარდარ ეფენდი, გადაწყვეტილება მიიღეთო, იყო ნათქვამი, ბრძანება.

თქვენი მონა მორჩილის არზა ისაა, რომ გონიოსა და ანაკლიის ციხეები და სხვა მიმდებარე ადგილების დასაცავად დანიშნული ოთხი ცალი ეშკამფუიეს კაპიტნების ოჯაქლიქებიდან არსებული გონიოს საბაჟო ყოველ წელს გონიოს ციხის 991,5 ყურუშ სარგოს იძლევა, რადგანაც აქედან 1000 ყურუში ფინანსებით მუსტაფა ბეგის უფლებებში შედიოდა, იგი ველზე იქნა რეგისტრირებული, არჰოვას კაზაში მცხოვრები ილჰაჯ მეჰმედის შვილის იბრაჰიმის პატიოსანი ბრძანებით, არამის დაქვემდებარების შემდეგ იქ გაჩერებისა და გამგზავრების შემდეგ, ნიჯადის ტომის საჭიროების გამო, საბაჟოები არ იქნა გამოყენებული, რადგანაც წინააღმდეგობა გაუწიეს, უარის გამო ბათუმის კაზას არზა არსებობს, როდესაც ეს სახელმწიფოსათვის ცნობილი გახდა, ხსენებული საბაჟოსადმი წარდგენილი დიდებული ბერათის თანახმად, ხსენებული მუსტაფა ბეგის ჯარისკაცები დაკავებულნი იქნენ, გარედან ვინმეს მწარედ რომ მოქცეოდნენ, პატიოსანი ბრძანების დაწერა გახდა საჭირო, ამასთან დაკავშირებით, ფირმანი ჩემი ბედნიერი მოწყალე სულთნის უდიდებულესობაზეა.

ბრძანება გაიცა 1132 წლის 28 მუჰარემს[2].

1 1132 წლის 23 მუჰარემი — 6. 12. 1719.

2 1132 წლის 28 მუჰარემი — 11. 12. 1719.

ჩემო ბედნიერო, მოწყალეო სულთანო, ჯანმრთელად იყოს თქვენი უდიდებულესობა. ტრაპიზონის, გონიოს, ანაკლიის, ბათუმისა და იმ რაიონში მდებარე ციხეებში მცხოვრებთ 'კეთილგანწყობილ ხანებს ზარბაზნები თუ აქვთ, სუყველას მიზანი და ამოცანა მათი დავთრების არსებობაა. ვილაიეთის მოსახლეობის შემწეობით ახლო სანახებში არსებული იარაღი მთლიანად გაიგზავნა. გემი დაიტვირთა, თულის გემები დედაქალაქში ჰუსეინის მფარველობის ქვეშ არიან. მისი აზრით, რუხის ციხეში პროდუქტების გაგზავნა საჭირო იყო, ნიჰათში გასაგზავნად დანიშნული ჩორბაჯის შემწეობით, პირდაპირი მარშრუტით მგზავრობა უფრო მნიშვნელოვანია. მისი გაგზავნის საკითხზე პატიოსანი ფირმანია გაცემული. ამასთან დაკავშირებით ბრძანება და ფირმანი ჩემი ბედნიერი და მოწყალე სულთნის უდიდებულესობაზეა.

თქვენი მონა-მორჩილი იბრაჰიმი, თოფჩი ამჟამად.

თქვენი მონა-მორჩილის არზა ისაა, რომ ტრაპიზონის, გონიოს, ანაკლიის, ბათუმისა და მის სანახებში მდებარე ციხეებში არსებული მოქმედი ზარბაზნები, შარიათის წყალობით და 'ყველას ერთობლივი მოქმედებით, ფუნქციონირდება. რაოდენობრივად ზუსტად მოქმედებდნენ. დავთრებში რეგისტრირებულნი თავიანთი ძალით მოქმედებდნენ. ახლო რაიონებში მდებარე ციხეებში გაგზავნის შემდეგ, რუხის ციხეში პროვიანტის თოფხანეში გაგზავნის სამსახურს ასრულებდნენ. ჩორბაჯის მოქმედებით /ჯარისკაცთა/ გაგზავნა მნიშვნელოვანი იყო. ღონისძიება მნიშვნელოვანია. გემები დაიტვირთა. ნულის გემიც სულის ამოუთქმელად დედაქალაქში მივიდა. ამ დღეს გემი ბედნიერების დედაქალაქში გაიგზავნა. ზემოხსენებულ საკითხზე გულითადობა იქნა გამოჩენილი. მაღალი ბრძანების სათხოვნელად თობჩი ბაშის აღას ჯარისკაცებმა არზუჰალი გამოსცეს. როდესაც ეს ყველაფერი მაღალი სახელმწიფოსათვის ცნობილი გახდა, არსებული წესის თანახმად, ციხეებში არსებული გარკვეული კატეგორიის ზარბაზნები ბედნიერების დედაქალაქში გაიგზავნა. დავთრებში არზისა და გადაწყვეტილების მისაღებად, პატიოსანი ბრძანების დაწერის საკითხზე ფირმანი ჩემი ბედნიერი, მოწყალე სულთნის უდიდებულესობაზეა.

სწორია. თელხისის თანახმად ბრძანება გაიცა.

თესქერე გაიცა 132 წლის 10 ჯემაზი ულ-ევველს[1].

1 1132 წლის 10 ჯემაზი ულ-ევველი – 20. 3. 1720 წელი.

სწორია!

თელხისის თანახმად პატიოსანი ბრძანება დაიწეროს, ბრძანება, თქვენი უმწეო მონის წინადადება ისაა, რომ აფხაზი და მეგრელი ქაფირები სხვა ქართველ ტომებთან ერთად სრული ერთსულოვნებით შეკავშირდნენ და იმ რაიონში მდებარე გონიოს, ბათუმისა და ანაკლიის ციხეებსა და მათ გარშემო არსებული სოფლებისა და ნაჰიეების მოსახლეობას უბედურებასა და ზიანს აყენებდნენ, გაქერანებასთან ერთად აღნიშნული ყაჩაღების ცბიერებისა და ვერაგობისგან ხსენებული ციხეების დაცვისა და უვნებელყოფის მიზანს აღწევდნენ. ტრაპიზონის ვალის დიდებული, ბედნიერი მუსტაფა ფაშას უდიდებულესობის მიერ ადრე გონიოს სანჯაყის მუთასარიფი მეჰმედ ფაშა ბაშ ბუღად დაინიშნა და აღნიშნულ ლივაში მდებარე კაზების სარდლებიც მისი ბაირაღის ქვეშ დაირაზმნენ, თავიანთ ჯარისკაცებთან ერთად აღნიშნული ფაშას ხელქვეითებად დაინიშნენ, რადგანაც ხსენებული ყაჩაღების უმეტესობა ჩეთეს ნავებით ზღვის სანაპიროზე დაცურავდნენ, მხოლოდ ხმელეთზე ლაშქრის გაგზავნით შეიძლებოდა უბედურებისაგან თავის დაღწევა და რეალური უშიშროების გარანტია, ზღვის მხრიდანაც როგორც საჭიროება მოითხოვდა, აუცილებელი თავდაცვის მიზნით, საზღვაო ფლოტში ორგანიზებულ იქნა ათი ეშკამფუიასი და ათი დიდი ფირკათის ტიპის გემების მომზადება და გაგზავნა, ხსენებული ეეზირის უდიდებულესობას კაიმეებით ეცნობა, ტრაპიზონის ყადის არზა გაეგზავნა, ხოლო მოსახლეობას—კოლექტიური თხოვნა, სინამდვილეში ხსენებული ყაჩაღების უმეტესობა ჩეთეს ნავებით ზღვის ნაპირზე დაცურავდნენ, იქითა სანაპიროზე მყოფი მლოცველები ზღვის მხრიდან ტრადიციულად სისტემატურად ზიანს აყენებდნენ მათ, ამიტომ აღნიშნული ტომები ზღვის პირას არ დასეირნობდნენ, იმისათვის, რომ ზიანისა და ზარალისაგან ის რაიონი დაუცველი არ დარჩენილიყო, ძლიერი შეიარაღებული ეშკამფუიების დანიშვნა საჭირო გახდა, ამიტომ თითოეული მათგანისთვის 12-12 საჯდომით გემები სახელმწიფო ვერფებში ააგეს, ხუთი ეშკამფუიეს მშენებლობა სასწრაფოდ და მთლიანად დაამთავრეს, ყოველგვარი სამზადისის დამთავრების შემდეგ, დიდებული ეეზირის ბედნიერი კაფუდან ფაშას უდიდებულესობა თავისი საზრიანობით სახელმწიფო ფლოტის კაფუდანების თვალისჩინი და

გამოცდილი პირი გახდა,იგი გულადი და სახელოვანი,იმ რაიონის ვითარების ზედმიწევნით მცოდნე პირი იყო, მამაკაცური თვისებების მქონე კაფუდანებიდან ხუთი კაცი – კაფუდანი გამორჩეულ იქნა,ამათგან ერთს მიენიჭა უპირატესობა და იგი ყველას ბაშბუღად დაინიშნა,დანარჩენებს,როგორც წინათ იყო ისე წლიურად 2-2 იუქი ახჩა სალიანებთან ერთად დაენიშნათ და ეშკამფუიას კაფუდანს 29 ჯარისკაცი მიუჩინეს, მათთვის განკუთვნილი ლევენდათები წარმოსადეგი და ღონიერი ლევენდებისგან იყო ამორჩეული, ეშკამფუიებში არსებულ საქმეებზე ჯარისკაცები მკაცრად გააფრთხილეს, ამ რაოდენობის ეშკამფუიასთვის განსაზღვრული პროვიანტიც ამ მხარეებში გაიცა, უდიდესი შენაერთის შექმნის შემდეგ ერთ დღეს თავდაპირველად გამიზნული მხარისკენ გაემართნენ,პატიოსანი ბრძანების დაწერის საკითხზე ფირმანი ჩემი ბედნიერი, მოწყალე სულთნის უდიდებულესობაზეა,

საზღვაო ემინის ეფენდის ასლი ებოძა,
1135 წლის 9 რები ულ-ეველი[1],
რეგისტრირებულია

1 1135 წლის 9 რები ულ-ეველი – 18.12.1722 წელი.

№ 116

ის /ალაჰი/ შეეწიოს

თქვენი მონა-მორჩილის არზა ისაა,რომ არზას ერთ-ერთი ბეგი ამას წინათ მოვიდა და უმაღლესი სახელმწიფოს ზღურბლს თავი შეაფარა. ბედნიერების დედაქალაქში გაჩერებულ არსლან-ბეგის ხალხს იურთლუქისა და ოჯაქლიქის წესით ბერათი ებოძათ და მას თავად ბეგობაც ეწყალობა წერილობით. როდესაც უკან ბრუნდებოდა ყოველივე აუწყეს. ხსენებულ წარჩინებულს ახალი ჯარისკაცი გააყოლეს. ხმელეთით გაემგზავრა. მაღალი ფადიშაჰის კეთილი განწყობის გამო მისთვის სახარჯოს ბოძების წერილობითი განკარგულება ითხოვა. როდესაც ეს უმაღლესი სახელმწიფო კარისათვის ცნობილი გახდა, რამდენადაც ყოველი რაოდენობის ახჩის გაცემა მაღალი ფირმანის გამოცემას საჭიროებდა. მთავარ მოანგარიშესთან იქნა რეგისტრირებული. 500 ყურუშის შესახებ თესქერეს ბოძების საკითხზე ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა ჩემო ბედნიერო, მოწყალეო სულთანო.

სწორია!

თელხისის თანახმად მთავარ მოანგარიშესთან იქნეს რეგისტრირებული და თესქერე გაიცეს. ბრძანება 1136 წლის 4 ჯემაზი ულ-ახირი[1].

ხაზინის თესქერე გაიცა, 1136 წლის 8 ჯემაზი ულ-ახირი[2].

რეგისტრირებულია

აბაზას ბეგ როსტომის შვილს დღიური 30 ყურუში დაღგენილი თანხა ებოძა. არსლან ბეგისთვის დანიშნული თანხა არ მიეცა. იგი სასულთნოს სამზარეულოს ემინის, ეფენდის სტუმარია.

01 ახჩა ებოძოს, შემდეგ თესქერე გაიცეს!

ზოლთა ჯედიდი ყურუშის ანგარიშით 500 ხელზე /ებოძა/ სულეიმანის სახელწოდების ჩოკდარ ჰაჯი ჰალილ ეფენდის – სახელმწიფო სამზარეულოს ემინს.
1136 წლის 7 ჯემაზი ულ-ახირი[3].

---

1 1136 წლის 4 ჯემაზი ულ-ახირი – 1.3.1724 წელი.
2 1136 წლის 8 ჯემაზი ულ-ახირი – 5.3.1724 წელი.
3 1136 წლის 7 ჯემაზი ულ-ახირი – 4.3.1724 წელი.

ჩემო ბედნიერო და მოწყალეო სულთანო, ჯანმრთელად იყოს თქვენი უდიდებულესობა, ამ ჯარისკაცთა ადგილსამყოფელოში როდესაც მოვიდნენ აფხაზთა მხრიდან და აქ გაჩერებული ელჩის დაბანაკების ადგილზე დარჩნენ ჯემაზი ულ-ახირის თვემდე, მათ აღრიცხვა არ ჩაუტარებიათ, სახელმწიფოსაგან წყალობის მიღების საკითხზე ფირმანი ჩემი ბედნიერი სულთნის უდიდებულესობაზეა. თქვენი მონა-მორჩილი ილ ჰაჯი ბექირ აღა, თოფხანეს სახლის განმგებელი.

შესაბამისი ადგილი.

ელ ჰაჯ ბექირ აღას საიჯარო სახლის თაობაზე აბაზას სახელმწიფოსაგან ბედნიერების დედაქალაქიდან ჩამოსულების თაობაზე გაიცა სარგო, ჯემაზი ულ-ევველის დასაწყისიდან 1136 წლის მიწურულამდე,[1] სახელმწიფო ხაზინის მიერ გაცემული ბრძანება, თანახმად არზუჰალის, ველზე გაკეთებული მინაწერის, თელხისისა და მაღალი ფირმანის საფუძველზე, 15 ჯემაზი ულ-ახირი, წელი 1136[2] თესქერე გაიცა იმავე წელს, სახლი ერთი, დღეში 48, დღეები 30, ახჩა — 1440, ყურუში ესედი 12.
არსებული წესის საფუძველზე, აღნიშნულ რიცხვში ხაზინის თესქერე გაცემულია, დავთარში რეგისტრირებულია, ფირმანი ჩემი ბედნიერი სულთნის უდიდებულესობაზეა, 19 ჯემაზი ულ-ახირი, წელი 1136[3], დასაანგარიშებელია,

სარგო 1136 წლის ჯემაზი ულ-ახირის დასაწყისიდან იმავე თვის მიწურულამდე[4], სახლი ერთი, დღეში 48, დღეები 29, ახჩა 1392, თითოეული ყურუში 120 ახჩაა, ყურუში ესედი 11,5, ფარა 4.

ჯემაზი ულ-ახირის წლიური რომ დაიანგარიშეს მხოლოდ 11,5 ყურუში და 4 ფარა შეადგინა, ფირმანი ჩემი ბედნიერი სულთნის უდიდებულესობაზეა. 1136 წლის 29 ჯემაზი ულ-ახირი.[5]
თელხისი.

თქვენი მონა-მორჩილის არზა ისაა, რომ აბაზას ბეგის

---

1 1136 წლის ჯემაზი ულ-ახირის დასაწყისიდან იმავე წლის მიწურულამდე — 27.1.1723 წლიდან — 19.9.1724 წელი.
2 1136 წლის 15 ჯემაზი ულ-ახირი — 12.3.1724 წელი.
3 1136 წლის 19 ჯემაზი ულ-ახირი — 16.3.1724 წელი.
4 1136 წლის ჯემაზი ულ-ახირის დასაწყისიდან იმავე წლის მიწურულამდე — 26.2.1724
წელი — 19.9.1724 წელი
5 1136 წლის 29 ჯემაზი ულ-ახირი — 26.3.1724 — წელი.

ტერიტორიაზე მცხოვრები ჰაჯი ბექირ აღას სახლის 1136 წლის ჯემაზი ულ-ახირის5 გადასახადის ბოძების სათხოვნელად არზუჰალი გაიცა, როდესაც დაიანგარიშეს 11,5 ყურუში შეადგინა. როდესაც თესქერე გაიცა, ფირმანი ჩემი ბედნიერი და მოწყალე სულთნის უდიდებულესობაზეა.

სწორია
თელხისის თანახმად თესქერე გაიცა. ბრძანება 3. რეჯები წელი 1136[1], ხაზინის თესქერე გაიცა, 1136 წლის 7 რეჯები[2].

17	1392	29	18	18	48	8
17	11	48	5	18	29	24
20	16	- -		32		
- -	- -	04		- -		
- -	- -	232		36	432	- -
23	66	10267		36	92	96
1	110	- - -		- -	18	
	1760	1392		82	- -	
	96	- - -			1392	
	- - -	11 12			11	
	1856				2	
					4	

1.1136 წლის 5 ჯემაზი ულ ახირი — 2 მარტი 1724 წლისა.
2 1136 წლის 3 რეჯები – 28.3.1724 წელი
3 1136 წლის 7 რეჯები – 1.4.1724 წელი.

სწორია!

თელხისის თანახმად მთავარ მოანგარიშესთან იქნეს რეგისტრირებული! თესქერეს გაცემა იქნა ნაბრძანები, სწორია!

თქვენი მონა-მორჩილის არზა ისაა, რომ შავი ზღვის მხარეში განახლებული მშენებლობა არსებული ფირმანის მიხედვით იყო გაანგარიშებული. ფოთის ციხეში მშენებლობის ემინად დანიშნული მუსტაფა აღა თავის ჯარისკაცებს მგზავრობის დროს ტრაპიზონში, გონიოს, არზრუმის, გუმუშჰანესა და მისი სანახებიდან გაღებული ესნაფთა შრომისათვის გასაცემ თანხას გაიღებდა, ქვა, აგური და სხვა რაღაცეები დაიხარჯება, კირი 1000 ყურუში, დედაქალაქიდან გაგზავნილი 104 ჯარისკაცით, სამთვიანი გადასახადებით იყვნენ დაკავშირებულნი, როდესაც მათ 3255 ყურუში გასცეს, იგი მათ მთავარ მოანგარიშესთან გადაიხადეს, ამჯერად აღნიშნულ ჯარისკაცებზე შემოსულ კაიმეშია საუბარი, ხსენებული ციხის მშენებლობის თავკაცები, რადგანაც არ იყვნენ ადგილზე, ადრე ნაბოძები თანხა სავსებით საკმარისი იყო, გარკვეული რაოდენობის თანხა ამჯერადაც უწყალობეს, ამაზე ბრძანება გაიცა და დაიწერა, ადრე ბოძებული თანხის გარდა, ზამთრის პერიოდში მათთვის შემოთავაზებული იყო გარკვეული სამსახური, იგი მთლიანად არც ქვისა და არც კირის გასაგზავნად იყო გამიზნული, ამასთან დაკავშირებით გარკვეული რაოდენობის ახჩაც გაიგზავნა, რადგანაც მისი საჭიროება აუცილებელი იყო, გარკვეული ბრძანებით, დიდებული ფირმანის თანახმად, მშენებლობის ემინი ხსენებული ჯარისკაცების ადგილზე აღმოჩნდა, ადრე ბოძებული თანხიდან გაიცა, ამჯერად სახელმწიფო ხაზინიდან 15000 ყურუში გაიცა, ნაღდი თანხის გასაგზავნად მთავარ მოანგარიშესთან იქნა რეგისტრირებული, თესქერეს თანახმად, პატიოსანი ბრძანება დაიწერა, ამაზე ბრძანება /და/ ფირმანი ჩემი ბედნიერი, მოწყალე სულთნის უდიდებულესობაზეა, ხაზინის თესქერე გაიცა, 1136 წლის 15 ზილ-კაადე[1].

1 1136 წლის 15 ზილ-კაადე – 6.8.1724 წელი.

თქვენი უმდაბლესი მონა-მორჩილის არზა ისაა, რომ ტრაპიზონიდან ფოთის ციხისაკენ გაგზავნილ 23 ცალ ზარბაზანს ლაფეტი არ ჰქონია. ლაფეტების ხელახალი დამზადება აუცილებელი იყო, იგი ბედნიერების დედაქალაქში დაამზადეს და გამოაგზავნეს. მის გამოსაგზავნად განკარგულება გაიცა. თოფჩი ბაში აღას ჯარისკაცების მეშვეობით საქმეები წესრიგში მოიყვანეს. ლაფეტები დავთრის თანახმად, რეგისტრირებული ზარბაზნებისთვის იქნა დამზადებული. იგი სადად და გემოვნებით იქნა დამზადებული: 23 ცალი ლაფეტი, 46 ბორბალი, 23 ღერძი, 26 ქაფჩასა და სხვა იარაღებისათვის განკუთვნილია 2585 ოყა. გადაუდნობელი რკინა სახელმწიფო ჯაბახანიდან. 38 ოყა სპილენძის მადანია სხვადასხვა სახის. კირი თოფხანეს არსენალიდან გამოიტანეს და ორი ყანთარი ტვირთით, 10 ყანთარი, ძველი გასანათებელი ტვირთით, სახელმწიფო გემთსაშენიდან გასაცემად დაამზადეს, იგი ადგილზე გასაცემად იქნა ორგანიზებული. გარდა ამისა იგი განახლებულ იქნება. პროდუქტებისა და რკინეულობების ფასი სხადასხვანაირად იქნა შეფასებული. იგი 593 ყურუშით განისაზღვრა. მთავარი მოანგარიშის მიერ იქნა დაანგარიშებული და ველზე მინაწერი იქნა გაკეთებული. როდესაც ეს ყველაფერი სახელმწიფოსათვის ცნობილი გახდება, სახეზე არსებულის მიხედვით გაიცემა: გადაუდნობელი რკინა, სპილენძის მადანი, კირი და ჯაბახანის ტვირთი — თოფხანე სახელმწიფო გემთსაშენიდან გაიცემა. სხვა გასაყიდი საგნები და პროვიანტიც თოფჩი ბაში აღას ჯარისკაცების მეშვეობით, საურთიერთოდ და გასაცვლელად იქნება. აღნიშნული ლაფეტებით, სხვა პროვიანტით ხსენებული აღას ჯარისკაცების მიერ, ძალიან გამძლე და მყარი საქონელი დაამზადეს ამ სინაკლების ჟამს, ღვთის წყალობით გაზაფხულის მიწურულს, ამ მხარეში მიმავალ გემს წააწყდნენ. ხსენებული ციხისაკენ გაემართნენ და მის ადგილზე მოსატანად ამიერიდან მოემზადნენ და მზად ყოფნისას ეს დავთარი მთავარ მოანგარიშესთან იქნა რეგისტრირებული. აღნიშნული თანხის თესქერე და მისი პირების ბოძების საკითხზე ბრძანება და ფირმანი ჩემი ბედნიერი, მოწყალე სულთნის უდიდებულესობაზეა. ასლი. ასლის ნაწილი. ეს თესქერე გაიცა 1138 წლის 19 რები ულ-ეველს[1]. სწორია!

თელხისის თანახმად მთავარ მოანგარიშესთან იქნეს რეგისტრირებული. თესქერე და ასლები გაიცეს.
სწორია!
ბრძანება გაიცა 1138 წლის 16 რები ულ-ეველი[2].

1 1138 წლის 19 რები ულ-ეველი — 25.11.1725 წელი
2 1138 წლის 16 რები ულ-ეველი — 22.11.1725 წელი.

თქვენი უმწეო მლოცველის არზა უმაღლესი სამეუფეო კარის ბედნიერებისადმი ისაა, რომ ძლევამოსილი საზღერის ბრწყინვალებისადმი მორჩილებაა საჭირო. აქვე გაწეულია ფოთის ციხის კედლის ხარჯი, მოსახლეობის წყლის ნარჩენების შესაგროვებლად აშენებული თაჰთა ჯამის გავლენა ნაღდი გადაწყვეტილებაა. მშენებლებს ფოთის ციხის გახმაურებული საქმიანობის გამო, დაენიშნათ 15 ახჩა ჯამაგირის სახით. იგი ეწყალობა და ებოძა ემინს, აბუბექრ ხალიფას ლოცვები გამორჩეული აღმოჩნდა. მოსახლეობის მცდელობა და გულმოდგინეობა მოწყალების ლოცვით აღინიშნა. ამრიგად აღწერილ ციხეში ხსენებული ფინანსებიდან განსაზღვრული იყო სარჩო – 15 ახჩა. ხსენებული ჯამი შერიფი, მუეძინი გახდა. ხუმსად წოდებულ დროს და ამავე პირობებში გაგრძელებული სიცოცხლე სახელმწიფოს საშაჰინშაჰო დღეგრძელობისთვის, მისი განდიდებისთვის სარჩოდ 15 ახჩა ხელფასი დაინიშნა. ხსენებული ციხის ფინანსებიდან. იქ არსებული მუეძინობა, რადგანაც ხსენებული ჩირაღითა და ლოცვით და ყოველივე სიამით იყო შემკული, ებოძათ და ეწყალობათ, ამასთანავე დიდებული პატიოსანი ბერათი მიეცათ და ბოძების საკითხზე თხოვნა იქნა გაწეული. სამეუფეო სააჯო კარს არზა წარედგინა. აწი ფირმანი მაღალი ღვთისაა.

დაიწერა 1138 წლის ზილ-ჰიჯეს მიწურულს[1]. თქვენი მონა მორჩილი მირზა მეჰმედი, ფოთის მცველი ამჟამად,

თქვენი მონა-მორჩილის არზა ისაა, რომ აფხაზეთის სანაპიროზე აგებული, განახლებული ფოთის ციხის გარეთ მდებარე ჯამი შერიფის გარეთა მხარის მოსაპირკეთებლად, პატიოსანი ჯამე ააგეს. რადგანაც ძალიან ცოტა დაენიშნა. მუეძინის მოვალეობა იყო ფოთის საბაჟოს ფინანსებიდან აეღო სარჩო 15 ახჩა, აბუბექრ ხალიფა მუეძინად დაინიშნა და მას ებოძა ეს თანამდებობა, განახლებული ადგილიც მას მიეცა. ბერათის ბოძების სათხოვნელად, ფოთის მცველი, დიდებული ვეზირი – მირზა მეჰმედ ფაშას უდიდებულესობით არზა გაიცა, აღნიშნული ჯამი შერიფისთვის ამას წინათ პატიოსანი ბერათით იმამი დაინიშნა, რადგანაც მუეძინი იყო დანიშნული, ამაზე ველზე არსებული მინაწერი იხილეთ, როდესაც ეს ყველაფერი სახელმწიფოსათვის ცნობილი გახდა, და ამაზე ზემოხსენებულის არზის თანახმად, სარჩო 15 საღი ახჩა ხელფასი ფოთის საბაჟოს ფინანსებიდან იქნა აღებული, ხსენებული ჯამეს აღნიშნული მუეზინლიქობა აბუბექრ ხალიფას ებოძა და განახლებული ბერათის ბოძების საკითხზე ფირმანი ჩემი ბედნიერი მოწყალე სულთნის უდიდებულესობაზეა. თელხისის თანახმად, დაიწერა 1138 წლის 12 მუჰარემს[2]. ბრძანება გაიცა.

1 1138 წლის ზილ-ჰიჯეს მიწურული – 28.8.1726 წელი.

2 1138 წლის 12 მუჰარემი – 20.9.1725 წელი.

№121

ის /ალაჰი/ შეეწიოს

ჩემო ბედნიერო, კეთილისმყოფელო სულთანო, ჯანმრთელად იყოს თქვენი უდიდებულესობა, სოხუმის ციხის მცველებად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩრების 1138 წლის[1] კანონიერად არსებული სარგოთა ბოძების ბრძანების საკითხზე ბრძანება და ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა ჩემო ბედნიერო, კეთილისმყოფელო სულთანო,

თქვენი მონა-მორჩილი,

შესაბამისი ადგილი:

სოხუმის ციხეში მცველებად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩართა ჯამაათის სარგოს შესახებ 1138 წლის მასარს[2].

არსებული წესის მიხედვით, სოხუმის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩართა 1138 წლის მასარის სარგო კანონიერია.

თქვენი მონა-მორჩილის არზა ისაა, რომ სოხუმის ციხის მცველად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩართა 1138 წლის სარგოს ბოძების სათხოვნელად არზუჰალი გაიცა, როდესაც სახელმწიფოსათვის ცნობილი გახდება, ხსენებული წლის სარგოთა შესახებ ოთხი კვარტლის იჯმალის ბოძების საკითხზე, ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა ჩემო ბედნიერო მოწყალეო სულთანო,

სწორია.

თელხისის თანახმად იჯმალი გაიცეს, ბრძანება,

1138 წლის 22 რები ულ-ეველი.[3]

იჯმალი ხელზე ებოძა ალი ფაშას, 1138 წლის 22 რები ულ-ეველი, თელხისი

---

1 1138 წელი – 9.9.1725 – 28.8.1726 წელი.

2 1138 წლის მასარი – 1725 წლის სექტემბერ-ოქტომბერ-ნოემბერი.

3 1138 წლის 22 რები ულ-ეველი – 28.11.1725.

№ 122

თქვენი მონა-მორჩილის არზა ისაა, რომ სოხუმის ციხის მშენებლობისათვის 1137 წელს[1] ბედნიერების დედაქალაქიდან გაგზავნილი მუშებისათვის, დედაქალაქიდან ბოძებული ხელფასის ავანსი მიღებულ იქნა. ამ დროს ხსენებული ციხის მშენებლობის ემინის მირასის გარდაცვალების შემდეგ ესენი კანონიერად ითვლებიან. მათ საკვები არ მიეცათ. ღარიბებს ვერაგობა დასწამეს, ფოთის მცველის, დიდებული ვეზირი ბედნიერი მირზა მეჰმედ ფაშას უდიდებულესობის მეშვეობით მშენებლობის ქათიბი და მშენებელთაგან გარკვეული ღონისძიება გაატარეს. ხსენებული მუშებისთვის ბოძებულია 9 ცალი ბეჭდიანი თამასუქი. მიმარ ბაში აღას ჯარისკაცებისთვის გაცემულია ბეჭდიანი დავთარი. მის საფუძველზე გარეშე ხალხისთვის 30280 ახჩა დაიანგარიშეს. დაანგარიშებულის მიხედვით, აღნიშნული თანხის თესქერეს ბოძების საკითხზე ფირმანი ჩემს ბედნიერ და მოწყალე სულთნის უდიდებულესობაზეა.

თესქერე გაიცა 1138 წლის 29 რეჯებს[2].

სწორია!

თელხისის თანახმად თესქერე გაიცა, ბრძანება.

1138 წლის 26 რეჯები[3].

1 1137 წელი – 20.9.1724 წელი – 8.9.1725 წელი.

2 1138 წლის 29 რეჯები – 2.4.1726 წელი.

3 1138 წლის 26 რეჯები – 31.3.1726 წელი.

ჩემო ბედნიერო, მოწყალეო სულთანო, ჯანმრთელად იყოს თქვენი უდიდებულესობა. ფოთის ციხის დასაცავად მშენებლობისათვის სარემონტო სამუშაოებისათვის უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩრების 452 ჯარისკაცის ყოფნა დავთრით კანონიერია. მათი საკვები ჰამადანსა, თაბრიზსა და განჯის მხარეებში მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩრების შემადგენლობის ძველი ჯარისკაცები, რადგანაც ადგილებზე არ იმყოფებოდნენ, ლაშქარში მაღალი ფირმანით ირიცხებოდნენ. ამიტომაც 1138 წელს[1] განთავისუფლდნენ. ოთხი კვარტლის სარგოს იჯმალი მოსთხოვეს. მისი ბოძების საკითხზე ბრძანება და ფირმანი ჩემი ბედნიერი, მოწყალე სულთნის უდიდებულესობის ჯანმრთელობაზეა,

შესაბამისი ადგილი

ფოთის ციხის დასაცავად მყოფი, უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩართა ზოგიერთი ჯამაათის მოწესრიგების საკითხი მაღალი ფირმანის მიხედვით და 1138 წლის მასარის[2] სარგოს თანახმად.

არსებული წესის მიხედვით, მაღალი ფირმანის საფუძველზე ფოთის ციხის დასაცავად აშენებული, შესაკეთებელი ადგილის, უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩართა 1138 წლის მასარის სარგოდან აღება კანონიერია.

თქვენი მონა-მორჩილის არზა ისაა, რომ ფოთის ციხის დასაცავად აშენებული და სარემონტოდ მიჩნეული უმაღლესი სამეუფეო კარის ბურჯები იანიჩრებისაა. 452 ჯარისკაცის შემცველი დავთარი მოვიდა. მათი საზრდო ჰამადანის, თაბრიზისა და განჯის მხარეებიდან არის /მიღებული/. რადგანაც იანიჩართა რაზმების ძველი ჯარისკაცებისაგან ცარიელი იყო, ამასთანავე ლაშქარში ირიცხებოდნენ. ამიტომაც 1138 წელს ოთხი კვარტლის სარგოთა იჯმალის მოთხოვნისა და ბოძების საკითხზე არზუჰალი არსებობს, როდესაც ეს ყველაფერი უმაღლესი ხელისუფლებისათვის ცნობილი გახდება. იჯმალის ბოძების საკითხზე ფირმანი ჩემი ბედნიერი, მოწყალე სულთნის უდიდებულესობაზეა.

სწორია. თელხისის თანახმად იჯმალი იქნა რეგისტრირებული.

1138 წლის 8 რეჯები[3].

იჯმალი ხელზე ებოძა ალი ფაშას. 1138 წლის 8 რეჯებს.

---

1 1138 წელი – 9.9.1725 – 28.8.1726 წელი

2 1138 წლის 2 მასარი: 1725 წლის სექტემბერი, ოქტომბერი, ნოემბერი

3 1138 წლის 8 რეჯები – 12.3.1726 წელი.

№ 124

ის /ალაჰი/ შეეწიოს

ჩემო ბედნიერო,მოწყალეო სულთანო,ჯანმრთელად იყოს თქვენი უდიდებულესობა. ამჟამად სოხუმის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის თოფჩიების ჯარისკაცთა კანონიერად არსებული 1139 წლის[1] ხორცის თანხის წყალობისა და ბოძების განკარგულების საკითხზე ბრძანება /და/ ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა ჩემო ბედნიერო და მოწყალეო სულთანო.

თქვენი მონა-მორჩილი

შესაბამისი ადგილი.

სოხუმის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის თოფჩიების ზოგიერთი ჯამაათის შესახებ.

ჯარისკაცი – 82.

ხსენებული 82 ჯარისკაცი არსებული წესის თანახმად სოხუმის დასაცავად რეგისტრირებულნი არიან, ბრძანება /და/ ფირმანი ჩემს ბედნიერ სულთანზეა.

1139 წლის 12 ჯემაზი ულ-ეველი[2].

დავთარი მუკაბელეს უწყების საფუძველზე.

მთავარმა მოანგარიშემ ველზე მინაწერი გააკეთოს და დაიანგარიშოს სოხუმის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის თოფჩიების ჯარისკაცების პროდუქტების – ხორცის თანხის სარგოს შესახებ, 1138 წლის მუჰარემის დასაწყისიდან ამავე წლის ზილ-ჰიჯეს მიწურულამდე,[3] თესქერე გაიცა 1138 წლის 13 ჯემაზი ულ-ახირს[4].

ჯარისკაცები – 87,

დღეში ხორცი – 14,5 ოყა.

დღეები – 354

ოყა – 5133, თითოეული ოყა – 5 ახჩაა.

ახჩა – 25665, თელხისი.

---

1 1139 წელი – 29.8.1726 – 18.8.1727 წელი.

2 1139 წლის 12 ჯემაზი ულ-ეველი – 5.1.1727 წელი.

3 1138 წლის მუჰარემის დასაწყისიდან ამავე წლის ზილ-ჰიჯეს მიწურულამდე – 9.9.1725 – 28.8.1726 წელი

4 1138 წლის 13 ჯემაზი ულ-ახირი – 16.2.1726 წელი.

ფიადე მუკაბელეს უწყების ველზე მინაწერის მიხედვით, სარგო 1139 წლის მუჰარემის დასაწყისიდან ამავე წლის ზილ-ჰიჯეს მიწურულამდე.[1]

ჯარისკაცები – 82.

დღეში: ხორცი – 13,5 ოყა. დღეები – 354,

ოყა – 4779, თითოეული ოყა 5 ახჩაა.

ახჩა – 23895.

არსებული წესისი თანახმად, სოხუმის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის თოფჩიების 1138 წლის[2] ხორცის თანხაზე გაცემული ხაზინის თესქერე რეგისტრირებულია, ფიადე მუკაბელეს უწყების ველზე მინაწერის თანახმად, ამჟამად ხსენებულ დაცვაში მყოფი 82 ჯარისკაცის 1139 წლის ხორცის თანხამ დაანგარიშების შემდეგ მხოლოდ 23895 ახჩა შეადგინა. ფირმანი ჩემი ბედნიერი სულთნის უდიდებულესობაზეა. 1139 წლის 5 ჯემაზი ულ-ახირი[3].

თქვენი მონა-მორჩილის არზა ისაა, რომ სოხუმის ციხის დასაცავად მყოფი 82 ჯარისკაცის, უმაღლესი სამეუფეო კარის თოფჩიების 1139 წლის ხორცის თანხის საბოძებლად არზუჰალი გაიცეს, როდესაც ეს სახელმწიფოს კარისათვის ცნობილი გახდება, დაანგარიშებულის მიხედვით – 23895 ახჩაზე თესქერეს ბოძების საკითხზე ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა. ჩემო ბედნიერო მოწყალეო სულთანო.

სწორია!

თელხისის თანახმად თესქერე გაიცეს. ბრძანება, 1139 წლის 8 ჯემაზი ულ-ახირი[4].

ხაზინის თესქერე გაიცა 1139 წლის 9 ჯემაზი ულ-ახირს[5].

რეგისტრირებულია.

1770	10
1022	6
- - -	
4779,5	815
5	
23895	

1 1139 წლის მუჰარემის დასაწყისიდან ამავე წლის ზილ-ჰიჯეს მიწურულამდე – 29.8.1726 – 18.8 1727 წელი.

2 1138 წელი – 9.9.1725 – 28.8.1726 წელი.

3 1139 წლის 5 ჯემაზი ულ-ახირი – 28.1.1727 წელი.

4 1139 წლის 8 ჯემაზი ულ-ახირი – 31.1.1727 წელი

5 1139 წლის 9 ჯემაზი ულ-ახირი – 1.2.1727 წელი.

საქმე ისეა, როგორც აქაა დაწერილი, გადაწერა იგი ალა-ჰის, იყოს წმინდა სახელი მისი, გლახაკმა ქალაქ ვიზეს მოლას მოადგილემ მეჰმედ ემინმა, შეუნდოს ალაჰმა.

შარიათის წიგნის დაწერის მიზეზი ისაა, რომ ამ 1136 წელს[1] შავი ზღვის მხარეში, აფხაზეთის სანაპიროზე მდებარე სოხუმის ციხეში, გამოვიდა ფირმანი. ამ გამოცემული ფირ-მანით, სოხუმის ციხეში მდებარე და ფოთის თავზე მდებარე / გაცემული/ ფირმანი, ფოთის ციხეში ქვისა და კირის და სხვა პროდუქტების გასაგზავნად თხოვნა იქნა წარდგენილი, ვიზეს, კირქ ქილისასა და ბაქირ ჰისარის კაზებიდან იენი კალეში 800 წმინდა თელიანი /ურემი/ და 20 დიდი ტვირთსაზიდი და 30 კაცი-ოსტატი, ფეხსაცმელების სატვირთო საშუალებით, ვიზეს კაზაში გაიგზავნა, იენი კალეში 240 ნაღდი ტვირთსაზიდი და ხუთი უზარმაზარი ურემი გაიგზავნა, შვიდი ხელოსანი ოსტატი ხელოსან მეურმეებზე ბაშ-ბუღად დაინიშნა, ვიზეს რაიონიდან მეორე რაიონში მყოფი შარიათის თანახმად აღნიშნული ურ-მით, საზიდრით მუბაშირი დაენიშნათ, გაცემული უწარჩინებ-ულესთა და უკეთილშობილესთა სიამაყის აბდულლაჰ ბეგისა და მრჩეველი ალი აღას წარჩინებით, აღსარება სრულიად იქნა აღიარებული, ამ კურთხეულ წელს, ხსენებულ კაზაში, გაცემუ-ლი ფირმანის მიხედვით, ფეხსაცმლის მზიდველი ურმის შვიდი კაცი, ხსენებულ ციხეებში სამსახურს ეწეოდნენ, ფეხსაცმლის მზიდავი ურმის ადამიანები მხოლოდ ხუთი ყურუში საიჯარო ქირას კაზას მოსახლეობა იხდიდა, მეც თქვენმა მონა-მორჩილმა, ვალდებულება ვიკისრე და დავთანხმდი, საჭიროა ჩვენი ხელ-ფასი ხუთი ყურუში მოსახლეობის ადგილებიდან სრულიად და მთლიანად უბოძოთ, ხსენებულ მოსახლეობაში გადასახადის ვალდებულების შესრულების შემდეგ, ფეხსაცმლის მზიდველი ურმები საჭირო გადასახადებით აღიწერა და ჩაიწერა, აღნიშ-ნული სამსახურის შესრულებისას და კაზაში არსებული ხსენ-ებულ აღაებს თუ ებოძათ გადაწყვეტილებანი შესაძლებლობის საფუძველზე მთლიანად დამთავრდება, თუ ნაკლულია ფეხსაც-მლის მზიდველ მეურმეებს ბაშ ბუღი დაენიშნათ, მათ აღნიშნუ-ლი გადაწყვეტილება მიიღეს, აღნიშნულ აღაებს თავთავიანთი სარგოები დაენიშნათ და იგი მთლიანად იქნა ამოწერილი.

დაიწერა ჯემაზი ულ-ახირის შვიდი, წელი 1136[2].

საქმის მოწმენი: ფაჰრ ალ სადათ ალ სეიდ ომერ აღა ბენ ჰაჯ ჰასან, ალ სეიდ ჰასან მუსტაფა ჩელები ბენ ელიას ბეგი-ზადე მუსტაფა აღა, კასიმ ბეშე ბენ მუსტაფა ალ სეიდ აბდალ-ლაჰი ბეგი ბენ ალ ჰაჯ მეჰმედი, მუსა ბეგი ბენ მეჰმედი და სხვა დამსწრენი.

1 1136 წელი – 1.10.1723 – 19.9.1724 წელი.

2 1136 წლის ჯემაზი ულ-ახირის შვიდი – 5.3.1724 წელი.

ბერღოსიდან სოხუმის ციხისაკენ ხორბლის გასაგზავნად დედაქალაქთან დააკავეს გემი. იგი გაიგზავნება გემით. ბალიქლიელი გემი არტურ აჰმედი.

ხორბალი ყურუში 4000.

თქვენი მონა-მორჩილის მარუზა ისაა,რომ ამ ჯარისკაცების მეშვეობით გასაყიდად არსებული ხორბლიდან მხოლოდ 4000 ქილა სოხუმის ციხისკენ გაიგზავნოს, რადგანაც ფირმანი გამოვიდა. აღნიშნული ხორბლისთვის ქვემოთ აღწერილი ბალიქლიელი არტურ აჰმედის მგზავრობა დედაქალაქიდან, დაკავებულ იქნა. ბერღოსის ციხისკენ გაიგზავნა. ციხიდან 400 ქილა ხორბალი გემზე დაიტვირთა და სოხუმის ციხისკენ გაგზავნის პირობით იყვნენ მზად. როდესაც ეს ამბავი სახელმწიფოსათვის ცნობილი გახდა. ბრძანება და ფირმანი ჩემი ბედნიერი

სულთნის უდიდებულესობაზეა.

თქვენი მონა-მორჩილი მეჰმედ ემინი გერექი დედაქალაქისა, ამჟამად.

თქვენი მონა-მორჩილის არზა ისაა, რომ ბერღოსის ნავსადგურიდან სოხუმის ციხისაკენ გაგზავნილი ფირმანი გამოიცა 4000 ქილა ხორბლის დასატვირთად. ისტანბულის საბაჟოს ემინის აღას მიერ ბედნიერების დედაქალაქიდან ბალიქლიელი არტურ აჰმედის მგზავრობა გემით დაკავებულ იქნა. გამზადებული და მზად მყოფი ჰასირ ემინი ზემოხსენებული ჯარისკაცების გადაწყვეტილებიდან წინათ წესრიგი იქნა დამყარებული, უწინდებურად ებოძებათ. როდესაც დაიანგარიშეს თულის გეგმა შეადგინა 37334 ახჩა. ხსენებული თანხის თესქერეს გაცემის საკითხზე ფირმანი ჩემი ბედნიერი და მოწყალე სულთნის უდიდებულესობაზეა.

ხაზინის თესქერე გაიცა, წელი 1139, ზილ-ჰიჯეს 14[1].

რეგისტრირებულია,

ნულის გემის ბალიკლიელი არტურ აჰმედ იბნის ადათის მიხედვით, ხორბალი შეკრებილია და გაიგზავნა ბედნიერების დედაქალაქიდან ციხე-სიმაგრე ბერღოსამდე. შემდეგ სოხუმის ციხის ემინის ნებით გაიგზავნა ბრძანება. გადაწყვეტილების თანახმად სტამბოლის საბაჟოს ემინის მეჰმედ აღას მეთაურობით 1139 წლის ზილ-კაადეს[2].

ხორბალი ქილა – 4000, თითოეულს – 14

1 1139 წლის 14 ზილ-ჰიჯე – 2.8.1727 წელი.

2 1139 წლის ზილ-კაადე – 20.6. – 20.7.1727 წელი

იუქი ახჩა – 56000
18666
- - - - -
37334

სამსახური გაეწია, თელხისი, როდესაც დაიანგარიშეს 37334 ახჩა შეადგინა, ფირმანი ჩემი ბედნიერი და მოწყალე სულთნის უდიდებულესობაზეა.
დაიწერა 1139 წლის 21 მუჰარემს[1].
სწორია!
თელხისის თანახმად თესქერე გაიცა, 1139 წლის 8 საფარი[2].

1 1139 წლის 21 მუჰარემი – 18.9.1726 წელი.
2 1139 წლის 8 საფარი – 5.10.1726 წელი.

სწორია! თელხისის თანახმად მთავარ მოანგარიშესთან იყოს რეგისტრირებული და ჩაწერილი. ბრძანება გამოვიდა, 12 შაბანი 1139 წელი[1].

თქვენი მონა-მორჩილის არზა ისაა,რომ დადიანების მეფე ბეჟან გიორგის ძის სახელწოდებით ცნობილი პირიც ბედნიერების ტახტის მორჩილი გახდა. განახლებული მშენებლობისთვის განკუთვნილი ფოთის ციხის თავკაცისათვის მშენებლობის დახმარების გასაწევად მზად იყვნენ. მდინარე ფაშას სისუფთავისა და სიწმინდისათვის ფოთიდან თბილისისაკენ მიმავალი ობიექტების განმტკიცება და შემეცნება იყო საჭირო, როდესაც უწინდელი გადაწყვეტილება იქნა მიღებული, გარკვეული ვითარების შექმნის შემდეგ, ჭეშმარიტება და კვლავ ხსენებული სახელმწიფოს მისდამი დამოკიდებულება გაირკვა, პატიოსანი შარიათის კალთის წინაშე წარსადგენად, ამჟამად ხსენებული ციხის მცველი – ელ ჰაჯ იბრაჰიმ ფაშა თავისი ჯარისკაცებით უმაღლესი სამეფო კარის აღას ეექილი და სხვა ოჯახის აღები და სუყველანი წარჩინებულნი და ვილაიეთის წარმომადგენელნი ხსენებულ მეფესთან ერთად იყვნენ. ქეთხუდა სუჯურა და მთავარი მღვდლები ხუჰუნდალი და სხვა თავადები და აზნაურები მივიდნენ. ციხის მშენებლობის დამთავრებამდე მშენებლობის სამსახურში იყვნენ. მდინარე ფაშით თბილისის გზა როგორც საჭიროება მოითხოვდა ისე იქნა რეგულირებული. ყველანი არსებული პირობების საფუძველზე იქცეოდნენ. გზის საკითხიც გადაიჭრა. შარიათის ჰუჯეთით ყველაფერი ნათელი გახდა. ყველაფერი ეს სახელმწიფოსათვის ცნობილი როდესაც გახდა, ეს შარიათის ჰუჯეთი მთავარ მოანგარიშესთან იქნა რეგისტრირებული და დაცული. ამაზე ფირმანი ჩემი ბედნიერი და მოწყალე სულთნის უდიდებულესობაზეა. სარეგისტრაციოდ დავთარშია ფიქსირებული.

საქმე ისეა როგორც აქ არის მოთხრობილი, გადაწერა ეს მისმა – ალაჰის – წმინდა იყოს მისი სახელი – გლახაკმა ფოთის ციხის ყადიმ – ალიმ.

შეუნდოს ალაჰმა!

ამჟამად განახლებული მშენებლობა და სიახლენი მაღალი ფირმანითაა დამოწმებული. იგი ფოთის ციხის კედლების ხარჯშია განიეთებული. დადიანთა მეფე ბეჟან გიორგის ძე ქაფირი ამას წინათ აჯანყდა,და დაუმორჩილებელი შეიქმნა. თუმ-

1 12 შაბანი 1139 წლისა – 4.4.1727 წელი.

ცა ჩემი მოწყალე და დიდბუნებოვანი სულთანი წარჩინებული ხაკანი და შემოქმედი, მოწყალე ფადიშაჰი, ხანგრძლივი ჰყოს დიდებულება მისი ალაჰმა, სახელმწიფოს ბედნიერებამ' ხანგრძლივ ჰყოს სიძლიერე მისი, სასულთნოს ჭეშმარიტი დაძახებით ერთიანად დარაზმულნი გაემართნენ და ნებით თუ უნებლიეთ მორჩილება გამოუცხადეს ხსენებული ციხის მშენებლობის ემინს აბდალლაჰ აღას წერილი გაეგზავნა. ხსენებული ემინიც, აღნიშნული ციხის მშენებლობის დამთავრებამდე, გამოიყენა და მდინარე ფაშას დაეუფლა. ვეზირის ხელისუფლების ქვეშ მყოფი თბილისის გზა ბოროტებისაგან გაიწმინდა. უმაღლესი სამეუფეო კარი თუ ღიაა, კაიმეში /დოკუმენტში/ გადაწყვეტილება თუ იქნა მიღებული, ამის მიხედვით ჩემი ბედნიერი და მოწყალე ხელმწიფის, ხანგრძლივი იყოს ბედნიერება მისი, მისი უწინდელი უდიდებულესობა ჯარიმებისაგან თავისუფალი აღმოჩნდება. სამეფო თავისთვის დაიტოვა. უმაღლესი ბრძანება ებოძა და დაისაკუთრეს. მეჯლისში წარჩინებულთა სიამაყე და სიდიადე, ამჟამად ციხის დაცვა ბედნიერ ალ ჰაჯ იბრაჰიმ ფაშას უდიდებულესობას დაეკისრა.. უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩართა აღა ჰასქი ჰუსეინ აღა და სხვა ოჯახთა აღაები ყველა წარჩინებულები ვილაიეთებისა, ხსენებული ბეჟანი და 200 ქართველი თავადი, აზნაურისა და მღვდლების მზადყოფნა პატიოსანი ბრძანების აღვლენა იყო. როდესაც უმაღლესი ცოდნა აღნიშნული მეფის თარჯიმნებისა და საქართველოს მოსახლეობის უპირატესობა აღმოჩნდა ლოცვა დაიწყეს /?/ ხსენებულ ბეჟანს და დიდ ქეთხუდას ჩიჩუას სახელით ცნობილ პირს, მთავარ მღვდლებს – ჯიხუნდანის სახელით ცნობილ მღვდელს და სხვა თავადს და აზნაურს და მათ სუყველას, მაღალი ბრძანების თანახმად მდინარე ფაშას გაწმენდა და გასუფთავება დაევალათ. თბილისის გზის გახსნა და გალამაზება, ხსენებული ციხის მშენებლობის დასრულება და სხვა საჭირო ვალდებულების შესრულება აუცილებელი შეიქნა. თუ თავადების ნდობა ექნებათ ციხეში დაკავებულნი იქნებიან. რეგისტრირებული მსახურები მთლიანად პირობით დატოვეს. ხსენებულ მცველებსაც აღნიშნულ ბეჟანს და ქეთხუდას და მის ორ შვილს და ელჩს და თითოეულ მათგანს სამ-სამი წყება ძვირფასი ხალათი, შესამოსელი და ხუთი ცალი თავადებსაც უბოძეს. სახელმწიფოს ფეხთა მტვერს შაჰისგან ხალათის ბოძების შემდეგ, ხსენებულ მეფეს და სხვა ქართველებს როდესაც განუცხადეს, რომ შარიათს ჰუჯეთი ებოძოთო. ამასთანავე იგი მოთხოვნილებისამებრ იქნა ამოწერილი. დაიწერა 20 რები ულ-

ახირს, წელი 1139[1].

უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩართა აღა – ჰუსეინი.
მუსტაფა აღა ეელია.
აჰმედ აღა ჩორბაჯი 112 ახჩა.
მეჰმედ აღა 96 ახჩა.
სალეჰ აღა 55 ახჩა.
მეჰმედ ოდა ბაში.
აჰმედ ოდა ბაში.
იუსუფ აღა.
ისმაილ აღა 196 აჰმედ აღა 96 ახჩა
ჰასან ოდა ბაში.
ოდა ბაში 19 იუსუფ აღა
კასიმ აღა და სხვა დამსწრენი.

რეგისტრირებულია

1 20 რები ულ-ახირი, წელი 1139 – 15.12.1726 წელი.

№ 128

ის /ალაჰი/ შეეწიოს

ჩემო ბედნიერო, მოწყალეო სულთანო ჯანმრთელად იყოს თქვენი უდიდებულესობა, ფოთის ციხის მშენებლობისათვის ქვის გასაგზავნად დანიშნული გემების სამინოში ათინელი მაჰმად რეისი ქვის გაგზავნის საქმიანობით იყო დაკავებული, მნიშვნელოვან გასამჯელოს 249 ყურუშს სახელმწიფოს მხრიდან იღებდა. მშენებლობის ემინმა აბდალლაჰ აღამ თამასუქი გასცა, ამ მხარეში, როდესაც მთავარ მოანგარიშესთან მოითხოვეს, ზემოხსენებული რეისის გამოსაღები სახელმწიფოსაგან 200 ყურუში გაიცა, მშენებლობის ზემოხსენებული ემინი რადგანაც გარეთ იმყოფებოდა, ამის შემდეგ ფოთის საბაჟოდან გაცემული ფირმანის პირობით, ჯარისკაცების მიერ 75 ყურუში გაიცა და ხსენებული საბაჟოს მშენებლობის ემინის ჯარისკაცების განკარგულებაში იყო, ამ ჯარისკაცებმა ერთხელაც ზემოხსენებული აბდალლაჰის დროს 320 ყურუში არ აგვიღიაო, აღნიშნული თანხის რაოდენობის ფინანსები ხსენებული მშენებლობის ხარჯებისთვის დაიხარჯა, ამ ჯარისკაცთა განკარგულებაში არსებული თანხიდან გაგზავნის განკარგულების საკითხზე ფირმანი ჩემი ბედნიერი, მოწყალე სულთნის უდიდებულესობაზეა,

თქვენი მონა-მორჩილი,

სწორია!

თელხისის თანახმად თესქერეს გაცემის განკარგულება გაიცა.

თქვენი მონა-მორჩილის არზა ისაა, რომ ფოთის ციხის მშენებლობისათვის ქვის გასაგზავნად დანიშნული გემების ემინებიდან ათინელი მაჰმად რეისმა ქვა გააგზავნა, შემდეგ დადგენილი 249 ყურუში სახელმწიფოსაგან გაიცა, მშენებლობის ემინის აბდალლაჰ აღას თავად თამასუქი ებოძა, რადგანაც ამ მხარეში თანხა მოითხოვეს, ხსენებული რეისი, ნულის გემებისათვის წინათ სახელმწიფოსაგან 249 ყურუში გაიცა. როდესაც იგი მთავარ მოანგარიშესთან იქნა რეგისტრირებული, აღნიშნული თანხა, ხსენებული ემინის დროს, ფოთის საბაჟოდან გასაცემად ბოძებულია, ფირმანი მის დასაზუსტებლადაც სასწრაფოდ იქნა ფიქსირებული, ემინ ეფენდის ჯარისკაცების მხრიდან 75 ყურუში გაიცა, თუმცა ხსენებული საბაჟოც მშენებლობის ემინის განკარგულებაში იყო, ამიტომ ხსენებული ემინის დროს 324 ყურუში იქნებოდა, იგი მშენებლობის ემინის აბდალლაჰ

აღას განესაზღვრა. ამდენად ეს თანხა გაგზავნილ იქნა. საამისოდ ხალილ ეფენდის ჯარისკაცებმა შუამდგომლობა გასწიეს. როდესაც ამ თანხის გაგზავნის თაობაზე სახელმწიფოსათვის ცნობილი გახდა. მის თაობაზე მშენებლობის ემინს – აბდალლაჰ აღას მიეწერა. იგი რეგისტრირებულ იქნა, 324 ყურუში თესქერეს ბოძების საკითხზე ფირმანი ჩემი ბედნიერი, მოწყალე სულთნის უდიდებულესობაზეა.
თესქერე გაიცა 1139 წლის 6 ზილ-კაადეს მიწურულს.[1]

რეგისტრირებულია.

1 1139 წლის 6 ზილ-კაადე – 25.6.1727 წელი.

№ 129

ის /ალაჰი/ შეეწიოს

ჩემო ბედნიერო, მოწყალეო სულთანო ჯანმრთელად იყოს თქვენი უდიდებულესობა, სოხუმის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩრები კანონიერნი არიან, 1138 წლის[1] პროდუქტებისათვის, როცა არზუჰალი გამოვიდა ითქვა, ხსენებულ დაცვაში პური გაიცაო, პროვიანტისთვის პატივი არ მიუგიათ, ძლევამოსილთა საზღვარზე ხსენებულ ჯარისკაცებისთვის ამ დრომდე ფქვილი არ მიუციათ. აუცილებლად და დაუყონებლივ უნდა შესრულებულიყო ჯარისკაცთა მოთხოვნა, რადგანაც ამბები მოვიდა, საზღვრის გარეთ მყოფი ხსენებული ჯარისკაცებისთვის 1138 და 1139[2] წლების პროდუქტების ბოძების საკითხზე ბრძანება და ფირმანი ჩემი ბედნიერი და მოწყალე სულთნის უდიდებულესობაზეა.

თქვენი მონა-მორჩილი.

მთავარი მოანგარიშის მიერ ველზე მინაწერი გაკეთდეს:

დანიშნულება გაიცა უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩართა სოხუმის ციხეში დანიშვნის თაობაზე, 1139 და 1138 წლებში ბრძანება გაიცა. პროდუქტების ემინმა ყოველ დღე გასცეს ბრძანება აღნიშნულის თაობაზეო,

აფხაზეთის უბეში აგებული სოხუმის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩართათვის, დანიშნულება გამოიყოს და ფქვილის სახით გაიგზავნოს, ყოველი დღის დანიშნულებანი ჯარისკაცების მიხედვით მშენებლობის ემინის ხელით გაიცეს, თითოეულ კაცს დანიშნული პური ებოძოს, და ხელზე თამასუქი მიეცეს, ანგარიშის მოსაგვარებლად პირობა დაცულ იქნეს, რადგანაც აუცილებელია ბრძანებები გამოვიდესო, გამოცემული პატიოსანი ბრძანება დავთარში რეგისტრირებულია. ფირმანი ჩემი ბედნიერი და მოწყალე სულთნის უდიდებულესობაზეა.

1139 წლის 8 ზილ-კაადე[3].

წინათ არსებული ფირმანის მიხედვით, ხსენებული ჯარისკაცების პურის თანხები მშენებლობის ემინის ხელით გაიცა, რვა და ცხრა წლებში დადგენილი პურის თანხები მშენებლობის ემინის ხელით გაიცა, სახეზე არსებულ ჯარისკაცებს, ჯარისკაცებისა და მოადგილეების მიხედვით პატიოსანი ბრძანება გასცენ.

ბრძანება გაიცა 1139 წლის 9 ზილ-კაადეს[4].

1 1138 წელი – 9.9.1726 – 28.8.1727 წელი.

2 1139 წელი – 29.8.1726 – 18.8.1727 წელი.

3 1139 წლის 8 ზილ-კაადე – 27.6.1727 წელი.

4 1139 წლის 9 ზილ-კაადე – 28.6.1727 წელი

№ 130
ის /ალაჰი/ შეეწიოს

ჩემო ბედნიერო, მოწყალეო სულთანო ჯანმრთელად იყოს თქვენი უდიდებულესობა, ეს ჯარისკაცები წინათ სოხუმის ციხის მშენებლობის ემინის იუსუფ ბეგის მშენებლები იყვნენ. როცა მამაჩვენი ხსენებულ მხარეში გარდაიცვალა, კარზე არსებული ქონება, ნივთები და სხვა რაღაცეები ფოთის მცველის საკუთრება გახდა, ამჟამად ამ მხარეში მყოფი ვეზირი რუშენ ბაბადი, ბედნიერი მირზა მეჰმედ ფაშას უდიდებულესობამ შეიპყრო. მათი დავთრები ყადიმ შეკრა. ამ მხარეში არზა რადგანაც წარადგინეს, უდიდებულესობის განწყობილების მიხედვით მოსალოდნელია, რომ ზემოხსენებული ვეზირიხა და ყადის მიერ გაცემული არზა, დაეთრები მთავარი მოანგარიშის მიერ ველზე იქნეს დაანგარიშებული. ჩვენი გარდაცვლილი მამის სარწმუნოება სახელმწიფოსათვის არ გვიჩვენებია. რადგანაც ცხადი გახდა, ქვითრების შემცველი ნივთები, ქონება და მონეტები /ფულები/ სამწუხაროდ ჯარისკაცებისათვის არ გვიბოძებია, მისი ბოძების ბრძანების საკითხი ბედნიერი დავთარდარ ეფენდის საქმეა, იგი მაღალი ფირმანის მთხოვნელია, აწი ფირმანი ჩემი სულთნისაა.

თქვენი მონა-მორჩილი ემინე. თქვენი მონა-მორჩილი ბარაიკი. თქვენი მონა-მორჩილი ჯერქიე. თქვენი მონა-მორჩილი კატმა. თქვენი მონა-მორჩილი. თქვენი მონა-მორჩილი ალი. თქვენი მონა-მორჩილი მუსტაფა. თქვენი მონა-მორჩილი ჰუსეინი.

წინანდელი ვეზირი ფაშას მიერ შემოსულ დავთარში გარდაცვლილთა რაოდენობა გარკვეულია. შემდეგ ჯელფ მუსტაფა აღას მანლუ საქილან დავთარში გარკვეული რაოდენობითაა წარმოდგენილი. მთავარ მოანგარიშის მიერ გარკვეული სამუშაოებია შესრულებული. ველზე მინაწერია გაკეთებული. ფოთის მცველი აჰმედ ფაშა 1136 წლის შევალის დასაწყისიდან 11337 წლის ზილ-ჰიჯეს მიწურულამდე[1].

სოხუმის მშენებლობის ემინის იუსეფ ბეგის ქვითარი.

ყურუში – 12500
პროვიანტი – 00650 მუსტაფა აღა.
1000 არტურის თანხა ალი ძე ველი აღასი
2736 პურის თანხა
0016 17151

1 1136 წლის შევალის დასაწყისიდან 1137 წლის ზილ-ჰიჯეს მიწურულამდე – 23.6.1724 წლიდან – 8.9.1724 წლამდე.

უსასრულობამდე იყო ძველთანგანვე, იჯარები იუსუფ ბეგის განკარგულებაში იყო, თანახმად დავთრისა, ფოთის ემინი აბდალლაჰ აღა 1136 წლის შევალის დასაწყისი 1137 წლის ზილ-ჰიჯეს მიწურულამდე აქვე იმყოფებოდა.

ყურუში — 1925
— 2104 დახარჯული ყურუში
— 2165 ყოველი ნივთი ჯარისკაცებისა იუსუფ ბეგის მეთვალყურეობის ქვეშაა.
- - - -
ჯამი — 4269

დავთრის თანახმად ქესფ კასიმ ეფენდი ყადი და მუსტაფა აღა ემინი სოხუმისა, დანახარჯი იუსუფ ბეგისა.

მუსტაფა აღა ყადი ალი ძე ველი აღასი
ყურუში 12500
01600
13290 აჰმედი

27390

დავთრის თანახმად ხარჯი უსასრულობამდე.
ყურუში ესედი 14070
ყურუში 13363
02165
- - - -
11197

სოხუმის მშენებლობის ემინი იუსუფ ბეგი გარდაცვლილია, ფოთის მცველი დიდებული ვეზირი სარდალი მეჰმედ ფაშა, ფოთის მშენებლობის ემინი აბდულლაჰი, დავთრის მიხედვით წარმოჩნდნენ. პროდუქტები უწინ არ იყო. მხოლოდ მშენებლობის ხარჯისგან ქონება და ნაშთი 4209,5 ყურუში იყო. თქვენი მონამორჩილი მშენებლობის ემინი მუსტაფა აღას მიერ მოტანილი ქესფ დავთრის თანახმად, ხარჯი 11197,5 ყურუშია. არსებულის საფუძველზე ქესფ დავთრებში ფირმანი ჩემი ბედნიერი სულთნის უდიდებულესობაზეა.

დაიწერა 1139 წლის 28 მუჰარემს,[1] ფოთის ძველი დავთრის მიხედვით. სოხუმის ციხის მშენებლობის ემინი.

ყურუში
2165
1558 ჩააბარა მუსტაფა აღამ ზემოხსენებულმა ბედნიერმა ემინმა.
- - -
1007

სწორია!

1 1139 წლის 28 მუჰარემი — 25.9.1726 წელი.

პატივცემულო დავთარდარ ეფენდი, განიხილეთ, გადაწყვეტილება მიიღეთ, იყო ნათქვამი ბრძანებაში.

თქვენი მონა-მორჩილის არზა ისაა, რომ არზუჰალის მფლობელმა შვიდი ჯარისკაცი სოხუმის ციხის მსახურნი, მშენებლობის ემინის გარდაცვლილი იუსუფ ბეგის მემკვიდრენი იყვნენ. რადგანაც აქამდე საჭირონი იყვნენ. მამასთან ვერაგობის გამო მათთვის საბოძებლად მოწყალებას ითხოვდნენ. როდესაც იუსუფ ბეგი გარდაიცვალა, დიდებული ვეზირი მირზა მეჰმედ ფაშას უდიდებულესობის წყალობით ნივთები და სხვა რაღაცეები აღწერილ იქნა. სახელმწიფო ახჩადან გამომზეურებულია 1158,5 ყურუში. ამჟამად მშენებლობის ემინს მუსტაფა აღას ებოძა. დოკუმენტი ამას წინათ ბეჭდიანი თამასუქით მოვიდა და რეგისტრირებულ იქნა. 1152 ყურუში დაანგარიშებულ იქნა. 145 ყურუში გამოიქვითა, 1007 ყურუში ნივთების ფასიდან, ზემოხსენებული დიდებულის ვალად დარჩა. ამჟამად ხელზე არსებული თანხის მიხედვით, თავიანთი ამბები გააგზავნეს. როდესაც ეს ვითარება სახელმწიფოსათვის ცნობილი გახდა, ხსენებული მშენებლობის გამოუვალ მდგომარეობაში ყოფნა დღენიადაგ საჭირო იყო. ნივთების ღირებულებიდან ხსენებული ვეზირის ხელთაა ამჟამად 1007 ყურუში. იგი ხსენებული ვეზირის უდიდებულესობისათვის საბოძებლად მთავარ მოანგარიშესთან იქნა რეგისტრირებული და ასლის ბოძების საკითხზე ფირმანი ჩემი ბედნიერი და მოწყალე სულთნის უდიდებულესობაზეა. სწორია!

თელხისის თანახმად მთავარ მოანგარიშესთან იქნეს რეგისტრირებული.

ბრძანების ასლი გაიცა 1139 წლი 17 საფარს[1].

1 1139 წლის 17 საფარი — 14.10.1726 წელი.

№ 131

ის /ალაჰი/ შეეწიოს

ჩემო ბედნიერო, მოწყალეო სულთანო ჯანმრთელად იყოს თქვენი უდიდებულესობა, ეს ჯარისკაცები დიდი ხნის განმავლობაში დიდი მშენებლობისათვის დაინიშნენ, სოხუმის ციხის მშენებლობა მთლიანად ვერ მოწესრიგდა, ჯაბახანა და მეიარაღეები და საყინულეები ცალ-ცალკე ვერ ავაშენეთ, იანიჩარმა, ჯებეჯიმ, თოფჩიმ და სხვებმა საჭირო რეგიონებში მშენებლობა წარმართეს. ფირმანის მიხედვით, მშენებლობა მთლიანად რადგანაც არ იყო დასრულებული, ამ მშენებლობის მეთაურის თავდასაცავად მიჩნეული, მშენებლობის ემინის – იუსუფ ბეგისგანაც როდესაც განცალკავდნენ და სხვაგან გაემართნენ, შემდეგ ქაშიქის ციხეს მიუახლოვდნენ, მისი მშენებლობისათვის რაც კი საჭირო იყო ყველაფერი მოიმარაგეს, ჯარისკაცებისთვის გარკვეული ღონისძიებების ასაკრძალად დიდებული ფირმანი გამოვიდა, აწი ფირმანი ჩემი სულთნისაა.

თქვენი მონა-მორჩილი მუსტაფა, სოხუმის ციხის ემინი ამჟამად, ციხის მშენებლობისათვის გარეთ მყოფი ვინმე ქვას გარედან თუ ესვრის ციხეს და ჯაბახანას მშენებლობას წლობითაც დააკლდება. კერძო მესაკუთრენიც მშენებლობით კმაყოფილნი არ იქნებიან, მეთაურთა მიერ ყოველგვარი შეღავათები აკრძალულ იქნა, ოფიცრები, რომლებიც ადგილებზე არ იყვნენ მათ არაფერი გაეგზავნებოდათ, განკარგულების გასაცემად პატიოსანი ბრძანება გაიცა.

თესქერეს ბრძანება გაიცა.

1139 წელი 27 მუჰარემი[1].

რეგისტრირებულია.

1 1139 წლის 27 მუჰარემი – 24.9.1726 წელი.

№ 132

ის /ალაჰი/ შეეწიოს

ჩემო ბედნიერო, მოწყალეო სულთანო ჯანმრთელიად იყოს თქვენი უდიდებულესობა, გაცემული არზუჰალის' მიხედვით, ეს ჯარისკაცები ამ მაღალი ფირმანის მიხედვით, ფოთის ციხეში არქიტექტორად დაინიშნენ და გაიცა ბრძანება მათი აქ განწესების თაობაზე, გაცემული გზის ხარჯის და ჩვენი ხელფასების ფინანსების სახელწიფო სალაროდან გაცემის მიხედვით, უპირველესად მიღებულის საფუძველზე, ხელფასი და გზის ხარჯი და დანახარჯები მთავარი მოანგარიშის მიერ ველზე გაკეთებული მინაწერის მიხედვით იქნეს დაანგარიშებული, ამაზე ფირმანი ჩემი სულთნისაა, დანიშნულის შესახებ ბოძება იქნა ნაბრძანები,

თქვენი მონა-მორჩილი არქიტექტორი

განიხილეთ მთავარი მოანგარიშიდან ველზე არსებული მინაწერის მიხედვით, გზის ხარჯად დანიშნული გონიერული დანახარჯები მიმარ აღას მშენებლობა ფოთის ციხის არქიტექტორად დანიშენა და ბრძანება გაიცა 1138 წელს,[1] თანახმად არზუჰალის, თელხისისა და მაღალი ფირმანისა. გზის ხარჯისა და დანიშნული ხარჯის საფუძველზე

გზის ხარჯის ხელფასი 250.

ხელფასი დაინიშნა დღეში 54 ყურუში,

11,5 დღე 100 ყურუში 150

ჯამი 400 ყურუში.

ხსენებული პროდუქტები ღარიბ-ღატაკთათვის, მშენებლობისთვის გაიცა, ბრძანება,

დღეში პური 6 ჩიფთი, ხორცი 2 ოყა,

არსებული დადგენილების საფუძველზე, ფოთის ციხის მშენებლობისათვის როდესაც არქიტექტორი დაინიშნა, 202 ყურუში გზის ხარჯი განისაზღვრა, თითოეული სარჩო 1,5 – 1,5 ყურუში ხელფასი დაენიშნათ, 100 დღიანი ავანსის ხელფასისთვის 150 ყურუში გადახდებოდათ, ხაზინას თესქერე გაიცემოდა, ამას გარდა თითოეული სარჩო 6 ჩიფთი პური და ორი ოყაა დღეში, თუ ზედმეტი იქნებოდა ლეწვის დროს საკმაოდ მშენებლობის ემინის მხრიდან პატიოსანი ბრძანება გაიცემოდა, იგი შესაძლებელი იქნებოდა,

ფირმანი ჩემი ბედნიერი მწყალობელი სულთნის უდიდებულესობაზეა.

---

1 1138 წელი – 9.9.1725 – 28.8.1726 წელი

დაიწერა 1139 წლის 8 შევალს[1].
დაიანგარიშეთ! სწორია!
თელხისის საფუძველზე თესქერე გაიცეს, ბრძანება.
სწორია! დაიწერა 1139 წლის 11 შევალი[2].
თქვენი მონა-მორჩილის არზა ისაა, რომ ეს ჯარიკაცთა ნავსაყუდელი ადგილია. ამ კურთხეულ წელსაც ფოთის ციხის მშენებლობისათვის არქიტექტორი დაინიშნა, რადგანაც მნიშვნელოვანი იყო, გზის ხარჯებთან ერთად ჯარისკაცების ადგილებზე დანიშვნა, არზუჰალი გაიცა. გასულ წელს გზის ხარჯი დაინიშნა. ასდღიანი ხელფასისთვის გაცემული ყურუში ამ ადგილისთვის ბოძებული 6 ჩიფთი პური და ორი ოყა ხორცია გაცემული. რადგანაც იგი რეგისტრირებული აღმოჩნდა, ამჯერადაც გზის ხარჯი და დანიშნული ხელფასისთვის 400 ყურუშის ხაზინიდან გაცემა და ადგილებისთვის ბოძება ცხადია, რადგანაც მათ სამსახურში საკმაოდ იყო სარჩო ექვსი წყვილი პური და ორი ოყა ხორცი მშენებლობის ემინის მიერ იქნა გაცემული. იგი მთავარი მოანგარიშის მიერ იქნა რეგისტრირებული, აღნიშნული თანხის თესქერე და პატიოსანი ბრძანება დაიწერა. ამაზე ფირმანი ჩემი ბედნიერი, მოწყალე სულთნის უდიდებულესობაზეა.
თესქერე და ბრძანება გაიცა 1139 წლის 13 შევალს[3].
რეგისტრირებულია.

1 1139 წლის 8 შევალი – 29.5.1727 წელი.
2 1139 წლის 11 შევალი – 1.6.1727 წელი
3 1139 წლის 13 შევალი – 3.6.1727 წელი.

№ 133

თქვენი მონა-მორჩილის არზა ისაა, რომ ფოთის ციხის მშენებლობის საჭიროებისათვის გირესუნელი ალი გემის მეთაურის საშუალებით ზემოხსენებულთა მიერ მოტანილი 1956 სამშენებლო ქვა ხსენებულ ციხეში მშენებლობის ემინის ჯარისკაცებისათვის ჩაებარებინა. ბეჭდიანი თამასუქი მიეცა. მის საფუძველზე არსებულის მიხედვით, შედარებით ყოველი ჰუქმის 18 ახჩადან საჭირო ქვა 293 ყურუში, 16 ფარა იყო. როდესაც იგი დაიანგარიშეს, 33 ყურუშამდე შემცირდა. 260 ყურუშის თესქერეს ბოძების საკითხზე ფირმანი ჩემი ბედნიერი, მოწყალე სულთნის უდიდებულესობაზეა.

სწორია.

თელხისის თანახმად თესქერე გაიცა, ბრძანება.

ხაზინის თესქერე გაიცა, 1139 წლის 28 შაბანს[1].

რეგისტრირებილია 200
16

157 0
260
- - - -
41600

1 1139 წლის 28 შაბანი – 20.4.1727.

№ 134

უმწეო მლოცველის არზა სამეუფეო კარის უდიდებულესობისადმი ისაა, რომ ამას წინათ, ფოთის ციხეში არდებილის დასაცავად გაგზავნილი დიდებული ფირმანის განკარგულების საფუძველზე, აღზევნის ეიალეთში მდებარე თოფ კარა აღაჯის ციხის დაცვის სამსახურში მყოფნი, დაეთარი მუკაბელეს /უწყების/ მფლობელები, რადგანაც იყვნენ, მათი რეგისტრაცია თოფ კარა აღაჯის სამეუფეო კარზე ჩაწერის არზა გაიცა. აწი ბრძანება /და/ ფირმანი, უდიდესი განგების ნებაზეა.
სწორია. არსებულის მიხედვით რეგისტრაცია იქნა ნაბრძანები.

1140 წლის 8 რები ულ-ეველი.[1]

1 1140 წლის 8 რები ულ-ეველი – 24.10.1727.

თქვენი მონა-მორჩილის არზა ისაა, რომ სოხუმის ციხის მშენებლობისათვის ბედნიერების დედაქალაქიდან გაგზავნილია ხასის ინჟინრებიდან იბრაჰიმ ხალიფა. მან თავის ჯარისკაცებთან ერთად ადრე ბოძებული ძველი ავანსიდან აკრეფილი 79 დღიანი სარგო და ხორცის თანხის გადახდის განკარგულება გასცა. იგი მშენებლობის ემინის ბეჭდიანი თამასუქია. როდესაც დაიანგარიშეს, 138 ყურუში შეადგინა. აღნიშნული თანხის თესქერეს ბოძების საკითხზე ფირმანი ჩემი ბედნიერი და მოწყალე სულთნის უდიდებულესობაზეა.

თამასუქის თანახმად უნდა დაიანგარიშოთ.

ბეჭდიანი თამასუქის თანახმად, 1139 წლის 14 ჯემაზი ულ-ეველიდან იმავე წლის ზილ-კაადეს მიწურულამდე[1].
დღეში 180 დღეები 819 ოყა /და/ 14580, თითოეული ოყა – 120 ახჩაა. ხორცი 121 ყურუშია.

ხორცის თანხის შესახებ, დღეში ოყა 2, დღეები 81 ოყა 16, თითოეული ოყა 15 ახჩაა, ახჩა 2430, ყურუში 20, ფარა 30.
საერთო ჯამი ახჩა 17010, ფარა ყურუში 10,1412 1139 წლის ზილ-ჰიჯეს მიწურულიდან 1140 წლის საფარის 20-მდე[2] – 16.8.1727 – 7.10.1727 წელი. 120 ახჩაა.

ამ მშენებლობის ემინის თამასუქის თანახმად, როდესაც დაიანგარიშეს, 81 – დღიანი იჯარა და ხორცის თანხა მხოლოდ 141,5 ყურუშია და 10 ფარა შეადგინა. ფირმანი ჩემი ბედნიერი სულთნის უდიდებულესობაზეა.
1140 წლის 9 რეჯები[3].

ზილ-ჰიჯეს დასაწყისიდან საფარის მეოცე დღემდე[4] თამასუქის თანახმად დაიანგარიშეს.

სარგო 1139 წლის ჯემაზი ულ-ახირის დასაწყისიდან 1140 წლის საფარის ოცამდე[5].

ბეჭდიანი თამასუქის თანახმად, მუსტაფა აღა ემინს სოხუმის ციხის მშენებლობისა და ველზე გაკეთებული მინაწერ-

1 1139 წლის 14 ჯემაზი ულ-ეველიდან იმავე წლის ზილ-კაადეს მიწურულამდე – 7.1.1727 – 19.7.1727 წელი.

2 1139 წლის ზილ-ჰიჯეს მიწურულიდან 1140 წლის საფარის 20-მდე 19.8.1727- 7.10. 1727 წელი

3 ზილ-ჰიჯეს დასაწყისიდან საფარის 20-მდე – 1140 წელი – 9.7. 1728 – 25.9.1728 წელი

4 1139 წლის ჯემაზი ულ-ახირის დასაწყისიდან 1140 წლის საფარის ოცამდე – 9.7.1728 – 25.9.1728 წელი.

5 1139 წლის ჯემაზი ულ-ახირის დასაწყისიდან 1140 წლის საფარის ოცამდე – 24.1.1727 – 7.10.1727 წელი.

ისა და პატიოსანი ფირმანის საფუძველზე ებოძა.

სოხუმის ციხე, დღეები 180, დღეში – 79 ახჩა, 14230 ახჩა. ხსენებული ციხის შესახებ, დღეში ხორცი ოყა 3, დღეები 79 ოყა 158, თითოეული ოყა 15 ახჩაა. ახჩა – 2480.

ჯამი ახჩა – 16590, თითოეული 120 ახჩა, 10 ფარა /და/ 138 ყურუშია თელხისი.

ხსენებული ჯარისკაცი ციხის მცველადაა 1139 წლის ზილ-ჰიჯეს მიწურულიდან 1140 წლის კურთხეული საფარის მეოცე დღემდე[1]. გამოცემული ფირმანის მიხედვით, 79 დღიანი სარჩო და ხორცის თანხა როდესაც დაიანგარიშეს, მხოლოდ 138 ყურუში და ათი ფარა შეადგინა. ბრძანება და ფირმანი ჩემი ბედნიერი სულთნის უდიდებულესობაზეა.

1140 წლის 26 რეჯები[2].

სწორია!

თელხისის თანახმად თესქერე გაიცა, ბრძანება, 29 რეჯები, წელი 1140[3].

თესქერე გაიცა 1140 წლის შაბანის დასაწყისში[4].

---

1 1139 წლის ზილ-ჰიჯეს მიწურულიდან 1140 წლის საფარის 20-მდე – 16.8.1727 – 7.10.1727 წელი.

2 1140 წლის 26 რეჯები – 12.3.1728 წელი

3 1140 წლის 29 რეჯები – 15.3.1728 წელი

4 1140 წლის შაბანის დასაწყისი – 13.3.1728 წელი

ჩემო ბედნიერო, მოწყალეო სულთანო ჯანმრთელად იყოს თქვენი უდიდებულესობა. ფოთის ციხის მშენებლობისათვის 1140 წლისათვის[1] დაანგარიშებისათვის ტრაპიზონის ხაზინის ფინანსებიდან, სებები თაჰრირი ჰუქმით, საზრდო გადაკვეთილია. რადგანაც გაიგზავნა, თავის ადგილზე დაიბეგრა. ხსენებული ციხისკენ მის დასაუფლებლად ამ ჯარისკაცებისთვის გზის ხარჯის საბოძებლად ფირმანი ჩემი ბედნიერი, მოწყალე სულთნის უდიდებულესობაზეა.

თქვენი მონა-მორჩილი მეჰმედი.

იმთავითვე ბოძებული გზის ხარჯი დაუმსახურებელია. იხილეთ ველზე მინაწერი. 1138[2] და 1139 წლებში[3] ბედნიერების დედაქალაქში საქმიანობითა და პროდუქტებით ფოთის ციხისაკენ გაგზავნილი დარჩენილი ჯარისკაცები 60 ყურუში გზის ხარჯია გაცემული, რეგისტრირებულია. ფირმანი ჩემი, სულთნის უდიდებულესობაზეა.

1140 წლის 20 მუჰარემი[4].

თქვენი მონა-მორჩილის არზა ისაა, რომ ამჟამად ფოთის ციხის მშენებლობის ხარჯისთვის, ტრაპიზონის ჯიზიას ფინანსებიდან გაგზავნილი 3300 ყურუში მოსახლეობას ერგო. მის საბოძებლად და ხელფასის დასანიშნად – გზის ხარჯის საბოძებლად არზუჰალი არსებობს. როდესაც ეს სახელმწიფოსათვის ცნობილი გახდება, 30 ყურუშის შესახებ თესქერეს ბოძების საკითხზე ფირმანი ჩემი ბედნიერი, მოწყალე სულთნის უდიდებულესობაზეა. თესქერე გაიცა 1145 წლის 25 მუჰარემს.[5] სწორია! თელხისის თანახმად თესქერის გაცემის ბრძანება გამოვიდა. 1140 წლის 20 მუჰარემი. რეგისტრირებულია. 30 ყურუშის გაცემა გადაწყდა.
თელხისი.

1 1140 წელი – 19.7.1727 – 6.8.1728 წელი.
2 1138 წელი – 9.9.1728 – 28.8.1726 წელი
3 1139 წელი – 29.8.1726 წელი – 18.8.1727 წელი.
4 1140 წლის 20 მუჰარემი – 8.9.1727 წელი
5 1145 წლის 25 მუჰარემი – 10.8.1732 წელი.

№ 137

ის /ალაჰი/ შეეწიოს

ჩემო ბედნიერო, მოწყალეო სულთანო ჯანმრთელად იყოს თქვენი უდიდებულესობა. ამჟამად ფოთის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის თოფჩიების ჯარისკაცთა კანონიერად არსებული 1140 წლის[1] სარგოთა ბოძებისა და წყალობის საკითხზე ბრძანება და ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა ჩემო ბედნიერო და მოწყალეო სულთანო.

თქვენი მონა-მორჩილი თოფჩი.

შესაბამისი ადგილი.

ფოთის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის თოფჩიების ზოგიერთი სარგო:

ჯარისკაცი — 113

დღიური — 1044

გადაწყვეტილია — 92394 ახჩა.

1140 წლის მასარს[2] ზემოხსენებული სარგოდან იჯმალი მოითხოვეს. ბრძანება და ფირმანი ჩემს ბედნიერ სულთანზეა. დავთარი მუკაბელეს უწყების თანახმად. 1140 წლის 27 ჯემაზი ულ-ახირი[3].

თქვენი მონა-მორჩილის არზა ისაა, რომ ფოთის ციხის უმაღლესი სამეუფეო კარის თოფჩიების 1140 წლის სარგოთა საბოძებლად არზუჰალი გაიცეს. ოთხი კვარტლის სარგოთათვის სამი იუქი და 69576 ახჩაა, იჯმალის ბოძების საკითხზე ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა, ჩემო ბედნიერო და მოწყალეო სულთანო

სწორია!

თელხისის თანახმად იჯმალი გაიცეს. ბრძანება, 1140 წლის 4 რეჯები[4].

იჯმალი ხელზე ებოძა აბდი აღას. 1140 წლის 4 რეჯები.

თელხისი 1044
55

5220
8352
8352
- - - - -
92394

4 - - - - -
369576

1 1140 წელი — 19.8.1727 — 6.8.1728 წელი.

2 1140 წლის მასარი — 1727 წლის 8.9.10 თვეები

3 1140 წლის 27 ჯემაზი ულ-ახირი — 9.2.1728 წელი.

4 1140 წლის 4 რეჯები — 15.2.1728 წელი.

№ 138

ის /ალაჰი/ შეეწიოს

ჩემო ბედნიერო,მოწყალეო სულთანო ჯანმრთელად იყოს თქვენი უდიდებულესობა. სოხუმის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩართათვის კანონიერად განკუთვნილი 1140 წლის,[1] ოთხ-ოთხი კვარტლის სარგოთა ბოძების განკარგულების საკითხზე ბრძანება და ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა ჩემო ბედნიერო /და/ კეთილისმყოფელო სულთანო.

თქვენი მონა-მორჩილი.

შესაბამისი ადგილი:

სოხუმის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩართა ზოგიერთი ჯამაათის სარგოს შესახებ 1140 წლის მასარს[2].

არსებული წესის თანახმად სოხუმის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩართა 1140 წლის სარგოთა საბოძებლად არზუჰალი გაიცეს და ოთხი კვარტლის სარგოთა გაცემის საკითხზე ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა ჩემო ბედნიერო, მოწყალეო სულთანო.

სწორია!

თელხისის თანახმად იჯმალი გაიცეს. ბრძანება.

1140 წლის 22 ზილ-კაადე[3].

იჯმალი ხელზე ებოძა მუსტაფა ეფენდის.

1140 წლის 22 ზილ-კაადე.

თელხისი.

1 1140 წელი – 19.8.1727 – 6.8.1728 წელი

2 1140 წლის მასარი – 1727 წლის VIII,IX,X თვეები.

3 1140 წლის 22 ზილ-კაადე – 30 ივნისი 1728 წლის

ფოთის ციხის ჯაბახანა ხისგანაა აგებული, რადგანაც სახურავი არ ჰქონდა, ჯაბახანის პროვიანტის ნაწილი გაფუჭდა, მოისპო და განადგურდა, ამიტომ აქვე განახლებული ჯაბახანის საკითხზე ბედნიერების კარისადმი ჭეშმარიტების მისაღწევად, ფოთის ციხის ჯებეჯი ბაშის ჯარისკაცებმა ითავეს სინამდვილის დადგენა, რადგანაც ზემოხსენებული ქვეყნის ტერიტორიები წყლიანი ადგილებით იყო მდიდარი, ამიტომ ხისგან ნაგები ჩვენი მშენებლობა შესახედავად ნაკლულად გამოიყურებოდა. რადგანაც ყველაფერი ნათელი იყო, კომპეტენტურ პირთაგან ითქვა, რომ ერთი წყრთა მოცულობის ფართობი მთლიანად ქვისგან იყო ნაგები. მათ შორის არსებული ქვის კედელიც კრამიტით იყო გადახურული, რადგანაც ამას საჭიროება ითხოვდა. ამჟამად ფოთის ციხის მშენებლობის ემინის აბდალლაჰ აღას ჯარისკაცებმა არზა წარადგინეს, ეს ვითარება კი ციხის საზღვარზე მყოფ ჯაბახანის პროვიანტს, დროის გარკვეულ მონაკვეთში, ცუდ სამსახურს არ უწევდა. ამ გადაწყვეტილების ჟამს მზად იყვნენ, მთელი გულისყური და სიმტკიცე ჯაბახანის საკითხებისადმი გამოეჩინათ, გაცემული არზის საფუძველზე, მთელი აჯა-ვედრება ერთი წყრთა კედლის ქვის მოპირკეთებაზე იყო გამახვილებული. კედლები ამოშენებულ იქნა მასიური ქვით. იგი ადგილობრივი კრამიტით იყო გადახურული, იგი მტკიცე და მაგარი ჯაბახანისთვის იყო აგებული, მაგრამ მტკიცედ და მაგრად იყო ნაგები. მისი მშენებლობა ერთი დღით ადრე იქნა დასრულებული, იგი ადგილობრივი ვითარებისთვის იყო რეგისტრირებული. პატიოსანი ბრძანების დაწერის საკითხზე ფირმანი ჩემი ბედნიერი და მოწყალე სულთნის უდიდებულესობაზეა.

ბრძანება გაიცა 1140 წლის 2 შაბანს[1].

1 1140 წლის 2 შაბანი — 14.3.1728 წელი

№ 140

ის /ალაჰი/ შეეწიოს

ჩემო ბედნიერო,მოწყალეო სულთანო ჯანმრთელად იყოს თქვენი უდიდებულესობა. სოხუმის ციხის ასაშენებლად ხარჯი 1140 წლისთვის[1] დაანგარიშებულ იქნა. ტრაპიზონის ქაფირთა ჯიზიას ფინანსებიდან „სებები თაჰრირი ჰუქმის“ საფუძველზე რადგანაც 5. 000 ყურუში გაიგზავნა,ჩემი დიდი სურვილია რომ ადგილზე იქნეს მიტანილი. აღნიშნული ფინანსების ჯარისკაცებისთვის მისაღებად გზის ხარჯის ბოძების საკითხზე ბრძანება და ფირმანი ჩემს სულთანზეა.

თქვენი მონა-მორჩილი — ჰალილ უსტა.

შესაბამისი ადგილი:

სოხუმის ციხის ბინა ემინის მარდიმ მუსტაფა აღას დედაქალაქიდან ტრაპიზონამდე გზის ხარჯის შესახებ:

ჯარისკაცი — 1, ყურუში ესედი — 30.

არსებული წესის საფუძველზე სოხუმის ციხის ხარჯისთვის ტრაპიზონის ახჩეებიდან დადგენილი აკრეფილია და ხსენებულ ციხეში გაიგზავნა. გასამგზავრებლად გამზადებული ქაცისთვის ბოძებული 30 ყურუში გზის ხარჯი დავთარში რეგისტრირებულია. ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა ჩემო ბედნიერო, კეთილისმყოფელო სულთანო. 1140 წლის 17 მუჰარემი[2].

თქვენი მონა-მორჩილის არზა ისაა, რომ ამჯერად სოხუმის ციხის მშენებლობის ხარჯებისთვის ტრაპიზონის ქაფირთან ჯიზიას ფინანსებიდან დადგენილი 5. 000 ყურუში ჩაბარებულია, ადგილზე გაიგზავნა და ჩასაბარებლად დანიშნული მუბაშირის გზის ხარჯის წერილობითი ბრძანების ბოძების სათხოვნელად არზუჰალი გაიცეს. როდესაც იგი სახელმწიფოს კარზე ცნობილი გახდება, უწინდელის საფუძველზე 30 ყურუშის თესქერეს ბოძების საკითხზე, ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა ჩემო ბედნიერო, მოწყალეო სულთანო.

სწორია! თელხისის თანახმად თესქერე გაიცეს. ბრძანება 1140 წლის 20 მუჰარემი[3]. თესქერე გაიცა 1140 წლის 23 მუჰარემს[4].

თელხისი 30
12

180 რეგისტრირებულია.
30
- - - -
4800

1 1140 წელი 19.8.1727- 6.8.1728 წელი
2 1140 წლის 17 მუჰარემი — 4.9.1727 წელი
3 1140 წლის 20 მუჰარემი — 7.9.1727 წელი
4 1140 წლის 23 მუჰარემი — 10.9.1727 წელი

თქვენი მონა-მორჩილის არზა ისაა, რომ განახლებული სოხუმის ციხის დასაცავად არცერთი ბეშლუიანი ეველი, სანი და ხანდაკის ჯარისკაცები არ არიან ჩაყენებულნი, რადგანაც საჭირო იყო ციხის კვლავ განახლება, აღნიშნული ციხის ბინა-ემინი მუსტაფა ალის მიერ, აღა ოფიცრებთან ერთად 20-20 კაცი იქნა ჩაყენებული. ბეშლუიანი ეველი, სანი და აღა ოფიცრებთან ერთად 15 კაცია. ხანდაკის ჯარისკაცები ხელახლა აღწერეს და ადგილზე მათ შეუერთეს. ამაზე ბერათების საბოძებლად და მათი სახელების დავთარში ჩასაწერად 1139 წელს[1] მაღალი ბრძანება გაიცა. მაღალი ბრძანების თანახმად ხსენებული ბინა-ემინის მუსტაფა აღას მიერ აღა ოფიცრებთან ერთად 30-30 კაცი ბეშლუიანი ეველი, სანი და 20 კაცი ხანდაკის ჯარისკაცი ჩაწერილ იქნა. დავთარში კი აღნიშნულ პირთა სახელებია რეგისტრირებული. დაანგარიშებულ იქნა სამი ჯამაათისათვის – 80 ჯარისკაცისთვის 980 ახჩა დღიური, ხოლო წლიური სარგო – სამი იუქი, 46.920 ახჩაა.

რადგანაც ხსენებული ციხე სასაზღვრო რაიონში მდებარეობს, ჯარისკაცები სრულებით არ იყო საკმარისი, რადგანაც ჯარისკაცები დასაცავად საჭირო იყო, ადრე გაცემული პატიოსანი ბრძანების თანახმად, აღნიშნული ჯარისკაცები აღწერილ იქნა. დავთრის თანახმად 80 ჯარისკაცის სარგო 1140 წლის რეჯების დასაწყისიდან[2] კანონიერი იყო. იგი მთავარი მოანგარიშის მიერ იყო რეგისტრაციაში გატარებული. ცალკე ბერათების ბოძების საკითხზე ბრძანება და ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა ჩემო ბედნიერო კეთილისმყოფელო სულთანო.

ბერათის ასლი გაიცა 1140 წლის 3 რები ულ-ეველს[3]. სწორია! თელხისის თანახმად მთავარ მოანგარიშეს მიეწეროს და ცალკე ბერათები გაიცეს. ბრძანება 1140 წლის შაბანის დასაწყისი[4].

1 1139 წელი – 29.8.1726 – 18.8.1727 წელი.
2 1140 წლის რეჯების დასაწყისი – 12.2.1728 წელი
3 1140 წლის 3 რები ულ-ეველი 19.10.1727 წელი.
4 1140 წლის შაბანის დასაწყისი – 13.3.1728 წელი.

№ 142

ის /ალაჰი/ შეეწიოს

თესქერეს დაწერის მიზეზი ისაა, რომ შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე სოხუმის ციხეში 1139 წელს[1] ოსმალთა სახელმწიფოდან ინჟინერი დაინიშნა. ხსენებულ ციხეში იბრაჰიმ ხალიფა ხსენებული ჯემაზი ულ-ეველის მე-14 დღეს[2] მოვიდა. აღნიშნული დღიდან დანიშნულ წელს პატიოსანი ზილ-კაადეს მიწურულამდე,[3] დიდებული ფირმანი გამოვიდა. 180 ახჩა სარჩოსთვის ორ-ორი ოყა ხორცი განისაზღვრა. ამ მხარეში რომ გაიცა ზილ-ჰიჯეს თვის დასაწყისიდან 1140 წლის ხეირიანი საფარის 20 მდე[4] მხოლოდ 81 დღეა, სარჩოდ 81 ყურუშია. რეგისტრირებული ხორცის ანგარიში დაჯამდა . . . შეადგინა მხოლოდ 140 ათასი ყურუში. აქედან 100 ახჩა ციხის გადასახადია. ამ მხარეში ხაზინის მოთხოვნილებაა. მირის მიერ / სახელმწიფოს მიერ/ თესქერე გაიცა.

თქვენი მონა-მორჩილი მუსტაფა, სოხუმის ციხის მშენებლობის ემინი.

1140 წლის საფარი[5].

შესაბამისი ადგილი:

გზის ხარჯისთვის დანიშნული ინჟინერი იბრაჰიმი ემინად დაინიშნა სოხუმის ციხეში . . . ინჟინერთაგან იბრაჰიმი გაიგზავნა 1139 წელს. თანხა სახელმწიფო ხაზინიდან გაიცა ბრძანების თანახმად. ეელზე გაკეთებული მინაწერის, თელხისისა და მაღალი ფირმანი საფუძველზე. დაიწერა 1139 წლის მუჰარემს. თესქერე გაიცა 1139 წლის 18 მუჰარემს[6]. გზის ხარჯის შესახებ 150 ყურუში.

და სხვა ხელფასების შესახებ.

დღეში ერთი ოყა.

დღეები: ყურუში 150 /გადასახდელია/ მუდმივად 400 ყურუში გადასახდელია. ხსენებული ციხის მშენებლობის ემინის მიერ გაიცა ბრძანება. დღეში პური 4 ჩიფთია გადასახდელი. ხორცი ორი ოყაა გადასახდელი. ინჟინერ იბრაჰიმის მოადგილეა ერთი

1 1139 წელი – 29.8.1726 – 18.8.1727 წელი

2 1139 წლის 14 ჯემაზი ულ-ეველი – 7.1.1727 წელი.

3 1139 წლის ზილ-კაადეს მიწურულამდე – 19.7.1727 წელი.

4 1140 წლის ზილ-ჰიჯეს მიწურულიდან საფარი 20-მდე – 6.8.1728 – 25.9.1728 წელი.

5 1140 წლის 20 საფარი – 7.10.1727 წელი.

6 1139 წლის 18 მუჰარემი – 15.9.1726 წელი.

ჯარისკაცი. დღეში 80. თითოეულს 180, მხოლოდ 81 დღე.

ყოველ დღე ხორცის გადასახადი ორი ოყაა, დღეები 81, თითოეულს გადახდება 15 ოყა.

ყოველ დღე რეგისტრირებულია ორი ქილა, ყურუშით დაანგარიშებული 121 ოყაა.

მუსლიმი — 100.

143 ყურუში

ეს ოყა ხორცის გადასახადის თანხაა.

მხოლოდ 143 ყურუშია, მხოლოდ 100 ახჩაა. არსებული წესის მიხედვით, ზემოხსენებულის 100 ავანსი ხელფასიდანაა. ხაზინის თესქერე გამოვიდა გზის ხარჯის შესახებ აღნიშნულ ციხეში. პურის, ხორცის მშენებლობის ემინის მიერ საბოძებლად პატიოსანი ბრძანებაა გაცემული, დავთარში რეგისტრირებულია. ფირმანი ჩემი ბედნიერი სულთნის უდიდებულესობაზეა. დაიწერა 1140 წლის 8 რეჯებს[1]. ბეჭედი დასმულია. ფირმანი ჩემი ბედნიერი სულთნის უდიდებულესობაზეა. წელი 1140, 9 რეჯები[2].

ხსენებული ჰასანი

1 1140 წლის 8 რეჯები — 19.2.1728 წელი.

2 1140 წლის 9 რეჯები — 20.2.1728 წელი.

№ 143

ის /ალაჰი/ შეეწიოს

ჩემო ბედნიერო, მოწყალეო სულთანო ჯანმრთელად იყოს თქვენი უდიდებულესობა. ფოთის ციხისაკენ ფირმანით გაგზავნილი პროდუქტები თოფხანეს მოსახლეობას გაეგზავნა, ებოძა. ხსენებული ციხეებისკენ ბედნიერების დედაქალაქისაკენ თოფხანეს პროდუქტების გასაგზავნად დანაყოფების შემადგენლობიდან დაინიშნენ. კულლუქჩის ჯარისკაცებისთვის განკუთვნილი თანხა მათ მეთაურს ებოძა. შემოსავალ-გასაელის გზის ხარჯი, წყალობისა და ბოძების განკარგულება გაიცა. ამაზე ფირმანი ჩემი ბედნიერი სულთნისაა.

თქვენი მონა-მორჩილი: აჰმედ ემინი. გარდაცვლილია ამჟამად.

შესაბამისი ადგილი:

ამას წინათ ციხისაკენ პროდუქტების გასაგზავნად დანიშნულია 500 ყურუში, გზის ხარჯისთვის ხაზინის თესქერე გაიცა. იგი დავთარში რეგისტრირებულია. იგი ჩემი ბედნიერი სულთნის უდიდებულესობაზეა. 1141 წლის 14 რები ულ-ეველი[1].

თქვენი მონა-მორჩილის არზა ისაა, რომ ამას წინათ თოფხანეს პროდუქტების გასაგზავნად დანიშნული მუბაშირისთვის 30 ყურუში გზის ხარჯის ბოძება რეგისტრირებულია. ამჯერად ლაშქრის რაზმიდან დანიშნულ ჯარისკაცებსაც გზის ხარჯის საბოძებლად არზუჰალი მიეცათ. ველზე გაკეთებული მინაწერის თანახმად 30 ყურუში თესქერეს ბოძების საკითხზე ფირმანი ჩემი ბედნიერი, მოწყალე სულთნის უდიდებულესობაზეა. თესქერე გაიცა. 1141 წლის 18 რები ულ-ეველი[2].

სწორია!

თელხისის თანახმად თესქერეს ბოძება ნაბრძანებია. სწორია! 1141 წლის 17 რები ულ-ეველი[3]. რეგისტრირებულია.

1 1141 წლის 14 რები ულ-ეველი – 18.10.1728 წელი.
2 1141 წლის 18 რები ულ-ეველი – 22.10.1728 წელი.
3 1141 წლის 17 რები ულ-ეველი – 21.10. 1728 წელი.

№ 144

ის /ალაჰი/ შეეწიოს

არსებულის მიხედვით დაწერონ!

არზრუმის საბაჟოს ემინს ალ-ჰაჯ მუჰამედს, იდიდოს მისმა სახელმა, ჰუქმი ებოძა. ედირნეს უწინდელი ბოსტანჯი ბაში, შავი ზღვის სანაპიროზე მშენებარე სოხუმის ციხეში, მშენებლობის ემინს მუსტაფას იმატოს მისმა სიძლიერემ, აი ამ კურთხეულ წელს ებოძა ჩემი ფირმანი. გარდაცვლილთა და დანახარჯებისთვის 500 ყურუში ჰუქმის აღწერის გამო; თქვენს განკარგულებაშია 1141 წელს[1] არზრუმის საბაჟო და მისდამი დაქვემდებარებული მუქათაას თანხიდან გასაგზავნი ფინანსები. ამიტომ შენ, რომ ზემოხსენებული ემინი ხარ, ამ პატიოსანი ბრძანების სიმშვენიერის წარმოჩენისას, მთელი რიგი ღონისძიებები უნდა გაატარო, მთელი თანხა მთლიანად და საესებით აღებულ უნდა იქნეს და მსახურთა ხელში გადავიდეს.

ამ საკითხზე ჩემი მაღალი ფირმანი გამოვიდა.

ბრძანება გაიცა 1141 წლის 6 შაბანს[2]. 1141 წლის შაბანი[3].

1 1141 წელი – 7.8.1728 – 26.7.1729 წელი.
2 1141 წლის 6 შაბანი – 7.3.1729 წელი.
3 1141 წლის შაბანი – 2.3.1729 – 31.3.1729 წელი.

№ 145

ის /ალაჰი/ შეეწიოს

ჩემო ბედნიერო, მოწყალეო სულთანო ჯანმრთელად იყოს თქვენი უდიდებულესობა.სოხუმის ციხის ხარჯისთვის არზრუმის ხაზინის ჯარისკაცები დაინიშნენ. ცხადია, რომ გზის ხარჯის ბოძების საკითხზე ფირმანი ჩემი ბედნიერი და მოწყალე სულთნის უდიდებულესობაზეა.

თქვენი მონა-მორჩილი, უწინდელი აჰმედი, სოხუმის მშენებლობის ემინი ამჟამად.

შესაბამისი ადგილი:

გზის ხარჯი გადახდეს მირამი მუსტაფა აღას, სოხუმის ციხის მშენებლობის ემინს, როდესაც დაინიშნება იგი ამ თანამდებობაზე. საქონელი და არზრუმის ხაზინის ქონება გაიგზავნა. თანხა გაიცა 1141 წელს[1]. არზუჰალის, ველზე გაკეთებული მინაწერის, თელხისისა და მაღალი ფირმანის საფუძველზე გამოვიდა ბრძანება. თესქერე გაიცა 1141 წლის 26 მუჰარემს[2].

ყურუში 30. თესქერეს შემდგენელი.

სოხუმის ციხის მშენებლობის ხარჯებისთვის არზრუმის ხაზინის ფინანსებიდან გაგზავნილმა თანხამ შეადგინა მხოლოდ 30 ყურუში. იგი გაცემულ დავთარშია რეგისტრირებული. ფირმანი ჩემი ბედნიერი სულთნის უდიდებულესობაზეა. 1141 წლის შაბანის დასაწყისი[3].

ამჯერად გზის ხარჯი გაიცა 1141 წელს. სოხუმის ციხის მშენებლობის ხარჯისთვის, არზრუმის ხაზინის ფინანსებიდან გაგზავნილი თანხის გასანაწილებლად აღნიშნული მთელი გზის ხარჯი გაიცა. ფირმანი ჩემი ბედნიერი სულთნის უდიდებულესობაზეა.

1141 წლის 5 შაბანი[4]. გაგზავნილი განაწილებული თანხის ვექილს, მშენებლობის ემინისთვის ხარჯის გასაცემად ეს ებოძა.

სოხუმის ციხის მშენებლობის ემინი მუსტაფა აღა დედაქალაქში მოვიდა,იგი კვლავ აღნიშნულ ციხეში დააბრუნეს. გზის ხარჯის გასაღებად გაცემული 30 ყურუში დავთარშია რეგისტრირებული. ფირმანი ჩემი ბედნიერი სულთნის უდიდებულესობაზეა. 1141 წლის 5 შაბანი.სოხუმის ციხის მშენებლობის

1 1141 წელი – 7.8.1728 – 26.7.1729 წელი

2 წლის 26 მუჰარემი – 2.9.1728 წელი.

3 1141 წლის შაბანის დასაწყისი – 2.3.1729 წელი

4 1141 წლის 5 შაბანი – 6.3.1729 წელი.

ემინს მუსტაფა აღას კაცებს ამ წელს გზის ხარჯი ებოძათ. 1141 წლის 7 შაბანი[1].

თქვენი მონა-მორჩილის არზა ისაა, რომ სოხუმის ციხის ხარჯებისთვის არზრუმის ხაზინის ფინანსებიდან გაგზავნილია თანხა ასათვისებლად. უწინდელი მშენებლობის ემინის ჯარისკაცებმა გზის ხარჯის გასაღებად, სათხოვნელად არზუჰალი გააგზავნეს. როგორც ცნობილი იყო სახელმწიფოსთვის, უწინდებურად, 30 ყურუში გზის ხარჯისთვის, თესქერეს ბოძების საკითხზე ფირმანი ჩემი ბედნიერი და მოწყალე სულთნის უდიდებულესობაზეა.

სწორია. თელხისის თანახმად თესქერე გაიცა. ბრძანება.

1141 წლის 11 შაბანი[2].

თესქერე გაიცა 1141 წლის 11 შაბანს.

რეგისტრირებულია.

უწინდებურად როდესაც დაიანგარიშეს, ყურუში გზის ხარჯისთვის თესქერე გაიცა.

თელხისი.		30
	13	333
		1
	180	
	30	4800

1 1141 წლის 7 შაბანი – 8.3.1729 წელი.

2 1141 წლის 11 შაბანი – 12.3.1729 წელი.

№ 146

ის /ალაჰი/ შეეწიოს

არსებული აღწერის მიხედვით ამ 1141 წელს[1] მაღალი სახელმწიფოსაგან გაგზავნილი 120 ყანთარი ფქვილისაგან 60 ყანთარი ბაღდადელი ალი კაფუდანისაა მთლიანად. გარკვეული მიზეზების გამო ეს ბეჭდიანი თამასუქი ჩვენ გვებოძა.
ალი მუსტაფა.

1141 წლის 27 რები ულ-ეველი[2].

შესაბამისი ადგილი.

ელ ჰაჯ ოსმან კაფუდანი. კაფუდანი კასიმ ფაშასაგან იმავე წელს მიიღო ყურუში 250. კაფუდანი.

970

- - აჰმედ ბუნიათისაგან

1230

არსებული წესის მიხედვით, ფოთისა და სოხუმის ციხეებისთვის დაქვემდებარებულია კასიმ ბაში. მის კაფუდანთაგან, ოსმან კაფუდანის წლიური სარგოა 1230 ყურუში. სალიანეს მფლობელი დავთარში რეგისტრირებულია, ბრძანება და ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა, ჩემო ბედნიერო სულთანო.
დაიწერა 1141 წლის 28 რები ულ-ეველს[3].
სალიანეს უწყებაში დაცული ბეჭედი რეგისტრირებულია, ბრძანება და ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა ჩემო, ბედნიერო სულთანო.
დაიწერა 1141 წლის 27 რები ულ-ეველს.

1 1141 წელი – 7.8.1728 – 26.7.1729 წელი.
2 1141 წლის 27 რები ულ-ეველი – 31.10.1728 წელი.
3 1141 წლის 28 რები ულ-ეველი – 1.11.1728 წელი

№ 147

ჩემო ბედნიერო, მოწყალეო სულთანო ჯანმრთელად იყოს თქვენი უდიდებულესობა. განკარგულება გაიცა ამ ჯარისკაცებს სოხუმის ციხის მშენებლობისათვის არზრუმიდან გამოგზავნილი თანხები დაენიშნოთ. გზის ხარჯის ბოძების ბრძანების საკითხზე ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა ჩემო სულთანო.

ხსენებული მონა-მორჩილი.

შესაბამისი ადგილი:

სოხუმის ციხის მშენებლობის ხარჯისთვის ტრაპიზონის ხაზინის ფინანსებიდან გასაგზავნი თანხის მისაღებად და აღნიშნულ ციხეში მისატანად დანიშნულ მუბაშირისთვის ბოძებული 30 ყურუში გზის ხარჯი დავთარში რეგისტრირებულია. ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა ჩემო ბედნიერო, მოწყალეო სულთანო.

1141 წლის 23 მუჰარემი[1].

თქვენი მონა-მორჩილის არზა ისაა, რომ სოხუმის ციხის მშენებლობის ხარჯისთვის არზრუმის ხაზინის ფინანსებიდან გასაგზავნია თანხა. არზრუმიდან წასაღებად და ხსენებულ ციხეში მისატანად. დანიშნული მუბაშირის გზის ხარჯის საბოძებლად არზუჰალი გაიცეს, როდესაც ეს ცნობილი გახდება სახელმწიფოსათვის, უწინ ბოძებულის თანახმად, გზის ხარჯის შესახებ 30 ყურუშის თესქერეს ბოძების საკითხზე ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა ჩემო ბედნიერო, მოწყალეო სულთანო.

სწორია! თელხისის თანახმად თესქერე გაიცეს. ბრძანება.
1141 წლის 28 მუჰარემი[2].

თელხისი 30
16
180
30

4800

1 1141 წლის 23 მუჰარემი – 29.8.1728 წელი
2 1141 წლის 28 მუჰარემი – 3.9.1728 წელი.

№ 149

ის /ალაჰი/ შეეწიოს

თანახმად მთავარი მოანგარიშისა რეგისტრირებულ იქნა და ასლი გაიცა. ასლი გაიცა 1142 წლის 16 საფარს[1].

მიზეზი მისი დაწერისა ისაა, რომ შაჲი ზღვის სანაპიროზე აგებული სოხუმის ციხის დაცვის სამსახურში მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის ადგილობრივი ჯარისკაცები დაინიშნენ. ეს მოხდა 1141 წელს[2]. მაღალი ფირმანის თანახმად რუშთუის ციხე წინა წლის ხადიმებისა და სხვა გემების მეთაურებისათვის იქნა აგებული. იგი განკუთვნილი იყო მხოლოდ 10500 ქილა სტამბოლის ხორბლისთვის. ამავე ხსენებულ ციხეში აგებულ აბანოს მშენებლობისათვის მხოლოდ 173 ოყა ერბო იყო. იგი მხოლოდ 70 ოყას შეადგენდა. სიცოცხლისა და აბანოს გემი მხოლოდ 235 ოყა და ქვაა. ციხის ქვებით ნაგები ადგილი ზემოხსენებული წლის ზილ-ჰიჯჯეს მე-15 დღეს[3], ხსენებული მეთაურის ხელით აღებულ იქნა. ამასთანავე კვლავ გაიცა თესქერე. 1141 წლის ზილ-ჰიჯჯეს 15-ი.

1 1142 წლის 16 საფარი – 10.9.1729 წელი.
2 1141 წლის – 7.8.1728 – 26.7.1729 წელი.
3 1141 წლის ზილ-ჰიჯჯეს 15 – 12.7. 1729 წელი.

№ 150

ის /ალაჰი/ შეეწიოს

ძველად არსებული სახელმწიფო ჯაბახანის პროდუქტების გემებით გაგზავნაზე ბიბასისა და ტრაპიზონისაკენ ბრძანება გაიცა 1143 წლის ზილ-კაადეს[1].

სუბჰან თარი ზარბაზანი: 4200 ბიბასის მხარეს გაიგზავნა.

1000 ტრაპიზონის მხარეს გაიგზავნა

- - -

5200

თქვენი მონა-მორჩილის არზა ისაა, რომ სახელმწიფოს ლაშქრისთვის ბიბასისა და ტრაპიზონის ნავსადგურებისაკენ გემები გაიგზავნა. ფირმანში რეგისტრირებული საგნები, ჯაბახანაში არსებული პროდუქტები და 4200 თოფი გაიგზავნა ბიბასის მხარეს, ტრაპიზონის მხარეს კი ათასი, რომლის ჯამია 5200 თოფი. სანჯაყის ცენტრში ჯებეჯი ბაში აღას ჯარისკაცების მოთხოვნით, საქონლის გასაყიდად ფირმანი გამოვიდა, ზემოხსენებული აღას ჯარისკაცები სანჯაყის ცენტრში საქონლის გაყიდვით იყვნენ დაკავებულნი. სანჯაყის ცენტრში მყოფნი თითოეულ თოფს თითო ყურუშად ყიდდნენ, რადგანაც ფასი დაადეს უწინ არსებულის მიხედვით ყველა გაიყიდა. 5200 ყურუშად. ისინი ისტანბულის საბაჟოს ემინის ჯარისკაცთა მეშვეობით გაიყიდა, ერთი დღით ადრე გააჩერეს და ჩააბარეს ჯაბახანისთვის კი არა, მთავარ მოანგარიშესთან რეგისტრაციაში გასატარებლად, გასაყიდად ასლის ბოძების საკითხზე ფირმანი ჩემი ბედნიერი და კეთილისმყოფელი სულთნის უდიდებულესობაზეა.

სწორია!

თელხისის საფუძველზე მთავარ მოანგარიშესთან იქნა რეგისტრირებული აღნიშნული თანხის შესახებ. ბრძანება გამოვიდა. ბრძანება.

ასლი გაიცა 1142 წლის 29 ზილ-ჰიჯეს[2].

1 1143 წლის ზილ-კაადე – 8.5.1731 წელი

2 1142 წლის 29 ზილ-ჰიჯე – 15.7.1730 წელი

№ 151

ის /ალაჰი/ შეეწიოს

ჩემო ბედნიერო, კეთილისმყოფელო სულთანო, ჯანმრთელად იყოს თქვენი უდიდებულესობა. სოხუმის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის ჯებეჯიების 1142 წლის[1] ოთხოთხი კვარტლის სარგოთა ბოძების განკარგულების საკითხზე ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა ჩემო ბედნიერო, კეთილისმყოფელო სულთანო.

ხსენებული თქვენი მონა-მორჩილი.

შესაბამისი ადგილი:

სოხუმის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის ზოგიერთი ჯებეჯის სარგოთა შესახებ:

ჯარისკაცი – 25.

დღე – 235.

მიღებულია – 20797 ახჩა.

ხსენებულებმა 1142 წლის მასარის[2] იჯმალი მოითხოვეს. ბრძანება /დ/ ფირმანი ბედნიერ სულთანზეა.

1142 წლის 6 რები ულ-ახირი[3].

დაეთარი მუკაბელეს /უწყების/ თანახმად.

თელხისი!

სწორია!

თქვენი მონა-მორჩილის არზა ისაა, რომ სოხუმის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის ჯებეჯიების 1142 წლის სარგოთა ბოძების შესახებ არზუჰალი გაიცეს. ფიადე მუკაბელეს /უწყების/ ველზე მინაწერის თანახმად, 25 ჯარისკაცის 1142 წლის ოთხი კვარტლის სარგო 83.188 ახჩას შეადგენს. ამაზე იჯმალის ბოძების საკითხზე ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა ჩემო ბედნიერო, მოწყალეო სულთანო.

სწორია!

თელხისის თანახმად იჯმალი გაიცეს. ბრძანება. 1142 წლის 10 რები ულ-ახირი[4]. იჯმალი ხელზე ებოძა კადრი აღას.

1142 წლის 10 რები ულ-ახირი. /მეორე გვერდზე/:

235
85
1175
1880
1880

20797
4
83188

1 1142 წელი – 27.7.1729 – 16.7.1730

2 1142 წლის მასარი – 1729 წლის ივლისი, აგვისტო, სექტემბერი.

3 1142 წლის 6 რები ულ-ახირი – 29.10.1729 წელი.

4 1142 წლის 10 რები ულ-ახირი – 3.11.1729 წელი.

№ 152

ის /ალაჰი/ შეეწიოს

ჩემო ბედნიერო, მოწყალეო სულთანო, ჯანმრთელად იყოს თქვენი უდიდებულესობა. ეს ჯარისკაცები ფოთის ციხის დიზდარები არიან, აზაბთა აღამ, 38 წელი ამ თანამდებობაზე გაატარა, ჩვენს სამსახურში იმყოფებოდა. ამრიგად, ჩვენთან არავითარი შეცდომა არ ჩაუდენია. ჩვენს მიმართ მტრობის შემდეგ მისი აღაობის პერიოდში 1142 წლის[1] განმავლობაში სარგოს იღებდა. 1143 წლის დასაწყისიდან[2], აღად იყვნენ დიზდარი ოსმანი აზაბთა აღა. ჯარისკაცები ჩვენს სარგოებს იმთავითვე ხელზე იღებდნენ, სიამოვნებით. სარგოს მთლიანად აღება ვერაგობა იყო, ხსენებულ ღვთივმოსილ ნებაყოფლობითი საქმიანობა კი აკრძალული იყო. აღნიშნულ ჯარისკაცთა სარგო ხსენებულთ ებოძათ და გაუნაწილდათ. ამაზე მაღალი ფირმანი იქნა ნათხოვნი. ბრძანება და ფირმანი ჩემი მოწყალე სულთნისაა.

თქვენი მონა-მორჩილი ყოფილი აზაბანი მეორე ასიკი ფოთის ციხისა.

თქვენი მონა-მორჩილი, უწინდელი დიზდარი, ჰასანი ფოთის ციხისა.

ფიადესადმი დაქვემდებარებული იერლუიანები, ჯარისკაცები ლიმანის მეთაურთა ჯარისკაცები, ფოთის ციხის მცველთა სარგოები და სარგო 1142 წლის მუჰარემის· დასაწყისიდან იმავე წლის მიწურულამდე[3].

ამრიგად, თანხა ნივთებისა გაიცა და გაიგზავნა და ბრძანება გაიცა თანახმად აღათა და ემირთა, ველზე გაკეთებული მინაწერის, თელხისისა და მაღალი ფირმანის საფუძველზე. დაიწერა 1142 წლის 16 საფარს[4], პატიოსანი ფირმანის, მშენებლობის ემინის საფუძველზე გაიცა უსასრულობამდე.

ჯარისკაცი – 260.
დღეში – 3885.
დღეები – 354.
ახჩა – 1339890, თითოეულს – 120.
ფარა – 10, ყურუში – 1116.

1 1142 წელი – 27.7.1729 – 17.7.1730 წელი.
2 1143 წლის დასაწყისი – 1730 წლის 17.7.
3 1142 წლის მუჰარემის დასაწყისიდან იმავე წლის ზილ-ჰიჯეს მიწურულამდე – 17.7.1729 – 16.8.1730 წელი.
4 1142 წლის 16 საფარი. – 10.9.1729 წელი.

1142 წლის მუჰარემის დასაწყისიდან ხსენებული წლის ზილ-ჰიჯეს მიწურულამდე აღნიშნულ ჯარისკაცთა სარგოთათვის აღნიშნული თანხა ხსენებულ რიცხვში ხაზინის თესქერე რომ გაცემულია, იგი დავთარში რეგისტრირებულია. ფირმანი ჩემი ბედნიერი სულთნის უდიდებულესობაზეა. დაიწერა 1143 წლის 8 საფარს[1].

თქვენი მონა-მორჩილის არზა ისაა, რომ ველზე არსებული მინაწერის მიხედვით, ფოთის ციხის მცველი ადგილობრივი ფიადეს მხედრები და ყურის მეთაურთა შემოსავალი წლიურად 11165, 5 ყურუში და 10 ფარაა.

1142 წლის მუჰარემის დასაწყისიდან ხსენებული წლის ზილ-ჰიჯეს მიწურულამდე აღნიშნული თანხის თესქერე გაცემულია, იგი რეგისტრირებულია, თუმცა გადმოცემით, სანაპიროს ჯარისკაცები ხსენებულ ციხეში 1142 წლის დიზდარი და აზაბთა აღა იყვნენ. ხსენებულ წელს რადგანაც კანონიერად ითვლებოდნენ და მათი სარგოები სხვებისთვის თუ არ იყო განკუთვნილი, 1143 წლისთვის[2] დიზდარი ოსმანმა და აზაბთა აღა ალიმ 1142 წლის სარგოები აიღეს. იგი მათთვის კანონიერად იქნა მიჩნეული. მის ასაკრძალავად პატიოსანი ბრძანების სათხოვნელად არზუჰალი გაიცა, როდესაც ეს სახელმწიფოსთვის ცნობილი გახდა, ფოთის მცველის მიერ იქნა იგი გამუღავნებული, მისი ხმის გასაგონად პატიოსანი ბრძანება დაიწერა, ამასთანავე ფირმანი, ჩემი ბედნიერი, მოწყალე სულთნის უდიდებულესობაზეა.

პატივცემულო დავთარდარ ეფენდი! განიხილეთ განკარგულება გაეცითო იყო ნათქვამი, გაიცა განკარგულება.
სწორია! თელხისის თანახმად იმოქმედეთ, გაიცა ბრძანება.
ბრძანება და თესქერე გაცემულ იქნა.

დაიწერა 1142 წლის საფარს[3].

რეგისტრირებულია.

ფოთის მცველის თანახმად განიხილეთ, პატიოსანი ბრძანება, თელხისი.

---

1 1143 წლის 8 საფარი – 23.8.1730 წელი.
2 1143 წელი – 17.7.1730 – 5.7.1731 წელი
3 1142 წლის საფარი – 26.8. – 23.9.1729 წელი.

№ 153

ის /ალაჰი/ შეეწიოს

ჩემო ბედნიერო, მოწყალეო სულთანო, ჯანმრთელად იყოს თქვენი უდიდებულესობა. სოხუმის ციხის დასაცავად დანიშნული უმაღლესი სამეუფეო კარის ჯებეჯიებისათვის 1143 წელს[1] კანონიერად არსებული ყოველწლიური პროდუქტების ბოძების განკარგულების საკითხზე ბრძანება /და/ ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა ჩემო ბედნიერო, კეთილისმყოფელო სულთანო.

თქვენი ხსენებული მონა-მორჩილი.

შესაბამისი ადგილი:

სოხუმის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის ჯებეჯიების ზოგიერთი ჯამაათის შესახებ:

ჯარისკაცი – 73.

აღნიშნული 73 ჯარისკაცი, არსებული წესის თანახმად, სოხუმის დასაცავად რეგისტრირებულია. ბრძანება /და/ ფირმანი თქვენს ბედნიერ სულთანზეა.

1143 წლის 26 ჯემაზი ულ-ეველი[2].

დავთარი მუკაბალეს /უწყების/ თანახმად.

მთავარმა მოანგარიშემ ველზე მინაწერი გააკეთოს და დაიანგარიშოს.

სოხუმის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის ჯებეჯიებისათვის ხორცის თანხა განკუთვნილია 1142 წლის მუჰარემის დასაწყისიდან ამავე წლის ზილ-ჰიჯეს მიწურულამდე[3]. თესქერე გაიცა 1142 წლის 14 რები ულ-ახირს[4].

ჯარისკაცები – 25.

დღეში ხორცი: – 4 ოყა.

დღეები – 354.

ოყა – 1416, თითოეული ოყა – 5 ახჩაა.

ახჩა – 8496.

სარგო 1143 წლის მუჰარემის დასაწყისიდან იმავე წლის ზილ-ჰიჯეს მიწურულამდე[5]. ფიადე მუკაბელეს /უწყების/ მიერ

---

1 1143 წლი – 17.7.1730 – 5.7.1731 წელი.

2 1143 წლის 26 ჯემაზი ულ-ეველი – 7.12.1730 წელი.

3 წლის მუჰარემის დასაწყისიდან იმავე წლის ზილ-ჰიჯეს მიწურულამდე – 27.7.1729 წლიდან – 16.7.1730 წლამდე.

4 1142 წლის 14 რები ულ-ახირი – 6.11.1729 წელი.

5 წლის მუჰარემის დასაწყისიდან იმავე წლის ზილ-ჰიჯეს მიწურულამდე – 17.7.1730დან 5.7.1731 წლამდე.

დოკუმენტის ველზე მინაწერის თანახმად: ჯარისკაცები – 73. სარგო 1143 წლის ზილ-კაადეს დასაწყისიდან 1144 წლის ზილ-ჰიჯეს მიწურულამდენ. ჯარისკაცი – 4.

პურის თანხის თაობაზე ჯარისკაცი – 4, დღეში პური: 16 ჩიფთი. ახჩა – 32. თითოეულს ორი-ორი დღე 413 ახჩა, თითოეულს ორი-ორი დღე ახჩა – 1321[1] ახჩა. 8, ფარა, 5, ყურუში ესედი 110.

ხარჯის შესახებ, ჯარისკაცი 4. დღეში ყურუში 20, თითოეული დღე, თითოეული თვე ყურუშებით. სულ 5 თვე და 14 დღე. ყურუში ესედი – 280. ჯამი ყურუში – 390, ფარა 5 და ნაღდიე – 1. სოხუმის ციხეში მყოფი რაზმი 4 კაცია. აფხაზების 1143 წლის ზილ-კაადეს დასაწყისიდან 1144 წლის ზილ-ჰიჯეს მიწურულამდე პურის ფასი და ხარჯები როდესაც დაიანგარიშეს, 390 ყურუში, 5 ფარა და ერთი ნაღდიე შეადგინა. ფირმანი ჩემი ბედნიერი სულთნის უდიდებულესობაზეა.

1145 წლის 13 მუჰარემი[2]. თელხისი.

ბეჭედი დასმულია. ფირმანი ჩემი ბედნიერი სულთნის უდიდებულესობაზეა. 1145 წლის 13 მუჰარემი.

თქვენი მონა-მორჩილის არზა ისაა, რომ აფხაზეთის მხარეს მოსახლეობისაგან მორჩილებაში მყოფი განმგებლებიდან, ზოგიერთმა დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად თავისუფლებას მიაღწია. ზოგიერთები სოხუმის ციხეში ტყვეებად იყვნენ. თითოეულ კაცს ყოველ თვე ხუთ-ხუთი ყურუში ნაღდიე დაენიშნათ. 1143 წლის შევალის დასაწყისიდან 1144 წლის ზილ-ჰიჯეს მიწურულამდე[3] ხარჯიანობა და განადგურება დაებედათ და მათთვის საბოძებლად სოხუმის ციხის მცველმა ალი ბეგის ჯარისკაცებმა არზა წარადგინეს. ხსენებულ ციხეში თავდებად იყო ოთხი ჯარისკაცი. 1143 წლის ზილ-კაადეს დასაწყისიდან 1144 წლის ზილ-ჰიჯეს მიწურულამდე. 14 თვის პურის თანხისთვის ხარჯები 390 ყურუში, 5 ფარა და ერთი ახჩაა. მთავარ მოანგარიშესთან, როდესაც დაიანგარიშეს, ველზე მინაწერი იქნა გაკეთებული. ამის მიხედვით, ხსენებული თანხის თესქერეს ბოძების საკითხზე ფირმანი ჩემი ბედნიერი მოწყალე სულთნის უდიდებულესობაზეა. სწორია! თელხისის თანახმად თესქერე გაიცა. ბრძანება 1145 წლის 17 საფარი[4]. 1145 წლის 20 საფარი[5]. თესქერე გაიცა.

---

1 1143 წლის ზილ-კაადეს დასაწყისიდან 1144 წლის ზილ-ჰიჯეს მიწურულამდე – 8.5.1731 წლიდან – 23.6.1732 წლამდე.

2 1145 წლის 13 მუჰარემი – 6.7.1732 წელი.

3 1143 წლის შევალის დასაწყისიდან 1144 წლის ზილ-ჰიჯეს მიწურულამდე – 9.4.1731 წლიდან – 23.6.1732 წლამდე.

4 1145 წლის 17 საფარი – 9.8.1732 წლისა.

5 1145 წლის 20 საფარი – 12.8.1732 წელი.

№ 154

ის /ალაჰი/ შეეწიოს

თქვენი უმდაბლესი და უმორჩილესი მსახურის სამეუფეო კარისადმი ცნობა, თქვენი მონა-მორჩილისადმი მკაცრი მსაჯულის განკითხვამდე ისაა, რომ საქართველოში მშენებარე ფოთის ციხის წინ მდინარე ზღვას ერთვის. დიდებული ბერათის საფუძველზე სარჩო 40 ახჩათი გაიცა ბრძანებით. შემოსავლის პირობა და საჭირო სამსახური რადგანაც მიტოვებული იყო, იმავე ხსენებული ციხის მსახური ოსმან ბენ მუსტაფა ზღვის რაიონიდან გამოეიდა და ერთიანად არსებული სამსახურის მეშვეობით შეძლო მოსელა, რადგანაც ღირსეული იყო, ღვთის მოწყალება სახელმწიფოსაგან ერგო, ხსენებული ყურის მეთაურობა თავისი სარჩოთი ხსენებულ მსახურებს წყალობა და საბოძვარი ერგოთ, ამასთან დაკავშირებით, სახელმწიფოს მუდარა და არზა და განკარგულება ებოძათ, აწი ბრძანება და ფირმანი სახელმწიფოს უდიდებულესობაზეა.

დაიწერა 1143 წლის რეჯების დასაწყისში[1].

თქვენი მონა-მორჩილი მეჰმედი, მცველი ფოთის ციხისა ამჟამად.

ველზე მინაწერი იხილეთ!

ყურის მეთაურობა ფოთის ციხეში ომერ ბენ მეჰმედს ებოძა, ხსენებული ციხის /ფოთის ციხის მცველის/ ალი ბეგის არზის საფუძველზე, მშენებლობის ემინის, ფოთის ყადის არზის, თელხისისა და დიდებული ფირმანის საფუძველზე ბერათი გაიცა.

დაიწერა 1141 წლის 13 საფარს[2].

დღეში 40 ახჩა.

არსებული წესის მიხედვით ფოთის ციხის ყურის მეთაურის სარჩო 40 ახჩა ულუფა ებოძა ხსენებულ ომერ ბენ მეჰმედს. იგი დაეთარში რეგისტრირებულია, ფირმანი ჩემი ბედნიერი სულთნის უდიდებულესობაზეა.

დაიწერა 1143 წლის 22 ზილ-კაადეს[3].

ჩაწერილია, რეგისტრირებულია.

თქვენი მონა-მორჩილის არზა ისაა, რომ ველზე არსებული მინაწერის მიხედვით, ფოთის ყურის მეთაურობის სარჩო 40 ახჩა ულუფა ომერ ბენ მეჰმედს ერგო, იგი რეგისტრირებულია,

1 1143 წლის რეჯების დასაწყისი – 1730 წლის 20 იანვარი
2 1141 წლის 13 საფარი – 18.9.1728 წელი.
3 1142 წლის 22 ზილ-კაადე – 8.6.1730 წელი.

თუმცა ხსენებული ომერის სამსახურის საჭიროება არსებობდა, მშენებლობის ადგილი ცარიელი დარჩა, კელავ ხსენებული ციხის მცხოვრებთაგან ოსმან ბენ მუსტაფა ზღვის ვითარებაში გარკვეული იყო და იგი მთლიანად ხსენებული სამსახურის საქმიანობაში სავსებით ჩახედული იყო, ხსენებული ომერის შუამდგომლობით, რეგისტრებული სარჩოთი, ხსენებული ყურის მეთაურობა ხსენებულ ოსმან ბენ მუსტაფას ებოძა და ხელზე პატიოსანი ბერათის ბოძების სათხოვნელად ფოთის მცველის არზა გაიცა, არზის საფუძველზე განკარგულების ბოძების საკითხზე ფირმანი ჩემი ბედნიერი, მოწყალე სულთნის უდიდებულესობაზეა.

მოწყალე დავთარდარ ეფენდიმ განიხილოს, განკარგულება გასცესო, ითქვა, იყო ბრძანება.

თელხისის თანახმად ებოძოს, გაიცა განკარგულება. დაიწერა 1142 წლის 18 ჯემაზი ულ-ევველს[1].

ბერათის თესქერე გაიცა 1142 წლის მუჰარემის დასაწყისში[2].

რეგისტრირებულია.

სწორია! თელხისი საფუძველზე ებოძა.

1142 წლის 11 საფარი[3].

1 1742 წლის 18 ჯემაზი ულ-ევველი – 9.12.1729 წელი.

2 1142 წლის მუჰარემის დასაწყისი – 27.7.1729 წელი.

3 1142 წლის 11 საფარი – 5.9.1729 წელი.

№ 155

ის /ალაჰი/ შეეწიოს

ჩემო ბედნიერო, მოწყალეო სულთანო, ჯანმრთელად იყოს თქვენი უდიდებულესობა. უწინ სოხუმის ციხეში არსებული 250 ჯარისკაცი, სამი ბაირაღი იყო. ტრაპიზონის ეიალეთის, ბათუმისა და გონიოს სანჯაყებში კი თავზეხელაღებული 750 ჯარისკაცზე მეტი იყო. არსებული ფირმანი 6 ცალია, უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩართა თავზეხელაღებულთა ბაირაღებისთვის დანიშნულია მუბაშირი ჰასქი ჰალილ აღა. ანაკლიის ციხის მშენებლობისას, სურმენესა და ოფის ციხეებში ჩვენთვის დამზადებულია ეშკამფუიები, აქვეა აფხაზი ყაჩაღების მიერ სოხუმის ციხეში დახოცილები. ისინი ფოთის მცველის ჰალილ ფაშას მზრუნველობის ქვეშ იმყოფებოდნენ, ყურადღებით მგზავრობისათვის დანიშნული აღნიშნული 9 ბაირაღი და 1000 თავზეხელაღებული ჯარისკაცი დღე და ღამ დანიშნულების საბოძებლად იღვწოდნენ, პატიოსანი ბრძანების ბოძების საკითხზე ფირმანი ჩემი ძველი სულთნის უდიდებულესობაზეა.

თქვენი მონა-მორჩილი.

უმაღლესი სამეუფეო კარის თავზეხელაღებულ იანიჩართა ჯარისკაცების დანიშვნის შესახებ. ტრაპიზონის, გონიოსა და ბათუმის მესვეურთა მიერ ჰალილ ფაშას ფოთის ციხის მცველად წარდგინებისა და დანიშვნის შესახებ. ამაზე ბრძანებაა გაცემული.

1144 წლის ზილ-კაადეს[1].

ბაირაღები 9 ცალი.

ჯარისკაცები — 1000.

დღეში პური, ჩიფთი 1000 თითოეულ ჯარისკაცს ჩიფთი 1, ხორცი 200 ოყა, თითოეული 1 ოყაა.

გამოცემული ფირმანის მიხედვით, როდესაც დაიანგარიშეს, მხოლოდ 1000 ჩიფთი პური, 200 ოყა ხორცი შეადგინა, ბრძანება და ფირმანი ჩემი ბედნიერი და მოწყალე სულთნისაა, 1144 წლის მუჰარემი[2].

თქვენი მონა-მორჩილის არზა ისაა, რომ ჰასქი ჰალილ აღას ჯარისკაცების მეოხებით ტრაპიზონის ეიალეთში მდებარე ბათუმისა და გონიოს სანჯაყებიდან აღწერილია და ფო-

1 1144 წლის ზილ-კაადე — 26.4.1732 — 26.5.1732 წელი.

2 1144 წლის მუჰარემი — 6.7. — 5.8.1731 წელი.

№ 156

ის /ალაჰი/ შეეწიოს

ჩემო ბედნიერო, მოწყალეო სულთანო, ჯანმრთელად იყოს თქვენი უდიდებულესობა. ფოთის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩართა ჯარისკაცების 1144 წლის[1] 4 კვარტლის სარგოთა იჯმალის არსებობის საკითხზე ბრძანება და ფირმანი ჩემი ბედნიერი და მოწყალე სულთნის უდიდებულესობაზეა.

თქვენი მონა-მორჩილი.

შესაბამისი ადგილი:

ფოთის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩართა ზოგიერთი ჯამაათის 1144 წლის მასარის[2] სარგო.

ზემოხსენებულის მიხედვით, ფოთის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩართა 1144 წლის მასარის სარგოდან თანხის გაცემა კანონიერია.

თელხისი.

ჩემი მოკრძალებული წინადადება ისაა, რომ ფოთის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩართა 1144 წლის სარგოთა საბოძებლად არზუჰალი გაიცეს. როდესაც სახელმწიფო ბრძანება ცნობილი გახდება, ოთხი კვარტლის სარგოთა იჯმალის ბოძების საკითხზე, ფირმანი ჩემი მოწყალე და ბედნიერი სულთნის უდიდებულესობაზეა.

სწორია!

თელხისის თანახმად იჯმალი გაიცა.

1144 წლის ჯემაზი ულ-ევველის 21.[3] ბრძანება.

იჯმალი ხელზე ებოძა მურად ფაშას.

1144 წლის 21 ჯემაზი ულ-ევველი.

---

1 1144 წელი – 6.7.1731 – 23.6.1732 წელი.

2 1144 წლის მასარი – 7.8.1731 წელი.

3 1144 წლის 21 ჯემაზი ულ-ევველი – 21.11.1731 წელი

სწორია!

თელხისის თანახმად თესქერე და აღწერის ბრძანება გაიცა. 1144 წლის 18 მუჰარემი[1].

თქვენი მონა-მორჩილის არზა ისაა, რომ ფოთის, სოხუმისა და ანაკლიის ციხეების დასაცავად ამჟამად ტრაპიზონის საწყობის ემინი აჰმედ ეფენდი თავისი ჯარისკაცების შემწეობით დაინიშნენ. მშენებლობის განახლების ფირმანი იყო გამოსული. იშკამფუიეს ნავები მშენებლობის სამსახურში იყვნენ. მათი სამსახურისა და საქმიანობისთვის ამჟამად საზღვაო ადმირალი პატივცემული აბდი ფაშა თავისი ჯარისკაცების წყალობით ამ მხრიდან თადარიგისა და გამგზავრების საქმეს შეუდგნენ. მათგან 12 ჯარისკაცი კალფა, 12 დურგალი, ორო კაცი-ხელოსნისთვის გზის ხარჯი გაიღეს 60 ყურუში თუ იმ მხარეს მიაღწევდნენ, თუ მუბაშირები იქნებიან დღეში საზრდო 60 ახჩა ექნებათ და 11-11 კაცს 50-50 ყურუში გზის ხარჯი. 40-40 ახჩა საზრდო და ორ კაცს თიმურჯი, ხელოსნებსაც 60 ყურუში გზის ხარჯი ებოძათ და 60 ახჩა საზრდოდ ებოძათ. ამ დავთარში რეგისტრირებული მშრომელთა თადარიგი მომზადებული იყო. ჯარისკაცთა მეთაურის ამ მხარეში თადარიგის დაჭერა მის შესაძლებლობებს აღემატებოდა. ზღვის მეთაურები სოხუმის დაცვაში იმყოფებოდნენ. ისინი ფოთის ციხეში მიეიდნენ, გამოიზამთრეს. ფირმანი გამოვიდა. მუსტაფა ფაშამ როცა რეჯეფ ფაშას გემებს ნიშანი მისცა, ოსტატები სრული შემადგენლობით არ იყვნენ. აღნიშნული იშკამფუიების სამსახურის გასაწევად მშენებლობის დროს, საქმის მოსაგვარებლად, აღნიშნული რაზმის მეთაურობა ხსენებულ მუსტაფა ფაშა დამად ფაშას გადასაყენებლად გააკეთეს. ხსენებული კაფუდანი გაბრაზდა. განკარგულება გასცა ამ მხარეში თადარიგი დაეჭირათ. აღნიშნული მშრომელების საზღაური უწინდებურად, გზის ხარჯის გარეშე, მთავარი მოანგარიშეს მიერ იქნა დაანგარიშებული. 26 ჯარისკაცს 1280 ყურუში გზის ხარჯი ებოძა, სარჩოდ 70 ახჩა მიეცათ. გზის ხარჯები ერთგან ავანსად გაიცა. იმისათვის, რომ საზრდოსთვის ანგარიში გაეწიათ, თიმარის ემინი ხსენებული ეეზირისთვის საბოძებლად განახლებულ იქნა და აღნიშნული თანხის ხსენებული თესქერე გაიცა. პატიოსანი ბრძანება დაიწერა. ამაზე ფირმანი ჩემი ბედნიერი მოწყალე სულთნის უდიდებულესობაზეა. ასლი და თესქერე გაიცა 1144 წლის 18 მუჰარემს. რეგისტრირებულია.

---

1 1144 წლის 18 მუჰარემი — 23.7.1744 წელი.

№ 158

დოკუმენტის დაწერის არსი ისაა, რომ ამ კურთხეულ წელს, შავი ზღვის მხარეს მდებარე ფოთის, სოხუმისა და ანაკლიის ციხეების დასაცავად გაცემული დიდებული ფირმანი გამოვიდა. 12 ცალი ეშკამფუიეს გემების მშენებლობა დაიწყო. ბედნიერების დედაქალაქიდან გაგზავნილია გაცემული ფირმანი. ორმა კაცმა მოკლე ხანში თემურჯის ხარჯი მიიღო. სათანადო მირ-მირანს ებოძა 30-30 ღარიბთათვის 60 მოწყალება იქნა გაღებული. მთავარი ციხე ალ ჰაჯ აიუბ ეფენდის ხელთაა. ამაზე სრული ბრძანება და ფირმანი გამოვიდა. მისი გამოცემის შემდეგ ეს სამეუფეო თამასუქი გაიცა. დაიწერა 23 მუჰარემს 1144 წლისა[1].

თქვენი მონა მიმარი სერ თემურჯიანი საფარას' ციხისა, ახლანდელი დიდებული.

1 1144 წლის 23 მუჰარემი — 28.7.1731 წელი.

ჩემო ბედნიერო, მოწყალეო სულთანო, ჯანმრთელად იყოს თქვენი უდიდებულესობა. სოხუმის ციხის დასაცავად დანიშნული უმაღლესი სამეუფეო კარის ჯებეჯიების 1145 წლისთვის[1] კანონიერად არსებული პროდუქტების თანხის ბოძების საკითხზე ბრძანება /და/ ფირმანი ჩემს ბედნიერ სულთანზეა.

თქვენი მონა-მორჩილი

შესაბამისი ადგილი:

სოხუმის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის ჯებეჯიების ზოგიერთი ჯამაათის შესახებ.

ჯარისკაცი – 90

აღნიშნული 90 ჯარისკაცი, არსებული წესის თანახმად, სოხუმის დასაცავად რეგისტრირებულია; ბრძანება და ფირმანი ჩემი ბედნიერი სულთნისაა, დაეთარი მუკაბელეს უწყების თანახმად. 1145 წლის 18 რები ულ-ახირი[2].

დაანგარიშებულ იქნეს..

სოხუმის ციხის დასაცავად უმაღლესი სამეუფეო კარის ჯებეჯიებისთვის ხორცის თანხის სარგოს შესახებ 1144 წლის მუჰარემის დასაწყისიდან ამავე წლის ზილ-ჰიჯეს მიწურულამდე[3]. თესქერე გაიცა 1144 წლის 25 რები ულ-ახირს[4].

ჯარისკაცები – 112

დღეში ხორცი – 18,5 ოყა.

დღეები – 354.

ოყა – 6545,– თითოეული ოყა – 5 ახჩაა.

ახჩა – 32745.

ფიადე მუკაბელეს /უწყების/ ველზე მინაწერის თანახმად სარგო 1145 წლის მუჰარემის დასაწყისიდან ამავე წლის ზილ-ჰიჯეს მიწურულამდე.[5]

ჯარისკაცები – 90

დღეში: ხორცი – 15 ოყა.

დღეები – 354.

ოყა – 5310, თითოეული ოყა – 5 ახჩაა.

ახჩა – 26550.

---

1 1145 წელი – 24.6.1732 – 13.6.1733 წელი.

2 1145 წლის 18 რები ულ-ახირი – 7.10.1732 წელი

3 1144 წლის მუჰარემის დასაწყისიდან ამავე წლის ზილ-ჰიჯეს მიწურულამდე – 6.7.1731 – 23.6.1732 წელი

4 1144 წლის 25 რები ულ-ახირი – 27.10.1731 წელი.

5 1145 წლის მუჰარემის დასაწყისიდან ამავე წლის ზილ-ჰიჯეს მიწურულამდე – 24.6.1732 – 23. 6. 1733.

სოხუმის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის ჯებეჯიების 1144 წლის[1] ხორცის თანხის შესახებ გაცემული თესქერე რეგისტრირებულია. ფიადე მუკაბელეს /უწყების/ ველზე მინაწერის თანახმად, ამჟამად ხსენებულ დაცვაში მყოფი 90 ჯარისკაცის 1145 წლის ხორცის თანხის დაანგარიშებისას მხოლოდ 26.550 ახჩა შეადგინა. ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა ჩემო, ბედნიერო სულთანო.

1145 წლის 6 ჯემაზი ულ-ეველი[2].

თელხისი

თქვენი მონა-მორჩილის არზა ისაა, რომ სოხუმის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის ჯებეჯიების ჯარისკაცთა 1145 წლის ხორცის თანხის გასაცემად არზუჰალი გაიცეს. ფიადე მუკაბელეს /უწყების/ ველზე მინაწერის თანახმად დაანგარიშებისას, ხსენებულ წელს, ხორცის თანხამ 26.550 ახჩა შეადგინა. ხსენებული თანხის შესახებ თესქერეს ბოძების საკითხზე ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა ჩემო ბედნიერო, მოწყალეო სულთანო.

თელხისის თანახმად თესქერე გაიცეს. ბრძანება.

1145 წლის 8 ჯემაზი ულ-ეველი[3].

თესქერე გაიცა 1145 წლის 10 ჯემაზი ულ-ეველი[4].

---

1 1144 წელი – 6.7.1731 – 23.6.1732 წელი.

2 1145 წლის 6 ჯემაზი ულ-ეველი – 26.9.1732 წელი.

3 1145 წლის 8 ჯემაზი ულ-ეველი – 26.9.1732 წელი.

4 1145 წლის 10 ჯემაზი ულ-ეველი – 28.9.1732 წელი.

№ 160

ის /ალაჰი/ შეეწიოს

თქვენი უმწეო მონა-მორჩილის არზა ისაა, რომ შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე ანაკლიის ციხე მთლიანად ხის მორებისა და თიხისაგან აშენებული ციხეა, რადგანაც გასულ წელს აფხაზმა ყაჩაღებმა ზოგიერთი ადგილი ცეცხლს მისცეს და იავარჰყვეს. საჭირო გახდა ნაგებობების კვლავ განახლება, თუმცა ისევ ხისგან ნაგები შენობა ხანგრძლივად გამოსადეგი არ იყო, მისი საფუძვლიანად შეკეთებისთვის დიდი ხარჯების გაღების საჭიროება აშკარა იყო, უწინ ფოთის ციხეში აღა ვექილის თანამდებობაზე ჰასქი ჰალილ აღამ თავისი ჯარისკაცების იმ რაიონში (ანაკლიაში) გაგზავნის თაობაზე, როგორც კი ცნობა მიიღო, გამოცემული მაღალი ფირმანის საფუძველზე ჯარისკაცები გაგზავნა, ვინაიდან აღნიშნული ციხე ძალიან საჭირო (სტრატეგიულ) ადგილზე მდებარეობდა, სასწრაფო მშენებლობის შესახებ საგანგებო ბრძანების დასტური გაიცა, დამთავრებული იყო მხოლოდ ხის მასალით აშენებული ქვედა ნაწილი, სიგრძე-სიგანე (ოთკუთხედად) 40-40 წყრთა იყო, ხოლო ოთკუთხედის ფართობი (სიგრძე-სიგანით დაანგარიშებული) 1600 წყრთაა, ოთკუთხედად იყო ნაგები, ყოველ კუთხეში მომცრო კოშკი ააგეს, პატარა მტკიცე ციხის საკეტი (ხრახნი გაუკეთეს, შიგნით კი აღას კარი, მეციხოვნის კარი, გამოსაზამთრებელი ყიშლაღი), პატიოსანი ჯამე და პატარა თავშესაფარი აშენდა სასწრაფოდ, ზამთრის პირს უწინდელი მდგომარეობა აღდგენილ იქნა, პირობები გაუმჯობესდა და წესრიგი თანდათანობით დამყარდა. ჭეშმარიტი სამართლიანობა მნიშვნელოვნად აღდგა, ეს ანაკლიის ციხე ფოთის ციხესთან 18 მილის მანძილზე მდებარეობს, ამრიგად, რადგანაც ფოთის ციხე ახლო იყო, ფოთის მცველების მეშვეობით მშენებლობას ადვილად გაართვეს თავი, საჭირო ქვები ხოფადან გაიგზავნა. იმ მხარეში მშენებლობისათვის საჭირო მოჭრილ ხეებზე თადარიგი დაიკავეს., პატიოსანი ბრძანება გაიცა. ქვების გადასაზიდად ციხეებში არსებული ნავების გამოყენების თაობაზე, ერთი ჯარისკაცის, ჩაუშის მუბაშირად დანიშვნა მიზანშეწონილ იქნა. აუცილებელია, ბედნიერების დედაქალაქიდან გარკვეული რაოდენობის ერთგვარი სახის ლურსმანთან ერთად ხის ხურო, ზოგი პროვიანტი და მუშა გაიგზავნოს. ეს რომ სახელმწიფო დედაქალაქისთვის ცნობილი გახდა, ზემოხსენებული ციხის მშენებლობის საქმე

ფოთის მცველ ჯარისკაცებს დაევალათ. მიმარ აღას ხალხის მეშვეობით ამ მხარეში გაიგზავნოს საჭირო მუშა ხელი, სხვადასხვა სახის ლურსმანი, ხის ხუროები და პროდუქტები, მოგვარდა სხვა საკითხებიც. როდესაც მუშები ადგილზე მიეიდნენ, ზემოხსენებული მცველის დახმარებით ერთ საათში ერთნაირი ხალისით დაიწყეს ხსენებული ციხის მშენებლობა, მუშაობაში მონაწილეობდნენ და ზამთრის დადგომამდე არ მიუტოვებიათ, მდგომარეობა გამოსწორდა, სამართლიანობა თანდათანობით აშკარა გახდა, შენობა აიგო, ზემოხსენებული ვალდებულება სასწრაფოდ შესრულდა. ალაჰისა და ღმერთის თანხმობით, საქმის კეთილად შესრულების შემდეგ მეურნეობა და ხარჯები განმარტებულ და დადგენილ იქნა. დავთარი შედგა და სახელმწიფოსათვის სააჯო კარზე გაიგზავნა. ხსენებული ჰასქი ჰალილი აღასთვის იმ რაიონის ყოველგვარი ვითარება, სათანადო საკითხები, შემთხვევები, მუშახელის განწყობილობანი ნათელი და გასაგები იყო. ჯარისკაცების ასაწერად იმ მხარეში ხალხი გაამწესეს, ხსენებულმა დამცველმა ციხის მშენებლობასა და საჭირო პროვიანტით მომარაგებაში თადარიგი დაიჭირა. ზემოხსენებულ აღასთან მოლაპარაკება, შეთანხმება, სრული ერთიანობა და კავშირი დამყარდა. დიდი გულმოდგინება, გულითადობა და ყურადღება გამოიჩინეს, სოხუმის ციხის დასაცავად საზღვაო ემირებმა: მარიულ ზადე მუსტაფა ფაშამ და საქიზელი ველი ბეგის შვილმა მიმი ფაშამ „ჩექდირის“ გემები იმთავითვე გამოიყვანეს, რაკი ზამთარში იმ მხარეებში გემები საჭირო არ იყო, აღნიშნული „ჩექდირის“ გემები მოიყვანეს და ფოთში გამოიზამთრეს.

მისი მსახურნი /მონები/ ანაკლიის ციხის მშენებლობის საჭიროებისათვის გამოიყენეს, უწინდელივით აუცილებელი ხელფასი ფოთის მცველის ხალილ ფაშას ჯარისკაცებისგან ებოძათ, რადგანაც ახჩეების მომჭირნეობისა და დაზოგვის მიზნით სამშენებლო ქვების ხოფას რაიონიდან და სხვაგან არსებული ადგილებიდან სისტემატიურად გატანა და მოტანა ძალიან მნიშვნელოვანი საქმე იყო, უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩართა ოჯახის მიერ სასწრაფოდ იქნა შესრულებული, მოწინავე და მტკიცე ჯარისკაცი ჩაუში დაინიშნა და სასწრაფოდ გაიგზავნა ფოთის ციხეში, იმ რაიონიდან ციხეში არსებული გემები გამოიყვანეს და ქვების გადასაზიდად გამოიყენეს, აღნიშნული ვალდებულებისა და გადასახადის მიხედვით ჩანდა, რომ ციხე ძალიან პატარა იყო, უმნიშვნელო ხარჯებით ააშენეს, მტკიცე იყო, იჯარით სამუშაოების, ქვისა და პროდუქტების თანხები

და ხელფასი როგორც საჭირო იყო ისე ეგზავნებოდათ და ეძლეოდათ, საჭიროზე ზედმეტი ერთი ახჩა და ერთი ნამცეცი მარცვალი არ იხარჯებოდა, ახლანდელი საერთო ანგარიშით 7500 ყურუში ებოძათ და გაეგზავნათ, მთავარ მოანგარიშესთან აღირიცხა, აღნიშნული თანხის თესქერესა და საჭიროების მიხედვით, ბრძანების დაწერის საკითხზე ფირმანი ჩემი ბედნიერი და მოწყალე სულთნის უდიდებულესობაზეა,

თესქერე გაიცა 1144 წლის 6 მუჰარემს[1].

რეგისტრირებულია,

სწორია!

თელხისის თანახმად მთავარ მოანგარიშესთან იქნეს რეგისტრირებული და თესქერესა და კანონიერების მიხედვით ბრძანებები დაიწეროს.

ბრძანება

1144 წლის მუჰარემის დასაწყისი[2].

1 1144 წლის 6 მუჰარემი – 11.7.1731 წელი.

2 1144 წლის მუჰარემის დასაწყისი – 6.7.1731 წელი.

№ 161

ის /ალაჰი/ შეეწიოს

მთავარ მოანგარიშეს ებოძოს!

აღწერილი ამბავი გვამცნობს, რომ ფოთის ციხისა და სოხუმის ციხეების დაცვაში მყოფი ადგილობრივი ჯარისკაცები 1145 წლის მუჰარემის დასაწყისიდან[1] ხსენებული წლის ზილჰიჯეს მიწურულამდე კანონიერად ითვლებიან. ფოთის მცველი ალ-ჰაჯ ჰალილ ფაშას უდიდებულესობის სახელმწიფო გადაწყვეტილებით, საბოძებლად თანხა აღნიშნული ახჩეებით გაიცა. მალიქანეს მოვალეობას შეადგენდა . . თანხიდან . . . დაწერის მიზეზი . . /?/. ერთად გაიგზავნა და მათი შემწეობით ცნობილი გახდა. აღნიშნული თანხა, რომელიც სრულად ებოძა ჯარისკაცებს და გადაუნაწილდათ. ამასთან დაკავშირებით ფირმანი ნაკლებად იყო ცნობილი. ყველაფერი გარკვეული იყო. აღნიშნული თანხის „სებები თაჰრირლერი“ და გაცემული დიდებული ფირმანი, ხსენებულმა მთლიანად ხმლით აკუწა. მან შემირ ფაშასგან ბეჭედი მოიტანა. იგი მთავარ მოანგარიშესთან იქნა რეგისტრირებული. ეს თამასუქი გაიცა. 1145 წლის 28 რები ულ-ეეელი[2].

თქვენი მონა-მორჩილი სულეიმანი, კალფ ფაშა ფოთის მცველი ამჟამად.

1 1145 წლის მუჰარემის დასაწყისი – 24.6.1732 წელი.

2 1145 წლის 28 რები ულ-ეეელი – 18.9.1732 წელი.

№ 162

ის /ალაჰი/ შეეწიოს

ჩემო ბედნიერო, მოწყალეო სულთანო, ჯანმრთელად იყოს თქვენი უდიდებულესობა. სოხუმის ციხის აზაბთა ხანდაკის აღას თანამდებობა – დღიური 50 ახჩა ულუფათი, თავისუფალი იყო ჰასანისაგან. ამაზე ჩემი სამეუფეო ჩირაღის – დიდებული, პატიოსანი ბერათის ბოძება რეგისტრირებულ იქნა. ველზე მინაწერი გაკეთდა, როდესაც ეს სახელმწიფოსათვის ცნობილი გახდა, ველზე გაკეთებული მინაწერის თანახმად, ვინმესთვის მისი ბოძებისა და წესრიგში მოსაყვანად, ყარსის მუთასარიფსა და სოხუმის ციხის ყადის ეუწყა, პატიოსანი ბრძანების თხოვნა იქნა წარდგენილი. ფირმანი ჩემს სულთანზეა.

თქვენი მონა-მორჩილი, ჩაუშ-ზადე ოსმანი, ამჟამად აზაბთა მუთასარიფი, იხილეთ მთავარი მოანგარიშის მიერ ველზე გაკეთებული მინაწერი.

სახელმწიფო ხაზინის დავთრის თანახმად, სოხუმის ციხეში ჰასანის მიერ დატოვებული ხანდაკის მეკარეთა აღას თანამდებობა ჩაუშ-ზადე ოსმანს ებოძა. არზუჰალის, ველზე მინაწერის, თელხისისა და მაღალი ფირმანის საფუძველზე 1145 წლის 29 ზილ-ჰიჯე[1]. ბერათი გაიცა იმავე წელს.

დღეში – 50.

სოხუმის ციხის ხანდაკის აღაობაზე დღიური 50 ახჩა ულუფათი, ჰასანმა უარი თქვა, იგი ხსენებულ ჩაუშ-ზადე ოსმანს ებოძა. ხსენებულ რიცხვში გაცემული პატიოსანი ბერათი დავთარში რეგისტრირებულია, ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა, ჩემო ბედნიერო, მოწყალეო სულთანო, 1145 წლის 6 ჯემაზი ულ-ეველი[2].

ველზე მინაწერის თანახმად გაიცეს! ბრძანება.

სწორია! ბრძანება გაიცა. 1145 წლის 18 ჯემაზი ულ-ახირი[3].

მთავარ მოანგარიშისგან აღნიშნულ იქნეს ველზე მინაწერი.

---

1 1145 წლის 29 ზილ-ჰიჯე – 12 ივნისი 1733 წელი.
2 1145 წლის 6 ჯემაზე ულ-ეველი – 25.10.1732 წელი.
3 1145 წლის 18 ჯემაზი ულ-ახირი – 6.12.1732 წელი.

№ 163

ის /ალაჰი/ შეეწიოს

ბედნიერ სავედრებელო, თქვენი მონა-მორჩილის არზა ისაა,რომ წინათ აფხაზეთის მხარის მოსახლეობაში სამი გამგებელი იყო. ჯარისკაცები მათ მორჩილებაში ჰყავდათ. მათ მორჩილებაში იყო ოთხი ჯარისკაცი სოხუმის ციხეში არსებული წესის მიხედვით. უწინარესად როდესაც არზა იქნა წარდგენილი, ხსენებულებს თითოეულს ხუთ-ხუთი ყურუში სახარჯო ებოძათ. სამადლობელოს სახით პროვიანტი და ხორცის საბოძებლად გამგებლებს ეწყალობათ თავიანთ რეგიონებში, ტყვეებს კი – 1143 წლის შევალის დასაწყისიდან 1144 წლის ზილ-ჰიჯეს მიწურულამდე[1]. აღრიცხულნი და არსებობისათვის საშუალება და წყალობა გამგებლებმა მთლიანად თავიანთ ჯარისკაცებს დააკისრეს. უზენაესობიდან არსებულის საფუძველზე, ბოძების საკითხზე ბრძანება და ფირმანი გაიცა.

თქვენი მონა-მორჩილი მირ არსლან ალი,სოხუმის მცველი ამჟამად.

შესაბამისი ადგილი:

პურის თანხისა და სახარჯოს შესახებ, რომელიც სასურველია სოხუმის ციხეში, აღნიშნული თანხა დაინიშნა 1142 წლის ზილ-კაადეს დასაწყისიდან 1143 წლის შევალის თვის მიწურულამდე[2]. ამასთანავე აღნიშნული თანხა სახელმწიფოს ხაზინას ებოძა. ბრძანების თანახმად სოხუმის ციხის მცველის მირ არსლანის არზის საფუძველზე,ველზე გაკეთებული მინაწერის,თელხისისა და მაღალი ფირმანის საფუძველზე. 3 ჯემაზი ულ-ეველი, წელი 1144[3].

თესქერე გაიცა 1144 წლის 7 ჯემაზი ულ-ეველი[4].

ჯარისკაცები – 4; ყურუში 334,ფარა 16,სახარჯოდ ჯარისკაცებს 4 თეეში 20 ყურუში, თითოეულს 5 ყურუში 240. პურის თანხა, ჯარისკაცი 4, დღეში პური 16 ჩიფთი, ახჩა 32, თითოეულს 2-2. დღეები 354, ახჩა 11328 თითოეულს 2-2 ყურუში 94, ფარა – 16. სოხუმის ციხეში მყოფი რაზმი ოთხი კაცია. აფხაზებში პურის თანხა და სახარჯო 1142 წლის ზილ-კაადეს დასაწყისში 1143

1 1143 წლის შევალის დასაწყისიდან 1144 წლის ზილ-ჰიჯეს მიწურულამდე – 9.4.1731 დან – 23.6.1732 წელი.

2 1142 წლის ზილ-კაადეს დასაწყისიდან 1143 წლის შევალის მიწურულამდე – 18.5.1730დან – 7.5.1731 წელი.

3 ჯემაზი ულ-ეველი სამი 1144 წლისა – 3.11.1731 წელი.

4 1144 წლის 7 ჯემაზი ულ-ეველი – 7.11.1731 წელი.

წლის შევალის მიწურულამდე[1] 334 ყურუში და 16 ფარაა. აღნიშნული იაზიჯის მიერ გაცემული ხაზინის თესქერე დავთარში რეგისტრირებულია. ფირმანი ჩემი ბედნიერი სულთნის უდიდებულესობაზეა. 1145 წლის 13 მუჰარემი[2]. დაიანგარიშეთ!
დღეში ხორცი – 12 ოყა.
დღეები – 354. ოყა – 4248, თითოეული ოყა – 5 /ახჩაა/. ახჩა – 21240. თელხისი.

არსებული წესის თანახმად, სოხუმის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის ჯებეჯიებისათვის 1142 წლის[3] ხორცის თანხისთვის გაცემული ხაზინის თესქერე რეგისტრირებულია. ფიადე მუკაბელეს /უწყების/ მიერ დოკუმენტის ველზე მინაწერის საფუძველზე ამჟამად ხსენებულ დაცვაში მყოფი 73 ჯარისკაცის 1143 წლის[4] ხორცის თანხა მხოლოდ 21240 ახჩა შეადგინა. ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა ჩემო ბედნიერო სულთანო.

1143 წლის 29 ჯემაზი ულ-ევველი[5].

თქვენი მონა-მორჩილის არზა ისაა, რომ სოხუმის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის ჯებეჯიებისათვის 1143 წლის პროდუქტების თანხის საბოძებლად არზუჰალი გაიცეს. ფიადე მუკაბელეს კალემის /უწყების/ მიერ დოკუმენტის ველზე მინაწერის თანახმად 73 ჯარისკაცის ჯებეჯიებისათვის საბოძებლად აღნიშნული წლის პროდუქტების /თანხის/ – 21240 ახჩას ბოძების გადაკვეთა, რადგანაც მთავარი მოანგარიშის მიერ იქნა დაანგარიშებული და დოკუმენტის ველზე მიწერილი, აღნიშნული თანხის შესახებ თესქერეს ბოძების საკითხზე ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა ჩემო ბედნიერო, კეთილისმყოფელო სულთანო.

სწორია!

თელხისის თანახმად თესქერე გაიცეს, ბრძანება 1143 წლის 5 ჯემაზი ულ-ახირი[6]. თესქერე გაიცა 1143 წლის 6 ჯემაზი ულ-ახირს[7].

რეგისტრირებულია.

---

1 1142 წლის ზილ-ქაადეს დასაწყისიდან 1143 წლის შევალის მიწურულამდე – 18.5.1730დან – 7.5.1731 წელი.
2 1145 წლის 13 მუჰარემი – 6.7.1732 წლისა.
3 1142 წელი – 17.7.1729 – 16.7.1730 წელი
4 1143 წელი – 17.7.1730დან – 5.7.1731 წლისა.
5 1143 წლის 29 ჯემაზი ულ-ევველი – 10.12.1730 წელი.
6 1143 წლის 5 ჯემაზი ულ-ახირი – 16.12.1730 წელი.
7 1143 წლის 6 ჯემაზი ულ-ახირი – 17.12.1730 წელი.

თქვენი მონების მარუზა ისაა, რომ ანაკოფიის ციხესთან სოხუმის ციხის დასაცავად მყოფმა 50-ე ჯამაათის რაზმმა ხსენებული ციხის დაცვისას გარკვეული სამსახური გასწია, გაიგზავნა და დაინიშნა, ბაირაღიდანაც ერთი ბაირაღი ჯარისკაცი დაინიშნა, იგი დაიანგარიშეს. ხსენებული ციხის დაცვაში მყოფი რაზმი ყაზარმისა და ბაირაღის კარისკენ ილტვოდა. აღნიშნული რაზმისთვის ამავე ციხეში ერთი ყაზარმისა და ბაირაღის კარიბჭის ასაშენებლად პატიოსანი ბრძანება გაიცა და აღნიშნული რაზმისთვის ფქვილი სოხუმის. საწყობიდან გაიცა. ისინი დადგენილების მიხედვით, დაცვის სამსახურს ასრულებდნენ. ამასთან დაკავშირებით მაღალი ფირმანის წყალობის საკითხზე ბრძანება და ფირმანი ჩემი ბედნიერი და მოწყალე სულთნის უდიდებულესობაზეა.

თქვენი მონა-მორჩილი ალ-ჰაჯ ჰალილი, ფოთის ციხის მცველი ამჟამად.

შესაბამისი ადგილი.

იანიჩართა დანაყოფიდან ველზე გაკეთდეს რეზოლუცია.

უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩართა ზოგიერთი ჯამაათის ჯარისკაცთა ყულებიდან 6 კაცი დაინიშნა. ანაკოფიის ციხის მაღალი ფირმანის მიხედვით, სოხუმის დასაცავად ებოძა სარგო 1145 წელს[1] 641, ჯარისკაცი 74.

არსებული წესის საფუძველზე, სოხუმის ციხიდან მაღალი ფირმანის თანახმად, ანაკოფიის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩრების რაზმებიდან, მეექვსე ბაირაღის რაზმი მხოლოდ 62 ჯარისკაცია. ფირმანი ჩემი ბედნიერი და მოწყალე სულთნის უდიდებულესობაზეა.

ხსენებული ჯარისკაცებისკენ თანხის სინაკლებეა.

გაიცა სათანადო განკარგულება უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩართა მიმართ სოხუმის ციხის დასაცავად. ხსენებული ციხის მშენებლობის ემინის თანახმად. ყოველ დღე გაიცეს ბრძანება 1138[2] წლიდან 1139[3] წლამდე არზუჰალის თანახმად, ველზე გაკეთებული მინაწერის თანახმად, პატიოსანი ფირმანი გაიცა 1139 წლის 9 ზილ-კაადეს[4].

სოხუმის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო

1 1145 წელი – 24.6.1732 – 13.6.1733 წელი.
2 1138 წელი – 9.9.1725 – 28.8.1726 წელი.
3 1139 წელი – 29.8.1726 – 18.8.1727 წელი.
4 1139 წლის 9 ზილ-კაადე – 28.6.1727 წელი.

კარის იანიჩრების 1138 და 1139 წლის დასაწყისში მშენებლობის ემინისთვის საბოძებლად პატიოსანი ბრძანების გასაცემად ჯარისკაცებს კილითლიე ანლარ პური და ფქვილი ებოძათ.

ხსენებულ ჯარისკაცებს უთუოდ სათანადო ფირმანი ებოძათ. შესაფერისი გადაწყვეტილება მიიღეს. უწინდელი ფირმანის თანახმად, ხსენებული ბერათი, მელაღუმეებს მშენებლობის ემინის ხელით ებოძათ. 1138 და 1139 წლებში დადგენილი პური სოხუმის მსგავსად მშენებლობის ემინის ხელით გაიცა. მთლიანად გაიგზავნა და დახმარების აღმოსაჩენად პატიოსანი ბრძანება გაიცა. ფირმანი სახეზეა. 1139 წლის 9 ზილ-კადე. სოხუმის ციხე ხსენებული ციხის მშენებლობის ემინს ებოძა. პატიოსანი ბრძანება გაცემულია, დავთარში რეგისტრირებულია. ფირმანი ჩემი ბედნიერი და მოწყალე სულთნის უდიდებულესობაზეა.

1145 წლის 25 ზილ-კაადე[1].

ჩვეულებრივ მთავარი მოანგარიშის ხელით დაიანგარიშონ. უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩართა დანიშნულებანი საჭირო ხორბლის თაობაზე სოხუმისა და ანაკოფიის ციხეებში ეძებონ. სარგო 1145 წლის მუჰარემის დასაწყისიდან იმავე წლის ზილ-ჰიჯეს მიწურულამდე[2]. ჯარისკაცი 36, თვეში ხორბალი 38 ქილა, წელიწადში 4569 ქილა, ხსენებული ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩრების ხორბალი ამ 1145 წლის მუჰარემის დასაწყისიდან ზემოხსენებული წლის ზილ-ჰიჯეს მიწურულამდე. ერთი წლის განმავლობაში, ხორბალი ჩვეულებრივად გაცემული ფირმანის საფუძველზე როდესაც დაიანგარიშეს, მხოლოდ 456 ქილა შეადგინა. ფირმანი ჩემი ბედნიერი და მოწყალე სულთნის უდიდებულესობაზეა.
დაიწერა 1145 წლის 27 ზილ-კაადეს[3].

სწორია!

თელხისის თანახმად პატიოსანი ბრძანება დაიწერა და გამოვიდა.

ბრძანება გაიცა 1145 წლის 5 ჯემაზი ულ ახირს[4]. ბრძანება.

თქვენი მონა-მორჩილის არზა ისაა, რომ სოხუმის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩართა 76 ჯარისკაცი გამოყოფილია და ანაკოფიის ციხის დასაცავად

---

1 1145 წლის 25 ზილ-კაადე – 9.5.1733 წელი.

2 1145 წლის მუჰარემის დასაწყისიდან იმავე წლის ზილ-ჰიჯეს მიწურულამდე – 24.6.1732 – 13.6.1733 წელი.

3 1145 წლის 27 ზილ-კაადე – 11.5.1733 წელი.

4 1145 წლის 5 ჯემაზი ულ ახირი - 23.11.1732 წელს

დაინიშნა. მათ ხსენებულ ციხეში გამოიზამთრეს. მათთან არ ყოფილა აღა კაფუ. მათ ვერ შეძლეს აღა კაფუს დამუშავება. მაღალი ბრძანება გაიცა ხსენებული ჯარისკაცებისთვის წლიური ხორბლის დანიშვნისა და სოხუმის ციხის საწყობებიდან მათი გაცემის თაობაზე. ამაზე ბრძანების გამოცემის საკითხზე ფოთის დაცვაში მყოფი ხალილ ფაშას ჯარისკაცთა არზა იქნა წარდგენილი. ხსენებულ ჯარისკაცებს წლიური ხორბალი დაენიშნათ. სოხუმის ციხის ბეღლიდან უნდა გაეცეს მათ. საამისოდ საჭიროა ციხეში ყოფნა, ყაზარმებში ყოფნა და აღა კაფუსუს გადაწყვეტილების მიღება მაღალი სახელმწიფოსაგან. დიდძალი ხარჯის გაღებით და ღვთის წყალობით არზა და ბრძანება გაიცა. პატიოსანი ბრძანება დაიწერა. ამაზე ფირმანი ჩემი ბედნიერი და მოწყალე სულთნის უდიდებულესობაზეა.

№ 165

ის /ალაჰი/ შეეწიოს

ჩემო ბედნიერო, კეთილისმყოფელო სულთანო, ჯანმრთელად იყოს თქვენი უდიდებულესობა. . . ანაკოფიის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩართა ჯარისკაცების ამ 1146 წლის[1] ხორცის თანხის ბოძების საკითხზე ბრძანება /და/ ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა ჩემო ბედიერო, კეთილისმყოფელო სულთანო.

თქვენი მონა-მორჩილი.

შესაბამისი ადგილი:

ანაკოფიის ციხის მცველებად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩართა ზოგიერთი ჯამაათის 1146 წლის მასარის[2] სარგოს შესახებ.

ჯარისკაცები – 71.

არსებული წესის თანახმად ანაკოფიის ციხის მცველებად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩართა 71 ჯარისკაცის არსებობა ამჟამად დავთარში ჩაწერილი და რეგისტრირებულია. ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა ჩემო ბედნიერო და კეთილისმყოფელო სულთანო.

დაიანგარიშეთ!

ანაკოფიის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩართა პროდუქტების ხორცის თანხის შესახებ დადგენილია 1145 წლის მუჰარემის დასაწყისიდან ამავე წლის ზილ-ჰიჯეს მიწურულამდე[3]. თესქერე გაიცა 1145 წლის 28 ჯემაზი ულ-ახირს[4].

ჯარისკაცები – 72.

დღეში: ხორცი – 14.

დღეები: 354.

ოყა: 4856. თითოეული ოყა 5 ახჩაა.

ახჩა 24280.

სარგო: 1146 წლის მუჰარემის დასაწყისიდან ამავე წლის ზილ-ჰიჯეს მიწურულამდე[5].

---

1 1146 წელი – 14.4.1733 – 2.6.1734.

2 1146 წლის მასარი – 1734 წ. 7 იანვრიდან 4 აპრილამდე.

3 1145 წლის მუჰარემის დასაწყისიდან ამავე წლის ზილ-ჰიჯეს მიწურულამდე – 1733 წ. 17 იანვრიდან – 7 დეკემბრამდე.

4 1145 წლის 28 ჯემაზი ულ-ახირი – 1732 წლის 20 ივლისი.

5 1146 წლის მუჰარემის დასაწყისიდან ამავე წლის ზილ-ჰიჯეს მიწურულამდე – 1734 წ. 7 იანვრიდან 1735 წლის 24 იანვარი.

ჯარისკაცები — 71, დღეში: ხორცი — 14 ოყა. დღეები 354. ოყა — 4956. თითოეული ოყა 5 ახჩაა.

ახჩა — 24780.

ანაკოფიის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩართა ხორცის თანხაზე გაცემული ხაზინის თესქერე რეგისტრირებულია. იანიჩართა ქათიბის მიერ ველზე მინაწერის თანახმად. ამ 1146 წლის მუჰარემის დასაწყისიდან ხსენებული წლის ზილ-ჰიჯეს მიწურულამდე, ხორცის თანხამ, როდესაც დაიანგარიშეს მხოლოდ 24780 ახჩა შეადგინა. ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა ჩემო ბედნიერო, კეთილისმყოფელო სულთანო.

1146 წლის 29 ჯემაზი ულ-ეველი[1].

თქვენი მონა-მორჩილის არზა ისაა, რომ ანაკოფიის ციხის მცველებად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩართა 1146 წლის ხორცის თანხის საბოძებლად არზუჰალი გაიცეს. იანიჩართა ქათიბის მიერ ველზე მინაწერის თანახმად 71 ჯარისკაცის ხსენებული წლის ხორცის თანხამ 24780 ახჩა შეადგინა. რადგანაც იგი დაანგარიშებულ იქნა, აღნიშნული თანხის თესქერეს ბოძების საკითხზე ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა ჩემო ბედნიერო /და/ კეთილისმყოფელო სულთანო. სწორია. თელხისის თანახმად თესქერე გაიცეს. ბრძანება.

1146 წლის ჯემაზი ულ ახირის დასაწყისი[2].

თესქერე გაიცა 1146 წლის 3 ჯემაზი ულ ახირს[3].

რეგისტრირებულია.

1 1146 წლის 29 ჯემაზი ულ-ეველი — 1734 წლის 26 იენისი.

2 1146 წლის ჯემაზი ულ ახირის დასაწყისი — 1733 წლის 14 იენისი.

3 1146 წლის 3 ჯემაზი ულ ახირი — 1733 წლის 16 იენისი.

სწორია!

არსებულის საფუძველზე ებოძა, ბრძანება, 1146 წლის 5 რები ულ-ეველი[1], თქვენი ფეხთა მტვერი მონების არზა სამეუფეო კარს, სამყაროსა და პალატების ცენტრს, ზეციურ ხელისუფლებას ისაა, რომ სოხუმის ციხეში დღიური 40 ახჩა ულუფათი სულკულის აღა ჰუსეინი იმყოფებოდა, ქონების პროდუქტების ადგილი, სათანადოდ იყო დაკავებული. ჰუსეინმა აღებს ხსენებული ციხე ადიუტანტთაგან გაუნთავისუფლა, ამ არზის მიხედვით, აჰმედის ჯარისკაცებს, მერკაბაჰათლი მეჰმედი რადგანაც მასთან იყო, მათთვის ხელზე დიდებული ბერათის წყალობისა და ბოძების განკარგულების საკითხზე, ფეხთამტვერს დედაქალაქს არზა ეუწყა, აწი ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა.

თქვენი მონა-მორჩილი ჰალილი, დიზდარი სოხუმის ციხისა ამჟამად.

1 1146 წლის 5 რები ულ ეველი – 16.8.1733 წელი.

№ 167

ის /ალაჰი/ შეეწიოს

ჩემო ბედნიერო, კეთილისმყოფელო სულთანო, ჯანმრთელად იყოს თქვენი უდიდებულესობა. ანაკოფიის ციხის მცველებად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩართა ჯარისკაცების ამ 1146 წლის[1] ჩოხის თანხის ბოძების საკითხზე ბრძანება /და/ ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა ჩემო ბედნიერო /და/ კეთილისმყოფელო სულთანო.

თქვენი მონა-მორჩილი.

შესაბამისი ადგილი:

ანაკოფიის ციხეში მცველებად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩართა გამოსაზამთრებელი ზოგიერთი ნივთის ბოძების შესახებ. 1145 წლის ერბაინის დასაწყისიდან 1146 წლის ერბაინამდე[2].

ბარანი – 70.

არსებული წესის თანახმად ანაკოფიის ციხეში მცველებად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩრები 70 ჯარისკაცია. 1145 წლის ერბაინიდან 1146 წ. ერბაინამდე მხოლოდ 70 ბარანის ჩოხაა კანონიერი. ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა ჩემო ბედნიერო და კეთილისმყოფელო სულთანო.

დაიანგარიშეთ!

არზუჰალის თანახმად სარგო 1145 წლის ერბაინის დასაწყისიდან 1146 წლის ერბაინის დასაწყისამდე:
ჯარისკაცები: 70. ბარანის ჩოხა: 70 თოფი. ახჩა – 16800.
ანაკოფიის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩართა გამოსაზამთრებელი თანხის გადაკვეთის შესახებ 1144 წლის ერბაინის დასაწყისიდან[3] 1145 ერბაინის დასაწყისამდე.

თესქერე გაიცა 1145 წლის 28 ჯემაზი ულ ახირს[4].

ჯარისკაცები – 71. ბარანის ჩოხა: 71 თოფი. თითოეული თოფი 240 ახჩაა. ახჩა 17040.

ანაკოფიის ციხის მცველებად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩართა ჩოხის თანხისთვის გაცემული ხაზინის თესქერე რეგისტრირებულია.

1 1146 წელი – 14.6.1733. – 2.6.1734.

2 1145 წლის ერბაინის დასაწყისიდან 1146 წლის ერბაინამდე – 18.12.1732 – 8.12.1733.

3 1144 წლის ერბაინის დასაწყისი – 1.12.1737.

4 1145 წლის 28 ჯემაზი ულ ახირი – 16.XII.1732.

იანიჩართა ქათიბის ველზე მინაწერის მიხედვით, 1145 წლის ერბაინიდან 1146 წლის ერბაინის მიწურულამდე გამოსაზამთრებელი ჩოხის თანხა, როდესაც დაიანგარიშეს მხოლოდ 16.800 ახჩა შეადგინა, ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა ჩემო ბედნიერო, კეთილისმყოფელო სულთანო 1146 წლის 29 ჯემაზი ულ-ეველი[1].

თქვენი მონა-მორჩილის არზა ისაა, რომ ანაკოფიის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩართა გამოსაზამთრებელი ჩოხის თანხის საბოძებლად არზუჰალი გასცენ. იანიჩართა ქათიბის ველზე მინაწერის თანახმად, 70 ჯარისკაცი იანიჩარისთვის 1145 წლის ერბაინიდან 1146 წლის ერბაინის მიწურულამდე, დადგენილი გამოსაზამთრებელი ჩოხის თანხამ, რადგან 16800 ახჩა შეადგინა, აღნიშნული თანხის თესქერეს ბოძების საკითხზე ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა ჩემო ბედნიერო, კეთილისმყოფელო სულთანო.

სწორია! თელხისის თანახმად თესქერე გაიცეს. ბრძანება.

1146 წლის ჯემაზი ულ ახირის დასაწყისი[2].

თესქერე გაიცა 1146 წლის 3 ჯემაზი ულ ახირს[3]. რეგისტრირებულია.

მეორე გვერდზე: 70
24
140
- -
16800

1 1146 წლის 29 ჯემაზი ულ ეველი – 8.11.1732.

2 1146 წლის ჯემაზი ულ ახირის დასაწყისი – 9.11.1733.

3 1146 წლის 3 ჯემაზი ულ-ახირი – 11.11.1733.

პატივცემულმა დავთარდარ ეფენდიმ განიხილოს, განკარგულება გაიცესო.

თელხისის თანახმად ებოძოს, ბრძანება.

1146 წლის 29 მუჰარემი[1], ბრძანება.

თქვენი მონა-მორჩილის არზა ისაა, რომ ტრაპიზონის საბაჟოდან ხორცის მომარაგების თაობაზე ხსენებული ციხის ჯამი შერიფი ეაიზი აჰმედ ეფენდი რეგისტრირებულია, თუმცა ადგილობრივი პირი იყო. რადგანაც საჭირო სამსახური თავისუფალი დარჩა, იგი შუამდგომლობით ჰასანს ებოძა. ახლო მყოფებმა და ყადიებმა არზა წარადგინეს, რადგანაც რაღაც ამბავი მოხდა. ამასთან დაკავშირებით ფირმანი ჩემი ბედნიერი და მოწყალე სულთნის უდიდებულესობაზეა.

თქვენი მონა-მორჩილის არზა ისაა, რომ დღეში 30 ახჩად. შეიხი და აჰმედ ეფენდი შეეკრნენ ერთმანეთს, რადგანაც დიდი ინტერესი გამოამჟღავნეს წასელისადმი. საშეიხო რადგანაც ცარიელი და თავისუფალი იყო, ამ ულემას ხადიმებსა და მსახურებს შორის მყოფ შეიხს მიტოვებული ადგილი ერგო და ხელზე დიდებული, პატიოსანი ბერათის წყალობისა და ბოძების განკარგულების საკითხზე კვლავ უწინდელი ვითარებაა, სატახტო ქალაქს არზა წარედგინა.

აწი ბრძანება და ფირმანი უმაღლესი მბრძანებლისაა, მლოცველი სახელმწიფოსათვის, ციხისათვის, მაღალი ყადი სოხუმის ციხეში.

1 1146 წლის 29 მუჰარემი — 12.7.1733 წელი.

თქვენი მონა-მორჩილი მოგახსენებთ, რომ ფოთის ციხეში მშენებარე 12 იშკამფუიეს ადგილი წელიწადნახევრის განმავლობაში სახეზე იყო. დანახარჯი ჯარისკაცთა შემწეობით დადგინდა. დავთრის თანახმად მისი ბოძების საკითხზე ბრძანება და ფირმანი ჩვენი ბატონისაა.

29 ზილ-კაადეს 1145 წლისა[1].

თქვენი მონა-მორჩილი ილ ჰაჯ ჰალილი, ფოთის მცველი ამჟამად.

შესაბამისი ადგილი:

წარდგენილი არზის მიხედვით, 12 იშკამფუიეს დანახარჯის საკითხზე პატივის მიგების მიუხედავად, მათი განწყობილება ცნობილი არაა. ფირმანი ჩემი ბედნიერი სულთნის უდიდებულესობაზეა.

1146 წლის 12 ზილ-კაადე[2].

დაიანგარიშეთ. გაეცით.

თანხა გაღებულ იქნეს და გაიწეროს ლურსმანზე, გადასახადი ნივთებზე, ეშკამფუიეს სარემონტო საქმეებზე, ფოთის მცველის ჰალილ ფაშას შემწეობით თანხის გაღებით და მონაწილეობით სააღრიცხვო დავთრის თანახმად.

აჰმედ ეფენდი – ფოთის ყადი ბათუმის მახლობლად.

ოყა – კისტი 1610 ახჩა 19320.

კატრანი ოყა 230 ახჩა 2760.

ლურსმანი ოყა 230 ახჩა 10350.

გადასახადი იჯარით ახჩა 24840.

ჯამი ახჩა 57270.

ნახევარი ყურუში 577.

ბეჭედი

ბეჭედი დასმულია, ფირმანი ჩემი სულთნისაა.

რადგანაც ფირმანი გამოვიდა აღრიცხვა ჩატარებული იქნა. მან შეადგინა 477 ყურუში და ერთი რაბია /მეოთხედი/ ჩემი მოწყალე, ბედნიერი სულთნის უდიდებულესობაზეა. 1146 წლის 23 ზილ-კაადე[3].

თქვენი მონა-მორჩილის არზა ისაა, რომ ფოთის ციხეში მშენებარე 12 ცალი ეშკამფუიების /გემების/ წელიწადნახევრის განმავლობაში აღებული საბრძოლო იარაღი, პროდუქტები ფო-

1 1145 წლის 29 ზილ-კაადე – 13.5.1733 წელი.

2 12 ზილ-კაადე 1146 წელი – 16.4.1734 წელი.

3 1146 წლის 23 ზილ-კაადე – 28.4.1734 წელი.

თის მცველის უწინდელი ილ-ჰაჯ ჰალილ ფაშას ჯარისკაცების შემწეობით შესყიდულია, მათ მოსახლეობაზე, გარკვეული ხისაგან დამზადებული ნივთი, ლურსმანი, სხვადასხვა სამუშაოთა ბოძებისა და წყალობის სათხოვნელად არზა გაიცა. ხარჯის დათარიც გაიგზავნა. სახალხო ყადის დავთრის მიხედვით, როდესაც დაიანგარიშეს, საერთო ჯამმა შეადგინა 477 ყურუში. ეს ცნობა როდესაც სამეუფეო კარისთვის ცნობილი გახდა, მის საფუძველზე ჩაიწერა ხსენებულ რეგიონში. ხსენებული თანხისთვის თესქერეს ბოძების საკითხზე ფირმანი ჩემი ბედნიერი, მოწყალე სულთნის უდიდებულესობაზეა.

სწორია!

თელხისის თანახმად თესქერეს ბოძების განკარგულება გაიცა.

1146 წლის 27 ზილ-კაადე[1]. თესქერე გაიცა 1146 წლის ზილ-კაადეს დასაწყისში[2].

1 1146 წლის 27 ზილ-კაადე – 3.5.1734 წელი.

2 1146 წლის ზილ-კაადეს დასაწყისი – 5.4.1734 წელი.

№ 170

ის /ალაჰი/ შეეწიოს

ჩემო ბედნიერო, მოწყალეო სულთანო, ჯანმრთელად იყოს თქვენი უდიდებულესობა. ამჟამად ფოთის ციხის დასაცავად მყოფი, უმაღლესი სამეუფეო კარის თოფჩიების ყოფნის წყალობისა და ბოძების საკითხზე ბრძანება და ფირმანი ჩემი ბედნიერი და მოწყალე სულთნის უდიდებულესობაზეა.

ფოთის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის ზოგიერთი თოფჩის სარგო:

ჯარისკაცი 38. დღეები: 451, მათზე დადგენილია ჯამი – 39913.

ზემოხსენებულთა 1152 წლის მასარის[1] სარგოდ იჯმალს ითხოვენ. ბრძანება და ფირმანი ბედნიერი სულთნისაა.

დავთარი მუკაბელეს /უწყების/ თანახმად.

1154 წლის 8 მუჰარემი[2].

თელხისი.

თქვენი მონა-მორჩილის არზა ისაა, რომ ფოთის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის თოფჩიების 1152 წლის სარგოთა საბოძებლად არზუჰალი არსებობს. ფიადე კალემის /ველზე არსებული მინაწერის/ თანახმად ხსენებულ ციხეში დასაცავად მყოფი 38 ჯარისკაცი თოფჩიების ხსენებულ წელს ოთხი კვარტლის სარგოსთვის ერთი იუქი 59652 ახჩა იჯმალის ბოძების საკითხზე ფირმანი ჩემი ბედნიერი, მოწყალე სულთნის უდიდებულესობაზეა.

სწორია.

თელხისის თანახმად იჯმალის ბოძების განკარგულება გაიცა.

1154 წლის 11 მუჰარემი[3].

იჯმალი ხელზე ებოძა ხსენებული ჯამაათის ჩაუშს.

1154 წლის 11 მუჰარემი.

1 1152 წლის მასარი-1740 წლის- ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი

2 1154 წლის 8 მუჰარემი – 26.3.1741.

3 1154 წლის 11 მუჰარემი – 29.3.1741

№ 171

ის /ალაჰი/ შეეწიოს

ჩემო ბედნიერო, კეთილისმყოფელო სულთანო, ჯანმრთელად იყოს თქვენი უდიდებულესობა, ამჟამად სოხუმის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის თოფჩიების სარგოთა წყალობისა და ბოძების საკითხზე ბრძანება და ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა ჩემო ბედნიერო და მოწყალეო სულთანო,

შესაბამისი ადგილი:

სოხუმის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის ზოგიერთი თოფჩის სარგოს შესახებ:

ჯარისკაცი – 50, დღე – 446 დადგენილია ახჩა – 39471. ზემოხსენებულმა 1152 წლის მასარის[1] სარგოზე იჯმალი მოითხოვეს, ბრძანება და ფირმანი ჩემი ბედნიერი სულთნისაა, 1154 წლის 8 მუჰარემი[2].

დავთარი მუკაბელეს /უწყების/ თანახმად.

თელხისი.

თქვენი მონა-მორჩილის არზა ისაა, რომ სოხუმის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის თოფჩიების 1152 წლის[3] სარგოთა ბოძების შესახებ არზუჰალი გაიცეს, ფიადე კალემის /უწყები/ თანახმად ველზე მინაწერის თანახმად, ხსენებული ციხის დასაცავად სახეზე არსებული 50 ჯარისკაცი თოფჩიების აღნიშნული წლის ოთხი კვარტლის სარგოთათვის 157,884 ახჩას შემცველი იჯმალის ბოძების საკითხზე ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა ჩემო ბედნიერო, მოწყალე სულთანო, სწორია!

თელხისის თანახმად იჯმალი გაიცეს, ბრძანება, 11 მუჰარემი, 1154 წელი[4]. იჯმალი ხელზე ებოძა ზემოხსენებული ჯამაათის ჩაუშს, 1154 წლის 11 მუჰარემი.

446
85
2230
3568
3568
39471
4
4
1577884

1 1152 წლის მასარი – 1739 წლის აპრილი, მაისი, ივნისი

2 1154 წლის 8 მუჰარემი – 26.3.1741 წელი.

3 1152 წელი – 10.4.1739. – 28.3. 1740 წელი

4 1154 წლის 11 მუჰარემი – 29.3.1741 წელი.

ის /ალაჰი/ შეეწიოს

ჩემო ბედნიერო და მოწყალეო სულთანო, ჯანმრთელად იყოს თქვენი უდიდებულესობა, 1156 წლიდან[1] ფოთის ციხის დასაცავად დანიშნული უმაღლეს სამეუფეო კარის ჯებეჯიები კანონიერად იმყოფებიან. ოთხ-ოთხი კვარტლის სარგოთა ბოძების განკარგულების საკითხზე ბრძანება და ფირმანი ჩემი ბედნიერი სულთნის უდიდებულესობაზეა.

თქვენი მონა-მორჩილი.

შესაბამისი ადგილი:

ფოთის ციხის დასაცავად მყოფი, უმაღლესი სამეუფეო კარის ჯებეჯიების ზოგიერთი სარგო.

ჯარისკაცი – 21.

დღიური – 304.

მათზე დადგენილი თანხა: 26904.

1156 წლის მასარის[2] ზემოხსენებულთა სარგოდან იჯმალს ითხოვენ, ბრძანება და ფირმანი ჩემს ბედნიერ სულთანზეა. დავთარი მუკაბელეს /უწყების/ საფუძველზე 1154 წლის 29 ჯემაზი ულ-ეველი[3], თელხისი.

თქვენი მონა-მორჩილის არზა ისაა, რომ ფოთის ციხის დასაცავად მყოფი, უმაღლესი სამეუფეო კარის ჯებეჯიების 1156 წლის სარგოთა საბოძებლად არზუჰალი გაიცეს, ფიადე მუკაბელეს უწყებისა და ველზე გაკეთებული მინაწერის საფუძველზე 21 ჯარისკაცის ზემოხსენებული წლის ოთხი კვარტლის სარგოთათვის 107616 ახჩა იჯმალის ბოძების საკითხზე, ფირმანი ჩემი ბედნიერი და მოწყალე სულთნის უდიდებულესობაზეა, იჯმალი ხელზე ებოძა ზემოხსენებული ჩაუშების ჯამაათს.

1157 წლის ჯემაზი ულ ახირის დასაწყისი[4]

304
85
1520
2432
2432
26904
4
107616

---

1 1156 წელი – 25.2.1743 – 14.2.1744 წელი.

2 1156 წლის მასარი – 1743 წლის თებერვალი, მარტი, აპრილი.

3 1157 წლის 29 ჯემაზი ულ ეველი – 10.7.1744 წელი.

4 1157 წლის ჯემაზი ულ ახირის დასაწყისი – 12.7.1744 წელი.

№ 173

ის /ალაჰი/ შეეწიოს

ჩემო ბედნიერო და მოწყალეო სულთანო, ჯანმრთელად იყოს თქვენი უდიდებულესობა, ფოთის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის თოფჩიების აქ ყოფნა კანონიერია. 1156 წლის[1] სარგოს წყალობისა და ბოძების განკარგულების საკითხზე ბრძანება და ფირმანი ჩემი ბედნიერი სულთნის უდიდებულესობაზეა.

თქვენი მონა-მორჩილი თოფჩი.

შესაბამისი ადგილი:

ფოთის ციხის დასაცავად მყოფი, უმაღლესი სამეუფეო კარის თოფჩიების ზოგიერთი სარგო: ჯარისკაცი – 23. დღეები – 272. დადგენილია მათთვის ახჩა – 24426. ზემოხსენებულთა 1156 წლის მასარის[2] სარგოდან იჯმალი მოითხოვეს.

ბრძანება და ფირმანი ჩემს ბედნიერ სულთანზეა.

დაეთარი მუკაბელეს /უწყების/ საფუძველზე 1157 წლის 29 ჯემაზი ულ ეველი[3]. თელხისი: იჯმალი ხელზე ებოძა ზემოხსენებული ჯამაათის ჩაუშს. 1157 წლის 2 ჯემაზი ულ ახირი[4].

თქვენი მონა-მორჩილის არზა ისაა, რომ ფოთის ციხის დასაცავად მყოფი, უმაღლესი სამეუფეო კარის თოფჩიების 1156 წლის სარგოთა საბოძებლად არზუჰალი გაიცეს: ფიადე კალემის მიერ ველზე გაკეთებული მინაწერის საფუძველზე 23 ჯარისკაცი ოთხი კვარტლის ზემოხსენებული წლის სარგოა. 97704 ახჩაა. იჯმალის ბოძების საკითხზე ფირმანი ჩემს ბედნიერ და მოწყალე სულთანზეა.

სწორია. თელხისის თანახმად იჯმალი გაიცეს. ბრძანება. 1157 წლის 2 ჯემაზი ულ ახირი

276
85
1380
2208
24426
4
97744

1 1156 წელი – 25.2.1743 – 14.2.1744 წელი.
2 1156 წლის მასარი – 1743 წლის 2.3.4. თვეები.
3 1157 წლის 29 ჯემაზი ულ-ეველი – 20.7.1744 წელი.
4 1157 წლის 2 ჯემაზი ულ-ახირი – 13.7.1744 წელი.

№ 174

ის /ალაჰი/ შეეწიოს

ჩემო ბედნიერო და მოწყალეო სულთანო, ჯანმრთელად იყოს თქვენი უდიდებულესობა, სოხუმის ციხის დასაცავად დანიშნული უმაღლესი სამეუფეო კარის ჯებეჯიების 1156 წლის[1] კანონიერი გადასახადის ოთხ-ოთხი კვარტლის სარგოთა ბოძების საკითხზე ბრძანება და ფირმანი ჩემი მოწყალე სულთნის უდიდებულესობაზეა.

თქვენი მონა-მორჩილი ხსენებული: შესაბამისი ადგილი: ზოგიერთი ჯებეჯიების უმაღლესი სამეუფეო კარის, სოხუმის ციხის დასაცავად არსებული სარგო. ჯარისკაცი – 14, დღე 223, მათთვის დადგენილია – 19735

ზემოხსენებულთა 1156 წლის მასარის[2] სარგოდან იჯმალი მოითხოვეს. ბრძანება /დ/ ფირმანი ჩემი ბედნიერი სულთნისაა. 29 ჯემაზი ულ-ეველი, წელი 1157[3] თელხისი.

თქვენი მონა-მორჩილის არზა ისაა, რომ სოხუმის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის ჯებეჯიების 1156 წლის სარგოთა საბოძებლად არზუჰალი გაიცეს. ფიადე კალემისა და ველზე გაკეთებული მინაწერის საფუძველზე 14 ჯარისკაცის ოთხი კვარტლის აღნიშნული წლის სარგოთა საბოძებლად 78940 ახჩას იჯმალის, მოთხოვნის საფუძველზე, ფირმანი ჩემი ბედნიერი სულთნის უდიდებულესობაზეა.

სწორია! თელხისის თანახმად იჯმალი გაიცა. ბრძანება. 1157 წლის ჯემაზი ულ-ახირის დასაწყისი[4]. იჯმალი ხელზე ებოძა ზემოხსენებული ჯამაათის ჩაუშს. 1157 წლის ჯემაზი ულ-ახირის დასაწყისი.

223
85
1115
1784
1784
19735
4
- - - - -
7894

1 1156 წელი - 25.2.1743 - 15.2.1744 წელი

2 1156 წლის მასარი - 1753 წლის საფარი, რები ულ ეველი - რები ულ ახირი

3 1157 წლის 29 ჯემაზი ულ ეველი - 10.7. 1743 წელს

4 1157 წლის ჯემაზი ულ ახირი - 1744 წლის 12.7 - 10.8. 1744 წლის

№ 175

ის /ალაჰი/ შეეწიოს

ჩემო ბედნიერო, მოწყალეო სულთანო, ჯანმრთელად იყოს თქვენი უდიდებულესობა. ამჟამად სოხუმის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის თოფჩიებისთვის კანონიერად განკუთვნილი 1156 წლის[1] სარგოთა წყალობისა და ბოძების განკარგულების საკითხზე ბრძანება და ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა.

ჩემო ბედნიერო, მოწყალეო სულთანო.

თქვენი მონა-მორჩილი თოფჩი.

შესაბამისი ადგილი:

სოხუმის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის თოფჩიების ზოგიერთი ჯამაათის სარგოს შესახებ. ჯარისკაცები — 23. დღე — 238. დადგენილი — 20.178 ახჩა.

ზემოხსენებულმა 1156 წლის მასარის[2] სარგოს იჯმალი მოითხოვა. ბრძანება და ფირმანი ჩემს ბედნიერ სულთანზეა. 1157 წლის 29 ჯემაზი ულ-ეველი[3] დავთარი მუკაბელეს /უწყების/ თანახმად!

თელხისი.

თქვენი მონა-მორჩილის არზა ისაა, რომ სოხუმის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის თოფჩიების 1156 წლის სარგოთა საბოძებლად არზუჰალი არსებობს. ფიადე კალემის /უწყების/ ველზე მინაწერის საფუძველზე ხსენებული წლის ოთხი კვარტლის სარგომ 80.172 ახჩა შეადგინა. ამაზე იჯმალის ბოძების საკითხზე ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა ჩემო ბედნიერო, მოწყალეო სულთანო. იჯმალი ხელზე ებოძა ხსენებული ჯამაათის ჩაუშს. 1157 წლის 2 ჯემაზი ულ-ახირი[4]. სწორია! თელხისის თანახმად იჯმალი გაიცეს. ბრძანება, 1157 წლის 2 ჯემაზი ულ-ახირი. 228

85

1140

1824

20178 80.712 4

---

1 1156 წელი — 25. 2. 1743 — 14. 2. 1744 წელი

2 1156 წლის მასარი — 1743 წლის III, III, IV თვეები

3 157 წლის 29 ჯემაზი ულ-ეველი — 10. 7. 1744 წელი.

4 1157 წლის 2 ჯემაზი ულ-ახირი — 13. 7. 1744 წელი.

№ 176

ის /ალაჰი/ შეეწიოს

ჩემო ბედნიერო მოწყალეო ბატონო სულთანო, ჯანმრთელად იყოს თქვენი უდიდებულესობა. ფოთის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის თოფჩიები დამოუკიდებლები არიან. 1161 წელს[1] ოთხი კვარტლის სარგოთა ბოძებისა და წყალობის საკითხზე ბრძანება და ფირმანი ჩემი ბედნიერი და მოწყალე ბატონი სულთნის უდიდებულესობაზეა.
შესაბამისი ადგილი.

ფოთის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის ზოგიერთი თოფჩის სარგო: ჯარისკაცი – 57, დღეები – 504, მათზე გადაკვეთილი ახჩა – 44604.

აღნიშნული 1161 წლის მასარის[2] სარგოდან იჯმალი მოითხოვეს. აწი ფირმანი ჩემს ბედნიერ სულთანზეა.
დავთარი მუკაბელეს (უწყების) მიხედვით. დაიწერა 7 ჯემაზი ულ-ახირს[3], წელი 1161. თელხისი: იჯმალი ხელზე ებოძა ზემოხსენებული ჯამაათის ჩაუშს. 10 ჯემაზი ულ-ეველი, 1161 წელი[4].

თქვენი მონა-მორჩილის არზა ისაა, რომ ფოთის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის თოფჩიების 60 წლის სარგოთათვის არზუჰალი არსებობს. ფიადე მუკაბელეს /უწყების მიერ/ გაკეთებული მინაწერის საფუძველზე 57 ჯარისკაცის ზემოხსენებულ წელს არსებული ოთხი კვარტლის სარგოთათვის ერთი იუქი და 78416 ახჩაა. იჯმალის ბოძების საკითხზე ფირმანი ჩემი ბედნიერი და მოწყალე სულთნის უდიდებულესობაზეა.
სწორია!
თელხისის საფუძველზე იჯმალი გაიცა. ბრძანება. 10 ჯემაზი ულ-ეველი, წელი 1161.

252	504
4032	85
4030	-------
44604	

178416	

1 1161 წელი – 2. 1. 1748 – 21. 12. 1748 წელი.
2 1161 წლის მასარი – 1748 წლის იანვარი, თებერვალი, მარტი
3 1161 წლის 7 ჯემაზი ულ-ახირი – 4. 6. 1748 წელი.
4 1161 წლის 10 ჯემაზი ულ-ეველი – 8. 5. 1748 წელი.

№ 177

ის /ალაჰი/ შეეწიოს !

ჩემო ბედნიერო, კეთილისმყოფელო სულთანო, ჯანმრთელად იყოს თქვენი უდიდებულესობა. სოხუმის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩართა ჯარისკაცებზე 1159 წლისათვის[1] კანონიერად არსებული ოთხი კვარტლის სარგოთა წყალობისა /და/ ბოძების განკარგულების საკითხზე ბრძანება /და/ ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა ჩემო ბედნიერო, კეთილისმყოფელო ბატონო სულთანო.

თქვენი მონა-მორჩილი.

შესაბამისი ადგილი:

სოხუმის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩართა ზოგიერთი ჯამაათის სარგო 1159 წლის მასარს[2].

არსებული წესის თანახმად, სოხუმის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩართა 1159 წლის მასარის სარგო კანონიერია. ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა ჩემო ბედნიერო /და/ მოწყალეო სულთანო.

თელხისი

თქვენი მონა-მორჩილის არზა ისაა, რომ სოხუმის ციხის დასაცავად მყოფი სამეუფეო კარის იანიჩართა 1159 წლის სარგოთა ბოძების შესახებ არზუჰალი გაიცეს. იანიჩართა ქათიბის ველზე მინაწერის თანახმად, ოთხი კვარტლის აღნიშნული წლის სარგოთა . . . იჯმალის ბოძების საკითხზე ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა ჩემო ბედნიერო, მოწყალეო სულთანო.

სწორია!

თელხისის თანახმად იჯმალი გაიცეს. ბრძანება.

---

1 1159 წელი — 24. 1. 1746 — 12. 1. 1747.

2 1159 წლის მასარი — 1746 წლის იანვარ, თებერვალ, მარტი.

№ 178

ის /ალაჰი/ შეეწიოს

სწორია!

თელხისის თანახმად იჯმალი გაიცა, ბრძანება, 7 ჯემაზი ულ-ეველი, წელი 1161[1], თქვენი მონა-მორჩილის არზა ისაა, რომ სოხუმის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის ჯებეჯიების 60 წლის[2] სარგოსთვის არზუჰალი არსებობს, ფიადე მუკაბელეს /უწყების/ ველზე გაკეთებული მინაწერის თანახმად, 101 ჯარისკაცის ხსენებულ წელს ოთხი კვარტლის სარგოსთვის,

შესაბამისი ადგილი:

ზოგიერთი ჯებეჯიების სარგო, უმაღლესი სამეუფეო კარის სოხუმის ციხის დასაცავად მყოფთა:

ჯარისკაცი: 101

დღეები 857

დაწესებულია მათთვის – 75844

ზემოხსენებულთა 1161 წლის მასარის[3] სარგოდან იჯმალი მოითხოვეს, ბრძანება და ფირმანი ჩემი ბედნიერი სულთნისაა.

დავთარი მუკაბელეს /უწყების/ საფუძველზე დაიწერა 1161 წლის 6 ჯემაზი ულ-ეველს[4].

1 1161 წლის 7 ჯემაზი ულ-ეველი – 3. 5. 1748 წელი.
2 1160 წელი – 1747 წელი მთლიანად.
3 1161 წლის მასარი: 1748 წლის I, II, III თვეები.
4 1161 წლის 6 ჯემაზი ულ-ეველი – 2. 5. 1748 წელი.

ის /ალაჰი/ შეეწიოს.

ჩემო ბედნიერო და მოწყალეო სულთანო, ჯანმრთელად იყოს თქვენი უდიდებულესობა. ფოთის ციხის დასაცავად დანიშნული უმაღლესი სამეუფეო კარის ჯებეჯიების 1161 წლიდან[1] კანონიერად არსებული 4-4 კვარტლის სარგოთა ბოძებისა და წყალობის გაცემის საკითხზე ბრძანება და ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა ჩემო ბედნიერო სულთანო.

თქვენი ზემოხსენებული მონა-მორჩილი. შესაბამისი ადგილი. უმაღლესი სამეუფეო კარის ფოთის ციხის დასაცავად მყოფი ზოგიერთი ჯებეჯის სარგო. ჯარისკაცი – 76. დღე – 641. დაწესებულია – 56728 ახჩა.

ზემოხსენებულთა 1161 წლის მასარის[2] სარგოდან იჯმალი მოითხოვეს, ბრძანება და ფირმანი ჩემს ბედნიერ სულთანზეა. დავთარი მუკაბელეს (უწყების) საფუძველზე, 1162 წლის ჯემაზი ულ-ახირის 22[3]. თელხისი:

თქვენი მონა-მორჩილის არზა ისაა, რომ ფოთის ციხის დასაცავად მყოფი, უმაღლესი სამეუფეო კარის ჯებეჯიების 1161 წლის სარგოთა შესახებ არზუჰალი გაიცეს. ფიადე კალემის (უწყების)ველზე გაკეთებული მინაწერის საფუძველზე, 76 ჯარისკაცის, ზემოხსენებული წლის ოთხი კვარტლის სარგოთა შესახებ ორი იუქი /და/ 26912 ახჩაა. იჯმალის ბოძების საკითხზე ფირმანი ჩემს ბედნიერ და მოწყალე სულთნის უდიდებულესობაზეა.

სწორია!

თელხისის თანახმად იჯმალი გაიცა, ბრძანება.

იჯმალი ხელზე ებოძა ზემოხსენებული ჯამაათის ჩაუშს 1162 წლის 28 ჯემაზი ულ-ახირს[4].

641
85
3205
5128
56728
4
226912

1 1161 წელი – 1748 1-12 თვეები

2 1161 წლის მასარი – 1748 წლის იანვარ, თებერვალ, მარტი.

3 1162 წლის 22 ჯემაზი ულ-ახირი – 9. 6. 1749 წელი.

4 1162 წლის 28 ჯემაზი ულ-ახირი – 15. 6. 1749 წელი.

№ 180

ის /ალაჰი/ შეეწიოს!

ჩემო ბედნიერო, მოწყალეო სულთანო, ჯანმრთელად იყოს თქვენი უდიდებულესობა. სოხუმის ციხის დასაცავად დანიშნული უმაღლესი სამეუფეო კარის ჯებეჯიების ჯარისკაცები 1161 წლიდან[1] კანონიერად ითვლებიან. ოთხ-ოთხი კვარტლის იჯმალის ბოძებისა და წყალობის გაცემის საკითხზე ბრძანება და ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა ჩემო ბედნიერო სულთანო. ხსენებული თქვენი მონა-მორჩილი.

შესაბამისი ადგილი:

სოხუმის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის ზოგიერთი ჯებეჯის სარგოს შესახებ. ჯარისკაცი — 80. დღე — 700. დაწესებულია — 61950 ახჩა. ზემოხსენებულმა 1161 წლის მასარის[2] სარგოს იჯმალი მოითხოვეს. ბრძანება /და/ ფირმანი ჩემს ბედნიერ სულთანზეა.

1162 წლის 22 ჯემაზი ულ-ახირი[3]. დავთარი მუკაბელეს / უწყების/ თანახმად.ბოლუქი — 105. თელხისი.

თქვენი მონა-მორჩილის წინადადება ისაა, რომ სოხუმის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის ჯებეჯიების 1161 წლის სარგოთა შესახებ არზუჰალი გაიცეს. ფიადე კალემის /უწყების/ ველზე მინაწერის თანახმად, 80 ჯარისკაცის აღნიშნული წლის ოთხი კვარტლის სარგოს სახით 2 იუქი /და/ 477800 ახჩაა. ამაზე იჯმალის ბრძანების საკითხზე ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა ჩემო ბედნიერო /და/ კეთილისმყოფელო სულთანო.

სწორია!

თელხისის თანახმად იჯმალი გაიცეს. ბრძანება. 1162 წლის 28 ჯემაზი ულ-ახირი[4]. იჯმალი ხელზე ებოძა ხსენებული ჯამაათის ჩაუშს. 1162 წლის ჯემაზი ულ-ახირი[5]. მეორე გვერდზე:

700
85

3500
5600
5600

61950
4

247800

1 1161 წელი — 2. 1. 1748 წელი — 21. 12. 1748 წლისა.

2 1161 წლის მასარი — 1748 წლის იანვარი, თებერვალ, მარტი.

3 1162 წლის 22 ჯემაზი ულ-ახირი — 9 ივნისი 1749 წელი.

4 1162 წლის 28 ჯემაზი ულ-ახირი — 15 ივნისი 1749 წელი.

5 1162 წლის ჯემაზი ულ –ახირი – : 1748 წლის 19.5-16.6

№ 181

ის /ალაჰი/ შეეწიოს

ჩემო ბედნიერო, მოწყალეო სულთანო, ჯანმრთელად იყოს თქვენი უდიდებულესობა, ფოთის ციხის დასაცავად დანიშნული უმაღლესი სამეუფეო კარის თოფჩიების ჯარისკაცები 1176 წლისთვის[1] კანონიერად ითვლებიან. ოთხი კვარტლის სარგოთა ბოძებისა და წყალობის ბოძების განკარგულების შესახებ ბრძანება და ფირმანი ჩემს ბედნიერ და მოწყალე სულთნის უდიდებულესობაზეა.

თქვენი მონა-მორჩილი თოფჩი. შესაბამისი ადგილი: ფოთის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის თოფჩიების ზოგიერთი სარგოს შესახებ. ჯარისკაცი – 21. დღიური – 180. მათზე დაწესებულია ახჩა – 15930.

1176 წლის მასარის[2] ზემოხსენებულთა სარგოს იჯმალი მოითხოვეს. ბრძანება და ფირმანი ჩემს ბედნიერ სულთანზეა. 1177 წლის 18 საფარი[3]. დავთარი მუკაბელეს (უწყების) საფუძველზე. თელხისი.

თქვენი მონა-მორჩილის არზა ისაა, რომ ფოთის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის თოფჩიების 1176 წლის სარგოთა საბოძებლად არზუჰალი გაიცეს. ფიადე მუკაბელეს /უწყების მიერ/ ველზე გაკეთებული მინაწერის საფუძველზე 21 ჯარისკაცის ზემოხსენებულ წელს ოთხი კვარტლის სარგოს 73740 ახჩას ბოძების საკითხზე ფირმანი ჩემს ბედნიერ და მოწყალე სულთნის უდიდებულესობაზეა.

სწორია !

თელხისის საფუძველზე იჯმალი გაიცა. 1177 წლის 20 საფარი.[4] იჯმალი ხელზე ებოძა ზემოხსენებული ჯამაათის ჩაუშს. 1177 წლის 20 საფარი.

180
85
900
1140
1140
15930
4

63720

1 1176 წელი – 23. 7. 1762 – 11. 7. 1763 წელი

2 1176 წლის მასარი – 1762 წლის 7. 8. 9. თვეები.

3 1177წლის 18 საფარი – 28. 8. 1763 წელი.

4 1177 წლის 20 საფარი – 30. 8. 1763 წელი.

№ 182

ის /ალაჰი/ შეეწიოს !

ჩემო ბედნიერო, მოწყალეო სულთანო, ჯანმრთელად იყოს თქვენი უდიდებულესობა, სოხუმის ციხის დასაცავად დანიშნული უმაღლესი სამეუფეო კარის თოფჩიების ჯარისკაცებისთვის 1176 წელს[1] კანონიერად არსებული ოთხი კვარტლის სარგოთა ბოძებისა და წყალობის განკარგულების საკითხზე ბრძანება და ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა ჩემო ბედნიერო და მოწყალეო სულთანო.

თქვენი მონა-მორჩილი თოფჩი. შესაბამისი ადგილი: სოხუმის ციხის მცველად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის ზოგიერთი თოფჩის სარგო: ჯარისკაცი – 24, დღე: 354, დაწესებულია ახჩა: 31329.

ზემოხსენებულებმა 1176 წლის მასარის[2] სარგოს იჯმალი მოითხოვეს. ბრძანება და ფირმანი ჩემს ბედნიერ სულთანზეა.

დავთარი მუკაბელეს /უწყების/ თანახმად, 1177 წლის 18 საფარი[3]. თელხისი:

თქვენი მონა-მორჩილის არზა ისაა, რომ სოხუმის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის თოფჩიების 1176 წლის სარგოთა ბოძების შესახებ არზუჰალი გაიცეს, ფიადე მუკაბელეს /უწყების/ ველზე მინაწერის თანახმად, 24 ჯარისკაცის აღნიშნული ოთხი კვარტლის სარგოს 125,316 ახჩას იჯმალის ბოძების საკითხზე ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა ჩემო ბედნიერო და კეთილისმყოფელო სულთანო.

სწორია!

თელხისის საფუძველზე იჯმალი გაიცეს, ბრძანება, 1177 წლის 20 საფარი[4]. იჯმალი ხელზე ებოძა ზემოხსენებული ჯამაათის ჩაუშს. 1177 წლის 20 საფარი.

354
85
1770
2832
2832
31329
4
125313

1 1176 წელი – 23. 7. 1762 – 11. 7. 1763 წელი

2 1176 წლის მასარი – 1762 წლის იელის, აგვისტო, სექტემბერი

3 1177წლის 18 საფარი – 28. 8. 1763 წელი.

4 1177 წლის 20 საფარი – 30. 8. 1763 წელი.

№ 183

ჩემო ბედნიერო, მოწყალეო სულთანო, ჯანმრთელად იყოს თქვენი უდიდებულესობა. ფოთის ციხის ჯებეჯიებისთვის ამჯერად გაგზავნილი დიდებული ფირმანი გამოვიდა. მაღალი ღვთის წყალობით, ტრაპიზონის ციხიდან ფოთის ციხეში გასაგზავნი ურიცხვი ტვირთიდან მხოლოდ ტრაპიზონის საბაჟო იყო მოქმედი. ჯარისკაცები ამოქმედდნენ. მაღალი ბრძანება გამოვიდა. ბრძანება და ფირმანი ჩემი ბედნიერი, მოწყალე სულთნის უდიდებულესობაზეა.

თქვენი მონა-მორჩილი: ზემოხსენებული.

დიდად პატივცემულო დავთარდარ ეფენდი, ბრძანება გაიცა, გადაწყვეტილება მიიღეთო. ნათქვამია, ბრძანება გაიცა.
1185 წლის 27 შევალი[1].

1 1185 წლის 27 შევალი – 3. 2. 1772 წელი.

თქვენი უმწეო მლოცველის მარუზა სამეუფეო კარისადმი ისაა, რომ ამჟამად შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე ფოთის ციხის დასაცავად დანიშნული იამაკები ჰუსეინ აკ ბაშის მსახურებია. იმთავითვე სამსახურის დაცვაში იმყოფებოდნენ. იანიჩართა ოჯახში უძველესი პენსიონერები და ჩინოვნიკები იყვნენ, მთლიანად გამორჩეულნი, განდიდებულნი და წარმატებულნი იყვნენ. კვლავ კარის მცველებად იყენებდნენ და მაღალი პიროვნებები ველარ ხდებოდნენ. ვერაგობასა და ძველ ვითარებას კვლავ ინარჩუნებდნენ. ფადიშაჰისთვის თხოვნის ბოძების და პატივისცემის წყალობის არასწორ გზას დამდგარი მსახურები იყვნენ. მაღალი წყალობა ღვთისაგან ებოძათ და დალოცვილ იქნენ. ხსენებულმა ჰუსეინ ეველი ბაშიმ თავის მსახურებზე უკანასკნელი მოწყალება გაიღო. ხსენებულმა იამაკ ეველი ბაშილიქიმ ფადიშაჰის წყალობით თავისი სამსახურით ოჯახში ჩირაღი და სიხალისე შეიტანა. მრავალფეროვნება მოჰგვარა. ხელზე ძველი კანონი ხანდაკის ოჯახისა უბოძა და უწყალობა. ეს სიცოცხლე იყო მისთვის. მისი გახანგრძლივება სახელმწიფოს ბედნიერება იქნება. მომხდარი ვითარება ოჯახის ზღურბლისათვის ცხოერების მხრივ გასაგები იყო. აწი ბრძანება მაღალი ღვთისაა. დაიწერა 1185 წლის საფარს[1]. მლოცველი ღვთისა მაჰმუდი ხალიფა /მოადგილე/ ფოთისა.

შეუნდოს უფალმა.

1 1185 წლის საფარი – 16. 5. 1171 – 13. 6. 1771 წელი.

თქვენი ბედნიერი სიცოცხლის ხანგრძლივობისათვის მლოცველის არზა ისაა, რომ ფოთის ციხის დასაცავად მყოფი მსახურთაგან, უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩართა სამსახურში მყოფი, უწინდელი ექვსი ჩაუში მსახურები იყვნენ. ოთხივენი ადრევე გარდაიცვალნენ. ორი ჩაუში მსახური სახეზეა. თუმცა რადგანაც ხსენებულნი განდიდებულნი იყვნენ, ამ დღეს მათი აჯანყებისას, ამ სისულელის ჩადენის ჟამს, იანიჩართა თავზეხელაღებულ მსახურთაგან, მათი შესაძლებლობების შეუძლებლობის ჟამს, აღნიშნული სასაზღვრო ზონა ორი ჩაუშის საქმიანობით შემოიფარგლა, იგი მათი დანიშვნის აუცილებლობით განისაზღვრა. მათ აქ გააჩნდათ ხორცის საჭიროება. ხსენებული ციხის უწინდელ იანიჩართა აღა-ჩაუშ ზადე აჰმედ აღად წოდებული პირი, გარდაცვლილი სალბ ოღლი აბდურრაჰმანი და უწინდელი სერდენგეჩთიანი – ალი ბენ აიუბად წოდებული პირები, მსახურები ყოველ შემთხვევისათვის ვაჟკაცურად და მამაცურად, მტკიცედ იდგნენ ხსენებულის სამსახურში. ძლევამოსილ საზღვარზე დამონებული მოსახლეობის შესაძლებლობანი და ძალები არაფერი არ იყო. ისინი ხსენებული მშენებლობის დროს გარკვეულ სამსახურს ეწეოდნენ. გარკვეული საქმიანობის შემდეგ ხსენებულმა მსახურებმა ჩაუშებთან ერთად, ჩირაღი და ამანათი აღმართეს და უმაღლეს ზღურბლს / სასულთნო კარს/ არზა წარუდგინეს. ამასთანავე ბრძანება /და/ ფირმანი ჩემი ბატონის, სულთნის უდიდებულესობაზეა. დაიწერა 1185 წლის 3 საფარს[1].

თქვენი მონა-მორჩილი ალ-ჰაჯი სადიკი, მუთასარიფი გონიოსი და მცველი ფოთისა ამჟამად.

1 1185 წლის 3 საფარი – 18. 5. 1771 წელი.

№ 186

თქვენი ხანგრძლივი ბედნიერებისათვის მლოცველის არზა ისაა, რომ ფოთის ციხის დასაცავად დანიშნული ეექილი, თოფჩიანი ილ-ჰაჯ მუსტაფა აღას ჯარისკაცები თავისუფალი და დამოუკიდებულნი არიან. თოფჩის სამსახურში მყოფი მოხუცები და პენსიონერები მათი მონები არიან. მოსკოველმა ქაფირებმა აღნიშნულ ციხეს როცა ალყა შემოარტყეს, მისი ხსენებული აღა თავისი ქვეშევრდომებით ისროდნენ ზარბაზნებიდან. ოსტატები ზედმეტი საზრუნავი და საფიქრალნი გახდნენ. ოჯახში, წესის მიხედვით, გადაბერებულები /ოთურაკები/ ღირსეული და უმწიკლო მსახურები იყვნენ. მოწყალება ღვთისაგან გააჩნდათ. მოხუცებსა და სამსახურიდან გასულ პირებს მოწყალება 60 ახჩა სარჩო გააჩნდათ წლიურად. ჩირაღისა და განახლების განკარგულების საკითხზე ფეხთამტვერს ქვეყნისას არზა გაეგზავნა. სახელმწიფოს მონა-მორჩილის ბრძანება /და/ ფირმანი ჩემი ბატონის – სულთნის უდიდებულესობაზეა.

თქვენი მონა-მორჩილი ილ-ჰაჯ სადიკი, მუთასარიფი გონიოსი და მცველი ფოთისა.

დაიწერა 1185 წლის 5 საფარს[1].

1 1185 წლის 5 საფარი – 20. 5. 1771 წელი.

თქვენი ხანგრძლივი სიცოცხლის ბედნიერებისათვის არსებული არზა ისაა, რომ ფოთის ციხის დასაცავად ჩაყენებულ დიდებულ ჯარისკაცებთან ერთად იანიჩართა ოთხი დანაყოფი, ჯებეჯიების, თოფჩის რაზმების ერთად ყოფნა აკრძალულია იყო. მათი ერთად ყოფნა საჭირო და აუცილებელი იყო. თავიდანვე პირველი ჯამაათის ჯარისკაცთა გაგზავნა საჭირო იყო, იგი საჭირო იყო არსებული ვითარების წარმოსადგენად. არზა და გადაწყვეტილება როცა გაიცა, ბათუმის რაიონის მსახურთა და საზღვრის შიდა ტერიტორიაზე ჯარისკაცთა გამოყენება მთლიანად გასათვალისწინებელი გახდა. ამ ჯარისკაცებმა ლოცვა და ვედრება აღავლინეს, ისინი აღნიშნულ ციხეში იმყოფებოდნენ. ყოველი შემთხვევისათვის, სასაზღვრო ჯარისკაცთა მოსახლეობის სურვილი და განწყობილება პატივისცემით იქნა გარემოსილი. ბათუმის რაიონის ძალაუფლება ხსენებულ ციხეს გადაეცა. დიდებული ოჯახის გავლენა და შთაბეჭდილებანი აღნიშნულ ორთას დაექვემდებარა. იანიჩართა სამ დანაყოფს, ჯებეჯის, თოფჩის დანაყოფებს სახნავი კავი ფირშახის ციხეს გადაეცა. მათგან მეთაურის დანიშვნის საკითხზე, სახელმწიფოს ფეხთა მტვერს არზა ებოძა. ბრძანება და ფირმანი ჩემი ბატონის სულთნის უდიდებულესობაზეა.

დაიწერა 1185 წლის 11 საფარს[1].

თქვენი მონა-მორჩილი ელ–ჰაჯი სადიკი მუთასარიფი, გონიოსა და ფოთის მცველი ამჟამად.

1 1185 წლის 11 საფარი – 26. 5. 1771 წელი.

თქვენი ხანგრძლივი სიცოცხლის ბედნიერებისათვის მუდამ მლოცველის მარუზა ისაა, რომ ფოთის ციხის დამცველები აჰმედ ეფენდი და მუსტაფა ეფენდი 60 ახჩა ხელფასით, ერთმანეთის მიყოლებით იდგნენ. არც ძლიერ მუსტაფა ეფენდისა და არც აჰმედ ეფენდის რაიმე განკარგულების გაცემის უფლება არ გააჩნდათ. მათ შორის დიდი სადაო და მძიმე საკითხი თუ წამოიჭრებოდა, მაშინათვე ხაზინას მიუვარდებოდნენ, აღნიშნულ სასაზღვრო ტერიტორიაზე მოსახლეობა, მოსამსახურეები დასვენებულები იყვნენ. ისინი თავს ესხმოდნენ შარიათის მეთაურებს. ისინი მსახურებთან მოვიდნენ, წინადადება მისცეს და წესრიგი დაამყარეს, თავზე ფეთვა აღიელინეს. ხსენებულებმა ამის ნება არ დართეს. ისინი საზღვარზე იყვნენ პატიოსნად. ამის შემდეგ მათ დავალება არ მიუღიათ. აჯა-ვედრებას ისინი გონიერებით შეხვდნენ. ცუდ ზამთარშიც მშვენიერად გრძნობდნენ თავს. ხსენებულ მცხოვრებთაგან ისმაილ ეფენდიმ, სახელმწიფოსათვის მლოცველი, ყოველი შემთხვევისათვის მშვიდად და კანონიერად იყო. ფეთვა პატიოსანი აჰმედ ეფენდის მიერ იქნა აღელენილი, ისმაილ ეფენდიმ მლოცველებს დავალება და შეკვეთა მისცა. კმაყოფილი დარჩა, სათხოვარი ჰქონდა. შარიათის მიხედვით, როდესაც გაიგეს, რომ აჰმედ ეფენდის და მუსტაფა ეფენდის შორის დავა იყო, ძლევამოსილი საზღვრის, მოსახლეობას დასვენება არ ეწერა. სადაო ძლევამოსილი საზღვარი ისლამის ტერიტორიის ზღურბლზეა. ერთმანეთის მიმართ კეთილშობილებითა და პატივისცემით იყვნენ. ხსენებულთაგან ისმაილ ეფენდიმ მლოცველებს სასიყვარულო პატიოსანი ფეთვა უწყალობა. საზღვრის გასავლებად ბედნიერების სამეუფეო კარს არზა წარუვლინა. ამასთანავე ბრძანება და ფირმანი და დიდებული წყალობა ჩემი ბატონის, ჩემი სულთნის უდიდებულესობაზეა. დაიწერა 1185 წლის 7 საფარს[1].

თქვენი მონა-მორჩილი ილ-ჰაჯი სადიკი, მუთაბარიფი გონიოსი და მცველი ფოთისა ამჟამად.

1 1185 წლის 7 საფარი — 22. 5. 1771 წელი.

თქვენი უმორჩილესი მლოცველის არზა უმაღლესი სამეუფეო კარის ბედნიერებისადმი ისაა, რაც აქაა გადმოცემული. ამჟამად ისლამის ქვეყნის საზღვრიდან ფოთის ციხის დამცველთაგან უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩართა სასახურში მყოფი უწინდელი ჩაუშები იმთავითვე მიიცვალნენ. ორი მსახური ჩაუში სახეზე იყო, ისინი ამაყად გამოიყურებოდნენ. ამ დღეს, ამ არეულობის მსახურთა წინააღმდეგ აჯანყების შესაძლებლობანი არ გააჩნდათ, მაშინ როდესაც ფადიშაჰის სასაზღვრო ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ მაშინ თავი გამოიდო ერთმა მსახურმა ჩაუშმა, მან მორჩილება აუცილებელ საჭიროებად მიიჩნია. რადგანაც ხსენებული ციხის უწინდელი იანიჩრები იყვნენ, ჩაუშ ზადე აჰმედ აღა, გარდაცვლილი სალიბის შვილი, აბდურრაჰმანი და ძველთაგანვე თაზეხელაღებულად მყოფი ალი ბენ აიუბი, ყოველ შემთხვევისათვის ამაყად და რაინდულად იყვნენ. ხსენებულ სამსახურს მამაცი მსახურნი ღირსეულად შეეგებნენ. ურიცხვი და უამრავი საღვთო ქვეყნის სამეუფეოთაგან საჭირო ლოცვანი აღავლინეს. მათი მონა-მორჩილი კაიმაკამის ჩაუშობით ჩადენილი ცოდვები და მიტევებათა სათხოვნელად სურვილები აღუსრულეს. არსებულის მიხედვით, ბედნიერების ტახტს ემთხვივნენ, სამეუფეო კარის გადაწყვეტილება მიიღეს. აწი ბრძანება მაღალი შერიფისაა.

დაიწერა 1185 წლის 2 საფარს[1].

მლოცველი აჰმედი ფოთის კაზას ხალიფა.

შეუნდოს უფალმა, ხსენებული.

1 1185 წლის 2 საფარი — 17. 5. 1771 წელი

თქვენი სიცოცხლის ბედნიერების დღეგრძელობისათვის არზა ისაა,რომ ფოთის ციხის იანიჩართა აღას – იბრაჰიმ აღას მსახურნი დაიხოცნენ. ციხის დანაწილების გამო იგი გამოუსადეგარი იყო. ხსენებულ ციხეში ძველი მსახურები უსაქმურად დარჩნენ, ხსენებულ ციხეში ძველ მსახურთაგან სერდენგეჩთიების აღათაგან მუსტაფა აღა თავისი მსახურებით ემსაჴურებოდა აღნიშნულ ციხეს. გამარჯვებისას იგი გულუხვად გაიღებდა ხარჯებს, დიდ გასავალში იყო დაბალი ხარისხის საქონელი. სახელმწიფოს ბედნიერების შუამდგომლობასა და თხოვნა ვედრებას აღნიშნული მუსტაფა აღა სიამოვნებით იღებდა. მან აღნიშნული ციხის აღაობა და სიდიადე და სამეუფეო წყალობა მიიღო. ჩირაღის ბრძანების საკითხზე ბრძანება და ფირმანი ჩემი ბატონის, სულთნის უდიდებულესობაზეა.

თქვენი მონა-მორჩილი ილ ჰაჯი სადიკი მფლობელი გონიოსი და მცველი ფოთისა ამჟამად.

დაიწერა 1185 წლის 29 მუჰარემს[1].

1 1185 წლის 29 მუჰარემი – 14. 5. 1771 წელი.

თქვენი უმორჩილესი მლოცველის არზა უმაღლესი სამეუფეო კარის ბედნიერებისადმი ისაა, რაც აქვეა გადმოცემული. საქართველოს საზღვარზე ისლამის ქვეყნის საზღვრიდან ფოთის ციხის დასაცავად მის სანახებში მდებარე გრიგოლეთის სახელწოდებით ცნობილი ხსენებული კოშკი იმთავითვე პატიოსანი, დიდებული ბერათის მიხედვით იყო. აიუბის სახელწოდებით ცნობილი პირი, როდესაც გარდაიცვალა, დატოვებული ცარიელი ადგილიდან, ჯელფ ოღლი ალის მსახურნი ღატაკნი დარჩნენ, ხანგრძლივი დროის განმავლობაში ძლიერი სარჩოს საჭიროება იყო. შეიწყალეს, დიდი და პატარა დასახელებული პუნქტებიდან ხსენებული აღაობის თანამდებობის მიღების საკითხზე ოცნებობდა. ამასთანაე არზა წარადგინეს. ბათუმის მკვიდრთაგან ჰუსეინ აღა დაწინაურდა.. ხელზე თანხა როდესაც დაიანგარიშა, ლოცვა დაიწყო, ვიღაცეებს გაუჯავრდა. არზა და ცნობა უბოძეს, მას დიდებული, პატიოსანი ბერათი უწყალობეს. ალი ჩვენ ვერაგულად მოგვექცა. შემდეგ იგი დამარცხდა. თავის ულუფებს ღვთის შეწევნით თუ დახარჯავდა. წყალობისა და საღვთო ჰუჯეთის სიკეთისათვის თუ ილოცებენ. ხსენებული თანხა ალის მსახურებში გაიცა, მათ სანაცვლოდ არსებული დიდებული, პატიოსანი ბერათის საბოძებლად, განკარგულების გასაცემად მოსახლეობა მისი სურვილისამებრ იმოქმედებს. ტახტის ზღურბლს ეამბორნენ, უმაღლეს სამეუფეო კარს აჯა-ვედრება და არზა და ამბავი აუწყეს. აწი ბრძანება და განკარგულება ღვთისაა.

მლოცველი სახელმწიფოსათვის ხალიფა ფოთის კაზისა.

შეუნდოს უფალმა.

დაიწერა 1185 წლის 25 მუჰარემს[1].

1 1185 წლის 25 მუჰარემი — 10. 5. 1770 წელი.

თქვენი მონა-მორჩილის არზა ისაა,რომ ამჯერად ჭანეთის მუჰასილი ჰაჯი ალი ბეგის ჯარისკაცები სამეუფეო ტახტზე იმყოფებიან, შავი ზღვის მხარეში არსებული კაზებიდან ფოთის დაცვაში არიან დანიშნულნი, 15 თავზეხელაღებული ბაირაღების მიერ ბრძოლის დასაწყებად გაიცა ბრძანება, დიდებული ბრძანების გასაცემად უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩრების ოჯახიდან დანიშნული ერთი ჯარისკაცი ჩაუშის ბრძანების სათხოვნელად,მათი ოჯახის მიერ არზუჰალი გაიცა,უწინდელი ანგარიშის მიხედვით,ერთი ჯარისკაცი ჩაუშისთვის 50 ყურუში თესქერეს ბოძების საკითხზე ფირმანი ჩემი ბედნიერი მოწყალე სულთნის უდიდებულესობაზეა.

თესქერე გაიცა 1185 წლის 23 რები ულ-ეველს[1].

სწორია !

თელხისის თანახმად თესქერეს ბოძების საკითხი იქნა ნაბრძანები. 1185 წელი 23 რები ულ-ეველი.

სწორია.

1 1185 წლის 23 რები ულ-ეველი – 6. 7. 1771 წელი.

უმაღლესი სამეუფეო კარის კაფუჯი ბაშიების ფეხთა მტვერს: ფოთის, სოხუმისა და ანაკლიის ციხეების მშენებლობის ემინს – მუსტაფა აღას, ჯარისკაცების მიერ ჩატარებული აღწერის ხულასაში რეგისტრირებული პარაგრაფის განახლებული ასლის შესახებ. მართლმორწმუნე სახელმწიფოსათვის მლოცველი სხვა უერთგულესთა შორის ქვემოთ მოხსენებული ემინის სამსახური იმთავითვე იყო ცნობილი. ამჯერად არსებული ფირმანით, ხელახლა გამოცხადებული, გამოცემული დიდებული ფირმანის თანახმად მოსახლეობის განწყობილება დამაკმაყოფილებელი იყო, აუცილებლობა მოითხოვდა მიმარ აღას ჯარისკაცთაგან ინფორმაცია მიეღოთ. ხსენებული მესამე ციხის ხარჯებისთვის გაიგზავნა. ველზე გაკეთებული მინაწერი რეგისტრირებულია. საერთო განსწავლულობისა და მშენებლობის ემინის ზემოხსენებული ხაზინის საკითხებზე ამას წინათ, 1195[1] წელს, მოსახლეობას გაესაუბრნენ. შემდეგ 1196 წელს[2] ბრძანება მიეცა მსახურს. ამ თარიღის მოახლოებისთანავე ხსენებული ციხე არ გაიხსნა. სხვა რაც უნდა მოხდეს, ზღვაოსნობის დროს, მსახური გაემართა. ღვთის შეწევნით, იმ გაზაფხულზე ერთი კაცი მიმარ ხალიფა დაინიშნა. მოსახლეობაში შარიათის შემწეობით,ფაშას მფარველობით,და სხვათა, ცნობილი ზედამხედველების დახმარებით,დავთრის დაკაებისა და წესრიგის მოგვარების საკითხი გადაწყდა. სახელმწიფოსათვის ცნობილია, ასევე ცნობილია ზემოხსენებულთათვისაც, ღვთის წყალობით იმ ზაფხულს მიმარ ხალიფა დაინიშნა, ეს ამბები შემოწმებული და რეგისტრირებულია მეორე და მესამე ჯგუფებში, ჯებეხანეს პროდუქტები და თოფხანეს ღონისძიებანი ცნობილია. პატიოსანი ბრძანება და ფირმანი ჩემი ბედნიერი და მოწყალე სულთნის უდიდებულესობაზეა.

დავთარდარ ეფენდის ზეპირი დასტურია. არზრუმის ვალის კითხვა გასაგებია საამიეს ციხეში. რეგისტრირებულია. დაიწერა 1197 წლის 12 მუჰარემს[3].

1 1195 წელი – 28. 12. 1780 – 16 . 12. 1781 წელი.
2 1196 წელი – 17. 12. 1781 – 6 . 12. 1782 წელი.
3 1197 წლის 12 მუჰარემი – 18 . 12. 1782 წელი.

სამეუფეო კარის ბეჟდნიერებისათვის უმწეო მლოცველის არზა ისაა, რომ საქართველოს საზღვარზე ისლამის სახელმწიფოს მოსაზღერედ ფოთის ციხის საჭიროებისათვის მშენებარე რაიონი და აქეე არსებული სივრცეები პატიოსნად იყო აღმართული. გაცემული ფირმანი სასიამოენოდ მოეფინა ხსენებული მცველის შემწეობით. ამას წინათ ოსმალეთის სახელმწიფოს მსახურთაგან, მაღალი ფირმანის საფუძველზე გაგზავნილია ციხის არქიტექტორი სულეიმან აღა ჯარისკაცებით. რადგანაც მზად იყვნენ ხსენებული ვეზირის, შარიათის, მშენებლობის ემინის, ყველა ჭეშმარიტი მეციხოვნის, არქიტექტორის მოადგილის შემწეობით რაიონის ყოველი ნაწილის მშენებლობა და შეკეთება მიზანშეწონილია. განსაზღერული დავთრებით გაგზავნილი თანხა დაიანგარიშეს. სახელმწიფოსათვის რაიონის სასაზღერო მცველები მზად იყვნენ გაერთიანებულნი. ისინი ლოცვით ისლამს განადიდებდნენ. ალ ჰაჯის საქმიანობით ფეხთა მტვერს არზა და ინფორმაცია ეუწყათ. აწი ბრძანება და ფირმანი უმაღლესი განგებისაა.

დაიწერა 1197 წლის 21 შაბანს[1].

მონა ღვთისა . . . . .

მუსტაფა ფოთის ციხის მსახური.

1 1197 წლის 21 შაბანი — 22. 7. 1783 წელი.

თქვენი უმორჩილესი მლოცველის არზა უმაღლესი სამეუფეო კარის ბედნიერებისადმი ისაა, რომ ისლამის ქვეყანაში აღწერილი შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე ფოთის ციხე ანატოლიის საზღვარი და გასაღებია და გარკვეულ მანძილზე მდებარეობს; ხსენებული ციხის ზოგიერთი მოსახლეობა და არსებული ნაგებობების შეკეთება ღვთის სამყაროს საბოძებლად იქნა მიჩნეული. მშენებლობის ემინი დაინიშნა, უმაღლესი სამეუფეო კარის გედიქლიების კაფუჯი ბაშიების ფეხთა მტვერს, უპირატესობის მქონე მუსტაფა აღას ჯარისკაცები, რაც არ უნდა მოხდეს, მათი შემწეობით შეკეთებული ციხეების მესამედი შეკეთებული იქნა, ასეთი ადგილები და ნაგებობები შესწავლილ იქნა, მათზე განახლების საჭიროება კვლავ აუცილებელი შეიქნა, საერთო შესახედაობა შესანიშნავი იყო. დავთრის ასლის მიხედვითაც, მისი მუდმივობა ცნობილი იყო, ამასთან დაკავშირებით პატიოსანი განკარგულება გაიცა. ხსენებული ემინის ჯარისკაცების მიერ ციხეები შეკეთდა. მისი მოსახლეობა და ნაგებობანი მცველი ვეზირ ალ-სეიდ ხალილ ფაშას უდიდებულესობის, შარიათის და მშენებლობის ემინისა და არქიტექტორის მოადგილისა და ყველა მოსაზღვრე ტერიტორიების ჯარისკაცთა მოხერხებით მშენებლობა და შეკეთება დასრულდა, დავთარი და სხვა გასაგზავნი საგნები, სუყველაფერი მოსაზღვრე ადგილების ჯარისკაცების მიერ იქნა წაღებული, რაც დანახარჯია შენც უნდა იცოდეო, ითქვა, ამ აზრითაც ყველა მოსაზღვრე ტერიტორიების მეთაურები, შარიათის შეწევნით, ინფორმირებულნი იყვნენ, რომ ხსენებული ციხის საჭიროებისთვის მშენებლობა იყო საჭირო, მშენებლობის განახლება და შეკეთების აუცილებლობა, ასევე აუცილებელი შეიქნა დავთრის გაგზავნა, დავთრის მიხედვით, ხსენებული ციხის განახლება საჭირო იყო, უდიდებულესობას ეწყალობა ქვეყნის მპყრობელის მარცვალი, საზღვრები და ნაგებობები განახლებულ იქნა, რადგანაც აუცილებელი იყო განახლებულის შეკეთება, მოსახლეობა და ნაგებობანი წესრიგში იქნა მოყვანილი, შესაბამისი დავთრის მიხედვით, მშენებლობა და შეკეთებისთვის წყალობა და ბედნიერება იმთავითვე მარცელეულით იქნა დაკმაყოფილებული, მის სათხოვნელად, არსებულ ვითარებაში ღვთის წყალობით, თქვენი უმორჩილესი მლოცველის აჯა-ვედრება ცნობილი გახდა, აწი ბრძანება და ფირმანი უმაღლესი განგებისაა.

დაიწერა 1197 წლის 21 შევალს[1].

მუდამ თქვენზე მლოცველი, უმაღლესი სამეუფეო კარისათვის მუსტაფა, თქვენი ფეხთა მტვერი ფოთის ციხისა, შეუნდოს უფალმა.

---

1 1197 წლის 21 შევალი – 7.9.1784 წელი.

თქვენი უმორჩილესი მლოცველის არზა უმაღლესი სამეუფეო კარის ბედნიერებისადმი ისაა, რაც აქვეა გადმოცემული. შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე ფოთისა და ციხისძირის ციხეების განმგებლების და გამაგრებული ადგილების სამეუფეო მოთხოვნაა, ხსენებული გამაგრებული ადგილების შეკეთება, ამ კურთხეულ წელს არსებულის საფუძველზე, ნაგებობათა შეკეთებისას, უმაღლესი ღმერთის განკარგულებით, მშენებლობის უმაღლესი სამეუფეო კარის გონულლიანთაგან თაჰსინ ზადე ვექილხარჯი მუსტაფა აღას მშენებლობის ემინად დაინიშნა, ამ 1199 წლის რეჯების თვის 25-ს,[1] ფოთის ციხეში მივიდა კიდეც, დიდებული შაბანის თვის დასაწყისიდან, სამსახურის გაწევა ფაქტია და ცხადია, და რაც არ უნდა მოხდეს, ღვთის განგებით ფაქტის წინაშე აღმოვჩნდით, როდესაც საჭირო სამსახურში ვიყავით, უზარმაზარი შემართებით, მოწყალებითა და სამართლიანობით აღინიშნა არსებული მოვლენა, არსებული ფაქტი ეუწყა ბედნიერების ფეხთამტვერს, აწი ფირმანი დიდებული ალაჰისაა.

დაიწერა დიდებული შაბანის თვის დასაწყისში წელი 1199[2], მლოცველი ღვთისა ოსმანი.

1 1199 წლის რეჯების 25 – 3.6.1785 წელი.

2 1199 წელი შაბანის დასაწყისი: 8.7.1785 წელი

13. არუსანეს გადასახადი – საქორწინო გადასახადი, რომელსაც პირველი ღამის უფლების სახით იხდიდა ის პირი ვინც ქორწინდებოდა. საქორწინო გადასახადს სხვადასხვა ოდენობით იხდიდა ქრისტიანი და მუსლიმი, ქვრივი და ქალწული. ოსმალური კანონმდებლობით „საქორწინო გამოსაღები აიღება სამოც-სამოცი ახჩა ქალწულისაგან და ოცდაათ-ოცდაათი ახჩა ქვრივისაგან, თუ ისინი ცხოვრობდნენ ბეგლარბეგისა და მირლივას სახასო მიწებზე / ზაიმთა თიმარსა და სხვა თავისუფალ თიმარზე, რაც შეეხება სხვა თიმარის მფლობელების საქორწინო გამოსაღებს: სიფაჰიებზე მიწერილი ადგილიდან / გამოსაღების/ ნახევარს იღებდნენ ისინი, ხოლო მირლივაზე მიწერილი ადგილებიდან მეორე ნახევარს იღებდნენ სანჯაყის სამხედრო მეთაურნი. ქალწულის საქორწინო გამოსაღებს, რა ადგილიდანაც არ გათხოვდეს ის, იხდის მისი მამა და უხდის მას, ვისი რეაიაც ის არის, ქვრივი უხდის საქორწინო გამოსაღებს იმ თიმარის მფლობელს, რომლის მიწაზედაც ის იმყოფება". „გურჯისტანის ვილაეთის დიდი დავთარი" თურქული ტექსტი გამოსცა, თარგმანი, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო სერგი ჯიქიამ. წიგნი II. თარგმანი თბ. 1941. გვ. 3. ამ გადასახადის შესახებ იხ. ნ.შენგელია, ოსმალური გადასახადები და ვალდებულებანი „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის" მიხედვით. თსუ შრომები 91. აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, II, გვ. 291-292.

14. არფალიქი – „ქერისათვის განკუთვნილი – მიწის შემოსავალი, რომლებიც სახელმწიფო მოხელეებისა და სასახლის ზოგიერთ მოხელეს ეძლეოდა ჯამაგირად. ორი სახის იყო: როდესაც სანჯაყში აკრეფილი გადასახადების ნაწილი არფალიქად მიეცემოდა მოხელეს, ეწოდებოდა „არფალიქ დირლიქი", როდესაც ხაზინა გასცემდა ჯამაგირის სახით – „არფალიქ ულუფე" – / ევლია ჩელების მოგზაურობის წიგნი II. . ნაკვ. გვ. 131.

15. ასამი – ადამიანის სახელი ან თანხის რაოდენობა, რომელიც შეტანილია ოფიციალურ დოკუმენტებში. დოკუმენტის ერთ-ერთი პუნქტი, პარაგრაფი. რეგისტრირებული ადამიანი, რომელიღაც სიაში რეგისტრირებული სახელი. ადვილად გასაკეთებელი საქმე, ადვილად აღებული. Turkish and English Lexicon, Showing in English the Significations of the Turkish Terms. By James W. Redhouse, K.C.M.C. Constantinople. 1890. p. 84-85.

16. აშარი – უშრი, მეათედი, შარიათით გათვალისწინებული გადასახადი, ძირითადად გლეხები იხდიდნენ შემოსავლის მეათედის რაოდენობით, მაგრამ რადგანაც ძალზე გავრცელებული იყო გადასახადის აკრეფის იჯარით გაცემა და გადასახადის ამკრეფთა თვითნებობა, ერთ მესამედსა და ზოგჯერ ნახევარს აღწევდა. აშარი ეწოდებოდა აგრეთვე მეათედის რაოდენობით აღებულ ყოველ გამოსაღებს /ბაზარში, საბაჟოში . . ./ და სამხედრო ნადავლის მეათედ ნაწილს / ევლია ჩელების მოგზაურობის წიგნი, ნაკვ. II . . . , გვ. 132.

17. აჩიკ-ბაში – თავღია, უქუდო, ასე იწოდებოდა იმერეთი ოსმალურ წყაროებში. იხ. „გურჯისტანის ვილაეთის დიდი დავთარი", წ, III. თბ. 1958. გვ. 80-83.

18. აღა – ოსმალთა სახელმწიფო სასახლის ცალკეული კატეგორიების მსახურთა მეთაურების სახელწოდება. დიდ თანამდებობაზე მყოფ პირთა მეთაურების სახელწოდება, სასახლეში იყო ორი კატეგორიის აღა: შინაგანი აღა და საგარეო აღა: კაფუ ქეთხუდა, ხაზინადარ ბაში, ქილარჯი-ბაში, და სხვა. საგარეო აღა: იანიჩართა აღა და მისდამი დაქვემდებარებული იანიჩართა ლაშქრის ცალკეული კატეგორიების მეთაურები: აზაბთა აღა, სიფაჰიების აღა, სილაჰდართა აღა, ულუფეჯიების აღა და სხვა. სიტყა-სიტყვით ნიშნავს „ბატონს" საპატივცემულო პირს. მიმართვისას საკუთარ სახელთან ერთად იხმარება. იხ. А.С. Тверитинова, Второй трактат Кочибея. Ученые записки Института Востоковедения. Т. VI. 1953. М-Л. с. 263.

19. ახჩა – თეთრი, ფულის წვრილი ერთეული, ვერცხლის ფული, იგი პირველად 1327 წელს მოიჭრა ორხან ბეის სახელზე და 1,54 გრამს იწონიდა. პირველ ხანებში იგი უმაღლესი ხარისხისა იყო. მაგრამ დროთა ვითარებაში ერთი ხუთად შემცირდა და ისე გაუფასურდა, რომ სპილენძისაგან ვეღარ არჩევდნენ. 1677 წლიდან ახჩა ყურუშით შეიცვალა.

20. აქჩე ჯედიდი – ახალი ახჩა, ფულის ერთეული, დროთა ვითარებაში სამონეტო სისტემაში შემოვიდა ფულის ახალი ერთეული აკჩა ჯედიდი.

21. ანადოლუ მუჰასაბე კალემი – არზრუმის გარდა ანატოლიაში არსებული სასულთნოსა და დიდვეზირის ეაკუფების

საფინანსო საქმეების, განსაკუთრებით სააღრიცხვო საქმეების ბიურო ფინანსთა უწყებაში.

22. ბაზარბაშილიქი – ბაზრის უფროსის, მეთაურის თანამდებობა.

23. ბაზირგან ბაში – ვაჭართა საზოგადოების მეთაური, თავკაცი, მთავარი ვაჭარი, უხუცესი ვაჭარი.

24. ბაირაღი – დროშა, „ასევე ეწოდებოდათ, როგორც ზოგადი სახელი, იანიჩართა ასეულებს – ოდებს, რადგანაც ყოველ ოდას თავისი ბაირაღი ჰქონდა. ეს ბაირაღი 50-60 იანიჩარისაგან შედგებოდა“ /ევლია ჩელების მოგზაურობის წიგნი, თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევები დაურთო გიორგი ფუთურიძემ. ნაკე. II. გამოკვლევა, კომენტარები. თბ. 1973. გვ. 133/ იხ. აგრეთვე .H.Uzunçarşılı, Osmanlı Devlet Saray Teşkilatı, . . . s. 290-292. M.Z. Pakalin, . . . I. fas. II. s. 180.

25. ბაირაქთარი – იანიჩართა ორთას, რაზმის ნაწილის ალამდარი. იანიჩართა რაზმის ერთ ნაწილს წითელი ალამი ჰქონდა. მეორე ნაწილი ყვითელ ალამს ატარებდა. იხ. İ.H.Uzunçarşılı. . . . s. 236. Z. Karamursal, Osmanlı Mali Tarihi hakkında Tetkikler. Ankara. 1940. s. 148.

26. ბალთაჯი – საომარი ცულით შეიარაღებული ბალთაჯიები შეადგენდნენ სულთნის სასახლისა და ჰარემის მცველ რაზმს. ისინი დიდი მოხელეების მცველებიც იყვნენ. ბალთაჯიების მოვალეობა იყო ლაშქრობის წინ გზები გაესუფთავებინათ ლაშქრისთვის, ტყიანი ადგილები გაეწმინდათ, კარვები გაეშალათ და აეშალათ, ტვირთი გაეტანათ. იხ. İ.H.Uzunçarşılı, Osmanlı Devlet Saray Teşkilatı, Ankara. 1945. s. 432-438.

27. ბარანი – მოსასხამის, სპეციალური ქსოვილისგან დამზადებული საწვიმარის ან ქსოვილის გარკვეული სახეობის სახელწოდება. İ.H.Uzunçarşılı, Osmanlı Devlet Saray Teşkilatı, Ankara. 1945. s. 263.

28. ბარანის ჩოხა – იანიჩრებისათვის ზამთრის ყველაზე სუსხიან დღეებში ე.წ. ერბაინის პერიოდში ბოძებული საწვიმარის სახელწოდება. მას ზემოსთანსაც უწოდებდნენ. ბარანი სპარსუ-

ლად ნიშნავს წეიმას, ხოლო ზემისთანი ზამთარს. ზამთრისთვის საწვიმარს ჩოხისაგან ამზადებდნენ, ამიტომ მიიღო სახელწოდება ბარანის ჩოხა. იხ. M.Z. Pakalin, . . . I. fas. II. 1947 s. 159.

29. ბარგირი – ჩალვადარი, ტვირთის მზიდველი სახედრის, ცხენის მეპატრონე.

30. ბალი იემეზი – ოსმალეთში ზარბაზნის საერთო სახელწოდება იყო „თოფჩი“. ოსმალეთში არტილერია განსაკუთრებით განვითარდა სულთან სულეიმან კანუნის დროს, არსებობდა ზარბაზნის რამდენიმე სახეობა. ერთ-ერთი სახეობა იყო „I. ბალიემეზ. დამახინჯებული იტალიური – „ბალლო მეზზო“ – მსროლელი ზარბაზანი/ თურქულად გააზრებული იყო ასე: „ბალ“-თაფლი,„იემეზ“-არ ჭამს, ე.ი. თაფლს არ ჭამს“. ოსმალურ ზარბაზნებში ყველაზე შორსმსროლელი და დიდი ყალიბის იყო – 50 კილოგრამიან ყუმბარებს ისროდა. იყენებდნენ ხმელეთზეც და ზღვაზეც, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ციხეების დასანგრევად ხმარობდნენ. ზოგჯერ მას „ყარაბალისაც“ უწოდებდნენ: ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“ . . . გვ. 139.

31. ბაშ ბუღი – ოსმალთა სახელმწიფოში ლაშქრობის დროს გარკვეული გაერთიანების ჯგუფის, რაზმის, ერთგვარი პოლიციის მეთაური. სახელმწიფოს წინააღმდეგ ამხედრებული ძალების მეთაურებსაც ბაშ ბუღებს უწოდებდნენ.

32. ბაშ დავთარდარი – ოსმალეთის იმპერიაში საფინანსო უწყების მეთაური, ფინანსთა მინისტრი. მას „რუმელიის დავთარდარსა“ და „შექქი ეველ დავთარდარსაც“ უწოდებდნენ. იხ. M.Z. Pakalin, . . . I. fas. II. 1947 s. 162-163.

33. ბაშ ჩაუში – იანიჩართა გაერთიანებაში მეხუთე ბოლუქის მეთაური, ამაეე დროს მთელი იანიჩართა ჩაუშების უფროსი. მას სერ ჩაუშს და ბოზორგს უწოდებდნენ.

34. ბაშ ჩოხადარი – სულთნის სასახლეში სულთნის სამსახურში მყოფი ჩოხადარების მეთაური. იხ. ჩოხადარი.

35. ბაშ მუჰასებე კალემი – ოსმალეთის საფინანსო უწყებაში საალრიცხვო და სამოანგარიშო განყოფილების მეთაურის სახელწოდება, სახელმწიფოს მთელი შემოსავალ-გასავალი,

მუქათაას საფუძველზე არსებული თანხები ამ განყოფილებებში იყო აღრიცხული. ეს განყოფილება ყველაზე დიდი იყო მთელს საფინანსო სისტემაში. იხ. .H.Uzunçarşılı, Osmanlı Devletinin Merkez ve Bahriye Teşkilatı. 1948. Ankara. s. 354.

36. ბედელი ნუზლი – ოსმალეთის სახელმწიფოში ბედელი ნუზლი შემოღებულ იქნა, როგორც ნატურალური საგანგებო გადასახადის სანაცვლოდ ფულადი გადასახადი, იგი გაიღებოდა ომიანობის დროს ლაშქრის საჭიროებისათვის მთელი XVII-XVIII სს.

37. ბეგლარ ბეგი – ბეგთა ბეგი, ფაშა, ვილაიეთის სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეების გამგებელი. იხ. M.Z. Pakalin, . . . I. fas. III. 1947 s. 216-221.

38. ბევვაბი – ბევვაბი ეწოდებოდა მეკარეს, მსახურს მეჩეთსა და სხვა სასულიერო დაწესებულებებში. მათი მოვალეობა იყო კარის გაღება და დახურვა მეჩეთებში. ისინი იყვნენ მეკარეები საქველმოქმედო დაწესებულებებში. იხ. M.Z. Pakalin, . . . I. fas. 1947 s. 212.

39. ბეითულ მალი – ბიით – სახლი, მალ – ქონება, ე.ი. სიმდიდრის სახლი, ხაზინა. ბეითულმალი ეწოდებოდა უმემკვიდრეოდ გარდაცვლილ და საერთოდ უპატრონოდ დარჩენილი ქონების შემნახველ დაწესებულებას. იხ. ს.ჯიქია, XVIII საუკუნის თურქული დოკუმენტი ოქროს ციხის შესახებ. თსუ-ს შრომები. აღმოსაელეთმცოდნეობის სერია. II. 1960. გვ. 178. იხ. აგრეთვე M.Z. Pakalin, . . . I. fas. III 1947 s. 222-226.

40. ბენიზი – ოსმალეთის იმპერიაში სამონეტო მიმოქცევაში არსებული ყველაზე წვრილი ფულის ერთეული.

41. ბერათი – ქართული ბარათი, სიგელი, გაცემული სახელმწიფო უმაღლესი ინსტანციის მიერ ამა თუ იმ პირისათვის მიწის მფლობელობის უფლების ან სხვა საქმეების გამო.

42. ბეშე – იანიჩართა შორის დაწინაურებულის მისამართით ხმარებული სიტყვა. საპატივცემულო მიმართვა. იგი საკუთარი სახელის შემდეგ დაისმის. ძირითადი მნიშვნელობაა: „დიდებული“, „მაღალი“. ფაქალინის განმარტებით, ბეშეს ეძახდნენ მომ-

თაბარე ტომებში ტომის დიდ შვილს. შემდგომში ოსმალეთის სახელმწიფოს დაარსებისას პირველ უფლისწულს – ფაშას ბეშეს სახელწოდება მიეცაო. იხ. M.Z. Pakalin, . . . I. 1947 s. 211.

43. ბეშლი აზაბი – ოსმალთა სახელმწიფოში ხუთი ოჯახიდან ერთი კაცი გამოჰყავდათ სამხედრო სამსახურში. ასეთი გზით შეკრებილ ლაშქარს ევალებოდა ციხის მეთვალყურეობა. იგი ეიალეთის რჩეულ ლაშქრად ითვლებოდა.

44. ბეშლუიანები – ოსმალთა შეიარაღებული ძალების ერთერთი სახეობა. ხუთი ახჩა ულუფას მქონე იანიჩრების კატეგორია, რომელთა მოვალეობას შეადგენდა ციხესიმაგრეებისა და გამაგრებულ პუნქტებში წესრიგისა და თავდაცვისთვის ზრუნვა, ლაშქრისთვის გზის გაწმენდა, მეგზურობის გაწევა და სხვა. იხ. M.Z. Pakalin, . . . I. fas. III. 1947 s. 211.

45. ბეშლუიანების აღალიქი – ბეშლუიანების რაზმის მეთაურის – აღას თანამდებობა.

46. ბეშლუიანი ეეველი, ბეშლუიანი სანი – პირველი და მეორე ბეშლუიანები – ოსმალთა შეიარაღებული ძალების ერთერთი სახეობა. ხუთი ახჩა ულუფას მქონე იანიჩრების კატეგორია, რომელთა მოვალეობას შეადგენდა ციხესიმაგრეებისა და გამაგრებულ პუნქტებში წესრიგისა და თავდაცვისათვის ზრუნვა, ლაშქრისათვის გზის გაწმენდა, მეგზურობის გაწევა და სხვა. იხ. M.Z. Pakalin, . . . I. fas. III. 1947 s. 211.

47. ბეშლუიანთა ჯამაათი – ბეშლუიანთა რაზმი.

48. ბეშლუიანების სერ ბოლუქი – ბეშლუიანების რაზმის მთავარი გაერთიანების ბოლუქის მეთაური, სერ ბოლუქი.

49. ბექთაშები – ბექთაშების ორდენი. ბექთაშები იყვნენ ბექთაშების ორდენის წევრები. სახელწოდება ამ ორდენმა მიიღო „ჰაჯი ბექთაშ ველი“-სგან. ამ ორდენს საფუძველი ჩაეყარა შუა ანატოლიის ერთ-ერთ სოფელში. იგი ქალაქებისაგან შორს დარჩენილ სოფლებსა და დაბებს შორის გავრცელებული მიმდინარეობა იყო. ბექთაშობა ბათინიების მსგავსად ყველგან ვრცელდებოდა. ყველაფერს საიდუმლოდ ინახავდნენ. იხ. M.Z. Pakalin, . . . I. fas. III. 1947 s. 196-202.

50. ბიუქ რუზნამჩე – დავთარდარის გვერდით მყოფი რუზნამჩეჯიებიდან დაწინაურებული პირის სახელწოდება, რომელსაც ევალებოდა იანიჩართა ოჯახის აღწერისათვის საბოლოოდ გადაეხედა და გადაწყვეტილება მიეღო.

51. ბიურულთი – მაღალი ინსტანციიდან დაბალ ინსტანციაში ანდა რომელიმე კერძო პირის მიერ ოფიციალური თანამდებობის პირისადმი გაგზავნილი წერილობით დოკუმენტებზე გაკეთებული განკარგულების, ბრძანების შემცველი წარწერის მქონე დოკუმენტის სახელი. დიდვეზირს, კაფუდან ფაშას, ანდა სხვა მსგავსი თანამდებობის პირების მიერ დიდვეზირისადმი წარდგენილ დოკუმენტებზე ამ უკანასკნელის მიერ რეზოლუცია დადებულ საბუთს ბიურულთი ეწოდება. ამავე დროს მაღალი თანამდებობის პირის მიერ თავისი თანამშრომლებისადმი ბრძანების კილოთი დაწერილ დოკუმენტსაც ბიურულთი ეწოდებოდა. იგი თავისებური ფორმით დგებოდა. იხ. M.Z. Pakalin, . . . I. fas. III. 1947 s. 248-249.

52. ბოლუქი – სამხედრო ნაწილი, რაზმი, იმთავითვე იანიჩართა კორპუსი შედგებოდა ათი ბოლუქისაგან /ნაწილისაგან/ და თითოეულ მათგანში შედიოდა 100 კაცი. ბოლოს ბოლუქთა რიცხვი 101-მდე გაიზარდა: თითოეული ბოლუქის რაოდენობაც შეიცვალა. იხ. M.Z. Pakalin, . . . I. fas. III. 1947 s. 242. İ.H.Uzunçarşılı, Osmanlı Devlet Saray Teşkilatı, Ankara. 1945. s. 217.

53. ბოლუქ ბაში – იანიჩართა ოჯახის ორგანიზაციაში,ნაწილის, რაზმის ჯგუფის უფროსს ბოლუქ ბაში ეწოდებოდა. იყო „ალთი ბოლუქ ბაში“ /ექვსი ბოლუქის უფროსი/. იანიჩართა ლაშქრის გარდა ოსმალთა სახელმწიფო ლაშქრის ორგანიზაციაში თითოეული ბოლუქის მეთაურსაც ჰყავდა ბოლუქ ბაში. იყო აგრეთვე ეიალეთის ლაშქრის მეთაურთა, სეკბანთა, თუფენქჩიებისა და სხვა სახეობის ლაშქართა მეთაურების ბოლუქ ბაშიც. ცხენოსანთა ბოლუქების მეთაურებიც ბოლუქ ბაშიები იყვნენ. იხ. M.Z. Pakalin, . . . I. 1946 s. 242. İ.H.Uzunçarşılı, Osmanlı Devlet Saray Teşkilatı, Ankara. 1945. s. 217.

54. ბოსტანჯი – მებოსტნე, იმთავითვე, ოსმალეთის სახელმწიფოს დაარსებიდან, ხასების, ბაღების მოვლა-პატრონობა ევალებოდათ. შემდეგში სასახლის მცველების ფუნქცია დაეკისრათ. სასახლის საშინაო და საგარეო საკითხებს აგვარებდნენ. ამ

ორგანიზაციისათვის ქრისტიანთა ბავშვებს „დევშირმეს“ წესით აგროვებდნენ და სპეციალურად წვრთნიდნენ. ბოსტანჯიების ნაწილის სასახლის ბაღებს იცავდა, სასახლისათვის საჭირო ტვირთს ეზიდებოდა. მათ ევალებოდათ „ოქროს რქის“ ყურის ნაპირებისა და დედაქალაქის ზღვისპირა უბნების დაცვა. ბოსტანჯიები სულთნის პირად დაცვას შეადგენდა. ერთგული ბოსტანჯიები მაღალ თანამდებობებზე წინაურდებოდნენ. იხ. İ.H.Uzunçarşılı, Osmanlı Devlet Saray Teşkilatı, Ankara. 1945. s. 465-487.

55. ბუდაღების ემინი – პატარა რაზმის, ჯგუფის მეთაური. კვანძი, რომელიც იწყებს გაფურჩქვნას, ამოსვლას, ტანის აჟრას. მეთაური. იხ. Turkish and English Lexicon, Showing in English the Significations of the Turkish Terms. By James W. Redhouse, K.C.M.C. Constantinople. 1890. p. 392.

56. განჩინების დაწერის მიზეზი – /„სებები თაჰრირი ჰუქმი“/ ოსმალეთის სახელმწიფოს უმაღლესი ორგანოების მიერ გაცემული საფინანსო დოკუმენტის ერთ-ერთი ტიპის სახელწოდება.

57. გედიქი – ქვეყნის წარჩინებული, მაღალი თანამდებობის პირები, რომელთაც სამხედრო და სხვა ხასიათის სამსახურის სანაცვლოდ ეძლეოდათ თიმარები და ზიამეთები. თიმარით შეწყალებულ ასეთ წარჩინებულს გედიქ თიმარი ეწოდებოდა. თიმარებისა და ზიამეთების მფლობელ ასეთ პირებს გედიქლი ეწოდებოდა საზოგადოდ. იხ. Z. Karamanlı, . . . s. 132-133.

58. გემიჯიები – მეგემეები, გემის პატრონები, პირები ვინც გემის მეპატრონეები იყვნენ.

59. გონულიანები – ოსმალეთის შეიარაღებული ძალების ერთ-ერთი კატეგორია, რომელიც თავის სურვილისამებრ, თავისუფლად მოქმედებდა როგორც ომიანობის ასევე მშვიდობიანობის დროს. ციხესიმაგრეებში სხვადასხვა სახეობის ლაშქართან ერთად გონულიანებიც იყვნენ ჩაყენებულნი და მნიშვნელოვან სამსახურს ასრულებდნენ. იხ. M.Z. Pakalin, . . . I. fas. XIII. 1949 s. 675.

60. გონულიანების აღალიქი – გონულიანთა რაზმის, ბოლუქის მეთაურის თანამდებობა. გონულიანების აღას თანამდებობა.

61. გონულიან-ი იემინი – იანიჩართა ორგანიზაციაში გონულიანთა რაზმის ერთ-ერთი დანაყოფის – გონულიანთა მარჯვენა ფრთის, მხარის სახელწოდება.

62. გონულიან-ი იესარი – იანიჩართა ორგანიზაციაში გონულიანთა რაზმის ერთ-ერთი დანაყოფის – გონულიანთა მარცხენა ფრთის, მხარის სახელწოდება.

63. გონულიანთა იემინის აღალიქი – გონულიანთა მარჯვენა ფრთის აღას თანამდებობა.

64. გონულიანთა იესარის აღალიქი – გონულიანთა მარცხენა ფრთის აღას თანამდებობა.

65. გონულიანთა ბაირაქთარობა – გონულიანთა რაზმის ალამდარი. ბაირაქთარის თანამდებობა.

66. გონულიანთა ეზნედარლიქი – გონულიანთა რაზმის დანაყოფის სალაროს ქონების იარაღის, თოფისწამლისა და სხვათა განმგებლის თანამდებობა. მარჯვენა და მარცხენა გონულიანებს ცალ-ცალკე ყავდათ ეზნედარები.

67. გონულიანების ქედხუდა – გონულიანთა რაზმის მამასახლისი, მოურავი, რომელიც სხვადასხვა ხასიათის სამუშაოს ასრულებდა ლაშქარში. გონულიანთა მარჯვენა და მარცხენა დანაყოფებს ცალ-ცალკე ჰყავდათ ქეთხუდა.

68. გონულიანთა ქითაბეთი – გონულიანთა რაზმის მწერლის, მდივნის, კანცელარიის მოხელის თანამდებობა. მარჯვენა და მარცხენა გონულიანთა რაზმს ცალ-ცალკე ჰყავდათ ქათიბი.

69. დავთარდარი – ოსმალეთის იმპერიის საფინანსო საქმეების უმაღლესი რანგის მატარებელი პირის წოდება. სახელმწიფოს ტერიტორიულ ზრდასტან ერთად რუმელიისა და ანატოლიის დავთარდარის თანამდებობა შემოიღეს. სელიმ I-ის დროს /1512-1520/ კი ალეპოს დავთარდარის თანამდებობაც გაჩნდა. XVI საუკუნის მიწურულისათვის ყოველ ვილაიეთს თავისი დავთარდარი ჰყავდა და ადგილზევე აწარმოებდა საფინანსო საქმეებს. ცალკეული ვილაიეთის დავთარდარებს ხელმძღვანელობდა ბაშ დავთარდარი, რომელიც უშუალოდ დიდვეზირს

ექვემდებარებოდა და სახელმწიფო ხაზინასაც განაგებდა. იგი მთელი იმპერიის საფინანსო უწყების გამგებელი იყო. თანამედროვე ტერმინოლოგიით ფინანსთა მინისტრი. იხ. Z. Karamursal, Osmanlı Mali Tarihi hakkında Tetkikler. Ankara. 1940. s. 313.

70. დავთარდარ ეფენდი – დავთარდარისადმი პატივისცემით მიმართვის ფორმა.

71. დავთარდარ ფაშა – მთავარი დავთარდარის ანუ ფინანსთა მინისტრის სინონიმად არსებული ფორმა.

72. დავთარდარ ქეთხუდასი – საფინანსო უწყების მაღალი რანგის ჩინოვნიკი, მოხელე, რომელსაც ევალებოდა ოსმალეთის იმპერიაში თიმარების, ზიამეთებისა და ხასების განაწილება და რეგისტრაცია. იგი სხვა ხასიათის სამუშაოებსაც ასრულებდა.

73. დავთარი მუკაბელე – საფინანსო უწყების ერთ-ერთი უჯრედი, განყოფილება, სადაც ხდებოდა მთელს იმპერიაში შედგენილი დავთრების შედარება-შემოწმება.

74. დესთური – ძირითადი კანონი, წესდებისა და კანონების კრებული, ვეზირის, დიდი მოხელის სინონიმი. იხ. M.Z. Pakalin, . . . I. fas. VI. 1948.

75. დერი საამი – მედრესეებში მოწაფეებისათვის ლექციების წამკითხველი მუდერისების ტიტული იყო. დერი საამი რომ გამხდარიყვნენ ამისათვის ლექციებს კითხულობდნენ ცნობილი მეცნიერები. გამოცდილი მეთაურის მფარველობის ქვეშ იმყოფებოდნენ. მათ ოთხი წლის შემდეგ ხელფასი ენიშნებოდათ 200 ყურუში, უფრო გვიან მათი ხელფასი 400 ყურუშამდე აღწევდა. შემდეგში მათ ეს ხელფასი შეუწყვიტეს. მათ დერი საამის ტიტულებს აძლევდნენ.

76. დერი საამლიქი – დერი საამლიქის თანამდებობა. პირი ვისაც ებარა ეს თანამდებობა. ვინც ლექციების კითხვით იყო დაკავებული.

77. დიდვეზირი – იგივე სადრაზამი. სახელმწიფო დივანის მეთაური, სულთნის უპირველესი მოხელე. ლაშქრობის დროს შეიარაღებულ ძალებს მეთაურობდა და საპატიო ტიტულს

ატარებდა. – „სერდარი ექრემ“. იგი განაგებდა ქვეყნის საშინაო და საგარეო საქმეებს, თანამდებობაზე დანიშვნასა და გადაყენებას და სხვა.

78. დიზდარი – მეციხოვნე, ციხის მცველი, უფროსი. იგი შეიძლება ყოფილიყო სხვადასხვა კატეგორიის. იხ. Nicoara Beldiceanu, Recherche sur la ville Ottomane au XV siecle Etude et Actes. Paris, 1973. s. 58-59. M.Z. Pakalin, . . . I. fas. V. 1948. s. 469.

79. დირლიქი – სახელმწიფოს მიერ საარსებო საშუალების სახით ბოძებული თიმარის, ულუფის ან სარგოს საერთო სახელწოდება. ა.ს ტვერიტინოვას. განმარტებით `Дирлик~ средство для жизни, `кормление~ `иждивение~, обшее название всякого вида государственного содержания – денежного /жалованье или доход пожалованного земельного владения~/. კოჩი ბეი გორიჯელის განმარტებით, Будь то должность сипайи, мютеферрика, чавуша или зеамет, тимар все они называются `дирлик~. Каждого, получает ли он жалование 1 акче или 100 акче, называют `дирлик сахиби~ /`владелец дирлика~/. Тверитинова А.С., Второй трактат Кочибея. Ученые записки Института Востоковедения. VI. 1953. М-Л стр. 226-227. ისტორიულ თხზულებებში დირლიქის სინონიმად იხმარება „ზენდეგანი“. იხ. M.Z. Pakalin, . . . I. fas. V. 1948. s. 455.

80. დირჰემი – ერთი დირჰემი 3,148 გრამს იწონიდა, ოყას 1/400 ნაწილს შეიცავდა. ვერცხლის მონეტა, რომელიც XVI საუკუნეში უდრიდა 4 ახჩას, სამი დირჰემი შეიცავდა ერთ ოქროს დინარს.

81. ეგვიპტური ფარა – მონეტის წვრილი ერთეული.

82. ეიალეთი – ვილაიეთი, ქვეყანა, ოლქი, ყველაზე დიდი ადმინისტრაციული ერთეული ოსმალეთის იმპერიაში. ვილაიეთები სანჯაყებად იყოფოდა. ოსმალეთის სახელმწიფო წარმატებასთან ერთად იზრდებოდა სახელმწიფოს ტერიტორია და შესაბამისად მატულობდა ვილაიეთების რიცხვიც.

83. ემინი – ნდობით აღჭურვილი პირი, რწმუნებული, რომელსაც ოსმალეთის სახელმწიფო დაწესებულებებში სხვადასხვა თანამდებობა ეკავა. მაგალითად ზარაფხანის ემინი ფულის მოჭრას უწევდა კონტროლს. ჯიზიას ემინი – ჯიზიას გადასახადების

გაწერასა და აკრეფას. მადენ ემინი – მადნეულის მოპოვებას. იყვნენ საბაჟოს ემინი, ღვინის ემინი და სხვა. ემინის სხვადასხვა ამპლუაში არსებობის შესახებ იხ. Z. Karamursal, Osmanlı Mali Tarihi hakkında Tetkikler. Ankara. 1940. s. 312. Nicoara Beldiceanu, Recherche sur la ville Ottomane au XV siecle Etude et Actes. Paris, 1973. s. 63-73.

84. ემირთა ემირი – ოსმალეთის იმპერიის ცალკეული ვილაიეთის განმგებლის ბეგლარბეგის, ფაშას სინონიმად არსებული ტერმინი. იხ. M.Z. Pakalin, . . . I. fas. VI. 1948. s. 527.

85. ერბაინი – ზამთრის ყველაზე ცივი დღეების /40 დღის/ სახელწოდება, რომელიც 21 დეკემბრიდან 29 იანვრამდე გრძელდებოდა. საფინანსო დოკუმენტებზე ლაშქრის შესახებ რაიმე ანგარიშის აღნიშვნისას წლის ერთი პერიოდი აღინიშნებოდა „ერბაინად“. ე.ი. ზამთრის ყველაზე ცივი 40 დღე 21 დეკემბრიდან. სტამბოლის ძველი წარჩინებულები ერბაინს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. მოხუცებს უძლურობის გამო ერბოსა და სხვა სასმელებს აძლევდნენ. ერბაინის დამთავრებისას სწირავდნენ, ერთმანეთს მოინახულებდნენ, ხალვას მოხარშავდნენ. იხ. M.Z. Pakalin, . . . I. fas. VI. 1948. s. 542.

86. ეფენდი – საპატიო წოდება, რომელიც განათლებულ, სწავლულ და პატივსაცემ პირებს ეძლეოდათ. მიმართვისას სახელის შემდეგ იხმარებოდა.

87. ესედი ყურუში – მონეტის ერთი სახეობა, რომელიც ჯერ კიდევ სელჩუკთა დროიდან არსებობდა. ავერსზე ამოტეიფრული იყო ლომი. მისი ოდენობა დროთა ვითარებაში იცვლებოდა. ჩვეულებრივ 70 ახჩას შეადგენდა. ამ მონეტას თურქულად „არსლანსაც“ ეძახდნენ.

88. ეშკამფუია – გემების გარკვეული სახეობა,რომელიც ძალიან ფართოდ იყო გავრცელებული ოსმალეთში.

89. ვაიზი – მუსლიმური რელიგიის მქადაგებელი, მოძღვარი, მოქადაგე. წინასწარმეტყველი.
90. ვაკუფი – მუსლიმური რელიგიის მიწების გარკვეული კატეგორია. იგი ძალიან იყო გავრცელებული მთელს მუსლიმურ სამყაროში. „ვაკუფებს შეადგენდა სახელმწიფოს მიერ გამოყო-

ფილი, ან სულთნის, დიდი ფეოდალების, დიდვაჭრებისა და საერთოდ, კერძო პირების მიერ შეწირული უძრავი და მოძრავი ქონება /საბაჟოს, ქარვასლის მაღაროების, წისქვილის და სხვა. შემოსავალი, სახნავ-სათესი მიწები/ რომლებიც ხმარდებოდა მეჩეთების, დერვიშთა სავანეების, მედრესეების, საქველმოქმედო დაწესებულების /უფასო სასადილოები, საავადმყოფოები/ მშენებლობასა და შენახვას. ვაკუფების შემოსავლის დიდი ნაწილი მუსლიმურ სასულიერო წოდებას ხმარდებოდა. ვაკუფების ჩამორთმევა მიტაცება, გაყიდვა აკრძალული იყო და მისი შემოსავალი არ იბეგრებოდა. „ევლია ჩელების მოგზაურობის წიგნი", გვ. 138/.

91. ვალი – ოლქის მმართველი. ოსმალეთში ვილაიეთის გამგებელს – ბეგლარბეგს ვალი ეწოდებოდა. ვილაიეთის ვალი, ბეგლარ-ბეგი, მირ-მირანი, ემირთა ემირი სინონიმები იყო. ვალი იყო მოსაზღვრე ტერიტორიების გამგებელი, უმაღლესი თანამდებობა ფეოდალურ აღმოსავლეთში. ქართლ-კახეთის მეფეები ირანის შაჰისაგან ვალის ტიტულის მატარებლები იყვნენ.

92. ვეზირი – ვეზირთა შორის უპირველესი იყო დიდვეზირი / ვეზირ-ი აზამ/ იგი ითვლებოდა მთელი სახელმწიფოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელად და მთელი იმპერიის მთავარსარდლად. დიდვეზირთან ერთად სულთნის საგანგებო საბჭოს შეადგენდნენ კუბე-ვეზირები, მათი რაოდენობა შეადგენდა 6-7 ვეზირს. ოსმალეთის იმპერიაში უმაღლესი სამოქალაქო და სამხედრო მოხელე იყო ვეზირი. „ვეზირთა ერთი ნაწილი სულთნის დივანის წევრები იყვნენ და მათ ეწოდებოდათ პირველი ვეზირი, მეორე ვეზირი და ა.შ. ვეზირები ეწოდებოდათ ზოგი ვილაიეთის ფაშებსაც. მაგალითად სულეიმან I-ის დროიდან /1555-1566/ ვეზირის ტიტულს ანიჭებდნენ ზოგი ვილაიეთის განმგებლად დანიშნულ სამთუღიან ფაშებსაც. როდესაც ეგვიპტის ვალი გახდა ჩობან მუსტაფა ფაშა, მას ვეზირობა ეწყალობა. შემდეგ ხანებში ბაღდადის, იემენის, ბუდინის, არზრუმის ბეგლარ-ბეგებს ვეზირის ტიტული ებოძათ. ესენი განაპირა ქვეყნები იყო და პოლიტიკური და სამხედრო თვალსაზრისით, სახელმწიფოს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. XVI საუკუნის ბოლოდან თითქმის ყველა ვილაიეთის გამგებელს იანიჩართა აღას და სამხედრო-საზღვაო ფლოტის სარდალსაც – კაფუდან – ფაშასაც ეძლეოდა ვეზირის ტიტული". /„ევლია ჩელების მოგზაურობის წიგნი" ნაკვ. II. გამოკვლევა კომენტარები. თბ. 1973. გვ. 137/.

93. ვეზნედარლიქი – ფულის,ძვირფასი ნივთების,ცეცხლსასროლი იარაღის, თოფისწამლისა და სხვა ნივთებისა და საუნჯის შესანახი ადგილის განმგებლის თანამდებობა. სახელმწიფო დაწესებულებებსა და ბანკებში ფულის შემტან და გამომტან თანამდებობის პირებს „ვეზნედარი“ ეწოდებოდა. იხ. Z. Karamursal, Osmanlı Mali Tarihi . . . s. 146. M.Z. Pakalin, . . . III. fas. XXIV. 1956. s. 595.

94. ვექილი – გარკვეულ საქმეთა გამგებელი. მოხელე, რწმუნებული, წარმომადგენელი, მფარველი, დამცველი /გ.წერეთელი, არაბულ-ქართული ლექსიკონი, თბ. გვ.252/ ვ.გაბაშვილის განმარტებით „ვექილი ეწოდებოდა შაჰის რწმუნებულს, რომელიც შუამავლის როლს ასრულებდა შაჰსა და იმ ხელისუფლებას შორის, რომლის კარზეც ის საგანგებო დავალებით იყო წარგზავნილი. შარდენის სიტყვით, ყველა მმართველი და ოლქის სხვა დიდმოხელე მოვალე იყო თავის კარზე ჰყოლოდა აგენტი, რომელსაც ვექილს უწოდებდნენ. ვექილებს ირანის სახელმწიფოს მოთხოვნისთანავე უნდა მიეწოდებინათ საჭირო ცნობები ხელისუფლების საგამგეო ოლქში მომხდარი მნიშვნელოვანი ამბების შესახებ. ვექილის სამოხელეო ფუნქციაც დაახლოებით ისეთივე იყო, როგორც ვეზირისა. მეთვალყურე ვეზირის მსგავსად ვექილსაც შაჰის ინტერესების დაცვა ევალებოდა. ვექილი იყო ირანის შაჰის მოხელედ ირანის შაჰისავე მოხელესთან“/ ვ.გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება XVII-XVIII სს. თბ. 1958. გვ. 392-393.

95. ვექილი ხარჯი – ამ მაღალი თანამდებობის პირისთვის განკუთვნილი გადასახადი. გარკვეულ დროში ვექილის შესანახად გარდაკვეთილი სურსათ-სანოვაგე. სახარჯო. იგი საკმაოდ დიდი რაოდენობის უნდა ყოფილიყო.

96. ვოევოდა – სლავური წარმოშობის ტერმინია. ბალკანეთის ქვეყნებში ოსმალთა ბატონობის დროს სუბაშის,აღას,წარჩინებულის, გარკვეული ტერიტორიის განმგებლის აღმნიშვნელი სიტყვაა. ისინი კაიმაკამის მოვალეობასაც ასრულებდნენ. იხ. M.Z. Pakalin, . . . III. fas. XXII. 1956. s. 598.

97. ზარაბხანა /დარბხანე/ – ფულის მოსაჭრელი სახელმწიფო დაწესებულება. იგი არსებობდა ოსმალეთის იმპერიის სხვადასხვა ქალაქებში: ედირნეში, ამასიაში, კაიროში, ალეპოში,

ტრაპიზონში და სხვა. იხ. M.Z. Pakalin, . . . I. fas. V. 1948. s. 396.

98. ზარაფხანის ნაზირი – ზარაფხანის მეთვალყურე, ზედამხედველი. გარკვეული ფუნქციებით აღჭურვილი ოფიციალური პირი ზარაფხანაში.

99. ზაიმი – დიდი სამხედრო ლენის ზიამეთის მფლობელი.

100. ზემისთანი – ყოველ წელს ზამთრობითა და ზაფხულობით სულთნის ხელისუფლება იანიჩართა აღას, თითოეული ოჯახის აღას, ქათიბებს აძლევდა ჩოხისა და გარკვეული ქსრვილისაგან დამზადებულ ზედა ტანსაცმელს. ზაფხულობით ბოძებულ ტანისამოსს – „ბაჰარიე“, ხოლო ზამთრობით მიცემულს – „ზემისთანიე“ – ეწოდებოდა. ამას გარდა მათ გარკვეული თანხაც ეძლეოდათ გამოსაზამთრებლად. ზემისთანი სპარსულად ნიშნავს ზამთარს. იხ. M.Z. Pakalin, . . . III. fas. XXIV. 1956. s. 651.

101. ზიამეთი – სამხედრო სამსახურის სანაცვლოდ გაცემული მიწის ნაკვეთი. საკარგავი, რომლის წლიური შემოსავალი შეადგენდა 20000-დან 100000 ახჩამდე. აკრეფილი გადასახადი ზიამეთის მფლობელის – ზიამისა იყო. იგი ვალდებული იყო შემოსავლის ყოველ 5 ათას ახჩაზე ერთი შეიარაღებული მხედარი – ჯებელი გამოეყვანა.

102. ზიმმი – ოსმალეთის იმპერიის არამუსლიმური ქვეშევრდომი, რომელიც იხდიდა ჯიზიას გადასახადს.

103. ზოლთა – პოლონური ფულის მსგავსი ოსმალური ვერცხლის ფული.

104. ზოლთა ჯედიდი –ანუ იენი ზოლთა, ერთ-ერთი ძველი ოსმალური ვერცხლის ფულის სახელწოდება. სულთან აჰმედ III-ის დროს /1703-1730/ 30 ახჩას შეადგენდა. იხ. Pakalin, . . . III. fas. XXIV. 1956. s. 664.

105. თაჰსილდარი – თაჰსილდარს ადრე მუჰასილს უწოდებდნენ. ამ თანამდებობის პირები ვილაიეთისა და სანჯაყის ჯიზიასა და სხვა გადასახადების აკრეფისა და აღრიცხვის საქმეებს განაგებდნენ. ესენი იყვნენ გადასახადის ამკრეფი მოხელეები. მათ მეთაურს სერ თაჰსილდარს ეძახდნენ. იხ. Z. Karamursal,

Osmanlı Mali Tarihi hakkında Tetkikler. Ankara. 1940. s. 138, 144.

106. თელხისი – თელხისი, მოკლე შინაარსი, რეზიუმე დიდ-ვეზირის წერილობითი მოხსენება სულთნისადმი.

107. თესქერე – ოსმალო ხელისუფალთა მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტი თანამდებობის თუ წყალობის მიღების თაობაზე.

108. თესქერეჯი – ოსმალური დოკუმენტის გარკვეული კატეგორიის – თესქერეს, არზუჰალისა და სხვა. მოკლე შინაარსისა და სადაო საკითხების შესახებ. ე.წ. ჰულასას, ე.ი. რეზიუმეს შემდგენელი პირები. ესენი იყვნენ: პირველი თესქერეჯი, მეორე თესქერეჯი, დიდი ციხის თესქერეჯი, პატარა ციხის თესქერეჯი, საფინანსო თესქერეჯი. იხ. Z. Karamursal, Osmanlı Mali Tarihi hakkında Tetkikler. Ankara. 1940. s. 145.

109. თეფაუტი ჰასენე – გადასახადების გარკვეული რაოდენობა, რომლის ცალკეული პირები, სახელმწიფოსაგან განსაზღვრული პირობით მიღებული მიწის ნაკვეთის შემოსავლიდან, საჯალდებულო გადასახადების გარდა, სახელმწიფოს დამატებით უხდიდნენ თანხას მუსლიმურ და ქრისტიანულ საფინანსო წლების დღეებს შორის არსებული სხვაობის – 14 დღის – გადასახადს, რადგანაც ქრისტიანული წელთაღრიცხვის დღეების რაოდენობა შეადგენს 365 დღეს, 5 საათს და 5 წუთს, ხოლო მუსლიმური წელთაღრიცხვისა – 354 დღეს, 8 საათს და 48 წუთს, მათ შორის სხვაობა იძლევა 10 დღეს, 21 საათსა და ერთ წუთს, ამიტომ როდესაც მიწის ნაკვეთი განსაზღვრული დროით იჯარით გაიცემოდა, დადგენილ საჯალდებულო თანხას დაერიცხებოდა 10 დღის, 21 საათისა და ერთი წუთის გადასახადი. ამ სხვაობას თეფაუტი ჰასენე ეწოდებოდა. სახელმწიფო მუქთაასა გაცემისა და ილთიზამის წესით გადასახადის აკრეფის უფლების გაყიდვისას ქრისტიანული წელთაღრიცხვის დღეებს მხედველობაში იღებდა. იგი არაბულ-მუსლიმურ თვეებთან ერთად იყო აღრიცხული. იხ. M.Z. Pakalin, . . . fas. XXII. 1945. s. 434.

110. თიმარი – სამხედრო სამსახურის სანაცვლოდ გაცემული მიწის ნაკვეთი, რომლის წლიური შემოსავალი ორი ან სამი ათასიდან 19999 შეადგენდა. თიმარის მფლობელებს ეწოდებო-

დათ „საჰიბი თიმარ“ თიმარლი „სიფაჰილერ“. იხ. ვ.გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI-XVIII საუკუნეებში. თბ. 1958. გვ. 185-188. ს.ჯიქია, XVIII საუკუნის თურქული დოკუმენტი ოქროს ციხის შესახებ. თსუ შრომები, № 91. თბ. აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, II, 1960. გვ. 178-179. მისივე, იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. თბ. 1694. გვ. 104. 111.

111. თიმარების თესქერეჯილიქი – თიმარების თესქერეს შემდგენლის თანამდებობა.

112. თოფანჯი – იგივე თოფჩი, ოსმალეთის შეიარაღებული ძალების ერთ-ერთი სახეობის – „კაფი-კულუს“ შემადგენელი რაზმები, მეზარბაზნეები, იხ. İ.H.Uzunçarşılı, Osmanlı Devleti Teşkılatından Kapukulu Ocakları. II. Cebeci, Topçu, Top arabacı, Humbaracı, Lağımcı Ocakları ve Kapukulu Suvarıları. Ankara. 1944. s. 35-113. M.Z. Pakalin, . . . II. 1951. s. 512-513.

113. თოფი – ქსოვილის საზომი ერთეული, რომელიც გ.ჯაფარიძის დაკვირვებით, 7-10 მეტრს უდრიდა. /გ.ჯაფარიძე, ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან /IX-XIX სს/. თბ. 1973. გვ. 141.

114. თოფჩი ბაში – ოსმალეთის სახელმწიფო ლაშქრის ერთ-ერთი სახეობის – თოფჩიების ოჯახის მეთაურის სახელწოდება. მეზარბაზნეთა უფროსი. იხ. ევლია ჩელები „მოგზაურობის წიგნი“ თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გიორგი ფუთურიძემ. ნაკვ. II. თბ. 1973. გვ. 141-142.

115. თოფჩიების აღა – თოფჩიების მეთაური.

116. თოფჩიების სერბოლუქი – თოფჩიების ბოლუქების მეთაური.

117. თოფჩიბაშილიქი – თოფჩი ბაშის თანამდებობა.

118. თოფჩიების საქათიბო – თოფჩიების სამდივანმწიგნობროს, სამდივნოს თანამდებობა.

119. თოფჩიების ჩაუში – ოსმალეთის სახელმწიფო ლაშქრის ერთ-ერთი სახეობის – თოფჩიების ოჯახის ყოველ დანაყოფში იყო ქეთხუდას, ჩაუშისა და ქათიბის თანამდებობა.

120. თოფხანე-ი ამირე – ზარბაზნების ჩამოსასხმელი სახელმწიფო ქარხანა.

121. თუღრა – სულთნის მონოგრამა, რომელიც სულთნის სახელით კანცელარიიდან გამოსული ფირმანის, ბერათის, „სებები თაჰრირი ჰუქმის“ თავში გამოიყვანდა სპეციალური მოხელე – ნიშანჯი. თუღრაში იკითხება ამა თუ იმ სულთნის სახელი, მამის სახელი სათანადო ტიტულითა და ეპითეტებით. იხ. ს.ჯიქია, XVIII საუკუნის თურქული დოკუმენტი ოქროს ციხის შესახებ. თსუ-ს შრომები, № 91. თბ. 1960. გვ. 169-170.

122. იაზიჯი – მწერალი, მოხელე, ჩინოვნიკი ცალკეულ უწყებებში, სამხედრო ნაწილებში სამდივანმწიგნობრო საქმეების შემსრულებელი პირი.

123. იანიჩარი – /„იენი ჩერი“ – ახალი ჯარი/ ქვეითი დაქირავებული ჯარი, რომელიც სულთან მურად I-ის დროს /1359-1389/, 1361-63 წლებში იქნა ორგანიზებული. პირველ ხანებში ამ ლაშქრისთვის აგროვებდნენ ქრისტიან ტყვე ბავშვებს, შემდეგში ეს შეგროვება დაკანონებულ იქნა ქრისტიანებზე სპეციალური გადასახადით –დევშირმე. ამ 7-12 წლის ბავშვებს ათურქებდნენ და ამუსლიმებდნენ ჯერ თურქ გლეხთა ოჯახებში, შემდეგში ასწავლიდნენ სამხედრო საქმეს საგანგებო დაწესებულებებში, რომელსაც – „აჯემი ოღლანი“ – „უცხოელთა ბავშვები“ ეწოდებოდა.

124. იანიჩართა აღა – მთელი იანიჩართა ლაშქრის უმაღლესი მეთაური. იგი განაგებდა იანიჩართა წვრთნის საქმეს, ჯამაგირების გაცემას, დანიშვნასა და გადაყენებას. იგი იღებდა საჩივრებს და სჯიდა დამნაშავეებს სასაზღვრო რაიონების ციხესიმაგრეებში ჩაყენებულ იანიჩართა მეთაურებსაც იანიჩართა აღა ან იანიჩართა სარდალი ეწოდებოდა. ამ თანამდებობაზე ინიშნებოდა იანიჩართა კორპუსში აღზრდილი და დაწინაურებული პირი, უპირატესად სეკბანები. ერთი პერიოდი იანიჩართა აღას თანამდებობაზე სასახლის წარჩინებულები ინიშნებოდნენ, მაგრამ შემდეგში ისევ გააუქმეს ეს წესი. მათი დღიური შემოსავალი 400-500 ახჩას შეადგენდა. იხ. Z. Karamursal, . . . s. 150. Pakalin, . . . III. fas. XXIV, 1956. s. 524-629.

125. იანიჩართა ბაირაღი – იანიჩართა ოჯახისთვის საგანგე-

ბოდ მიკუთვნებული ბაირაღების შესახებ გამოყენებული ტერმინი. ასეთი ბაირაღები იყო: იმამი აზამ ბაირაღი, ჰაჯი ბექთაშ ბაირაღი, ჰაჯი ბექთაშ ბაირაღი, აღა სანჯაყის ბაირაღი, ალაი ბაირაღი, ქეთხუდა ბაირაღი, ბაშ ჩაუშის, ბაშ იაიაბაშის, ბაშ ბოლუქბაშის, ბოლუქისა და ორთას ბაირაღები. ამ დანაყოფებს სხვადასხვა ფერისა და ემბლების ბაირაღები ჰქონდათ. იხ. Pakalin, . . . III. fas. XXIV, 1956. s. 629.

126. იანიჩართა იაზიჯი – იანიჩართა მწერალი, მოხელე, გარკვეული დაეალებების შემსრულებელი პირი იანიჩართა ორგანიზაციაში.

127. იანიჩართა კალემი – იანიჩართა კორპუსისადმი გაპიროვნებული ერთ-ერთი უჯრედის სახელწოდება ოსმალეთის საფინანსო უწყებაში. ამ უჯრედის მოვალეობა იყო იანიჩრებისათვის ყოველგვარ საჭიროებაზე ზრუნვა და ყველაფრის რეგისტრაცია სპეციალურ დავთრებსა და უწყისებში.

128. იანიჩართა ქათიბი – იგივე იანიჩართა ეფენდი, რომლის მოვალეობა იყო იანიჩართა ულუფისა და აღრიცხვის დავთრის გამგებელთა მეთაურობა. იანიჩართა კორპუსის მწერალი, გადამწერი, მდივანი, კანცელარიის მოხელე. იხ. Pakalin, . . . II. fas. XII. 1951. s. 213. III, fas. XXIV. 1956. s. 629-630.

129. იანიჩართა ქეთხუდა იერის საქათიბო – იანიჩართა ოჯახის ოფიცერთაგან-ქეთხუდა იერის საქათიბოს, სამდივნოს შესახებ გამოყენებული ტერმინი. ამ სამდივნოს მოვალეობა იყო: მიღებული ბრძანების რეგისტრაცია, შემოწმებულ არზებსა და წერილებზე ბეჭდის დასმის შემდეგ ადგილზე გაგზავნა, ქეთხუდა იერისათვის დავთრების წარდგენა და სხვ. იხ. Pakalin, . . . II. fas. XII, 1952. s. 252-253.

130. იამაკი – მოსაზღვრე ტერიტორიების ციხესიმაგრეებში დამცველებად ჩაყენებული იანიჩართა ლაშქრის სახელწოდება. იანიჩართა ოჯახში თოფჩიებისა და ყუმბარაჯიების მსგავსი ლაშქარი იყო, რომელიც მიწის სამუშაოებს ასრულებდა, სალაშქროდ არ მიდიოდა და ციხის მეთვალყურედ რჩებოდა. იხ. Z. Karamursal, . . . s. 150.

131. იგით ბაში – ახალგაზრდების უფროსი, ხელმძღვანელი, შეფი, წინამძღოლი, დამოუკიდებელი. ძლიერი, გამძლე, ახალგაზრდობის მეთაური. იხ. Turkish and English Lexicon, Showing in English the Significations of the Turkish Terms. By James W. Redhouse, K.C.M.C. Constantinople. 1890. p. 2207-2207.

132. იენი ალთუნი – სიტყვა-სიტყვით ახალი ოქრო, სულთან მურად II-ის დროს მოჭრილი ოქროს ფულის ერთ-ერთი სახეობა.

133. „ილამი“ – გარკვეული გადაწყვეტილების შემცველი დოკუმენტი, სასამართლო გადაწყვეტილება. სასამართლოს დადგენილება წერილობით. უწყება, წერილობითი ინფორმაცია.

134. „ილმ-უ ჰაბერ“ – გარკვეულ ვითარებასთან დაკავშირებული, საქმეებში ჩახედული პირებისათვის ხელზე ბოძებული ოფიციალური დოკუმენტი, ვითარების ამსახველი საბუთი, გარკვეული ქვითარი, სავაჭრო დოკუმენტი, საბაჟოს დოკუმენტი, საბუთი. საბაჟოდან გაცემული საბუთი, იურიდიული დოკუმენტი.

135. ილთიზამი – ოსმალეთის იმპერიაში სახელმწიფო მულქების არენდით გაცემის წესი. პირველ ხანებში ასეთი წესით გაცემულ ქონებას მულთეზიმი ეწოდებოდა. 1856 წელს ილთიზამის წესი გაუქმებულ იქნა. იგი შეცვლილ იქნა გარკვეული გადასახადით უპირატესად მიწის საკითხებში იგი ილთიზამის სახით იყო ცნობილი.

136. იმამი – მუსლიმთა რელიგიური თემის მეთაური. სულიერი მამა. მეჩეთში ღვთისმსახურების მეთაური. ასევე ეწოდებოდათ: 1. ზოგი მუსლიმური სახელმწიფოს უზენაეს ხელისუფლებას. 2. შიიტების უზენაეს სასულიერო მეთაურს, 3. ისლამის ოთხი ძირითადი მიმდინარეობის /ჰანიფიტების, ჰანბალიტების, მალიქიტებისა და შაფიტების/ დამაარსებელს. ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“, თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გიორგი ფუთურიძემ. ნაკ. II. გამოკვლევა, კომენტარები. თბ. 1973.. გვ. 145. იმამი სახელმწიფოს მიერ ჯამეში დანიშნული მსახური იყო. რომელიც რელიგიური რიტუალების შესრულებას მეთაურობდა. იხ. Pakalin, . . . I. 1956. s. 59.

137. იმდადი სეფერიესა და ზაჰირიეს გადასახადი – ეს იყო ადათობრივი გადასახადი,რომელიც გულისხმობდა ლაშქრობის დროს ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ლაშქრის პროდუქტებითა და პროვიანტით მომარაგებას,აგრეთვე ფიზიკური შრომით დახმარების გაწევას და ფულადი სახით გადასახადის გადახდასაც. ეს გადასახადი ზოგჯერ ხაზინაში შედიოდა, ზოგჯერ ლაშქრის მეთაურს ეძლეოდა. იგი ფირმანით ინიშნებოდა და დავთარშიც იყო რეგისტრირებული. იხ. Pakalin, . . . I. fas. X, 1951. s. 63-64.

138. იოკლამა დავთარი – იოკლამა დავთარი ეწოდებოდა დოკუმენტს, რომელიც დგებოდა შეიარაღებული ძალების – სიფაჰიების რაოდენობის შესამოწმებლად. დავთარში დაწერილებით იყო ჩამოთვლილი სია იმ სიფაჰიებისა, რომლებსაც გარკვეული მიწის ნაკვეთის – თიმარის ან ზიამეთის ბოძების სანაცვლოდ ევალებოდათ სამხედრო სამსახური, რომელიმე ლაშქრობაში მონაწილეობა. იოკლამა დავთრები სიფაჰიების შესამოწმებლად მათი ადგილებზე ყოფნის დასაკონტროლებლად დგებოდა. ეს დოკუმენტი ძირითადად იქმნებოდა სიფაჰიების საერთო მობილიზაციის დროს ანდა რომელიმე ლაშქრობის დამთავრების შემდეგ,როდესაც საჭირო იყო რეალურად გათვალისწინება სიფაჰიების რაოდენობისა, იოკლამა დავთრები დგებოდა აგრეთვე ახალი სულთნის მიერ ტახტის დაკავებასთან დაკავშირებით. როდესაც ხდებოდა დოკუმენტების განახლება. იოკლამა დავთრის მიხედვით სახელმწიფო აკონტროლებდა ჯერ ერთი სიფაჰიების რაოდენობას და ამის მიხედვით მიწების ფონდს. თუ რამდენი თიმარი და ზიამეთი იყო რეალურად გაბოძებული სიფაჰიებისათვის. იხ. Z. Karamursal, . . . s. 151.

139. იუზბაშილიქი – იანიჩართა ორგანიზაციაში ასმეთაურთა თანამდებობა.

140. იურთლუქი და ოჯაქლიქი – მიწების კატეგორიაა, რომელსაც ოსმალეთის ხელისუფლება აძლევდა დაპყრობილი ქვეყნების ადგილობრივ ფეოდალებს მემკვიდრეობის წესის შენარჩუნებით. ეს ფეოდალები ისლამს იღებდნენ და ცენტრალურ ხელისუფლებას მხარში ედგნენ ქვეყნის დამორჩილების საქმეში. იურთლუქებისა და ოჯაქლიქების მფლობელნი ნახევრად დამოუკიდებლობას ინარჩუნებდნენ. სახელმწიფოს წინაშე სამხედრო სამსახურის შესრულება და ერთდროული გადასახადის გაღება ძღვენისა და ფეშქაშის სახით ევალებოდათ.

ძირითადად იურთლუქებად და ოჯაქლიქებად სანჯაყები გაიცემოდა. ფაქტობრივად ეს იყო დაპყრობილი ტერიტორიების ფეოდალებისადმი სამემკვიდრეოდ გაცემული სახელმწიფო მიწების კატეგორია. იხ. Pakalin, . . . fas. XVII, s. 712-713.

141. იუქი – ტვირთი, საპალნე, ტყავის ტომარა, ფართლეულის ერთ შეკვრა ტვირთს იუქი ან საპალნე ეწოდებოდა. 1687 წლამდე ოსმალეთში 100000 ახჩა ერთ იუქს შეადგენდა. იხ. ს.ჯიქია, XVIII საუკუნის თურქული დოკუმენტი ოქროს ციხის შესახებ. თსუ-ს შრომები № 91. აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, 11. 1960. გვ. 172.

142. იჯმალ დაეთარი – რეზიუმე, ჯამი, აღწერა, სია, დოკუმენტი რომელშიც შეჯამებულია გარკვეული ანგარიში. იჯმალ დაეთარი ეწოდებოდა ისეთ წიგნს, რომელშიც მოცემული იყო ახლად დაპყრობილი ოლქის აღწერილობა, მასში ჩაწერილი იყო მოსახლეობის სია, სოფლის სახელწოდება წლიური შემოსავლით. იჯმალ დაეთარი იყო ოსმალეთის საფინანსო უწყების სააღწერო დაეთრის ერთ-ერთი სახეობა. ხალხის აღწერის მოკლე ან მცირე დაეთარი, რომელშიც დიდი /მუფასალ/ დავთრისაგან განსხვაებით შემოკლებული ცნობები იყო რეგისტრირებული ამა თუ იმ რეგიონის შესახებ. იხ. ჩილდირის ეიალეთის ჯაბა დაეთარი, 1694-1732 წწ. თურქული ტექსტი ქართული თარგმანით გამოსაცემად მოამზადა ც.აბულაძემ. გამოკვლევა დაურთო მიხეილ სვანიძემ. თბ. 1979. გვ. 11-95.

143. კაზა – /ყაზა/ – ოსმალური ადმინისტრაციული დაყოფით სანჯაყში შემავალი მცირე ადმინისტრაციული ერთეული. კაზას თანამედროვე სახელწოდება ილჩეა. იხ. Pakalin, . . . fas. XII, 1951. s. 223-228.

144. კაიმაკამლიქი – კაიმაკამის თანამდებობა. კაიმაკამი – „მოადგილე, შემცველელი-როდესაც დიდვეზირი ლაშქრობაში გაუძღვებოდა ოსმალეთის ჯარს, მის მაგივრად სახელმწიფო საქმეების მოსაგვარებლად დედაქალაქში რჩებოდა სახელმწიფოს წარჩინებული, რომელსაც ვეზირის ხარისხი ჰქონდა და ამ შემთხვევაში მას უწოდებდნენ „რიქაბ კაიმაკამ-ი“ /„რიქაბ – უზანგი“/. თუ ამ დროს სულთანიც ლაშქრობაში იყო, კაიმაკამს ეწოდებოდა „სტამბოლის კაიმაკამი“. თუ დიდვეზირიცა და სულთანიც დიდი ხნით იყვნენ დედაქალაქიდან წასული,

სულთანს ახლდა „რიქაბ კაიმაკამი“ და დედაქალაქში რჩებოდა სტამბოლის კაიმაკამი.
კაიმაკამები ეწოდებოდათ იმ მოხელეებსაც, რომლებიც გადაყენებული ბეგლარ-ბეგებისა და სანჯაყ-ბეგების მაგიერად განაგებდნენ მიმდინარე საქმეებს, სანამ ახალი მმართველი ჩამოვიდოდა. /ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“. ნაკვ. II. გვ. 146/. იხ. Pakalin, . . . II. fas. XII, 1951. s. 219.

145. კაიმე – ოსმალეთის საფინანსო უწყების მიერ გაცემული დოკუმენტის ერთ-ერთი ტიპი, რომელშიც ძირითადად გაცემული იყო გასაყიდის ანგარიში.

146. კალემიე – ოსმალეთის საფინანსო უწყებაში ცალკეული უჯრედი, ბიუროს განყოფილების სახელწოდება. იგი რამდენიმე ათეულს შეადგენდა.

147. კასაბა – ოსმალური ადმინისტრაციული დაყოფით პატარა ქალაქის, 5-10 ათასამდე დასახლებული პუნქტის სახელწოდება.

148. კაფუდანი – სამხედრო ხომალდის ან ხომალდების ჯგუფის მეთაური. XVII ს. დასაწყისამდე რეისის სახელწოდებას ატარებდა, შემდეგ კი – კაფუდანით შეიცვალა. რეისი კი სავაჭრო ხომალდის მეპატრონის სახელად დარჩა. Nicoara Beldiceanu, Recherche sur la ville Ottomane au XX siecle. Etude et Actes, Paris, 1973. s. 60-62. Pakalin, 1951. s. 187.
149. კაფუდან ფაშა – კაფუდან ფაშა ანუ კაფუდან დერია ოსმალეთის საზღვაო ფლოტის უმაღლესი მეთაური, ადმირალი. მას ვეზირის ხარისხი ჰქონდა სამი თუღით. იგი ფლობდა ხმელთაშუა ზღვის კუნძულებსაც კაფუდან ფაშას ვილაიეთის სახელწოდებით და უდიდეს შემოსავალს იღებდა. იხ. İ.H.Uzunçarşılı, Osmanlı Devletinin Merkez ve Bahriye Teşkılatı. Ankara. 1948. s. 414-420.
150. კაფუ კულუ – ოსმალეთში სახელმწიფო კარის ცხენოსანი და ქვეითი ჯარისკაცების სახელწოდება. იგი რამდენიმე სახეობისაგან შედგებოდა.

151. კაფუჯი – სასახლის მსახურთა კატეგორია, რომლის მოვალეობასაც შეადგენდა სასახლის შინაგანი სიმყუდროვის დაცვა. ისინი სასახლის ჯარისკაცებად ითვლებოდნენ.

152. კაფუჯი ბაში – სასახლის მსახურთა კატეგორიის მეთაური. კაფუჯი ბაში განაგებდა სულთნის სასახლის კარისა და დივანის სხდომების დაცვას. სასახლეში წარადგენდა ელჩებსა და საპატიო სტუმრებს. ისინი იგზავნებოდნენ პროვინციის მეთაურებთან საიდუმლო დავალებით. ხშირად კაფუჯი ბაშიებს სულთნის ხელისუფლებისათვის არასასურველი ფაშებისა და დიდი მოხელეების თავიდან მოშორებისა და მოკვლის საქმეებს ავალებდნენ. იხ. İ.H.Uzunçarşılı, Osmanlı Devletinin Saray Teşkılatı. Ankara. 1945. s. 404-407.

153. კაფუ აღასი – სასახლის ყველა კატეგორიის მსახურთა მეთაური.

154. კაფუ კულუს აღები – სახელმწიფოს რეგულიარული ლაშქრის ცალკეული კატეგორიების მეთაური.

155. კიზილ აკჩე – ოსმალეთში სპილენძის ფულის სახელწოდება.

156. კიზილ ალთუნი – ოქროს ფულის სანაცვლოდ ზარაფხანიდან მიმოქცევაში ახჩად შემოსული ფულის სახელწოდება. იხ. M.Z.Pakalin, . . . II. fas. XII, 1951. s. 277.

157. კიიმეთ ფარე – დიდი ხვედრითი წონის, ძვირფასი მეტალის შემცველი ფულის სახელწოდება.

158. კილიჩი – „ხმალი“, ასე ეწოდებოდა სამხედრო ლენით შეწყალებულ ყველა კატეგორიის მსახურს.

159. კუირუკლუ იმზა – ფინანსთა უწყების მეთაურის ბაშ დავთარდარის ხელრთვა ოფიციალურ დოკუმენტებზე.

160. კულლუკჩიები – ვინმეს სამსახურში მყოფი მუშაკი, მორიგეები, მსახურები, ოსმალთა ხანაში იანიჩრებიც იგულისხმებოდა. სასახლეში დაწინაურებული აღების სამსახურში მყოფი ჭაბუკებისათვის გამოყენებული ტერმინი.

161. ლევენდები – ოსმალეთის საზღვაო ფლოტისა და ნავსადგურებში თიმარის საფუძველზე მყოფი ჯარისკაცები. XV საუკუნის მიწურულსა და XVI ს-ის დასაწყისში ხმელთა-

შუა ხლვაზე თურქ მეკობრეთა გემებზე მომუშავე მეზღვაურებს ლევენდებს ეძახდნენ. ეს ლევენდები შემდეგში ოსმალთა საზღვაო სამსახურში მოეწყვნენ. იხ. İ.H.Uzunçarşılı, Osmanlı Devletinin Merkez ve Bahriye Teşkılatı. Ankara. 1948. s. 479-482.

162. ლეზეზი – მუსლიმური წლის კვარტლის სახელწოდება.

163. ლივა – იგივე რაც სანჯაყი.

164. მადენ მაა სალიანე კალემი – საფინანსო უწყების ეს განყოფილება განაგებდა ყირიმის ხანების მემკვიდრეთადმი წლიურად სალიანეს სახით გაცემული საბაჟოსა და საბადოების აღრიცხვის საქმეს. იხ. İ.H.Uzunçarşılı, Osmanlı Devletinin Merkez ve Bahriye Teşkılatı. Ankara. 1948. s. 358.

165. მალი ბედელიე – საფინანსო უწყებისათვის განკუთვნილი გადასახადი, იგი საკმაოდ მძიმე ტვირთი იყო ადგილობრივი მოსახლეობისათვის.

166. მალიქანე – მიწის ნაკვეთი, რომელსაც ოსმალეთის საფინანსო უწყება გარკვეული ვადით ილთიზამის წესით აძლევდა ამა თუ იმ პირს, რომლის მოვალეობას შეადგენდა ერთდროულად გადაეხადა წინასწარ დადგენილი თანხა. იგი შემოღებულ იქნა 1695 წელს. თუ მალიქანეს საფუძველზე მიწის ნაკვეთის ე.წ. მუქაათას მფლობელი გარდაიცვლებოდა, იგი სხვას გადაეცემოდა გარკვეული თანხის გაღების სანაცვლოდ. მაგრამ თუ გარდაცვლილს შვილი ჰყავდა და იგი კისრულობდა მამის მიერ აღებული ვალდებულებების განახლებას და გადახდას, მაშინ შვილს რჩებოდა მიწის ნაკვეთი მალიქანეს უფლებით. იხ. İ.H.Uzunçarşılı, Osmanlı Devletinin Merkez ve Bahriye Teşkılatı. Ankara. 1948. s. 348.

167. მარუზა – არზის მიმღები პირი, პირი რომელიც აჯა-ვედრებას, თხოვნას შეისმენს. იგივე არზაა.

168. მალი გაიფ – სიტყვა –სიტყვით ნიშნავს დაკარგულ საქონელს, ჩამოწერილ თანხას. იგი საფინანსო უწყების მიერ ხშირად იხმარებოდა დოკუმენტის შედგენისას და გარკვეული თანხის უქონლობის, დანაკლისის გამომხატველი ტერმინი იყო.

169. მასარი – მუსლიმური წლის კვარტლის სახელწოდება. მასში შედიოდა: მუჰარემი, საფარი, რები ულ-ეველი.

170. მეელანა – მაღალგანათლებული ღვთისმეტყველი, მასწავლებელი, იმამი, საპატიო ტიტული, რომელიც ეძლეოდა საპატივცემულო ულემებსა და ყადიებს. მისი მნიშვნელობაა: „ჩვენი ქალბატონები“, „ჩვენი ბატონები“ იხ. M.Z.Pakalin, . . . II. fas. XX, 1953. s. 498.

171. მენზილი – გაჩერება, სადგური, გადასასვლელი, მგზავრთა გასაჩერებელი ადგილი, ორ გასაჩერებელ ადგილს შორის მანძილი, ძველთაგანვე სახმელეთო გზა. ერთი დღის სავალი მანძილი. იხ. Islam Ansiklopedisi, cilt IV. s. 1904.

172. მენზილჯი – იმთავითვე სწრაფმავალი პირი. ამბის მიმტანი ადამიანი. ოსმალთა პერიოდში, დიდი ლაშქრობების დროს ლაშქრის სხვადასხვა მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად გამოყოფილი პირი. გასაჩერებელ ადგილებში განსწავლული პირი.

173. მენექსეს გემი – ოსმალეთის ფლოტში მრავალი სახეობის ხომალდი იყო, რომელთაც ძირითადად დამახინჯებული იტალიური სახელები ჰქონდათ. ევლია ასახელებს მრავალ ტიპს, მათ შორისაა მენექსების ტიპის დიდი ნავი, მისი სიტყვით: „ლაზებისა და მეგრელების დიდი ნავები, ამ ნავებს თურქებიც იყენებდნენ ზღვის ნაპირებზე და მდინარეებზე ცურვისათვის“. ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“, თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გიორგი ფუთურიძემ. ნაკვ II, გამოკვლევა, კომენტარები, თბ. 1973. გვ. 173.

174. მიმარი – არქიტექტორი, მშენებლობის მეთაური, ხელმძღვანელი, პირი რომელიც განაგებდა მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეს, პირი, რომელიც განაგებს ყოველგვარი მშენებლობის დაგეგმვასა და აგებას.

175. მიმარ აღა – მთავარი არქიტექტორი, მშენებლობის მეთაური, ხელმძღვანელი.

176. მიმარ ბაში – მთელს იმპერიაში არსებული არქიტექტურის საქმეების ხელმძღვანელი, არქიტექტურის მთავარგამგებელი, უპირველესი არქიტექტორი.

177. მირი – სახელმწიფო, სახელმწიფო ქონება, სახელმწიფო ხაზინა.

178. მირლივა – სანჯაყის /ლივას/ ბეგი. ერთთუღიანი ფაშას სამხედრო წოდება. იხ. M.Z.Pakalin, . . . II. fas. XX, 1953. s. 545.

179. მირ-მირანი – იგივე ბეგლარ-ბეგი, ვალი, ვილაიეთის განმგებელი.

180. მუბაშირი – საფინანსო მოხელე, რომელიც ძირითადად შემოსავლის აღრიცხვის საკითხებით იყო დაკავებული. იხ. Z.karamursal, . . . s. 137.

181. მუდერისი – მასწავლებელი მედრესში, იგი ღვთისმეტყველებას და იურიდიულ მეცნიერებას ასწავლიდა. იხ. M.Z.Pakalin, . . . II. fas. XX, 1953. s. 589.

182. მუდი – მარცელეულის საწყაო, სულხან-საბას განმარტებით, „მოდი-სარწყავი არს 22 ქსესტიანი, ცხრა ათას დრაჰკანსა მრაცხელნი ერთს მოდსა უწოდენ". ს.ს. ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, თბ. 1928, გვ. 219

183. მუთასარიფი – განმგებელი, ქონების მფლობელი, სანჯაყისა და ვილაიეთის ბეგლარ-ბეგის /მირ-მირანის, ვალის/ სინონიმი.

184. მუთეველი – ვაკუფების ქონების მმართველი, აღმრიცხველი და გამანაწილებელი. იხ. Z. Karamursal, . . . s. 140. M.Z.Pakalin, . . . II. fas. XX, 1953. s. 640.

185. მუთესელიმი – ცალკეული ადმინისტრაციული ერთეულის განმგებლის – ვალის, განმგებლის თანაშემწე, რომელიც ხელმძღვანელობდა გადასახადების აკრეფას.

186. მარჯვენა გონულიანები – გონულიან იემინ – იანიჩართა რაზმში გონულიანთა ერთ-ერთი დანაყოფის – გონულიანთა მარჯვენა ფრთის, მხარის სახელწოდება.

187. მარცხენა გონულიანები – იანიჩართა ორგანიზაციაში გონულიანთა რაზმის ერთ-ერთი დანაყოფის – გონულიანთა მარცხენა ფრთის, მხარის სახელწოდება.

188. მუკაბელეჯი – ოსმალეთის საფინანსო უწყების ერთ-ერთი უჯრედის, განყოფილების მსახურის სახელწოდება, მას ევალებოდა დოკუმენტის მიხედვით ლაშქრის რაოდენობის დაზუსტება, აღრიცხვა, ახლად შედგენილი დოკუმენტის შავი ვარიანტის ე.წ. მუსვედეს დაზუსტება-შემოწმება და სხვა. იხ. Z. Karamursal, . . . s. 138.

189. მუკაბელე კალემი – კაფუ კულუს ცხენოსანი და ქვეითი ლაშქრის საქმანობით დაკავებული საფინანსო უწყების ერთ-ერთი უჯრედის სახელწოდება. კაფუ კულუს, სახელმწიფო სამზარეულოს, ხასების და სხვ. ხელფასების დავთრები ამ უჯრედში დგებოდა. მას ხაზინაში არსებულ ე.წ. ანადავთრებთან აჯერებდნენ. ხაზინიდან ულუფას სახით თანხა გაჰქონდათ. იხ. İ.H.Uzunçarşılı, . . . s. 220.

190. მუქათაა – მიწის ნაკვეთი, რომლის შემოსავალი სახელმწიფოს მიერ ფისკალური მიზნით გარკვეული დროით იჯარის წესით გაიცემოდა სამხედრო და სამოხელეო თანამდებობის პირზე. მუქაათას მფლობელს სახელმწიფოს მიერ ბოძებული სათანადო დოკუმენტის საფუძველზე ევალებოდა გადასახადის აკრეფა და გარკვეული წილის სახელმწიფოსათვის ჩაბარება.
191. მუქათააჯი – XVI საუკუნის მიწურულიდან მუქათაას ნაკვეთების შემოსავლის ანგარიშის, ყიდვა-გაყიდვის, ბოძებისა და სხვა ორგანიზაციული საქმეებით დაკავებული პირის სახელწოდება. იხ. Z. Karamursal, . . . s. 138. M.Z.Pakalin, . . . II. fas. XX, 1953. s. 579.

192. მულაზიმი – ოსმალეთის სახელმწიფო აპარატში რომელიმე თანამდებობაზე სტაჟიორი, ანაზღაურების გარეშე მომუშავე პირი. თანზიმათამდე „შეგირდის“ სახელით იყო ცნობილი. იხ. M.Z.Pakalin, . . . fas. XX, 1953. s. 612.

193. მულქიეთი – „მულქი – ასე ეწოდებოდა მიწას, ანუ უძრავ ქონებას და მათ შემოსავალს, რომელიც ვინმეს სრული საკუთრების უფლებით და სამემკვიდრეოდ ჰქონდა. შეიძლებოდა მისი გაყიდვა, ეაკუფად შეწირვა, ამ წესს მულქიეთი ეწოდებოდა“. /ევლია ჩელები „მოგზაურობის წიგნი“ II ნაკვ. გვ. 154.

194. მუეძინი – მეჩეთის მსახური, რომელიც მინარეთის აივნიდან მრეელს სალოცავად მოუწოდებდა – ეზანს წარმოთქვამდა.

